<sup>39</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1: Lazistan Mutasarrıflığının Yazısı ( 25 Ağustos 84).

<sup>40</sup> BOA, A.Mkt.Mhm. 426/1: Lazistan Mutasarrıfının Tahiratı ( 1 Eylül 1284).

<sup>41</sup> A. Mkt. Mhmç 426/1: Lazistan Mutasarrıflığından Varid Olan Tahriratın SuretidirSadarete Arz (8 TE 84).

gibilerin sınır boyunda ikametinden şikayetçi olduğu ifade edilmekteydi. Yerel idareciler sınır güvenliğinin sağlanabilmesi için muhacirlerin başka bir yerde iskanını teklif ederler<sup>42</sup>.

Söylentilere göre Sınırdaki bulunan Abaza kabilesine mensup muhacirlerden bazıları Rusların işgalindeki vatanlarına dönmek istiyordu. Yapılan araştırmada böyle bir durumun söz konusu olmadığı, muhacirleri buldukları yerlerden çıkarmak isteyenlerin bu gibi söylemleri maksatlı olarak yaydıkları anlaşıldı. Muhacirlerin başka bir yere nakli diğerlerine bu emsal teşkil edebilecekti. Muhacirlerin yoğun olarak bulunduğu Samsun gibi yerlerde halk muhacirleri çıkartmak için bu gibi faaliyetlere teşebbüs edebilecekti. En uygun tedbir feodal yapıyı kırmak adına kabile reislerinin en azından bir kısmının iskan mahallini değiştirmektir<sup>43</sup>. Batum kasabası ve mücavir alanındaki muhacirlerin bir kısmı bölgenin iklimiyle uyum sağlayamadıklarından başka yerlere nakillerini talep etmişlerdir. Örneğin Batum havalisine iskan edilmiş olan Süleyman ve Şahin Beyler İzmit sancağı dahiline yerleşme talebinde bulundular<sup>44</sup>.

### KASABANIN NÜFUSU

Bu gelişmeler sonucu kasabanın nüfusu artmıştır. Nüfus defterlerine göre 1830'lu yıllarda iskele ve çevresindeki sekiz köyün erkek nüfusu 1.119 kişidir. Abdullah Bay İngiliz konsolosluk raporlarına atfen kasaba nüfusunun 1867'de her ne kadar 4.500'ü Müslim, 3502'si Rum, 120'si Ermeni olmak üzere toplam 4.970 erkek, 1874'de ise yaklaşık 15 bin kişi olduğunu ifade etse de<sup>45</sup> aşağıdaki tablolarda detaylı olarak görüleceği üzere kasabanın erkek nüfusu 1868- 1877 yıllarında 604 erkekten oluşmaktaydı. 1878 tarihli vilayet salnamesinde kasabanın erkek nüfusu 1.116 olarak verilmiştir. Kadın nüfusun erkeklerle eşit olduğu varsayımından hareket edecek olursak kasabanın nüfusu en fazla 2.230 kişidir.

**Tablo. 1.** Salnamelere Göre Batum şehrinin nüfusu

YIL	mah	Hane sayısı						Erkek Nüfus					
		Ka	Er	Ru	Çe	Mü	To	Ka	Er	Ru	Çe	Mü	To
		t	m	m	r	s	p	t	m	m	r	s	p

<sup>42</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1.

<sup>43</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1.

<sup>44</sup> BOA, ZB. 5.35.10: Zabtiye Nezareti ve Tuna Vilayetine .

<sup>45</sup> Abdullah Bay, "Limani Olan Bir Kasabadan Liman Kentine Batum Şehri ( 1830- 1905), Türkiye Mecmuası , 26/1, s. 61- 80, İstanbul 2016.

187 2	1	1	4	18	18 3	38	265	4	17	41	42 9	113	604
187 3	1	3	4	18	18 3	38	264	4	17	41	42 9	113	604
187 4	1	3	4	18	18 3	38	264	4	17	41	42 9	113	604
187 5	1	3	4	18	18 3	38	264	4	17	41	42 9	113	604
187 6	1	3	4	18	18 3	38	264	4	17	41	42 9	113	604
187 8	1	3	4	18	18 3	38	264	4	17	41	42 9	113	604

Batum kasabası Hicri 1294 salnamesine göre 12 mahalleden oluşmaktaydı. Kasaba nüfusunun mahallelere göre taksimatı 2 numaralı tabloda gösterilmiştir<sup>46</sup>.

**Tablo. 2.** Batum Kasabası Nüfusunun Mahallelere Göre Dağılımı

Mahalle	Hane Sayısı						Erkek Nüfus					
	Ka t	Er m	Ru m	Çer	Mü s	To p	Ka t	Er m	Ru m	Çer	Mü s	Top
Aziziye	4	11	39		80	13 4	5	19	75		44	143
Ahmetpaşa		3			99	10 2					100	100
Müftü					91	91					106	106
Gareddin			1		32	33					90	90
Nuriye				15 1		15 1				33 7		337
İcadiye				26		26				32		32

<sup>46</sup> Trabzon Vilayeti Salnamesi 1294.

Enamiye				8		8				33		33
Şükriye				27		27				91		91
Atiye				36		36				79		79
Furiye				44		44				32		32
Kuşadiye				15		15				55		55
Lütfiye				23		23				18		18
TOPLAM	4	14	40	33	302	69	5	19	75	67	340	111
				0		0				7		6

Hicri 1294 tarihli vilayet salnamesine göre Batum kasabası 12 mahalleden oluşmaktaydı. Kasabada 4 Katolik, 14 Ermeni, 39 Rum, 330 Çerkes, 302 Müslim hanede 5 Katolik, 19 Ermeni, 75 Rum, 340 Müslim , 667 Çerkes olmak üzere 1.106 erkek nüfustur. Kasaba nüfusunun % 60.30'u Çerkeştir<sup>47</sup>.

## SONUÇ

19. Yüzyılda Karadeniz'in uluslar arası ticarete açılması, sahillerdeki yerleşmelerin nüfus ve saha olarak hızla büyümesine, iskele noktalarının kasaba halini almasına ortam hazırlamıştır. Karadeniz sahillinde bu dönemde gelişen yerleşmelerden birisi de Batum iskelesidir. Batum sahası 19. Yüzyılın başında iskele ve pazar mevkiidir. Karadeniz'de ticari faaliyetlerin yoğunlaşması ile birlikte Batum iskelesi nüfus açısından şenlenecektir. Çevre yerleşmelerdeki tüccarlar ve iş arayanlar Batum'a göç edeceklerdir. Bu göçler gurbetçilik veya ev göçü şeklinde gerçekleşmiştir. Ancak şehrin nüfusunun artmasının en önemli sebebi Kırım Savaşı sonrası Kafkasya'dan buraya yönelik göçlerin gerçekleşmesidir. İstatistiklerden anlaşıldığı kadarıyla gelen göçmenler Batum sancağı dahilindeki yerleşmelerden daha ziyade kasaba dahilinde iskan işlemi görmüşlerdir. İki numaralı tabloda görüleceği üzere 1878'de kasaba 12 mahalleden müteşekkil olup, bu mahallelerin sekizi Çerkes göçmenlerine aittir.

## KAYNAKÇA

**Cumhurbaşkanlığı Osmanlı Arşivi**

A.Mkt.

AMkt.Dv

<sup>47</sup> Trabzon Vilayeti Salnamesi 1294.

A.Mkt.Mhm.

A.Mkt.Nzd.

İ.Dh.

İ.Mvl

ZB

### **Kitabiyat**

FAROQHI, Suraia, *Osmanlı'da Kentler ve Kentliler*, İstanbul 1994.

KAYA, Murat, *1170 Nolu Batum Sahil Köyleri Nüfus Defteri'nin Değerlendirilmesi*, Yayınlanmamış Yüksek Lisans Tezi, Rize 2013.

ORHANGAZI, Sibel, *18. Yüzyılda Batum Sancağı*, Yayınlanmamış Doktora Tezi, Kars 2019.

Şakir Şevket, *Trabzon Tarihi*, Yay. Haz. İsmail Hacifettahoğlu, Trabzon 2001.

TOPAL, A.K, "Kavramsal Olarak Knt nedir ve Türkiye'de Kent Neresidir?", *Dokuz Eylül Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi*, 6/1, İzmir 2004, s. 276- 294.

TURAN, Nalan, *19. Yüzyıldan 20. Yüzyıla Osmanlı Topraklarında Seyahat, Göç ve Arşiv Belgeleri, Mürrur Tezkireleri*, İstanbul 2013.

YILMAZ, Özgür, Victor Fontanier'nin 1831'de Trabzon'dan Batum'a Seyahati", *Mavi Atlas*, 2, Gümüşhane 2014, s. 118- 134.

### **შესავალი**

ისტორიულ პროცესში ქალაქის კონცეპტუალური მნიშვნელობა შეიცვალა. შუა საუკუნეებში დასავლეთში ქალაქად ითვლებოდა კედლებით შემოსაზღვრული დასახლებული პუნქტი. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ეს განსაზღვრება შეიცვალა. ისტორიული, გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებული განსაზღვრება შეიძინა.<sup>1</sup> ოსმალეთის საზღვრებში არსებული დასახლებები განსაზღვრება შემდეგი ტერმინებით: მაჰალე (უბანი), ქოი (სოფელი) და ქასაბა (დაბა, ქალაქი). ოსმალეთის ბიუროკრატია სიტყვებს - ქასაბა, შეჰირი, მედინე და კენტი (ქალაქი) - ერთი მნიშვნელობით იყენებდა. XVI საუკუნეში ანატოლიის შავიზღვისპირეთში ორი საპორტო ქალაქი მდებარეობდა: სინოპი და ტრაპიზონი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნელ-ნელა გამოიკვეთნენ ქალაქები - სამსუნი და ბათუმი.

---

<sup>1</sup> A. K. Topal, "Kavramsal Olarak Kent Nedir ve Türkiyede Kent Neresidir ? Dokuz Eylül Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, 6/1, s. 276- 294.

რომელიც ბათუმი დააარსეს როგორც სავაჭრო დასახლება. ქალაქის ტერიტორიაზე დასახლება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ჩნდება. სელიმ მრისხანეს პერიოდში ოსმალთა მმართველობაში შევიდა. ოსმალთა მმართველობის დროს ბათუმი თითქმის ყოველთვის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. 1512 წელს ტრაპიზონ-ბათუმის ეალეთი დაარსდა. კლასიკურ პერიოდში აქ მდებარეობდა სანჯაყბეგის და ბეგლარბეგის რეზიდენცია.<sup>2</sup> 1830 წელს ნაჰიეს სტატუსი მიენიჭა. თანამედროვე ეპოქაში, 1849 წელს კაზას (მაზრას), 1852 წელს კი სანჯაყის ცენტრი გახდა. სანჯაყის სტატუსი თურქული მმართველობიდან გასვლამდე შეინარჩუნა.

ფოთის და სოხუმის დაცემის შემდეგ ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა.<sup>3</sup> როგორც მოსახლეობის აღწერის ნომერ 1170 დავთრიდან ირკვევა, 1830-იან წლებში ბათუმი 8 სოფლისგან შემდგარი ნაჰიეს ცენტრი იყო. ამ 8 სოფელში მთლიანად 1119 მამაკაცი ცხოვრობდა. მართალია დავთარში მოხსენიებულია „ნაჰიეს დაბა ბათუმი“, მაგრამ ბათუმის სახელწოდებით ცალკე დამოუკიდებელი დასახლებული პუნქტის არსებობა დოკუმენტალურად არ დასტურდება. დიდი ალბათობით ნავსადგურმა და სოფელმა შუა ბათუმმა მომავალში დაბის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. ხსენებულ მოსახლეობის აღწერის დავთარში მოსახლეობის გადაადგილების დეტალებიც არის მოცემული შემდეგი ტერმინების გამოყენებით: „ბათუმის უბნიდან მოვიდა“, „ბათუმში წავიდა“ და ა.შ.<sup>4</sup> ბათუმი 1831 წლის ზამთარში გაჩენილი ხანძრისგან განადგურდა. ხანძარს მხოლოდ ბაზარში მდგარი რამდენიმე სახლი გადაურჩა. ბაზარი კი ხის რამდენიმე ჯიხურისგან შედგებოდა.<sup>5</sup> 1860 წლამდე პატარა დასახლებულ პუნქტად დარჩა. შაკირ შევკეთი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, დაბაში 1864 წლამდე მხოლოდ რამდენიმე დუქანი და საცხოვრებელი

<sup>2</sup> Suraiya Faroqhi, *Osmanlı'da Kentler ve Kentliler*, s. 112.

<sup>3</sup> Abdullah Bay, „Limani Olan Bir Kasabadan Liman Kentine Batum Şehri (1830-1905)“, *Türkiyat Mecmuası*, 26/1, s. 61-80, İstanbul 2016.

<sup>4</sup> Murat Kaya, *1170 Nolu Gönnye, Batum Sahil Köyleri Nüfus Defteri'nin Değerlendirilmesi*, Y. L. Tezi, Rize 2013.

<sup>5</sup> Özgür Yılmaz, *Victor Fontanier'nin 1831'de Trabzon'dan Batum'a Seyahati*, *Mavi Atlas Göçü Edebiyat Fakültesi Dergisi*, Gümüşhane 2014, Sayı. 2, s. 118-134.

სახლი იდგა.<sup>6</sup> 1864 წელს დაბაში 200 საცხოვრებელი სახლი, 400 დუქანი, 1 აბანო, 2 მეჩეთი და 1 მედრესე მდებარეობდა. სალნამეს (ოსმალეთში სახელმწიფო უწყებების მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიში) მიხედვით, დაბის მდებარეობა ჯანმრთელობის თვალსაზრისით უვარგისი იყო. ამის გამო საჯარო მოხელეები ზაფხულობით ხოფაში მიდიოდნენ. თანაც იმ პერიოდში მეჩეთს, რომელიც დაბის სიმბოლო იყო, დანგრეულის შესახედაობა ჰქონდა. 1864 წელს ბათუმის სანჯაყბეგმა იმის გამო, რომ დაბა ახლოს იყო რუსეთის საზღვართან და იქ ხშირად მიდიოდნენ რუსული გემები და რუსი მაღალჩინოსნები, ცენტრისგან ითხოვა ნებართვა, რათა ჩაეტარებინა საზოგადოებრივი დახმარების კამპანია და აღედგინა მეჩეთები, რომლებიც ისლამის დიდების შესაბამისად არ გამოიყურებოდნენ.<sup>7</sup> დაბა განვითარდა ტრაპიზონის გუბერნატორის ემინ მუჰსინ ფაშას დროს.<sup>8</sup> 1864 წელს მიიღეს გადაწყვეტილება აემენებინათ ახალი უბანი და მისთვის აზიზიე დაერქმიათ. ამის გამო ბათუმის მოხსენიება ძველი დაბას სახელწოდებით დაიწყეს. გაწმინდეს მდინარე ჭოროხი. ქალაქში წყალი გაიყვანეს.<sup>9</sup> მოაწესრიგეს ბათუმი-არტანის გზაც. 1866 წელს ძველი დაბას ადგილზე ორთა ჯემე (შუა მეჩეთი), ხოლო ახლადაშენებულ უბანში აზიზიეს სახელობის მეჩეთი ააგეს.

აღმშენებლობითი სამუშაოებიდან გამომდინარე 1878 წლისთვის დაბაში იყო საბაჟო, შუქურა, ტელეგრაფი, საგუმაგო, შადრევანი, ფოსტა, მედრესე, ისლამური სკოლა, საშუალო სკოლა, სამლოცველო, მთავრობის სასახლე, წყარო (3), მეჩეთი (8), სასტუმრო (65), აბანო (9), საცხობი (17), ქარვასლა (10), მაღაზია (84), დუქანი (224), საცხოვრებელი სახლი (968), მუსლიმური სასაფლაო, ჭა (20), ბაღი, ყავახანა (30), წისქვილი (4), თავლა. ამავე დროს დაბის ფარგლებში იმყოფებოდა 205 ნაკვეთი სამშენებლო ნაკვეთი, 4065 ნაკვეთი ყანა, 484 ნაკვეთი ბუჩქნარი და 14 ნაკვეთი საძოვარი.<sup>10</sup>

<sup>6</sup> Şakir Şevket, Trabzon Tarihi, Haz. İsmail Hacıfettahoğlu, Trabzon 2001.

<sup>7</sup> BOA, i. Mvl. 526 /23617: Lazistan Mutasarrıflığının Arz Tezkiresi. (KE 1280).

<sup>8</sup> Şakir Şevket, Trabzon Tarihi, s. 102.

<sup>9</sup> Selma Saltoğlu, Batum Burunbaşı Mevkiinde Aziziye Şehriniin Kuruluşu, Mimarisi ve Osmanlı Dönemi Yapıları (1864- 1878), Haziran 2016

<sup>10</sup> Trabzon Vilayeti Salnamesi 1294.



## შიდა მიგრაცია

საერთაშორისო ვაჭრობისთვის შავი ზღვის გახსნამ და ბათუმის პორტში უცხო ქვეყნის გემების მიმოსვლამ მიმდებარე დასახლებებიდან სხვადასხვა საქმიანობით დაკავებული პირების ბათუმში გადასახლება გამოიწვია. ბევრი ბერძნული და სომხური ოჯახი ჩამოვიდა და დასახლდა დაბაში. ბათუმში სახლდებოდნენ მომთაბარე ტომების წარმომადგენლებიც.<sup>11</sup>

1830 წლის მოსახლეობის აღწერის დავთრის მიხედვით, ნაჰიეში ადგილი შეიცვალა 216 მამაკაცმა. ამათგან 79 ნაჰიეს ფარგლებში, სხვა სოფელში გადასახლდა, 50 სტამბოლში წავიდა, 49 - ათინაში (დღევანდელი ფაზარი), 2 - სამსუნში, 4 - დამასკოში, 2 - აფხაზეთში. ათინაში (ფაზარში) გადასახლებულები ქურთი მიგრანტები იყვნენ. 122 პირმა კი ფლოტში ან ნიზამიეს სამხედრო რაზმებში სამსახურის გამო დატოვეს მშობლიური მხარე.<sup>12</sup>

სავალდებულო სამხედრო სამსახურის და ახალი საგადასახადო სისტემის გამო სასაზღვრო ვილაიეთებში ვალდებულებებზე შეღავათების მოხსნის გამო სასაზღვრო რეგიონებიდან მოსახლეობამ სტამბოლში, უცხო ქვეყნებში და ქვეყნის შიგნით დაიწყო მიგრაცია. მიუხედავად აკრძალვისა მომდევნო წლებში შიდა მიგრაცია მაინც გაგრძელდა. სტამბოლში წასული და დასახლებული პირები ცდილობდნენ ადგილზე დარჩენილი თავისი ოჯახებიც წაეყვანათ, რათა უფრო ადვილად შეძლებოდათ მათ არსებობა, ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ოფიციალურ უწყებებს. მაგალითად, სტამბოლში მცხოვრებმა აიშემ წარადგინა თხოვნა, რათა ბათუმის ერთერთ სოფელში მცხოვრები დედა და ორი ძმა თავისთან გადაეყვანა. მაგრამ იმის გამო, რომ მას შეიძლება გადასახადები არ გადაეხადა, ნება არ მისცეს. სხვა შემთხვევაში სოფელში უპატრონოდ დარჩენილმა ექვსმა ქალმა ბათუმის გავლით სტამბოლში წასვლა სცადეს. მეჭმედხადე ემინ

<sup>11</sup> BOA, Ayniyat Defter, Nu. 928, s. 257; Abdullah Bay, s. 64.

<sup>12</sup> Murat Kaya, 1170 Nolu Gönye, Batum Sahil Köyleri Nüfus Defteri'nin Değerlendirilmesi, Y. L. Tezi, Rize 2013.

ადას სურდა, რომ ბათუმში უპატრონოდ დარჩენილი და და ბიძამისის ორი ქალიშვილი სტამბოლში გადაეყვანა.<sup>13</sup>

სტამბოლში გადასახლებულ ვაჭრობით და სხვა საქმიანობით დაკავებულ ბათუმელ მამაკაცებს და ქალებიც, სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების და ახლობლების თავისთან გადაყვანის სურვილი ექნებოდათ. ამ მოთხოვნების საპასუხოდ ოსმალეთის პორტამ ადგილობრივ ადმინისტრაციებს დაურიგა ინსტრუქცია ზომების მისაღებად, რომ ამ მხარეებში დარჩენილიყვნენ ზრდასრული მამაკაცები, რომლებიც შეძლებდნენ საქმის გაძლოლას, რათა ადგილზე ყოფილიყო უძრავი ქონება, სახლები არ დაკეტილიყო, გადასახადების გადახდის ვალდებულება მეზობლებზე არ გადასულიყო და შესრულებულიყო სხვა ვალდებულებებიც. თუმცა ასეთი მიგრანტებისთვის ნების დართვა რეგიონის მოსახლეობის შემცირების საფრთხეს წარმოქმნიდა. ასეთი საფრთხის არსებობის გამო ადგილობრივ ადმინისტრაციებს აფრთხილებდნენ, რომ არ გაეცათ გადასახლების ნებართვა.<sup>14</sup> ზოგიერთი ბათუმელი ცოლის, ქალიშვილის ან დისთვის ვილაიეთის ადმინისტრაციისგან დროებით ნებართვას ითხოვდნენ, რათა მათ შეძლებოდათ სტამბოლში ჩასვლა და სხვადასხვა საქმის გაძლოლა, რომლის მოგვარების შემდეგ ისინი უკან დაბრუნდებოდნენ.<sup>15</sup> ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში ვილაიეთის ადმინისტრაცია ახსენებდნენ სანჯაყის მესვეურებს, რომ არსებობდა სამთავრობო დირექტივა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი საქმისთვის სტამბოლში დროებით წასვლის მსურველებისთვის იმ პირობით უნდა მიეცათ ნებართვა, თუ ისინი წარმოადგენდნენ გარანტიას, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ ნამდვილად დაბრუნდებოდნენ უკან.<sup>16</sup>

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა 1864 წელს ბათუმში ბევრი იყო სტამბოლისა და სხვა ადგილებისკენ წასვლის მსურველი უპასპორტო პიროვნება, რომლებიც ჩილდირის სანჯაყის შავშეთის, არტანის,

---

<sup>13</sup> Nalan Turan, 19. Yüzyıldan 20. Yüzyıla Osmanlı Topraklarında Seyahat, Göç ve Arşiv Belgeleri Mürur Tezkireleri, İstanbul 2013, s. 128, 226.

<sup>14</sup> BOA, A. Mkt. Dv. 165/6: Lazistan Kaymaklığına 27ZA 1276. ; A. Mkt. Um, 427/ 87: Hasan İmzalı Arz ( 2 RA 1277) ; a. Mkt, Um. 391 /44: Lazistan Mutasarıfına Tezkire; A. Mkt. Um. 428/32; 533/35; 391/44; 441/16

<sup>15</sup> BOA, A.Mkt. Um. 570/60: Trabzon Valisine Şukka.

<sup>16</sup> BOA, A.Mkt. Um. 570/60: Trabzon Valisine Şukka.

არტანუჯის კაზებიდან ჩამოვიდნენ. ჩილდირის სანჯაყის ოფიციალური პირები მსგავს გადაადგილებებს წინააღმდეგობას არ ან ვერ უწევდნენ. ასეთებს შეძლებისდაგვარად ბათუმიდან უკან აბრუნებდნენ.<sup>17</sup> უკან გაბრუნებულებს შორის ვაჭრებიც იყვნენ. იმისთვის რომ ვაჭრობა არ შეფერხებულიყო, პროვინციებში სამოქალაქო მოხელეებს მიეცათ ინსტრუქცია, რომ თუ კი ვაჭრები და სხვა საქმიანობით დაკავებული პირები წარმოადგენდნენ გარანტიებს, მიეცათ მათთვის ტრანზიტული ნებართვის დოკუმენტი.<sup>18</sup>

XVI-XVIII საუკუნეებს შორის ციხის დასაცავად შემდეგი წოდების სამხედროები გამოიყენებოდა: ციხისთავი, გონულუ (მოხალისე), ბეშლი, აზეპი, იანიჩარი, თოფჩუ (არტილერისტი), ჯებეჯი (აზჯროსანი). ევლია ჩელების ჩანაწერების მიხედვით ბათუმის მმართველობის საზღვრებში 554 ხმალი და 2 ათასი სამხედრო იყო.<sup>19</sup> უცნობია, რამდენად იყვნენ ისინი განთავსებული უშუალოდ ბათუმის დასახლებაში. 1873 წელს ბათუმის ციხე-სიმაგრეში 4 ოფიცერი იმყოფებოდა - ბინბაში (მაიორი), ქოლაღასი, ბატალიონის ალა და ქირურგი. აქვე იყვნენ პირველი და მეორე ასეულების ალა, ჟურნალ ემინი და თანაშემწე. დაბაში მთლიანად 254 სამხედრო იყო.<sup>20</sup> კავკასიის ფრონტზე მიმდინარე ომების პერიოდში ბათუმი უმაღლესი სამხედრო პუნქტად გადაიქცეოდა. ქალაქში 1828-1829 წლების ომის დროს 2 ათასი, ყირიმის ომის დროს კი 4 ათასი ნიზამიეს ჯარისკაცი და 20 ათასი ბაშიბოზუკი იყო განთავსებული.<sup>21</sup> ხსენებული კამპანიების დროს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ნაწილების სამხედროების, საბრძოლო მასალის და რეზერვის გადაზიდვა ბათუმის ბაზაზე ხდებოდა. ხსენებული ომების გამო ბათუმის ნავსადგურმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.<sup>22</sup>

თანზიმათის შემდგომ პერიოდში დაბაში დაახლოებით 50 სამოქალაქო მოხელე იმყოფებოდა. უცნობია რა რაოდენობის უცხოელები

<sup>17</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 296/66: Çıldır Sancağı Kaimekamlığına Buyruldu. (5 L 12809.

<sup>18</sup> BOA, A.Mkt. Mhm. 296/ 66.

<sup>19</sup> Sibel Orhangazi , 18. Yüzyılda Batum Sancağı, Doktora, Kars 2019.

<sup>20</sup> H. 1294 ve 1295 Tarihli Trabzon Vilayet Salnameleri.

<sup>21</sup> Abdullah Bay, "Limanı Olan Bir Kasabadan Liman Kentine Batum Şehri ( 1830- 1905), Türkiyat Mecmuası , 26/1, s. 61- 80,İstanbul 2016, s. 64.

<sup>22</sup> Sibel Orhangazi , 18. Yüzyılda Batum Sancağı, Doktora, Kars 2019.

იმყოფებოდნენ ბათუმში. ტრაპიზონის ვილაიეთის 1294 წლის (1878წ) სალნამეს მიხედვით, დაბაში სამოქალაქო მოხელეებიდან იმყოფებოდა სანჯაყბეგი, მისი მოადგილე, ბულალტერი, მუფტი, კანცელარიის დირექტორი, მებაჟე, 18 მდივანი, კანცელარიის 4 მოხელე, ხაზინადარი, 3 სტაჟიორი, ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორი, კავშირგაბმულობის მოხელე, კავშირგაბმულობის დროებითი მოხელე, უცხო ენების მცოდნე კავშირგაბმულობის მოხელე, საერთო ფოსტის მოხელე, მარილის საწყობის მოხელე და თამბაქოს მოხელე. ბათუმის საშუალო სკოლაში მუშაობდა ორი ზოგადი მასწავლებელი, ერთი რიკას კალიგრაფიის მასწავლებელი და ერთიც დარაჯი. სკოლაში 30 მოსწავლე იყო.<sup>23</sup> როდესაც დაბის მოსახლეობა გაიზარდა მუჰაჯირების შემოსვლის ხარჯზე, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისთვის უსაფრთხოების ძალების რაოდენობის გაზრდაც გახდა საჭირო. ქალაქში დანიშნული რიგითები და მათი მეთაურები ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ. ეს ფინანსური თვალსაზრისით წამგებიანი იყო, ამასთანავე უსაფრთხოების თვალსაზრისითაც პრობლემატური იყო. ხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა პალატის აშენების საკითხი.<sup>24</sup>

თანზიმათის პერიოდში ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილმა ოსმალეთის დატოვება და რუსეთში გადასახლება გადაწყვიტა. მაგალითად, 1849 წელს გურიის (???) ორი სოფლიდან 600-მა და ბათუმის შემოგარენიდან 150-მა მუსლიმმა რუსეთის საკონსულოს მიმართა, რათა დახმარებოდნენ მათ რელიგიის შეცვლასა და რუსეთში გადასახლებაში. გადასახლების სურვილი გააჩინა მათი ნაკვეთების მოუსავლიანობამ, გადასახადების სიმძიმემ და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის დაკანონებამ. რუსეთის საკონსულომ ჩათვალა, რომ ეს მოთხოვნები ეწინააღმდეგებოდა ადრიანოპოლის ხელშეკრულების პირობებს და ისინი არ დააკმაყოფილა. თანაც, ეს ვითარება ოსმალეთის ხელისუფლებას შეატყობინა.<sup>25</sup> საკითხის შესასწავლად და გამოსაკვლევად პირველ ეტაპზე ბათუმის კაიმაკამი

<sup>23</sup> H. 1294 ve 1295 Tarihli Trabzon Vilayet Salnameleri.

<sup>24</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 373/ 14: Lazistan Mutasarrıflığına ve Maliye Nezaretine

<sup>25</sup> BOA, A. Mkt. 218/ 75: Kafkas Muhafızından Rus Sefaretine Tiflis'ten gönderilen tahrirat ( 18 Mart 1649).

გალიფ ბეი გააგზავნეს. გალიფ ბეი ჩავიდა მოვალეობის ადგილზე და პრობლემები დროებით აღმოფხვრა რჩევების გაცემის გზით. რეგიონში წესრიგის დაცვისა და მსგავსი წამოწყებების აღკვეთის მიზნით არზროუმიდან საზღვარზე სამხედრო დანაყოფის გამოგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს. ოსმალური ბიუროკრატიის დახასიათებით საზღვრის პირას მცხოვრები ხალხი უცხოელი ველური ტომი იყო, რომლებმაც ისლამის წესებიც კი არ იცოდნენ წესიერად. წამოაყენეს წინადადება, რომ ამ ხალხის შეკავებისთვის შეემსუბუქებინათ გადასახადები და კიდევ ერთხელ გადაეხედათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხი.<sup>26</sup> ადგილობრივი ადმინისტრაციის განმარტებით, თანზიმამდე საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობა ყველა ვალდებულებისგან თავისუფალი იყო და მსგავს შემთხვევებს ამიტომ არ ჰქონდა ადგილი.<sup>27</sup>

მშვიდობიან დროს მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ოსმალეთის მოქალაქეები ბათუმის ნავსადგურს იყენებდნენ საზღვარგარეთ გემით გასამგზავრებლად. მაგალითად მათ ვინც 1876 წელს დატოვეს დალესტნის, ახალციხის და ჩილდირის სოფლები, მოგზაურობა ბათუმის პორტიდან ზღვით გააგრძელეს.<sup>28</sup>

### მიგრაცია

1861 წლის 24 სექტემბრის ტრაპიზონის გუბერნატორის თეუქირეს მიხედვით, რუსეთმა აცნობა თურქულ მხარეს, რომ ფოთის და შეკვეთილის გზით ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასახლდებოდა 500-600 ჩერქეზი ოჯახებთან ერთად. ტრაპიზონის ვილაიეთის უფლებამოსილი პირები ფიქრობდნენ თუ როგორ აენაზღაურებინათ მუჰაჯირების მუდმივ დასახლებამდე არსებული კვების, გადაყვანის და სხვა ხარჯები ხაზინიდან თანხის მიღების გარეშე.<sup>29</sup> მიღებული გადაწყვეტილებით მათი გადაყვანის, გამოკვების და განსახლების ხარჯები დაიფარებოდა იმ მატერიალური და ფინანსური დახმარებისგან,

<sup>26</sup> BOA, A. Mkt. 218/75: Arz Tezkkiresi ve İrade 16 N 1265.

<sup>27</sup> BOA, A. Mkt. 209/10: Trabzon Vilayetine Tezkire.; I. Hr. 54/2543.

<sup>28</sup> BOA, I.Dh. 742/ 60637: 1292 tarihli .

<sup>29</sup> BOA, A. Mkt. Nzd. 373/43: Muhacir Komisyonu Riyasetine Tezkire (11 R 1278).

რომელსაც მოაგროვებდნენ ქონების მფლობელებისგან.<sup>30</sup> 1864-1878 წლებს შორის კავკასიიდან ბათუმში მუდმივად ხდებოდა აფხაზების და ჩერქეზების გადასახლება. ჩამოსულების ნაწილი საზღვაო ან სახმელეთო გზით ანატოლიის შიდა რეგიონებში გადადიოდნენ, ნაწილი კი ბათუმში და მეზობელ რეგიონებში სახლდებოდნენ. ბათუმში მუჰაჯირები დალესტანიდანაც ჩამოდიოდნენ. მაგალითად 1870 წელს ქობულეთში დალესტნიდან ოსმალეთში გადასახლებისთვის ჩამოვიდა ასამდე ქალი და კაცი. ხსენებული მუჰაჯირები საზღვაო გზით ჩამოვიდნენ ბათუმში.<sup>31</sup> 1878 წელს დაბის ტერიტორიაზე 330 კომლი ჩერქეზი მიგრანტი, მათ შორის 667 მამაკაცი, ცხოვრობდა. ამ პერიოდისთვის დაბის მოსახლეობის 60.30% მუჰაჯირებისგან შედგებოდა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ბათუმში გადმოსახლებული აფხაზებისა და ჩერქეზებისთვის ბარაკები ააშენეს, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და ნაკვეთების ნაწილი მთავრობის ბრძანებით მიგრანტებს გადაეცათ. ბათუმელების ცნობით, მიგრანტები იმით იხდიდნენ სამაგიეროს, რომ იპარავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ქონებას. უფრო მეტიც, მათთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის კლავდნენ კიდეც.<sup>32</sup>

ადგილობრივი მმართველების განცხადებით, ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებული ჩერქეზებმა ცოტა იცოდნენ ისლამური დოგმატიკის შესახებ, აფხაზებმა კი საერთოდ არ იცოდნენ არც ერთი ხსენებული წესი. ოსმალთა ბიუროკრატების აზრით, შესაძლებლად ჩანდა ასეთების ადვილად გადაყვანა სხვა რელიგიაზე. ამავე დროს ასეთები ადვილად ეგებოდნენ პროვოკაციებზე. თუ კი არ იქნებოდა მიღებული შესაბამისი ზომები საზღვარზე მოგროვდებოდა ასეთი გაურკვეველი რწმენის დიდი ჯგუფი. რათა არ წარმოქმნილიყო შემამფოთებელი საფრთხე, ოსმალეთის მესვეურები იძლეოდნენ რეკომენდაციას აფხაზების განსახლების ადგილებში აქმენებინათ სკოლები, სადაც დანიშნული

<sup>30</sup> BOA, A. Mkt. Nzd. 372/26: Muhacirin Komisyonu Riyasetine Tezkire.

<sup>31</sup> BOA, I.Dh. 742/60637: Batum Fırka Kumandanından Bahriye Nezaretine Tezkire (21 KS 1292.

<sup>32</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1: Batum ve Çürüksu Ahalisi Tarafından Lazistan Mutasarrıflığına Gönderilen Mahzar.

მასწავლებლები შეასწავლიდნენ მათ ისლამურ ცოდნას.<sup>33</sup> ამ მოვალეობის შესასრულებლად უმაღლესმა პორტამ გაამწესა ახალციხელი ემინ ეფენდი ზინჯირლიქუიუში მდებარე ქაბა ჰალილ ეფენდის მედრესედან, თევფიკ ეფენდი ბექირ ალა დარულჰადისის მედრესედან, ათინელი მეჰმედ ჰურშიდ ეფენდი ფაცას ნიშანჯი უმ-ვალედის მედრესედან, აფხაზური ენის მცოდნე ალი ეფენდი და ასევე აფხაზური ენის მცოდნე გურჯი ომერ ეფენდი ფატიჰის მთავარი თეთიმეს მედრესედან.<sup>34</sup> ეს მასწავლებლები ხუთ დაწყებით სკოლაში რელიგიური საფუძვლების სწავლებაში 400 ყურუმს ხელფასს და ერთთვიანი სასურსათო დანამატს აიღებდნენ. ბრძანების საფუძველზე განათლების სამინისტროს ბიბლიოთეკიდან გამოიყო და ეს სკოლები მომარაგდა საკმარისი რაოდენობის წიგნებით - ანზანი, ეთიკა, ისლამური რელიგიური კანონების კრებული, ყურანის კითხვის ხელოვნების სახელმძღვანელო.<sup>35</sup>

ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებულმა მუჰაჯირებმა არ იცოდნენ წერა-კითხვა, განსაკუთრებით აფხაზებმა და რომც დაეფიცათ მუსლიმები ვართო, არანაირი ისლამური განათლება არ გააჩნდათ. დოკუმენტის მიხედვით, ბევრმა მათგანმა ნამაზის დროს წასაკითხი სურებიც არ იცოდნენ და არც ბავშვებს აგულიანებდნენ, რომ წერა-კითხვა ესწავლათ. ამის გამო გამოიცა ბრძანება, რომელიც მოითხოვდა, რომ დაბასა და სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს მიეღოთ განათლება. გადაწყდა, რომ განათლების სამინისტროს გაემზადებინა და გაეგზავნა სწავლისთვის საჭირო ათასი ცალი ანზანი, ეთიკისა და ამესა და თებარეკმეს ჯუზების ას-ასი ტომი და გრამატიკის წიგნის 50 ტომი. ხსენებული ბავშვების განათლებისთვის დაბის მთავრობის სასახლეში იმამი მიავლინეს და დაწესდა, რომ ვინც სასკოლო ასაკის ბავშვს არ გააგზავნიდა სკოლაში, დაჯარიმდებოდა. შედეგად მთავრობის სასახლეში 14, ხოლო მეჩეთებთან არსებულ სხვა სკოლებში 50 მოსწავლე მოგროვდა.<sup>36</sup>

---

<sup>33</sup> BOA, I. Mvl. 526/23617: 12 CA 1281 Tarihli Lazistan Mutasarrıflık Tarz Tezkiresi. A. Mkt. Mhm. 318/80: Nafia Nezaretine Tezkire

<sup>34</sup> BOA, I. Mvl. 526/ 23617. Maarif Meclisi Mazbatası 11 TS 1280.

<sup>35</sup> BOA, I. Mvl. 526/ 23617: Arz tekiresi ve irade ( 10 N 1281. ). : BOA, A. Mkt. Mhm. 335/44: Lazistan Mutasarrıflığından 22 Mayıs 1281.

<sup>36</sup> BOA, I. Mvl. 526/23617: Arz Tezkiresi KE 1280.

აფხაზების ნაწილი ორმხრივი შეთანხმების დარღვევით სასაზღვრო რეგიონში აგრძელებდა ცხოვრებას. როგორც კვლევებმა გვაჩვენა, აქედან რუსეთში დაბრუნების სურვილი არავის გამოუთქვამს. აქედან წასული მუჰაჯირები აუცილებლად სამსუნში მიდიოდნენ. რუსეთში წასულების მიზანი კი სამშობლოში საქმეების დასრულება იყო და არა უკან დაბრუნება. მუჰაჯირები ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და სხვა მიზანი მათ არ ამოძრავებდათ.<sup>37</sup>

ყველაფერი ამის მიუხედავად, ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებულ მუჰაჯირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ცივი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. იმისთვის, რომ მუჰაჯირებსა და ადგილობრივებს შორის დაპირისპირება არ დაემუშა, სანჯაყბეგის აპარატმა დაგეგმა საზღვართან მცხოვრები მუჰაჯირების ჭოროხის ნაპირებთან გადასახლება. მათი აზრით ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში თავიდან აიცილებდნენ შესაძლო რუსულ კრიტიკასაც. თანაც რუსეთს არ სურდა მისი ტერიტორიიდან გადასახლებულები საზღვრისპირას დასახლებულიყვნენ. ამავე დროს დაიგეგმა, რომ გამოერკვიათ გვარის რომელი მეთაურები ახალისებდნენ მუჰაჯირებში გავრცელებულ ქურდობას და სამსუნის მსგავს შორ ადგილებზე, ზღვისპირა დაბაში ან სანჯაყის ფარგლებში საზღვრიდან მოშორებულ ტერიტორიაზე გადასახლებინათ. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში დაირღვეოდა მათში არსებული ფეოდალური წყობა, მუჰაჯირები ინდივიდები გახდებოდნენ და საკუთარი საქმეებით დაკავდებოდნენ.<sup>38</sup>

ბათუმსა და მის შემოგარენში მცხოვრები როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე მიგრანტებიც შეიარაღებული იყვნენ. იმ დონეზე, რომ ადგილობრივები ყანაში მუშაობისას თან იარაღს ატარებდნენ. რეგიონის მოსახლეობისთვის იარაღის დატოვების მიზეზი იყო რეგიონის საზღვართან სიახლოვე და მოსაზრება, რომ თავდაცვის საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებულ სამოქალაქო პირებსაც გამოიყენებდნენ. როდესაც რეგიონის მოსახლეობამ იჩივლა ჩერქეზების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის

<sup>37</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1: Lazistan Mutasarrıflığının Yazısı ( 25 Ağustos 84).

<sup>38</sup> BOA, A.Mkt.Mhm. 426/1: Lazistan Mutasarrıfının Tahiratı ( 1 Eylül 1284).



ხშირ დარღვევაზე, 1868 წლის 24 სექტემბერს გამოიცა ბრძანება ჩერქეზებისგან იარაღის მასობრივი ამოღების შესახებ.<sup>39</sup>

1868 წლის 9 სექტემბერს ბათუმის სანჯაყბეგის აპარატიდან უმაღლეს პორტაში გაიგზავნა მუსტაფა მუჰიდდის ხელმოწერილი ტელეგრამა. ტელეგრამის ტექსტში ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში მუჰაჯირები და ადგილობრივები მოიხსენებოდნენ როგორც ადამიანები, რომლებიც სულ რაღაცას აფუჭებენ და იტყობინებოდა, რომ რუსეთი ჩიოდა ასეთი პიროვნებების საზღვრისპირა რაიონებში განსახლების გამო. ადგილობრივ ადმინისტრაციას სთავაზობდნენ, რომ საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მუჰაჯირები სხვა ადგილას გადაესახლებინათ.<sup>40</sup>

სხვადასხვა ცნობების მიხედვით საზღვრის გასწვრივ მყოფი აფხაზური ტომების წარმომადგენლებს რუსების მიერ დაპყრობილ სამშობლოში სურდათ დაბრუნება. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ამ ხმებს ავრცელებდნენ ისინი, ვისაც მუჰაჯირების სხვა ადგილას გადაყვანა სურდათ. მუჰაჯირების სხვა ადგილას გადაყვანა წარმოქმნიდა პრეცედენტს. სამსუნის მსგავს ადგილებში, სადაც მუჰაჯირები დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას ასევე შეეცდებოდა მუჰაჯირების სხვა ადგილას გადაყვანა მოეთხოვა. ასეთ ვითარებაში ყველაზე ხელსაყრელი გამოსავალი იყო ფეოდალური წყობის დაშლა ტომების მეთაურების სულ ცოტა ნაწილის მაინც სხვა ადგილას გადაყვანა.<sup>41</sup> დაბა ბათუმი და მიმდებარე ტერიტორიები მუჰაჯირების ნაწილისთვის კლიმატის თვალსაზრისით შეუთავსებელი აღმოჩნდა და მათ სხვა ადგილას გადაყვანა სურდათ. მაგალითად ბათუმის მახლობლად დასახლებული სულიმან ბეი და შაჰინ ბეი იზმიტის სანჯაყის ტერიტორიაზე გადასახლებას ითხოვდნენ.<sup>42</sup>

---

<sup>39</sup> A. Mkt. Mhmç 426/1: Lazistan Mutasarrıflığından Varid Olan Tahriratın SuretidirSadarete Arz (8 TE 84).

<sup>40</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1.

<sup>41</sup> BOA, A. Mkt. Mhm. 426/1.

<sup>42</sup> BOA, ZB. 5.35.10: Zabtiye Nezareti ve Tuna Vilayetine .

## დაბის მოსახლეობა

მოვლენების ასეთი განვითარების გამო დაბის მოსახლეობა გაიზარდა. მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით 1830-იან წლებში ნავსადგურის და მიმდებარე 8 სოფლის მოსახლეობის მამაკაცების რაოდენობა 1119-ს შეადგენდა. ინგლისის კონსულის ანგარიშებზე დაყრდნობით აბდულაჰ ბეი ასე განსაზღვრავს დაბის მოსახლეობას: 1867 წელს ბათუმში ცხოვრობდა 4500 მუსლიმი, 3502 ბერძენი და 120 სომეხი - მთლიანად 4970 მამაკაცი, ხოლო 1874 წელს დაახლოებით 15000 ადამიანი.<sup>43</sup> მაგრამ ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან დავინახავთ, რომ 1868-1877 წლებში დაბაში მხოლოდ 607 მამაკაცი ცხოვრობდა. ვილაიეთის 1878 წლის სალნამეს მიხედვით დაბაში 1116 მამაკაცი ცხოვრობდა. თუ ჩავთვლით, რომ ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობის ტოლი იქნებოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაბის მოსახლეობა 2230 ადამიანს შეადგენდა.

ცხრილი 1. სალნამეს მიხედვით ქალაქ ბათუმის მოსახლეობა

წელი	უბანი	კომლი						მამაკაცების რაოდენობა					
		კათოლიკე	სომეხი	ბერძენი	ჩერქეზი	მუსლიმი	სულ	კათოლიკე	სომეხი	ბერძენი	ჩერქეზი	მუსლიმი	სულ
1872	1	1	4	18	183	38	265	4	17	41	429	113	604
1873	1	3	4	18	183	38	264	4	17	41	429	113	604
1874	1	3	4	18	183	38	264	4	17	41	429	113	604
1875	1	3	4	18	183	38	264	4	17	41	429	113	604
1876	1	3	4	18	183	38	264	4	17	41	429	113	604
1878	1	3	4	18	183	38	264	4	17	41	429	113	604

<sup>43</sup> Abdullah Bay, "Limani Olan Bir Kasabadan Liman Kentine Batum Şehri ( 1830- 1905), Türkiye Mecmuası , 26/1, s. 61- 80, İstanbul 2016.

ჰიჯრით 1294 წლის სალნამეს მიხედვით დაბა ბათუმი 12 უბნისგან შედგებოდა. დაბის მოსახლეობა უბნების მიხედვით მოცემულია N2 ცხრილში.<sup>44</sup>

ცხრილი 2. დაბა ბათუმის მოსახლეობა უბნების მიხედვით

უბანი	კომლების რაოდენობა						მამაკაცების რაოდენობა					
	კათო ლ	სომე ხ	ბერძ ენ	ჩერქე ზ	მუსლ იმ	სუ ლ	კათო ლ	სომე ხ	ბერძ ენ	ჩერქე ზ	მუსლ იმ	სუ ლ
აზიზიე	4	11	39		80	134	5	19	75		44	143
აჰმედგა შა		3			99	102					100	100
მუფტი					91	91					106	106
გარედინ ი			1		32	33					90	90
ნურიე				151		151				337		337
ოჯადიე				26		26				32		32
ენამიე				8		8				33		33
შუქრიე				27		27				91		91
ათიე				36		36				79		79
ფურიე				44		44				32		32
ქუშადიე				15		15				55		55
ლუთფი ე				23		23				18		18
მთლიან ად	4	14	40	330	302	690	5	19	75	677	340	1116

ჰიჯრით 1294 წლის ვილაიეთის სალნამეს მიხედვით დაბა ბათუმი 12 უბნისგან შედგებოდა. დაბაში 4 კათოლიკური, 14 სომხური, 39 ბერძნული, 330 ჩერქეზული და 302 მუსლიმური კომლი ცხოვრობდა. აქედან 5 კათო-ლიკე, 19 სომეხი, 75 ბერძენი, 340 მუსლიმი, 667 ჩერქეზი - მთლიანად 1106 მამაკაცი იყო. დაბის მოსახლეობის 60,30% ჩერქეზები იყვნენ.<sup>45</sup>

<sup>44</sup> Trabzon Vilayeti Salnamesi 1294.

<sup>45</sup> Trabzon Vilayeti Salnamesi 1294.

## დასკვნა

XIX საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობისთვის შავი ზღვის გახსნამ ხელი შეუწყო სანაპიროებზე არსებული დასახლებების მოსახლეობისა და ტერიტორიის ზრდას, შექმნა პირობები, რომ ნავსადგურებთან დაბის ტიპის დასახლებები წარმოქმნილიყო. შავი ზღვის პირას განვითარებულ დასახლებებს შორის ერთერთი ბათუმის ნავსადგური იყო. XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ტერიტორია მხოლოდ ნავსადგურსა და ბაზარს მოიცავდა. შავ ზღვაზე სავაჭრო მოქმედებების გახშირებასთან ერთად ბათუმის ნავსადგური მოსახლეობის თვალსაზრისით გამოცოცხლდა. ახლოს მდებარე დასახლებებიდან ვაჭრებმა და სამუშაოს მაძიებლებმა ბათუმში დაიწყეს გადასახლება. ეს გადასახლება საზღვარგარეთიდან ან შიდა მიგრაციის სახით მიმდინარეობდა. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის გაზრდის ყველაზე მთავარი მიზეზი ყირიმის ომის შემდეგ კავკასიიდან ამ ადგილებში მიგრანტების გადასახლება გახდა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ჩამოსული მიგრანტები ბათუმის სანჯაყის დასახლებებზე მეტად დაბის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. როგორც ვნახეთ N2 ცხრილში, 1878 წელს დაბა 12 უბნისგან შედგებოდა და აქედან 8 უბანი ჩერქეზ მიგრანტებს ეკუთვნოდათ.

# ნაპოლეონ პირველის ფრანგულ - თურქული ალიანსი და ქართველთა პოლიტიკოსთა ბრძოლა თავისუფლებისათვის

პროფესორი ომარ არდაშელია  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკის შესწავლისას, ჩვენი ყურადღება თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხმა მიიქცია. ამ დროს, როგორც საფრანგეთის, ასევე თურქეთისა და ირანის ინტერესები მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, შესაბამისად, ქართველ პოლიტიკოსთა (თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ II, ალექსანდრე ბაგრატიონი, ქელემ და ასლან ბეი შარვაშიძეები და სხვ.) უმრავლესობა ფიქრობდა ეს ინტერესები გამოეყენებინათ საქართველოს სასარგებლოდ და ქართლ-კახეთში რუსეთის მიერ გაუქმებული სამეფო ხელისუფლება აღედგინათ, ხოლო დანარჩენ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში ადგილობრივი ხელისუფლება შეენარჩუნებინათ. ქართველი მეფეებისა და ბატონიშვილების ეპისტოლარული მასალა, რომელთა ადრესატები თურქი და ფრანგი ხელისუფალნი იყვნენ, დიდი ხანია მეცნიერთა (მათ შორის ჩვენი) ინტერესების სფეროა, მიუხედავად ამისა, გასარკვევია რამდენად იყო დაინტერესებული ბრწყინვალე პორტა ქართველ პოლიტიკოსთა მისწრაფებით, მოეპოვებინათ ნაპოლეონ პირველის მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ, ბაგრატიონთა დინასტიის ხელისუფლების აღსადგენად?

მოხსენებაში ქართველ მეფე-მთავართა და უფლისწულთა ეპისტოლარული მასალისა და სხვა საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების, გურიისა და აფხაზეთის მთავრების პოლიტიკური მოტივაცია და გეგმები რუსეთის წინააღმდეგ, რომელთა განხორციელება ერთმნიშვნელოვნად ოსმალურ-ფრანგული ალიანსის მხარდაჭერით უნდა მომხდარიყო. შექმნილი პოლიტიკური ვითარება ცხადყოფს, რომ საფრანგეთის იმპერატორის, ბრწყინვალე პორტისა და ქართველი მეფე-მთავრების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. თვალსაჩინოა, პორტას მცდელობა მიმდინარე

პოლიტიკურ ვითარებაში ესარგებლა ქართველთა ამ განწყობით, ხელი შეეწყო ნაპოლეონის მიმდინარე გეგმებისთვის და „ტიფლისიდან განგისაკენ მიმართული საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების არმია“, არამართო ინდოეთის, არამედ რუსეთისკენაც მიემართა.

მოუხედავად, ამ მცდელობისა, შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთმა და ოსმალეთმა ვერ შეძლეს რეალური დახმარება აღმოეჩინათ პატარა ქვეყნისთვის, რომელიც ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი მარტივად აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის ოკუპაციის მსხვერპლი.

**საკვანძო სიტყვები:** ფრანგულ - თურქული ალიანსი, ბრწყინვალე პორტა, რუსეთის იმპერია, ქართველი მეფე-მთავრები.

## **I. NAPOLEUNUN FRANSIZ-TÜRK İTTİFAKI VE GÜRCÜ KRAL İLE PRENSLERİNİN KRALİYET HÜKÜMETİNİN KURTARMA PLANLARI**

Prof. Dr. Omar ARDAŞELİA  
Sokhumi Devlet Üniversitesi

### **ÖZ**

I. Napoleon'un Doğu siyasetini araştırdığımızda Türk-Gürcü ilişkileri konusu dikkatimizi çekti. Bu dönemde Fransa, Türkiye ve İran'ın çıkarları Rusya'ya karşı yöneldi. Bu durumda, Gürcü siyasetçileri (Teimuraz Bagrationi, II. Solomon, Aleksandre Bagrationi, Keilaş ve Aslab Bey Şervaşidzeler v.s.) oluşan çıkarları Gürcistan lehine kullanarak Ruslar tarafından kaldırılan Kartl-Kakheti Krallığı'nı yeniden kurmasını, geri kalan Gürcü siyasi birimlerinde ise kraliyet ve prenslik sisteminin korumasını düşünüyorlardı. Gürcü krallarla prenslerin Türk ve Fransız yetkilileriyle yazışmaları (bizler dâhil olmak üzere) farklı bilim adamların dikkatini çekmiştir. Ancak, Devlet-i Aliyye'nin Gürcü siyasetçilerin ileri sürdüğü menfaatleriyle yani Rusya'ya karşı I. Napoleon'un desteğini kazanmak ve Bagratlı iktidarının yeniden kurulmasıyla ne derecede ilgilendiğini gerek yazışmalardan, gerekse oluşan siyasi duruma göre araştırması ve tespit edilmesi gerekir.

Bildiride Gürcü siyasetçilerin, Kral ile Prenslerin yazışmalarla diğer tarihi kaynakların analizine dayalı Kartli-Kakheti ve İmereti Krallıklarının, Guria ve Abhazya Prenslerinin siyasi durumu ve Rusya'ya karşı planları tetkik edilmiştir. Söz

konusu planlar kuşkusuz Osmanlı-Fransız ittifakının desteğiyle gerçekleşecekti. Oluşan siyasi durumdan belli olduğu kadarıyla Fransa İmparatoru, Devlet-i Aliyye ile Gürcü Kral ile Prenslerin menfaatleri birbiriyle örtüşmüştü. Devlet-i Aliyye'nin gayretleri yani mevcut durumdan ve Gürcülerin niyetinden yararlanarak Napoleon'un planlarını destekleyip “*Tiflis'ten Gang'a doğru yönlendirilen Fransa ile müttefiklerin ordusunun*” yalnız Hindistan'a değil, Rusya'ya karşı yönlendirmesi de göze çarpıcıdır. Bu teşebbüse rağmen, oluşan uluslararası durumda Fransa ve Osmanlı Devleti küçük bir ülkeye gerçek yardım sağlayamadılar ve bu ülke ayrı ayrı krallık ve prensliklere bölünmüş olarak kolayca Rus İmparatorluğu'na dâhil edildi.

**Anahtar Kelimeler:** Türk-Fransız ittifakı, Devleti Aliyye, Rus İmparatorluğu, Gürcü Kralları ve Prensleri.

## **French-Turkish Alliance of Napoleon I and the struggle of Georgians for freedom**

**Professor Omar Ardashelia  
Sokhumi State University**

While studying Napoleon's oriental politics, our attention was drawn to the issue of Turkish-Georgian relations. At that time, the interests of France, Turkey, and Iran were directed against Russia, accordingly, the majority of Georgian politicians (Teimuraz Bagrationi, Solomon II, Aleksandre Bagrationi, Kaylash and Aslan Bey Sharvashidze, etc.) thought they would use these interests in favor of Georgia and restore the royal government abolished by Russia in Kartli-Kakheti, while maintaining the royal and prince authorities in the rest of Georgian political units. The epistolary material of Georgian kings and princes, addressees of which were the Turkish and French authorities, has long been a field of interest for scientists, (including us), yet it is unclear whether the magnificent Porta was interested in the aspirations of Georgian politicians to gain the support of Napoleon I against Russia to restore the Bagrationi dynasty?

In the report political motivation of Kartli-Kakheti and Imereti kingdoms, Guria and Abkhazian princes and plans against Russia are discussed based on the analysis of epistolary material and other historical sources of the political leaders,

the kings and princes, which had to be implemented with support of the Ottoman-French alliance. The current political situation shows that the interests of the French emperor, the brilliant Porta and the Georgian king-princes coincided. It is notable that in the current political situation, Porta's attempt to get benefit from Georgians' mood to facilitate Napoleon's ongoing plans - "the army of France and its allies from Tiflis to Ganga," to have been directed not only to India but also to Russia. Despite this attempt, in the current international situation, France and the Ottomans were unable to provide any real assistance to a small country that divided into separate kingdoms, easily became the part of the Russian empire.

**Keywords:** French-Turkish alliance, Brilliant Porta, Russian Empire, Georgian King-prince

ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკის შესწავლისას, ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც პროფესორ ილია ტაბაღუას ხელმძღვანელობით სადისერტაციო ნაშრომზე ვმუშაობდით, ჩვენი ყურადღება ამ პერიოდის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხმა მიიქცია. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მასალების მიხედვით ღიად ჩანდა „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიის რეალური პოლიტიკა პატარ - პატარა ქართული სამეფო-სამთავროების ეტაპობრივი ანექსიის შესახებ და ამის საპირწონედ იყო დოკუმენტები, რომლებშიც ოსმალეთის მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკა გამოიკვეთა - სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაძლიერება და ოსმალეთის საზღვრებთან მიახლოება ახალ თავსატეხს უჩენდა სულთნის კარს, შესაბამისად იგი ცდილობდა მხარი დაეჭირა ქართული სამეფო - სამთავროებისთვის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება ხედავდა რომ რუსეთის დამკვიდრებით საქართველოში, ის კარგავდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და გრძნობდა, რომ მომდევნო დანაკარგი უთუოდ ჩრდილოეთ კავკასია და მისი ტერიტორიები იქნებოდა.



XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენ დისერტაციას ვიცავდით, საბჭოთა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ თავისუფლები-სათვის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ვერ აანალიზებდა, რა მოხდა რეალურად XIX საუკუნის დასაწყისში? რატომ მოხდა რომ ერთმორწმუნე რუსეთმა შემოვიდა თუ არა სამხრეთ კავკასიაში პირველი რაც გააკეთა ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და იმპერიის ფაქტობრივ გუბერნიად გადაქცევა მოახერხა, ხოლო ოსმალეთმა, რომელიც განსახვავებული რჯულის მიმდევარი დიდი ქვეყანა იყო, „ვერ თუ არ“ გააკეთა და არ გადადგა იგივე ნაბიჯი დაქუცმაცებული ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ. ეს საკითხი დღემდე იწვევს ინტერესს და დავასაც. რა მოხდა მაშინ? რატომ არ განახორციელა იგივე პოლიტიკა „ბრწყინვალე პორტამ“ დასავლეთ საქართველოს დასუსტებული ქართული პოლიტიკური ერთეულების მიმართ?

ჩვენთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მაშინ ვერ შევძელით სათანადო ყურადღება მიგვექცია და შემდეგშიც, წლების მანძილზე, აღნიშნულ საკითხს ვერ მივუბრუნდით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მეფეებისა და ბატონიშვილების ეპისტოლარული მასალა, რომელთა ადრესატები თურქი და ფრანგი ხელისუფალნი იყვნენ, დიდი ხანია მეცნიერთა (მათ შორის ჩვენი) ინტერესების სფეროა, გასარკვევია რამდენად იყო დაინტერესებული ბრწყინვალე პორტა ქართველ პოლიტიკოსთა მისწრაფებით, მოეპოვებინათ ნაპოლეონ პირველის მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ, ბაგრატიონთა დინასტიის ხელისუფლების აღსადგენად?

ჩვენი ნაშრომი<sup>1</sup>, ძირითადად ეფუძნება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალას სახელწოდებით „ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკა“<sup>2</sup>, ქართველ მეფე-მთავართა ეპისტოლარული

---

<sup>1</sup> ნაშრომში ქართველ პოლიტიკოსთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თურქი მკითხველისთვის.

<sup>2</sup> აღნიშნული მასალა, ბატონმა ილია ტაბაღულამ ჩამოიტანა საქართველოში და მქონდა ბედნიერება მესარგებლა ამ მასალით. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ამ მასალის სრული პუბლიკაცია და ის დღეს, ცალკეულ ნაშრომებში არის გაფანტული.

მასალას<sup>3</sup>, ძირითადად, ეს არის სოლომონ II-ის<sup>4</sup>, თეიმურაზ ბაგრატიონის<sup>5</sup>, ალექსანდრე ბატონიშვილის<sup>6</sup>, ოსმალეთის სულთნებისა და

---

<sup>3</sup>შოთა ხანთაძე. საინტერესო ქართული ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტეს შესახებ. „დროშა“. 1958. N 9. ილია ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთერთობების ისტორიიდან. თბ., 1974. გვ. 7-8;

<sup>4</sup>სოლომონ II (1772 -1815) - იმერეთის მეფე 1789 – 1810 წლებში, დედის მხრიდან იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილი. სოლომონ II იმ პოლიტიკურ დასს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ქართული სამეფო სამთავროების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნით, 1790 წელს იმერეთის, ქართლ-კახეთის, სამეგრელოსა და გურიის მეფე - მთავრებმა ხელი მოაწერეს „ივერიელთა ტრაქტატს“, რომლის ძალითაც სამხედრო კავშირს ამყარებდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ და აღიარებდნენ ერეკლე II-ის უპირატესობას და მფარველობას. XVIII – XIX საუკუნეების მიჯნის ქართულ პოლიტიკაში სოლომონ II იყო პირველი, ვინც ამოიცნო რუსეთის შეფარული ზრახვები საქართველოს მიმართ და ამის შესახებ ქართველებს აფრთხილებდა. სოლომონს სურდა ესარგებლა ოსმალეთის, ირანისა და საფრანგეთის მხრიდან რუსეთთან დამაბული პოლიტიკური ურთერთობებით და ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, ფიქრობდა იმერეთის სამეფო და დასავლეთ საქართველოს სამთავროები გადაერჩინა რუსეთისაგან. მიუხედავად, ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლისა სოლომონ II-მ ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გადარჩენა, რადგან მთავრებიდან მხოლოდ აფხაზეთის მთავარი ასლან ბეი შერვაშიძე უჭერდა მხარს. სოლომონი რამდენჯერმე დამარცხდა რუსეთთან ბრძოლაში და ოსმალეთში გადავიდა, საიდანაც აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ, სოლომონ მეფე 43 წლის ასაკში, 1815 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა.

<sup>5</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი (1782- 1848) - ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII -ის ვაჟი, მეცნიერი ისტორიკოსი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, [პარიზის](#) სააზიო საზოგადოების და [კოპენჰაგენის](#) სამეფო ანტიკვართა საზოგადოების წევრი. თეიმურაზი საქართველოში რუსეთის დამკვიდრების მოწინააღმდეგე. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ 1810 წლამდე ცხოვრობდა ირანში, საიდანაც ცდილობდა საფრანგეთის, სპარსეთისა და ოსმალეთის დახმარებით საქართველოს გამოსხნას რუსეთისაგან. 1810 წელს სამშობლოში დაბრუნდა და პეტერბურგში გააგზავნეს, ამის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერებას უძღვნა. 1829 წლიდან თანამშრომლობდა ფრანგ ქართველოლოგთან მარი ბროსესთან, რომელიც მის მოწაფედ თვლიდა თავს. თეიმურაზ ბატონიშვილმა ბროსესთან ერთად შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა. მისი ისტორიული შრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია „ისტორის დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოდსა“, რომელშიც საქართველოს ისტორია განხილულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიის გათვალისწინებით, გამოყენებულია ქართული, ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და სომხური ისტორიოგრაფია (ვრცლად იხილეთ: [გურამ შარაძე](#). თეიმურაზ ბაგრატიონი. ცხოვრება. თბ., 1972). თეიმურაზ ბაგრატიონი პირველი ისტორიკოსია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებს და აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის

ფაშების მიმოწერას<sup>7</sup> კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებს და ქართველი, რუსი და ფრანგი ისტორიკოსების ნააზრევს.

ნაპოლეონ პირველის მიერ 1798 წელს წამოწყებული ეგვიპტის კამპანიის შემდეგ, ოსმალეთი ანტიფრანგულ კოალიციაში აღმოჩნდა ინგლისის, რუსეთის და ავსტრიის გვერდით და 1798 წლის 12 სექტემბერს ომი გამოუცხადა საფრანგეთს, რომლის წინააღმდეგ იმავე 1798 წლის დეკემბერში სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო ინგლისსა და რუსეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონმა მცირე აზიაში, წარმატებული ლაშქრობების შემდეგ (აილო ალ - არიში ღაზა, იაფა, ხაიფა, და აკრის ციხეს მიადგა) ვერ შეძლო აკრის აღება, საბოლოოდ რამდენიმე გამარჯვებისა (ჰელიოპოლისის ბრძოლა) და მაშინდელ საერთაშორისო არენაზე შეცვლილი ვითარებით ისარგებლა და ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობები კვლავ დაათბო. წარმატებული სამხედრო დიპლომატიური ნაბიჯებით მან მოკლე დროში შეძლო ოსმალეთთან ურთიერთობების დათბობა, რასაც ხელს უწყობდა ორი ფაქტორი, პირველი, ინგლისის აქტიურობა ეგვიპტეში და მეორე, რუსეთის აქტიურობა სამხრეთ

---

აღწერა შეუძლებელი იყო ამ წყაროების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის კიდევ ერთი ისტორიული თხზულება „ახალი ისტორია“ (ლელა მიქიაშვილი), ჩვენი აზრით, ამ თხზულების ენა და ისტორიის წერის მეთოდოლოგია მკვეთრად განსხვავდება თეიმურაზ ბაგრატიონის სტილისგან. თეიმურაზ ბაგრატიონი გარდაიცვალა რუსეთში და დასაფლავებულია სანქტ-პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

<sup>6</sup> **ალექსანდრე ბაგრატიონი** (1770-1744) - ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II -ის ვაჟი. პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე. სამეფო კარზე რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე შეურიგებელი მებრძოლი. ხელმძღვანელობდა რუსეთის წინააღმდეგ 1812 წლის კახეთის აჯანყების მეორე ეტაპს. 1826-1828 წლებში მონაწილეობდა [რუსეთ-სპარსეთის ომში](#) სპარსეთის მხარეს, ხოლო ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ოჯახთან ერთად თავი ოსმალეთს შეაფარა. 1832 წლის [შეთქმულების](#) მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ მისი მოწვევა საქართველოს მეფედ. გარდაიცვალა სპარსეთში, დასაფლავებულია თეირანში.

<sup>7</sup> **ცისანა აბულაძე**. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VII. თბ., 1967. გვ. 165-185;

კავკასიის ქვეყნებში, სადაც ოსმალეთის პოლიტიკურ ინტერესებს შეე-  
ჯახა.

1802 წლის 25 ივნისს პარიზში, საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით საფრანგეთმა, ინგლისის წინააღმდეგობების მიუხედავად, აღიდგინა ის სავაჭრო პრივილეგიები, რომლებითაც 1798 წლამდე სარგებლობდა. 1802 წლის შემოდგომაზე, ნაპოლეონმა ელჩი ჰალიბ რეის ევენდი<sup>8</sup> პარიზში მიიწვია, რომელსაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტალეირანთან. ამ მოლაპარაკების ძირითადი მიზანი იყო დაერღვია რუსეთ-ოსმალეთის კავშირი და შეექმნა საფრანგეთ - ოსმალეთის კავშირი.

გარდა ამისა, ამ პერიოდში ნაპოლეონი დაინტერესდა ბალდადში საფრანგეთის კონსულის ჟან ფრანსუა რუსოს მიერ მოფიქრებული ინდოეთზე ლაშქრობის გეგმით, რომელშიც საფრანგეთის, ირანისა და ავღანეთის კოალიციურ ჯარს უნდა მიეღო მონაწილეობა, ეს ზუსტად ეხმიანებოდა საფრანგეთის იმპერატორის ზრახვებს.<sup>9</sup> ამ გეგმით ნაპოლეონის აღმოსავლურ პოლიტიკაში ახალი ეტაპი დაიწყო, მისი ინტერესი ინდოეთისა და რუსეთისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთთან და ირანთან ურთიერთობებს და ამ კონტექსტში ნაპოლეონის აღმოსავლურ პოლიტიკაში გაჩნდა საქართველოს საკითხიც.<sup>10</sup>

ამასობაში 1805 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ კვლავ შეიქმნა კოალიცია რუსეთის, ინგლისის, შვეციის, დანიის, პრუსიისა და ავსტრიის შემადგენლობით. რაც შეეხება ოსმალეთს იგი ამჯერად კოალიციაში არ

---

<sup>8</sup> **ჰალიბ რეის ევენდი** იგივე **მეჰმედ საიდ გალიბ ფაშა (1763/1764 – 1829)** - ოსმალეთის სახელმწიფო მოხელე, რომელმაც ნაპოლეონის საფრანგეთთან 1802 წელს შეძლო პარიზის ხელშეკრულების გაფორმება, რითაც დასრულდა საფრანგეთის კამპანია ეგვიპტესა და სირიაში. 1823 წლის 13 დეკემბრიდან 1824 წლის 14 სექტემბრამდე იყო ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი.

<sup>9</sup> **ირინე ნაჟყებია**. საქართველოს საკითხი საფრანგეთის, ინგლისისა და ირანის საგარეო პოლიტიკაში ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის დასაწყისი). ქართული დიპლომატია, ტ. 12. თბ., 2005. გვ. 64.

<sup>10</sup> **ომარ არდაშელია**. ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005. გვ. 33 – 134;

შევიდა. 1803 წლიდან ოსმალეთში საფრანგეთის დიპლომატიურ მისიას სათავეში ედგა გენერალი გიომ მარი - ანნ -ბრიუნი<sup>11</sup>, რომლის მთავარი მიზანი იყო, აღედგინა ნაპოლეონის ადრინდელი, მეგობრული ურთიერთობები ოსმალეთთან და დაეპირისპირებინა იგი რუსეთისთვის.

საყურადღებოა, რომ საფრანგეთი ოსმალეთის სულთანს ჰპირდებოდა რუსეთთან ომის შემთხვევაში, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, ოსმალეთის სულთანის სელიმ III –ის<sup>13</sup> ინიციატივით, 1804 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის განახლდა

---

<sup>11</sup> **გიომ მარი ანნ - ბრიუნი** //Guillaume Marie-Anne Brune (1763 -1815) - ფრანგი სამხედრო სარდალი, საფრანგეთი იმპერიის მარშალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მსახურობდა საფრანგეთის რევოლუციური ომებისა და ნაპოლეონის ომების დროს. 1802 წელს ნაპოლეონმა ბრუნი კონსტანტინოპოლში გაგზავნა, როგორც საფრანგეთის იმპერიის ელჩი ოსმალეთში. ორწლიანი დიპლომატიური სამსახურის განმავლობაში მან წამოიწყო დიპლომატიური ურთიერთობები საფრანგეთსა და სპარსეთს შორის. 1815 წელს გახდა თეთრი ტერორის მსხვერპლი.

<sup>12</sup> **ომარ არდაშელია**. ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005. გვ. 26.

<sup>13</sup> **სელიმ III** (1761 – 1807) - ოსმალეთის სულთანი 1789-1807 წლებში. სულთან მუსტაფა III -ისა და მიჰრიშაჰ სულთანის ვაჟი. სელიმის დედა მიჰრიშაჰ სულთანი წარმოშობით საქართველოდან, სასულიერო პირის შვილი იყო. ოსმალეთში მას „ქართველ ლამაზმანს“ (Gürcü güzeli) ეძახდნენ, მშვიდი და ქველმოქმედებით ცნობილი ქალბატონი, როდესაც ვალიდე სულთანი გახდა, დაკავებული იყო საგანმანათლებლო საქმიანობით, მონაწილეობდა სამთავრობო სკოლების დაარსებასა რეფორმირებაში. სელიმს ძალიან უყვარდა დედა, ხშირად საუბრობდა მასთან და განიხილავდა სახელმწიფო საქმეებს, მიუხედავად ამისა მიჰრიშაჰ სულთანი არასოდეს ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. სელიმის მამა ოსმალეთის სულთანი მუსტაფა III ოსმალეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული სულთანი, მას სწამდა ოსმალეთში რეფორმების აუცილებლობა, განსაკუთრებით სამხედრო რეფორმების. მან შემოიღო ახალი სამხედრო რეგულაციები ჯარში და გახსნა საზღვაო და საარტილერიო აკადემიები. სულთანი სელიმ III მამის კვალს გაჰყვა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან წამოიწყო რეფორმები, მიუხედავად სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებებისა (ომი რუსეთთან 1787-1791წწ. და საფრანგეთთან 1798 -1802 წწ.) სელიმმა ნაწილობრივ შეძლო ქვეყნის მოდერნიზაცია ევროპულ ყაიდაზე, ჩაატარა ლიბერალური რეფორმები ადმინისტრაციული აპარატის გარდაქმნის მიზნით, შეზღუდა იანიჩართა კორპუსის პრივილეგიები. მის დროს თურქულ ენაზე ითარგმნა ევროპული ავტორების, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი ავტორების ნამუშევრები, სამხედრო საქმეების, მათემატიკისა და ადამიანის ცოდნის სხვა სფეროების შესახებ. ჯერ კიდევ 1792 წელს, მისი ნებართვით თურქულმა სტამბამ ფუნქციონირება კვლავ დაიწყო. სელიმი გატაცებული იყო საერო ხელოვნებითა და პოეზიით. სელიმმა ფრანგი გენერლის სებასტიანის დახმარებით წამოიწყო ნიჰამ-ი ჯედიდი (ოსმალ. Nizam-ı Cedid – „ახალი წესრიგი“),

მოლაპარაკებები სამოკავშირე ხელშეკრულების გაგრძელებაზე რუსეთსა და ოსმალეთს შორის, მაგრამ რუსეთს სხვა, უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებთან, მათ შორის დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში, რომელსაც ოსმალეთი თავის ვასალად თვლიდა. ამიტომ სამოკავშირეო ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას აჭიანურებდა. საქმეს საფრანგეთის დიპლომატიის მცდელობაც აფუჭებდა - ჩაეშალათ აღნიშნული ხელშეკრულების გაგრძელება. მიუხედავად ამისა, 1805 წლის 11 სექტემბერს სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა, მაგრამ იგი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან 1806 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი დაიწყო.<sup>14</sup>

ამით ისარგებლა ნაპოლეონმა და 1806 წლის 1 დეკემბერს სელიმ III – ს წერდა: დადგა ხელსაყრელი მომენტი რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისა, რათა რუსეთის აგრესიისაგან დაეცვათ ქვეყანა.<sup>15</sup> იმავე დროს სტამბოლში

---

რის საფუძველზე შექმნა ევროპულად ორგანიზებული არმია. ეს იყო რეფორმების მთელი კომპლექსი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსაც უნდა შეხებოდა, მაგრამ იმპერიის საზოგადოება ამ სიახლეებს მოუმზადებელი შეხვდა. განსაკუთრებით არ უჭერდნენ მხარს „ნიზამი ჯედიდის“ ჯარს, სელიმის წინააღმდეგ შეიქმნა საიდუმლო დაჯგუფება, რომელმაც 1807 წელს ის ტახტიდან გადააყენა და მისი ბიძაშვილი მუსტაფა IV (1807- 1808) გამოაცხადა სულთანად. სელიმის რეფორმების მომხრეები გაერთიანდნენ მუსტაფა ფაშა ბაირალთარის ირგვლივ, რომელმაც შეძლო სტამბოლის დაკავება და სცადა სელიმის კვლავ გამეფება, მაგრამ მუსტაფა IV -ის ბრძანებით სელიმი მოკლეს. მუსტაფა IV ტახტიდან ჩამოაგდეს და ტახტზე აიყვანეს მაჰმუდ II (1808-1839), ხოლო დივეზირი გახდა მუსტაფა ფაშა ბაირალთარი. მაჰმუდ II -მ გააგრძელა სელიმის დაწყებული რეფორმები (**მიხილ სვანიძე**, ოსმალეთის ისტორია II, (1600-1923). თბ., 2002. გვ.115-134; **Миллер А. Ф.**, Мустафа паша Байрактар. Оттоманская империя в начале 19 в., М.-Л., 1947; **ომარ არდაშელია**, თურქეთში წიგნის ბეჭდვის ისტორიის სათავეებთან, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ N2. თბ. 2007; **ომარ არდაშელია**, თურქული რენესანსის დასაწყისი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, *კრებული მარი ბროსე - 210*. თბილისი, 2012. გვ. 186 – 193).

<sup>14</sup>1806 წლის 9-21 ნოემბერს რუსეთის 40 ათასიანმა არმიამ ივან ივანეს ძე მიხელსონის მეთაურობით **მდინარე დნესტრი** გადალახა და დუნაის სამთავროები დაიკავა, რომ იქ ფრანგებს არ დაესწროთ. 18 დეკემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. სამხედრო მოქმედებები დუნაის აუზსა და **ამიერკავკასიაში** გაიშალა.

<sup>15</sup>Correspondance de Napoléon 1er; by Napoleon I, Emperor of the French, 1769-1821. t. XIV. გვ. 4-5.

საფრანგეთის ელჩს **ფრანსუა სებასტიანს**<sup>16</sup> მისცა რწმუნებულება დაედო საიდუმლო სამხედრო კავშირი თურქეთთან. „გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რათა აიძულოთ პორტა გამოვიდეს მოჯადოებული წრიდან“ - წერდა იმპერატორი.<sup>17</sup>

ამ ეტაპზე საფრანგეთის დიპლომატიის საქმიანობა, ძირითადად მიმართული იყო საფრანგეთის, ოსმალეთის და ირანის „მეგობრული კავშირის“ შექმნისაკენ, რომელიც საბოლოოდ განახორციელებდა ნაპოლეონის „დიდ აღმოსავლურ პროექტს“. ნაპოლეონის გეგმები, გაეერთიანებინა ირანის, ოსმალეთისა და საფრანგეთის ძალები რუსეთის წინააღმდეგ, კარგად ჩანს მის სიტყვებში ირანის შაჰისადმი: „ჩვენ სამივენი უნდა შევთანხმდეთ და შევექმნათ მარადიული კავშირი“ - წერდა ნაპოლეონი ირანის შაჰს და შეახსენებდა რომ „დაიბრუნე მათგან საქართველო“ და ყველა პროვინცია, რომელიც შენი იმპერიის ნაწილი იყო“.

მსგავსი სიტყვებით მიმართავდა ნაპოლეონი თურქეთის სულთანსაც, 20 იანვარს კონსტანტინოპოლში გაგზავნილ წერილში ფრანსუა სებასტიანს წერდა: „აუცილებელია სპარსეთი განვაწყობთ საქართველოს დასაბრუნებლად. აიძულეთ პორტა და მან მისცეს განკარგულება არზრუმის ფაშას, რათა მთელი თავისი ძალებით მოაწყოს ლაშქრობა ამ პროვინციაში (იგულისხმება დასავლეთ საქართველო - ო. ა.) მხარი დაუჭირეთ აფხაზეთის მთავრის (ასლან ბეი შერვაშიძე - ო. ა.) კეთილ ზრახვებს და შთააგონეთ მას, მონაწილეობა მიღოს დიდ დივერსიაში საერთო მტრის (იგულისხმება რუსეთი - ო. ა.) წინააღმდეგ. დაე, მთავარმა (ასლან ბეგმა - ო. ა.) არზრუმის ფაშამ, სპარსეთმა, და პორტამ ერთდროულად მიიტანონ იერიში საქართველოზე, ყირიმსა და ბესარაბიაზე“<sup>18</sup>

<sup>16</sup> **ფრანსუა სებასტიანი** // Horace François Bastien Sébastiani (1772 – 1851) - ფრანგი სამხედრო, დიპლომატი და პოლიტიკოსი. ნაპოლეონ I-ის დროს, 1804-1808 წლებში. იყო საფრანგეთის ელჩი ოსმალეთში. მეგობრობდა სულთან სელიმ III- სთან და შეძლო საფრანგეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირის დადება. ივლისის მონარქიის დროს ფრანსუა სებასტიანი საფრანგეთის მარშალი გახდა. 1830 წელს იყო საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი, 1830-1832 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

<sup>17</sup>Correspondance' t XIV. გვ. 4.

<sup>18</sup> J. de Testa. Recueil des traite's de la Porte Ottomane avec puissances etrangeres t. II. Paris. 1856. გვ. 190-191. ილ. ტაბალუა. ი., საქართველო-საფრანგეთის ურთერთობების ისტორიიდან. თბ., 1974;



მიუხედავად საფრანგეთის იმპერატორის ასეთი გულმოდგინებისა, ოსმალეთის დიპლომატია ბოლომდე ვერ ენდობოდა არაორდინალურ იმპერატორს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოახდინა დალმაციისა და რაგუზის ოკუპაცია. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი სელიმ III-ის მეგობრად ითვლებოდა. მაგრამ მას შემდეგ რაც სელიმი ტახტიდან საკუთარმა ბიძაშვილმა მუსტაფა ფაშამ<sup>19</sup> გადააყენა და მის მაგიერ ტახტზე ავიდა, ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები გაცივდა, განსაკუთრებით 1807 წლის, 3 ივლისს დანცინგში დაწყებული მოლაპარაკების დროს, როდესაც საფრანგეთ-ოსმალეთის კავშირი უნდა დადებულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა, ოსმალეთის ელჩმა პროტესტის ნიშნად დანცინგი დატოვა და ვენაში გადაინაცვლა. საფრანგეთ თურქეთის მოლაპარაკება ამჯერად ჩაიშალა, მაგრამ მალე საფრანგეთის დიპლომატიის მიერ ტილზიტში მიღწეული წარმატებით და ევროპის კონტინენტზე მიღწეული წარმატების შემდეგ, ნაპოლეონმა სასწრაფოდ აცნობა პორტას, რომ ტილზიტის ზავით მისი უფლებები დაცული იქნებოდა, რადგან საფრანგეთსა და ოსმალეთს საერთო ინტერესები გააჩნდათ.

როგორც ვხედავთ საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა და იცვლებოდა მოვლენები და შესაბამისად, იცვლებოდა ურთიერთობებიც. რამდენად იცნობდნენ საქართველოს მეფე-მთავრები ამ მოვლენებს და ადევნებდნენ თუ არა თვალყურს ამ

---

<sup>19</sup> **მუსტაფა ფაშა** - 1787 (1779?) – 1808 - ოსმალეთის სულთანი მუსტაფა IV 1807-1808 წლებში. მან ტახტიდან ჩამოაგდო რეფორმატორი სულთანი სელიმ III, შემდეგ კი მისი ბრძანებით მოკლეს, რის გამოც 1808 წლის 28 ივლისს მუსტაფა IV ტახტიდან ჩამოაგდეს და ტახტზე აიყვანეს **მაჰმუდ II** (1808 – 1839). **მ. სვანიძე**. ოსმალეთის ისტორია (1600-1923). გვ. 132. [1808 წლის ზაფხულში რუშეთის გუბერნატორი, მუსტაფა-ფაშა ბაირაქთარი](#) ტახტზე სელიმ III-ის აღდგენის მიზნით, თავისი ერთგული ჯარით შევიდა [კონსტანტინოპოლში](#) (სტამბოლში). მუსტაფა IV-ის მომხრეებმა ვერ შეძლეს მისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. სასახლის აღების დროს მუსტაფა IV-მ ბრძანება გასცა მოეკლათ მისი ბიძაშვილი და ყოფილი სულთანი, სელიმ III და უმცროსი ძმა [მაჰმუდ II](#), მაგრამ მკვლელებმა ამ უკანასკნელის პოვნა ვერ შეძლეს. სასახლის აღების შემდეგ მუსტაფა-ფაშამ დააპატიმრა მუსტაფა IV და ტახტზე აიყვანეს [უფლისწული მაჰმუდი](#) - ოსმალეთის სულთანი 1808 – 1839 წლებში. **А. Ф. Миллер**. Мустафа паша Байрактар. [Отоманская империя в начале XIX века](#). Москва, 1947.



ცვლილებებს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროს, XIX საუკუნის დასაწყისში, ფრანგულ - თურქული ალიანსის არსებობის პირობებში, ღიად გამოიკვეთა რუსეთის საფრთხე, როგორც ოსმალეთის, ასევე ქართული სამეფო-სამთავროებისთვის. ამავე დროს, საფრანგეთის, ოსმალეთისა და ირანის ინტერესები მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, შესაბამისად, ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი - თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ II, ალექსანდრე ბატონიშვილი, ქელემ აჰმედ ბეი და ასლან ბეი შერვაშიძეები და სხვები, ფიქრობდნენ და ცდილობდნენ ეს ეს ინტერესები გამოეყენებინათ საქართველოს სამეფო-სამთავროების გადასარჩენად, კერძოდ, ქართლ-კახეთში რუსეთის მიერ გაუქმებული სამეფო ხელისუფლება აღედგინათ, ხოლო დანარჩენ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში - იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები - ადგილობრივი სამეფო, ან მთავრის ხელისუფლება შეენარჩუნებინათ.

როგორც ჩანს, ეს მისწრაფება ორმხრივი იყო, რადგან ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში, ფრანგულ - თურქულ ალიანსში აშკარად გამოიკვეთა საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი, მაგრამ არა გვეგონია ოსმალეთის სულთნის განესაზღვრა ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის ინტერესებს პოლიტიკა. მართალია, „ბრწყინვალე პორტა“, ხშირად და იძულებითაც კი ითვალისწინებდა ნაპოლეონის ინტერესებს, მაგრამ საქართველოსთან მიმართებით ეს ფაქტი ნაკლებ სარწმუნოა, რადგან მათ პოლიტიკურ ინტერესები ისედაც მიმართული იყო საქართველოსკენ და მას არცთუ უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა.

როგორც ნარატიული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, საქართველოში იცნობდნენ ნაპოლეონს, იცოდნენ მისი წარმატებები და მისი ურთიერთობები ოსმალეთის სულთან სელიმ III - სთან და ფიქრობდნენ ამ ალიანსის გამოყენებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მაგრამ, ცუდად იცოდნენ ფრანგულ - ოსმალური ალიანსის დეტალები, რომელიც ხშირად ცვალებადი იყო, როგორც საფრანგეთის იმპერატორის ხასიათი.

ნაპოლეონ პირველის კორესპოდენციებიდან აშკარად ჩანს, რომ იცოდა არსებობდა ქვეყანა - საქართველო, რომლის გამოყენება თავისი აღმოსავლური გეგმების განსახორციელებლად, ინდოეთში ლაშქრობის დროს სურდა. ნაპოლეონი სერიოზულად ფიქრობდა ამ გეგმებზე და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII - ისთვის წერილიც კი გამოუგზავნია 1799 წელს, მაგრამ წერილმა ადრესატამდე ვერ მოაღწია, საქართველოსკენ მომავალი შიკრიკი, გზაში შეიპყრო ახალციხის ფაშამ და სიკვდილით დასაჯა.<sup>20</sup> საგულისხმოა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ფრანგულ-ოსმალური ალიანსი და სელიმ III-ისა და ნაპოლეონ პირველის მეგობრული კავშირები.

ქართველ უფლისწულს დავით ბატონიშვილს ოსმალეთზე გავლით, საფრანგეთში გამგზავრების სურვილიც კი გამოუთქვამს, რათა ნაპოლეონს პირადად შეხვედროდა და მისგან დახმარება მიეღო. ამის შესახებ რუსეთის აგენტები, სათანადო არხებით, პეტერბურგს ატყობინებდნენ. რუსული მმართველობა შემფოთებული იყო იმით რომ ბატონიშვილი საფრანგეთის იმპერატორით განსაკუთრებით დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა, აქებდა მას და თანაუგრძნობდა საფრანგეთის რევოლუციას „ლაპარაკში მეტად შეინიშნება მისი აღფრთოვანება ბონაპარტესადმი“.<sup>21</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს საშუალება ჰქონდა რეალურად განეხორციელებინა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებები, მან ეს არ გამოიყენა და 1795 წელს ირანის შაჰის ალა მაჰმად ხანის შემოსევს დროს არ შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატით აღებული ვალდებულება. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ჯარმა დაიკავა, მოახდინა მისი ანექსია და რუსულ მმართველობაზე გადაყვანა. ბუნებრივია, ამის შემდეგ, ჯერი დასავლეთ საქართველოზე მიდგა. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ყველაზე ადრე მიხვდა და ყველაზე უკეთ გაერკვა შექმნილ ვითარებაში. ის ცდილობდა დასავლეთ -

---

<sup>20</sup> Konu üzerindeki bilgi ErmeniArkiepiskop İoseb Arğuneli'ye Davit Batonişvili tarafından mektupta yer almıştır. А. А. Цагарели. Грамоти и другие историчесенткие документи XVIII столетия .... Т II. Вып. II. с 1798 по 1801 СПб. 1902. с 203 – 204.

<sup>21</sup> Письмо ген. Лазарева ген. Кнорингу от 8 \_ го марья 1801 года АСКАК т IТифлис 1866 с. 329.

საქართველო გაერთიანებინა, მაგრამ გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრების წინააღმდეგობების პირობებში, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, ქართველ მეფე - მთავრთა და ბატონიშვილთა ერთმა ნაწილმა დიპლომატიური კორესპონდენციების გაგზავნა დაიწყო საფრანგეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის მესვეურთა მიმართ.

თუ ამ საკითხს განვიხილავთ საერთაშორისო უთიერთობების თეორიისა და შედარებითი ანალიზის ჭრილში, აშკარაა, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ გაგებასთან, რადგან შექმნილ ვითარებაში, ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომლებიც მოტყუებულნი აღმოჩნდნენ რუსეთის პოლიტიკის შედეგად, რეალური ნაბიჯები გადადგეს პოლიტიკური ვითარების ქვეყნის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად. მაგრამ ქართველთა პოლიტიკურ დასს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში არ ჰქონდა ერთიანობა. მიუხედავად იმისა, რომ თვალსა და ხელს შუა დაკარგეს სახელმწიფოებრიობა აღმოსავლეთ საქართველოში და აშკარა იყო ნელ-ნელა ყველა ქართული პოლიტიკური ერთეული ქართლ-კახეთის ბედს გაიზიარებდა, მათ ვერ შეძლეს პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ პოლიტიკოსებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც აღტაცებას ვერ მალავდნენ ფრანგულ- ოსმალური ალიანსით. რუსული წყაროები მიუთითებენ, რომ ქართველ ბატონიშვილებს განსაკუთრებული მისწრაფება ჰქონდათ სტამბოლზე (კონსტანტინოპოლზე) გავლით ევროპაში წასულიყვნენ. მაგალითად, რუსეთის წარმომადგენელი იმერეთში ალექსანდრე სოკოლოვი რუსეთის ელჩს პარიზში ატყობინებდა, რომ ქართველ ბატონიშვილს დავითს<sup>22</sup> სურს „შავი

---

<sup>22</sup> **დავით ბაგრატიონი** (1767 – 1819) - ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII -ის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, მეცნიერი ისტორიკოსი, იურისტი, მწერალი, ბუნებისმეტყველი და მოაზროვნე. მან შეადგინა ქართული სამართლის კოდიფიკაციის პროექტი „ქართული სამართალი და კანონმდებლობა“. მასვე ეკუთვნის რუსულ ენაზე დაწერილი [„საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა“](#). 1812 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა ნაშრომი „საქართველოს უკეთესად მართვის შესახებ“, რომელშიც მოითხოვდა კავკასიის მთავარმართებლად ქართველის დანიშვნას. განსაკუთრებით

ზღვით კონსტანტინოპოლში ჩასვლა, ხოლო მისი ნახვის შემდეგ სურს იხილოს ევროპა, კერძოდ, საფრანგეთი“. ბუნებრივია, ფრანგი განმანათლებლებისა და ვოლტერის მიმდევარი დავით ბაგრატიონი კარგად იცნობდა ნაპოლეონ ბონაპარტეს საქმიანობას, მის ინტერესებს აღმოსავლეთში და დამოკიდებულებას ბრწყინვალე პორტასადმი.

ნარატიული წყაროები - ამ პერიოდის ეპისტოლარული მასალა, რუსი მოხელეების დოკუმენტები, საფრანგეთისა და ოსმალეთის მესვეურთა წერილები, აშკარად მიუთითებენ, რომ ქართველი უფლისწულები დავით ბატონიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, აფხაზეთის მთავარი ასლან ბეი შერვაშიძე<sup>23</sup> დახმარებას ოსმალეთში, საფრანგეთსა და ირანში ეძებდნენ.

---

საყურადღებოა ბატონიშვილის საისტორიო ჟანრის ნაშრომები: „ნარკვევები“, „საქართველოს მოკლე ისტორია“, „ახალი ისტორია“. 1800 წელს თბილისში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევები“, რომელიც პირველი ცდა იყო მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე. 1818 მან დაასრულა „შემოკლებული ფისიკა“ და საქართველოში გამოგზავნა გასამრავლებლად. ის იყო პირველი ქართველი ვოლტერიანელი და ფრანგული განმანათლებლობის იდეების მქადაგებელი საქართველოში. გარდაიცვალა რუსეთში.

<sup>23</sup> **ასლან ბეი შერვაშიძე** - აფხაზეთის მთავარი 1808 - 1810 წლებში. ქელემ ახმედ - ბეი შერვაშიძის უფროსი ვაჟი. იგი აუჯანყდა მამას და მოახრეხა ტახტის მიტაცება. ჰქონდა პროოსმალური პოლიტიკური ორიენტაცია და მთავრად გახდომის შემდეგ რეზიდენცია ლიხნიდან სოხუმში გადმოიტანა. აქ ოსმალეთის გარნიზონი იდგა და ცდილობდა მათი დახმარებით განედევნა რუსები აფხაზეთიდან. ასლან - ბეი აქტიურად იბრძოდა იმერეთის მეფის [სოლომონ II](#)-ის მხარეზე [რუსეთის](#)-ხელისუფლების წინააღმდეგ. 1810 წლის ივნისში რუსეთის ჯარებმა ასლან ბეი შერვაშიძე ოსმალეთთან ერთად სოხუმიდან გააძევეს და მთავრად მისი ძმა [გიორგი შერვაშიძე](#) (საფარბეი) დაამტკიცეს. მაგრამ 1813 წელს ასლან ბეიმ ოსმალური გარნიზონის დახმარებით ისევ სცადა სოხუმის დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ, ასლანბეი შარვაშიძე ოსმალეთში გადასახლდა, თუმცა გიორგი შერვაშიძის (საფარბეი) გარდაცვალების შემდეგ, 1821 წელს ფსხუელების, საძებისა და უბიხების მხარდაჭერით კვლავ წამოიწყო აჯანყება და სოხუმის დაბრუნება სცადა. ეს აჯანყებასც უშედეგოდ დასრულდა და მის ჩახშობაში დიდ როლი ითამაშა რუსმა გენერალმა პეტრე გორჩაკოვმა. დიმიტრი (ომარ -ბეი) შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, 1822 წელს აფხაზეთის მთავარი გახდა მიხეილ შერვაშიძე, რომლის მმართველობის დროს, ასლან ბეი შერვაშიძემ ორჯერ 1824 და 1830 წლებში სცადა აფხაზეთის მთავრის ტახტის დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, რუსეთი უკვე გამაგრებული იყო რეგიონში და ის იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო და ისევ ოსმალეთისთვის შეეფარებინა თავი. ცხოვრობდა სტამბოლში სადაც ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა.

რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე შეურიგებელი მებრძოლი იყო ალექსანდრე ბატონიშვილი - ერეკლე მეორის ძე, რომელიც ირანში ჩავიდა და იქედან ცდილობდა ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების აღდგენას. მან ირანის შაჰის მხარდაჭერა მიიღო, ამის შემდეგ საფრანგეთის იმპერატორს მიწერა წერილი და სთხოვა მხარდაჭერა.<sup>24</sup> ამავე დროს ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთს ატყობინებდა ბრძოლაზე ხელს აიღებდა თუ ქართლ-კახეთის სამეფოს აღადგენდა.

საფრანგეთისა და ოსმალეთის მხარდაჭერის მიღებას ცდილობდა ირანში გადასული კიდევ ერთი ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელმაც ვრცელი წერილი მისწერა საფრანგეთის იმპერატორს. 1810 წელს ნაპოლეონთან ურთიერთობის დამყარება სურდა სოლომონ II მეორესაც, რომელმაც წერილი გაუგზავნა მას, რომელშიც მეფე ნაპოლეონისადმი დიდ პატივისცემას გამოთქვამდა და ატყობინებდა, როგორ ემუქრებოდა რუსეთისაგან საფრთხე მას და მის ქვეყენას, ამიტომ სთხოვდა მფარველობას<sup>25</sup>. საგულისხმოა, რომ ყველა ეს წერილი ევროპაში სტამბოლზე (კონსტანტინოპოლზე) გავლით მიდიოდა და განსხვავებით 1799 წლისა, ამჯერად ბრწყინვალე პორტა ამ კორესპონდენციებს არ აფრეხებდა და ხელს უწყობდა სტამბოლში მყოფ საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას უსაფრთხოდ მიეღო ქართველი ბატონიშვილების კორესპონდენციები. ამკარაა, რომ ამ ეტაპზე ოსმალეთის, საფრანგეთისა და ქართველი ბატონიშვილების პოლიტიკური ინტერესები რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდა.

სოლომონ II, რომელიც იმერეთში 1789 წლიდან მეფობდა, ცდილობდა დასავლეთ საქართველოს გადარჩენას რუსთა მმართველობისაგან,

---

<sup>24</sup> იხილეთ ალექსანდრე ბატონიშვილისა და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები: **ილია ტაბაღუა**, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., 1974. **ირინე ნაჭყებია**. საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიიდან (XIXსაუკუნის დასაწყისი). თბ., 2002. **ომარ არდაშელია**. ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005.

<sup>25</sup> **ილია ტაბაღუა**. ფრანგი ისტორიკოსი საფრანგეთსა და იმერეთს შორის ნაპოლეონ I-ის დროს ურთიერთობის შესახებ. „მაცნე“, ისტორიის სერია. თბ., 1974. N47; **ილია ტაბაღუა**. სოლომონ II-ს წერილი ნაპოლეონ I-ს, საისტორიო ვერტიკალები, N3. თბ., 2002. გვ. 136; იხლ. აგრეთვე: **ომარ არდაშელია**. ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. გვ. 161-163. **ნიკა ხოფერია**. ქართველები ნაპოლეონის ომებში. (1803-1815) <http://samxedro-istoria.blogspot.com/2015/12/1803-1815-i.html>

ამიტომ ცდილობდა პირველ რიგში სამეგრელოსა და გურიის სამთავროების გაერთიანებას. ამ საკითხში მას რუსებმა შეუშალეს ხელი, რადგან სამეგრელოს მთავარმა რუსეთს მფარველობა სთხოვა. 1803 წ. სამეგრელოში ყირიმიდან რუსეთის სამხედრო ნაწილი შემოვიდა. ოღონდ სამეგრელო რუსეთის მფარველობაში კი არა, ქვეშევრდომობაში მიიღეს. ამის შემდეგ, იმერეთის მეფემ თავად ითხოვა რუსეთის მფარველობა და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთში ელჩად სოლომონ ლეონიძე გააგზავნა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ ტრაქტატის რეალური მიზანი უნდა ყოფილიყო არა რუსეთისგან დახმარების მიღება, არამედ ხელშეკრულების პირობებით რუსეთის საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებების შეზღუდვა. სოლომონ II რუსეთისგან მოითხოვდა იმერეთის სამეფოს შენარჩუნებას და, ამასთან, მთელი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მისი მეფობის ცნობას.

რუსეთი ამას უკვე არ თანხმდებოდა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებს იმერეთის სამეფოს ნაწილად არ მიიჩნევდა, - სამეგრელოსთან კი ცალკე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. 1804 წ. 25 აპრილს სოლომონ II იძულებული გახდა ხელი მოეწერა ე. წ. „თხოვნითი მუხლებისთვის“, რომლითაც აღიარებდა რუსეთის ქვეშევრდომობას. ხელშეკრულებების ძალით დადიანსაც და იმერეთის მეფესაც რჩებოდათ მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებები. 1809 წელს რუსებმა ქუთაისი დაიკავეს. სოლომონ II-მ მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა და ქუთაისში მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 120 ჯარისკაცის დატოვება, სამეფოს საშინაო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობა, მაგრამ ამაოდ. 1810 წ. მოსალაპარაკებლად მისული სოლომონ II რუსეთის სარდლობამ 1810 წ. მოტყუებით დააპატიმრა, მაგრამ მალე ოსმალეთის ხელისუფლების, კერძოდ, ახალციხის ფაშის დახმარებით ციხიდან გაიქცა და ახალციხიდან დაიწყო აჯანყების მომზადება იმერეთში რუსეთის წინააღმდეგ.

სოლომონ მეფე რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის აუცილებლობას იდეურად ასაბუთებდა. რუსეთის

მთავრობის მმართველობის წესი სხვაა, ჩვენი კი სხვაო - მოუწოდებდა ის იმერეთის მოსახლეობას. მმართველობის რუსული წესი ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წესის დასაცავად იმერეთის საზოგადოებას ხელი უნდა გამოეღო. მმართველობის რუსული წესი ამ ქართულ წესს გასაქრობად ემუქრებოდა<sup>26</sup>.

ამიტომაც იმერეთის მოსახლეობას სოლომონ მეფის აღდგენისა და რუსული მმართველობის განსადევნად უნდა ებრძოლა ამ ბრძოლაში, როგორც ჩანს მეფე სოლომონი ცდილობდა ოსმალეთის სულთნისგან მხარდაჭერა მიეღო. თუ დავეყრდნობით ოსმალეთის სულთნის ერთ-ერთ ფირმანს, აშკარად ჩანს, რომ სულთანს არამარტო სოლომონ მეფე, არამედ იმერეთის მაშინდელი საზოგადოებაც დახმარებას თხოვდა. XIX საუკუნის თურქი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის აჰმედ ჯევდეთ ფაშას „ისტორიის“<sup>27</sup> მეცხრე ტომში 1875 წელს გამოქვეყნებულია ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ II -ის (1808 – 1839) სოლომონ II - ისადმი გაცემული სიგელი.<sup>28</sup> სოლომონი, ამ დროს ახალციხის საფაშოს აფარებდა თავს.

მაჰმუდ მეორის სიგელში ვკითხულობთ: „შენგან და შენთან ერთგულებაში მყოფ თავადთა და აზნაურთაგან მიღებული თხოვნის წერილების შინაარსი შემდეგს გვატყობინებს და გვანიშნებს: ... მოსკოველთა ჯარებმა თაღლითობითა და ოინზაზობით ფეხი მოიკიდეს, ღვით ფიცი დადვეს, რომ ჩემს ქვეშევრდომებს და მათ ქონებას ზიანს არ მიაყენებდნენ, მაგრამ ბოროტი განზრახვითა და მტრობით მათ უნდოდათ თვით შენი მოტყუებაც და თბილისისაკენ შენი გამგზავრება, დაჭერა და დაპატიმრება. ჩვენ მოგვწერეს და სიტყვიერადაც გვიაშბეს, რომ მიუხედავად ამისა, შენ

<sup>26</sup> თედო ჟორდანიას. სოლომონ II, მეფე იმერთა (საისტორიო მასალა). თხზულებათა კრებული. თბ., 2011. გვ. 346.

<sup>27</sup> აჰმედ ჯევდეთ ფაშა (1827-1895) - ოსმალო მეცნიერი, ისტორიკოსი, იურისტი და სულთნი ოფიციალური მწერალი. ის იყო ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური ფიგურა თანზიმათის რეფორმის პერიოდში, ხელმძღვანელობდა ოსმალეთის სამართლის კოდიფიკაციის საქმეს. მას ეკუთვნის ოსმალეთის 12 ტომიანი ისტორია, რომელიც მოგვითხრობს 1774 – 1825 წლის ამბებს.

<sup>28</sup> სიგელი გამოაქვეყნეს ნოდარ შენგელიამ და სერგი ჯიქიამ, აჰმედ ჯევდეთ ფაშას მიხედვით, ქართულ ენაზე, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. N3. 1963. გვ. 183-189.

მეფე ხარ და შენში თანდაყოლილი მამაცობისა და თავგამოდების შესაბამისად.<sup>29</sup>

სულთანის ახალციხეში მყოფ მეფეს დახმარებას ჰპირდებოდა „თქვენთვის დაუზოგველად იქნება ყოველგვარი ჩემი სამეუფეო წყალობა და გამუდმებით გაიცემა დაუსრულებელი უზენაესი წყალობანი, ამიტომ დროისა და ვითარებათა შესაბამისად, მაგ ადგილებისათვის დამზადებული და გამოგზავნილი საკმაო რაოდენობის საომარი საჭურვლის დროულად მიწოდების, შენთან წერილობითი ურთიერთობების დამყარებისა და საქართველოდან რუსობის მთლიანად გასადევნად ღონისძიებათა მიღების საქმეების შესახებ ადრეც და ამჟამადაც მიეწერა და უკვე გაფრთხილებულია არზრუმის ვალი და აღმოსავლეთის მხარეთა მთავარსარდალი ჩემი „დესთური“ და ვეზირი ემინ ფაშა.<sup>30</sup>

სულთანი წერილში აღნიშნავს, რომ ფირმანი გაეგზავნა ჩილდირის ვალსაც შერიფ ფაშას, რომელიც სოლომონს აჯანყების დროს უნდა დახმარებოდა, ფირმანი გაცემულია 1811 წლის 5- 14 აპრილს.

საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, მაჰმუდ II-ის გაცემული სიგელი და არზრუმის ვალისა და აღმოსავლეთის მხარეების სერასქირის, ყოფილი ვეზირის აჰმედ ფაშას სახელზე, გამოაქვეყნა ცისანა აბულაძემ.<sup>31</sup> ფირმანში სულთანი სთხოვს აჰმედ ფაშას სასწრაფოდ წამოვიდეს და გაემართოს არზრუმისაკენ. დაუკავშირდეს ხაზინადარ ზადეს, ამჟამად ჭანიკის რაიონის მუჰასილს<sup>32</sup>, სულეიმან ფაშას და არზრუმში მყოფ აჩიკბაშ ხანს<sup>33</sup> - სოლომონს მომეტებული მორჩილებით დაეთათბირეთ.

---

<sup>29</sup>ნოდარ შენგელია, სერგი ჯიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. №3. 1963. გვ. 193.

<sup>30</sup>ემინ ფაშა არზრუმიდან იყო, ის 1810 წლის ბოლოს დაინიშნა ვეზირის რანგით აღმოსავლეთ ანატოლიის მთავარსარდლისა და არზრუმის ვალის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე ოთხ წელიწადს იყო და შემდეგ დაინიშნა დიარბექირის ვალის თანამდებობაზე. სადაც ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

<sup>31</sup>ცისანა აბულაძე. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VII. თბ., 1967. გვ. 165-185;

<sup>32</sup>მუჰასილი - გადასახადების ამკრები და შემგროვებელი.

<sup>33</sup>იგულისხმება იმერეთის მეფე.



საქართველოს მხარეების (რუსის ჯარისაგან) განთავისუფლების ღონისძიებათა სისრულეში მოყვანით, ხსენებული ხანის სამშობლოში და თავის ძველ სამფლობელოში დამკვიდრებასა და ტახტზე დასმას საჩქაროდ, რომ შეუდგეთ”.<sup>34</sup> წერილიდან ჩანს ოსმალეთის სულთნის სურვილი დაეხმაროს სამშობლოდან დევნილ მეფეს და ამისთვის სპეციალურ გეგმას ადგენს. რამდენად ეფექტურად იმოქმედა წერილის ადრესატმა აჰმედ ფაშამ, ჩანს შემდეგში განვითარებული მოვლენებიდან.

მართალია, ოსმალეთის სულთანი და მისი ფაშები ცდილობდნენ სოლომონის დახმარებას და ამით დასავლეთ საქართველოზე თავისი პოლიტიკური გავლენის აღდგენას. ცნობილია ტრაპიზონის ფაშის, სიიდ სულეიმანის წერილები იმერეთის მეფისადმი, რომელშიც დაზუსტებულია ოსმალეთის მხრიდან თუ რა დახმარებას უნდა დალოდებოდა იმერეთის მეფე.

როგორც სხვა წყაროებიდან ვიცით, ახალციხეში თავშეფარებულმა სოლომონმა და მასთან მყოფმა თავადებმა წერილებითა და მოწოდებებით მიმართეს იმერეთის მოსახლეობას და ჯერ კიდევ 1810 წლის ივნისში აჯანყება წამოიწყეს<sup>35</sup>. ოსმალეთის სულთანი ამ ეტაპზეც დაეხმარა სოლომონს და შერიგ ფაშას მიერ მოშველიებული 1000 კაცით სოლომონი ახალციხიდან იმერეთში გადმოვიდა.<sup>36</sup> მიუხედავად დროებითი წარმატებისა, აჯანყება დამარცხდა. მეფემ ხანისწყლის ვიწროებით გაასწრო მოწინააღმდეგეს და ოსმალეთის დახმარების იმედით ისევ ახალციხეში დაბრუნდა.

მთვარამართებელმა ტორმასოვმა მეფეს მოციქულები მიუგზავნა, თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც რუსეთის იმპერატორისაგან შეწყნარებული მეფე ღირსეული პატივისცემით იცხოვრებდა. მაგრამ სოლომონმა, რამდენჯერმე რუსეთისაგან მოტყუებულმა არ ირწმუნა მისი სიტყვები და ახალციხიდან არზრუმში გადავიდა, სადაც სულთნისაგან ჰქონდა მიჩენილი მუდმივი ბინა.

სწორედ ამის შემდეგ პერიოდია აღწერილი სულთნის ზემოთ-ხსენებული ფირმანში რომელიც აჰმედ ფაშასადმი მიწერილი და

<sup>34</sup> ცისანა აბულაძე. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. გვ. 173.

<sup>35</sup> თედო ჟორდანიას. სოლომონ II, მეფე იმერთა (საისტორიო მასალა). გვ. 341-347.

<sup>36</sup> АСКАК Т IV გვ. 295.

ტრაპიზონის ფაშის წერილებში სოლომონისადმი. აღნიშნული დოკუმენტები 1812 წლის აგვისტოდან 1813 აგვისტოს ჩათვლით თარიღდება. სულათანი აჰმედ ფაშას მიმართავს „ყოველი ღონე იხმარონ, რათა სოლომონი სამშობლოში დააბრუნონ და და სამეფო ტახტზე აიყვანონ“.<sup>37</sup>

საგულისხმოა, რომ აღნიშნული დოკუმენტები საბჭოთა პერიოდშია გამოქვეყნებული და მათი მიმოხილვა, ბუნებრივია ატარებს კონიუნქტურის კვალს, მაგალითად დადებითადააა შეფასებული იმერეთის სამეფოს გაუქმება, უარყოფით კონტესტშია განხილული სოლომონის თავდადება სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებისათვის და ა. შ. მაგრამ ბუნებრივია, ჩვენი ავტორები ცენზურის გამო, ვერ ასცდებოდნენ ამ კონიუნქტურას და ჩვენ მაღლიერებაც უნდა გამოვთქვათ, რომ მათ გაბედეს და ამ სახის დოკუმენტები თარგმნეს და გამოაქვეყნეს საბჭოთა ცენზურის პირობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სწორად შეფასა სოლომონის თავდადება ქვეყნისადმი და მას „გმირი მეფე უწოდა“ იყო პროფესორი ილია ტაბალუა. 1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ავტორისეული ეს შეფასება დიდ გამბედაობასთან იყო დაკავშირებული.

მართალია, სოლომონ მეფის მონდომება დაებრუნებინა სამეფო ტახტი და დასავლეთ საქართველო გადაერჩინა რუსეთის ანექსიისაგან კრახით დასრულდა, მაგრამ სოლომონ მეფის, ქართველ მთავართა და ბატონიშვლთა საქმიანობა უთუოდ შედეგს გამოიღებდა, ერთმანეთთან კავშირი და საერთო გეგმა რომ ჰქონოდათ. ეს მისწრაფება ჩანდა, თუმცა არასახარბიელო საერთაშორისო ვითარებამ იმ ეტაპზე მეფე სოლომონს ბრძოლაზე ხელი ააღებინა და საბოლოოდ იძულებული გახდა ოსმალეთისთვის შეეფარებინა თავი, სადაც 1815 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა. იგი სათანადო პატივით იქნა დაკრძალული ტრაპიზონში წმ. გრიგოლის ბერძნული კათედრალური ტაძრის ეზოში. სოლომონის საფლავზე მაშინვე ააგეს ეკვდერი, რომლის მარმარილოს ფილაზე, ძველი ქართული ნუსხური ანბანით ამოკვეთილი იყო წარწერა: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ

---

<sup>37</sup>ცისანა აბულაძე. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. გვ. 168.

დაკდემულ საფლავსა ამას შინა, ტომისგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაცა ვითხოვ შენდობასა. თებერვლის 7. ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“. ამ წარწერის ქვემოთ იკითხება: „საჯენ უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა; სრცხუნოდენ კდემებოდნენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა“. (ფსალმუნნი, მუხლი 34.). ძეგლის აღმოსავლეთით, მისი კარნიზის გასწვრივ ასეთივე წარწერა იყო შესრულებული გამოუცდელი ხელით, როგორც ჩანს იგი შესრულებული იყო ძეგლის დადგმის შემდგომ ხანაში“. <sup>38</sup> 175 წელი განისვენებდა თავისუფლებისათვის მებრძოლი იმერეთის მეფე ტრაპიზონში. მადლიერმა შთამომავლობამ 1990 წელს მისი წამებული ნეშთი პატივით მშობლიურ გელათში გადმოსვენა და საქართველოს მეფეთა ძვალშესალაგში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. იმავე წელს საქართველოს ეკლესიამ კი განსაკუთრებული პატივი მიაგო და წმინდანად შერაცხა.

ჩვენი საკვლევი კითხვის პასუხად, რამდენად იყო დაინტერესებული ბრწყინვალე პორტა ქართველ პოლიტიკოსთა მისწრაფებით, მოეპოვებინათ ნაპოლეონ პირველის მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ, ბაგრატიონთა დინასტიის ხელისუფლების აღსადგენად, როგორც ქართლ-კახეთში, ასევე იმერეთში, ზემოთხსენებული მასალები ადასტურებენ, რომ ოსმალეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა ქართველ მეფე-მთავრებს ხელისუფლების აღსადგენად და ამ თვალსაზრისით სამხედრო დახმარებასაც კი სთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა, მეფე-მთავართა და უფლისწულთა ეპისტოლარული მასალისა და სხვა საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, ჩანს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლის წევრები, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრების პოლიტიკური მოტივაცია და გეგმები არ იყო ერთგვაროვანი. არ არსებობდა საერთო აზრი და საერთო გეგმა სახელმწიფოებრიობის გადარჩენისა და გაერთიანებისთვის. მიუხედავად

---

<sup>38</sup> მიხეილ გონიკიშვილი. იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში. ძეგლის მეგობარი. კრ. 36. თბ., 1974. გვ. 68-70. აღნიშნული პუბლიკაცია ეყრდნობა პ. შუბინსკის აღწერილობას, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნდა.

იმისა, რომ ყველა მათგანი უკმაყოფილო იყო რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკით, მათ ვერ შეძლეს გაერთიანება და საერთო გეგმის შემუშავება, რომლითაც რუსეთის იმპერიის „მათრახისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკას დაუპირისპირდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ოსმალურ-ფრანგულ და ფრანგულ - სპარსული ალიანსზე დიდ იმედებს ამყარებდა და ქვეყნის განთავისუფლებას ამ გზით ფიქრობდა. ცხადია, რომ საფრანგეთის იმპერატორის, ბრწყინვალე პორტისა და საქართველოს მეფეთაგან ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. სრულიად რეალური იყო ოსმალეთის მცდელობა<sup>39</sup>, მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაში ესარგებლა ქართველთა ამ განწყობით, ხელი შეეწყო ნაპოლეონის მიმდინარე გეგმებისთვის და „ტიფლისიდან განგისაკენ მიმართული საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების არმია“; არამარტო ინდოეთის, არამედ რუსეთისკენაც მიემართა. მიუხედავად, ამ მცდელობისა, შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთმა და ოსმალეთმა ვერ შეძლეს რეალური დახმარება აღმოეჩინათ პატარა ქვეყნისთვის, რომელიც ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი მარტივად აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

### ლიტერატურა:

#### BİBLİYOGRAFYA

1. ცისანა აბულაძე. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VII. თბ., 1967.
2. ომარ არდაშელია. ნაპოლეონ პირველის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005;
3. ომარ არდაშელია. თურქეთში წიგნის ბეჭდვის ისტორიის სათავეებთან, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ N2. თბ. 2007
4. მიხეილ გონიკიშვილი. იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში. ძეგლის მეგობარი. კრ. 36. თბ., 1974.

---

<sup>39</sup> ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხზე ოსმალურ დოკუმენტებში გაცილებით მეტი ინფორმაცია იქნება დაცული, რომელიც ქართული მხარისთვის ჯერ კიდევ უცნობია, შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლევები უნდა გაგრძელდეს.

5. ირინე ნაჭყებია. საფრანგეთ - ირანის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი). თბ., 2002.
6. ირინე ნაჭყებია. „საქართველოს საკითხი საფრანგეთის, ინგლისისა და ირანის საგარეო პოლიტიკაში ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის დასაწყისი)“, ქართული დიპლომატია: წელიწდეული, 12, თბ., 2005.
7. თედო ჟორდანიას. სოლომონ II, მეფე იმერეთს (საისტორიო მასალა), თბ-ზუღებათა კრებული. შემდგენელ-რედაქტორი ქეთევან ნადირაძე, თბ., 2011.
8. თედო ჟორდანიას. მეფე სოლომონ მეორის დროის წერილები. „მოამბე“, 1891 NIV.
9. მიხეილ სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ. II, თბ., 2002
10. ილია ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., 1974;
11. ილია ტაბალუა. ფრანგი ისტორიკოსი საფრანგეთსა და იმერეთს შორის ნაპოლეონ I-ის დროს ურთიერთობების შესახებ. „მაცნე“ ისტორიის სერია N47. თბ., 1974.
12. ილია ტაბალუა. ნაპოლეონის პირველი ემისარი საქართველოში. ჟურნალი „განთიადი“, N5. 1982.
13. გურამ შარაძე. თეიმურაზ ბაგრატიონი. ცხოვრება. თბ., 1972;
14. ნოდარ შენგელია, სერგი ჯიქია., ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. N3. 1963. გვ. 193.
15. შოთა ხანთაძე., საინტერესო ქართული ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტეს შესახებ. „დროშა“. 1958. N 9.
16. Correspondance de Napoléon 1er; by Napoleon I, Emperor of the French, 1769-1821. t. XIV. გვ. 4-5.
17. J. de Testa. Recueil des traite's de la Porte Ottomane avec puissances etrangeres t. II. Paris. 1856. გვ. 190-191.
18. А Ф Миллер. Мустафа паша Байрактар. [Оттоманская империя в начале XIX века](#). Москва, 1947;
19. А. А. Цагарели. Грамоти и другие историчесенткие документи XVIII столетия .... Т II. Вып. II. с 1798 по 1801 СПб. 1902. с 203 – 204.
20. АСКАК т IV - Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т IV 1870.
21. Письмо ген. Лазарева ген. Кнорингу от 8 - го марья 1801 года АСКАК т I. Тифлис 1866 с. 329.

1990'lı yıllarında Profesör İlia Tabagua'nın rehberliğinde bir tez üzerinde çalıştığımız I. Napolyon'un doğu politikasını araştırırken dikkatimizi bu dönemdeki Türk-Gürcü ilişkileri konusu çekti. Elimizdeki kaynaklara göre, "aynı inanç sahibi" olan Rus İmparatorluğu'nun küçük Gürcü krallıklarını kademeli olarak ilhak etmesine ilişkin gerçek politikası açıkça görüldü. Buna karşılık, belgeler o zamanki Osmanlı hükümetinin politikalarını da gösterdi. Güney Kafkasya'da Rusya'nın güçlenmesi ve Osmanlı sınırlarına yaklaşması Sultan'ın Sarayı'na yeni bir mesele açtı. Buna göre Osmanlı Devleti, Gürcistan krallığını Rus işgal politikasına karşı olan mücadelesinde desteklemeye çalıştı. Doğal olarak Osmanlı hükümeti Rusya'nın Gürcistan'da yerleşmesiyle Güney Kafkasya ülkelerini kaybedeceğini gördü ve bir sonraki kaybın şüphesiz Kuzey Kafkasya olacağını hissetti.

1990'ların başında tezimizi savunduğumuz dönemde, Sovyet Rus İmparatorluğu'na karşı özgürlük ve devlet bağımsızlığı için mücadele eden Gürcü halkı, 19. yüzyılın başında gerçekten ne olduğunu hala analiz etmemişti. Ortodoks yani Gürcülerle aynı inanç sahibi olan Rusya neden Güney Kafkasya'ya girer girmez Gürcü krallıklarını ortadan kaldırdı ve imparatorluğun fiili bir eyaletine dönüştürdü? Farklı bir inanç sahibi ve büyük bir ülke olan Osmanlı Devleti ise parçalanmış Gürcü krallıklık ve prensliklerine karşı aynı politikayı neden "izlemedi veya izleyemedi"? Bu konu hala ilgi ve tartışmalara yol açıyor.

O zaman bizim için bu çok önemli konu üzerine yeterince kadar durmadık ve yıllar boyunca bu konuya geri dönemedik.

Türk ve Fransız yöneticilere hitap eden Gürcü kralları ve prenslerin mektupları uzun süredir bilim adamlarının (bizler de dahil olmak üzere) ilgisini çekmiştir. Gürcü siyasetçilerinin Bagrationi hanedanlığının yeniden restore edilmesi için Rusya'ya karşı I. Napolyon'dan destek alması konusuyla Devlet-i Aliyye'nin ne kadar ilgilendiği de araştırmanın bir konusu olmuştur.

Bildirimiz<sup>1</sup> ağırlıklı olarak Fransız Dışişleri Bakanlığı'nın "Napolyon'un Doğu Politikası"<sup>2</sup> başlıklı arşivlerine, Gürcü krallarının ve prenslerinin yazışmalarına<sup>3</sup>,

---

<sup>1</sup> Makalede Türk okurlara Gürcü politikacılar hakkında bilgi verilmiştir.

<sup>2</sup> Söz konusu materyal Bay İlia Tabagua tarafından Gürcistan'a getirildi ve bu materyali kullanmaktan mutlu oldumu belirtmek istiyorum. Ne yazık ki bu materyalin bütününe yayınlaması yetiştirilemedi ancak farklı makaleler halinde basılmış durumdadır.

<sup>3</sup> Şota Khantadze, saintereso tsnoba Napoleon onapartes şesakheb. "Droşa", 1958. İlia Tabagua, Sakartvelo-Saprangetis urtiertobebis istoriidan, Tb., 1974, gv. 7-8.

## II Solomon'un<sup>4</sup>, Teimuraz Bagrationi'nin<sup>5</sup> ve Aleksandre Batonishvili'nin<sup>6</sup> Osmanlı Padişahları ile paşalarıyla yazışmalarına<sup>7</sup>, Kafkasya Arkeoloji

<sup>4</sup> II. Solomonn (1772-1815) - 1789-1810'da İmereti Kralıydı, annesi Kartli-Kakheti Kralı II. Erekle'nin kızı idi. II. Solomon, Gürcistan krallıklarını birleştirmeyi amaçlayan siyasi grubu temsil ediyordu. Bu amaçla, 1790'da İmereti, Kartli-Kakheti, Samegrelo ve Guria kralları ile prensleri ortak düşmanlarına karşı askeri bir ittifak kurdukları için "Iverialılar Antlaşması"nı imzaladılar ve bununla birlikte Kartli-Kakheti Kralı II. Erekle'nin üstünlüğünü ve himayesini kabul ettiler. Gürcü siyasetinde 18. ve 19. yüzyılların başında II. Solomon Rusya'nın Gürcistan'a karşı gizli niyetlerini keşfeden ve Gürcüleri bu konuda uyararak ilk kişi oldu. Solomon, Osmanlı, İran ve Fransa'nın Rusya ile olan gergin siyasi ilişkilerden yararlanmak istedi ve Kartli-Kakheti Krallığı'nın kaldırılmasından sonra, İmereti krallığını ve Batı Gürcistan'ın beyliklerini Rusya'dan kurtarmayı düşünüyordu. Uzun ve özverili bir mücadeleye rağmen, II. Solomon Batı Gürcistan krallık ile prensliklerini kurtaramadı. Çünkü sadece Abhazya Prensi Aslan Bey Şervaşidze ona destek verdi. Solomon, Rusya ile bir savaşta yenildi ve savaşa devam etmek için yeniden Osmanlı'ya taşındı. Fakat 1815'te, 43 yaşında Trabzon'da vefat etti.

<sup>5</sup> Teimuraz Bagrationi (1782-1848) - tarihçi, yazar, St.Petersburg İmparatorluk Bilimler Akademisi'nin Fahri Üyesi, Paris Asya Topluluğu ve Kopenhag Kraliyet Eski Eserler Derneği Üyesi ve tanınmış bir kişi olup Kartli-Kakheti'nin son kralı XII. Giorgi'nin oğludur. Teimuraz, Rusya'nın Gürcistan'da yerleşmesine karşı çıkardı. Kartli-Kakheti Krallığı'nın ortadan kaldırılmasından sonra 1810 yılına kadar İran'da yaşadı ve buradan Fransa, İran ve Osmanlıların yardımıyla Gürcistan'ı Rusya'dan kurtarmaya çalıştı. 1810 yılında memleketine döndü ve St.Petersburg'a gönderildi, ardından tüm hayatını bilime adadı. 1829'dan itibaren kendini onun öğrencisi olarak gören Fransız Kartvelolog Marie Brosset ile işbirliği yaptı. Teimuraz Batonishvili, Brosset ile birlikte St. Petersburg'da Kartveloloji okulunu kurdu. Tarihi eserleri arasında "Başlangıçtan beri İberia'nın yani Georgia'nın yani bütün Gürcistan'ın Tarihi"nden özel dikkatimizi çekmektedir. Bu eserde Gürcistan tarihi Ortadoğu, Gürcü, antik (Greko-Romen) ve Ermeni kaynakları dikkate alınarak tartışılmıştır (daha fazlası için bkz: Guram Şaradze, Teimuraz Bagrationi. Tskhovreba, Tb., 1972). Teimuraz Bagrationi, Greko-Romen tarihi kaynaklarına dikkat eden ve bu kaynakların verilerini dikkate almadan Gürcistan tarihini tanımlamanın imkânsız olduğunu belirten ilk tarihçiydi. Lela Mikiashvili başka bir tarihi eser olan "Yeni Tarih'in Teimuraz Bagrationi'ye ait olduğu görüşündedir. Ancak, bize göre, bu eserlerin yazım dili ve metodolojisi Teimuraz Bagrationi'nin tarzından çok farklıdır. Teimuraz Bagrationi Rusya'da öldü ve mezarı St.Petersburg'daki Aleksander Nevsky Manastırı'da bulunmaktadır.

<sup>6</sup> Alexandre Bagrationi (1770-1744) - Kartli-Kakheti Kralı II. Erekle'nin oğludur. Siyasetçi ve düşünürdür. Kraliyet sarayında Rusya'ya karşı en uzlaşmaz savaşçıdır. 1812'de Rusya'ya karşı Kakheti ayaklanmasının ikinci aşamasına önderlik etti. 1826-1828 Rus-İran Savaşın'a İran'ın yanında katıldı. Rusya'nın savaştaki zaferinden sonra ise ailesi ile birlikte Osmanlı'ya sığındı. 1832 komplosunun katılımcıları onu Gürcistan kralı olarak davet etmeyi amaçladı. İran'da vefat etti, mezarı Tahran'da bulunmaktadır.

<sup>7</sup> Tsisana Abuladze, otkhi turquli dokumenti imeretis mepis solomon II-is şesakheb. Tbilisis sakhelmtsipo universitetis şromebi, t. 121. Ağmosavlet sakartvelos seria VII, Tb., 1967, gv. 165.

Komyonu'nun kayıtları ile Gürcü, Rus ve Fransız tarihçilerin görüşlerine dayanmaktadır.

1798'de I. Napolyon tarafından başlatılan Mısır hareketinin ardından, Osmanlılar kendilerini İngiltere, Rusya ve Avusturya ile birlikte Fransız karşıtı bir koalisyonda buldular ve Aralık 1798'de İngiltere ve Rusya ile ittifak yapıp 12 Eylül 1798'de Fransa'ya savaş ilan ettiler. Napolyon, Küçük Asya'ya yapılan başarılı bir seferden sonra Akra'yı ele geçirememiş olsa da Gazze, Yafa, Hayfa ve Al-Arişialdi aldı ve Akra kalesine dayandı. Sonunda, birkaç zaferden (Heliopolis Savaşı) ve o zamanki uluslararası arenada değişen durumdan faydalandı ve Osmanlı Sultanı ile ilişkilerini yeniden iyileştirdi. Başarılı askeri diplomatik hamlelerle kısa sürede Osmanlılarla ilişkilerini iyi yönde geliştirmeyi başardı. Bu değişim iki sebebe bağlanabilir. Birincisi İngiltere'nin Mısır'daki faaliyeti, ikincisi ise Rusya'nın Güney Kafkasya ülkelerindeki faaliyetleri ve bunun da Osmanlıların siyasi çıkarlarıyla çatışması oldu.

25 Haziran 1802'de Paris'te Fransa ile Osmanlılar arasında bir barış anlaşması imzalandı. Buna göre Fransa, İngiltere'nin itirazlarına rağmen 1798 yılına kadar sahip olduğu ticaret ayrıcalıklarına yeniden kavuştu. 1802 sonbaharında Napolyon, Fransa Dışişleri Bakanı Talleyrand ile gizli görüşmeler yapan Büyükelçi Halib Reis Efendi'yi<sup>8</sup> Paris'e davet etti. Bu müzakerelerin temel amacı Osmanlı-Rus ittifakını bozmak ve bir Fransız-Osmanlı ittifakını kurmaktı.

Bunun dışında, Napolyon bu dönemde Bağdat'taki Fransız konsolosu Jean-François Rousseau tarafından tasarlanan ve Fransa, İran ve Afganistan koalisyon birliklerinin katılımıyla Hindistan'a bir sefer yapma planına ilgi duydu. Bu plan Fransız imparatorunun niyetleriyle tamamen örtüşüyordu<sup>9</sup>. Bu çalışmayla Napolyon'un doğu politikasında yeni bir aşama başladı. Hindistan ve Rusya'ya olan ilgisinden dolayı, Osmanlılar ve İran ile olan ilişkilerine özel önem verdi ve bu bağlamda Gürcistan meselesi, Napolyon'un doğu politikasında yer aldı<sup>10</sup>.

Bu arada 1805'te tekrar Napolyon'a karşı Rusya, İngiltere, İsveç, Danimarka, Prusya ve Avusturya'dan oluşan bir koalisyon kuruldu. Osmanlılara gelince, bu sefer koalisyona dahil olmadılar. 1803'ten itibaren, Osmanlı İmparatorluğu'ndaki Fransız diplomatik misyonuna General Guillaume Marie Ann Bruni başkanlık

---

<sup>8</sup> Halib Efendi yani Mehmed Seyyid Galib Paşa (1763/1764 – 1829) – Osmanlı devlet memuru, 1802'de Paris Antlaşması'nı Napolyon ile imzalayan ve böylece Mısır ve Suriye'deki Fransız harekâtını sona erdiren kişidir.

<sup>9</sup> İrine Naçkebia, sakartvelos sakitkhi saprangetis, inglisisa da iranisa sagareo politikaşi napoleonisa ağmosavluri politikis kontekstşi (XIX saukunis dasatskisi), kartuli diplomatia, t. 12, Tb., 2005, gv. 64.

<sup>10</sup> Omar Ardaşelia, napoleonisa ağmosavluri politila da sakartvelo, Tb., 2005, gv. 33-134.



etti<sup>11</sup>. Asıl amacı Napolyon'un Osmanlılarla daha önce olan dostça ilişkilerini düzeltmek ve Rusya'ya karşı çıkmaktı.

Burada Fransa'nın Osmanlı Sultanına Rusya ile savaş halinde kayıp toprakları geri vereceğine söz vermesi dikkat çekicidir<sup>12</sup>. Bununla birlikte, Osmanlı Padişahı III. Selim'in<sup>13</sup> girişimiyle 1804'te Osmanlı ile Rusya arasında İttifak Antlaşması'nın uzatılması için bu iki devlet arasında müzakereler yeniden başladı. Ancak Rusya'nın, Osmanlı himayesinde bulunan Batı Gürcistan da dahil olmak üzere Güney Kafkasya toprakları üzerine daha geniş kapsamlı planları vardı. Bu nedenle ittifak anlaşmasının imzalamasını uzatıyordu. Bu işi ayrıca Fransız diplomatları da

---

<sup>11</sup> Guillaume Marie-Anne Brune (1763 -1815) = Fransız askeri komutanı, Fransız İmparatorluğu'nun mareşali ve Fransız Devrim Savaşları ve Napolyon Savaşları sırasında görev yapan siyasi bir figür. 1802'de Napolyon Bruni'yi İstanbul'a büyükelçi olarak gönderdi. İki yıllık diplomatik hizmeti sırasında Fransa ile İran arasında diplomatik ilişkiler başladı. 1815'te "beyaz terörün" kurbanı oldu.

<sup>12</sup> Omar Ardeşelia, napoleon pirvelis ağmosavluri politika da sakartvelo. Tb., 2005, gv. 26.

<sup>13</sup> III. Selim (1761 – 1807) – 1789-1807 yıllarda Osmanlı Sultanı. Sultan III. Mustafa ile Mihrişah Sultan'ın oğlu. Selim'in annesi Mihrişah Sultan aslen Gürcistanlı ve bir din adamının kızı idi. Osmanlı'da ona "Gürcü güzeli" adını vermişlerdi. Sakin ve hayırsever bir bayandı. Valide Sultan olduğunda, eğitim faaliyetlerinde bulundu, devlet okullarının kurulmasına ve reformlara katıldı. Selim annesini çok sevdi, sık sık onunla konuşup devlet işlerini tartıştırdı, yine de Mihrişah Sultan devlet işlerine hiç karışmazdı. Selim'in babası Osmanlı Sultanı III. Mustafa Osmanlı tarihinin en eğitilmiş sultanlarından biriydi. Osmanlı'da reformlara özellikle de askeri reformlara ihtiyaç olduğuna inanıyordu. Orduda yeni askeri düzenlemeler yaptı, deniz ve topçu akademilerini açtı. Sultan III. Selim babasının işlerini takip etti. İktidara geldikten sonra reformlara başladı. Çeşitli engellere rağmen (1787-1791'de Rusya ve 1798-1802'de Fransa ile savaş), Selim Avrupa kaidelerine göre ülkesini kısmen modernleştirmeyi başardı, idari sistemini değiştirmek için liberal reformlar gerçekleştirdi, Yeniçeri Ocağı'nın ayrıcalıklarını kısıtladı. İktidarı döneminde başta Fransızlar olmak üzere Avrupalı yazarların askeri ilişkiler, matematik ve diğer insani bilgi alanlarıyla ilgili çalışmaları Türkçeye çevrildi.

1792'de verdiği izinle Türk matbaası faaliyete yeniden başladı. Sultan Selim laik sanat ve şiirden etkilenmişti. Selim, Fransız General Sebastian'ın yardımıyla Nizam-i Cedid'i başlattı ve Avrupa örgütlü bir ordu kurdu. Bütün bunlar kamusal yaşamın diğer alanlarını kapsamak zorunda olan bir dizi reformlardı. Ancak, İmparatorluk toplumu bu yenilikleri hazırlıksız karşıladı. Nizam-i Cedid ordusunu özellikle desteklemediler. 1807'de onu tahtından indirden ve amcası oğlu olan IV. Mustafa'yı (1807-1808) sultan ilan eden ve Selim'e karşı olan gizli bir grup kuruldu. Selim'in reformlarını destekleyenler İstanbul'u ele geçirip tekrar Selim'i kral yapmaya çalışan Mustafa Paşa Bayraktari'nin etrafında toplandılar. Ancak Selim, Mustafa IV'ün emriyle öldürüldü. IV. Mustafa devrildi ve II. Mahmud (1808-1839) tahta geçti. Mustafa Paşa Bayraktar ise sadrazam oldu. II. Mahmud, Selim'in başlattığı reformlara devam etti (M. Svanidze. Osmaletis İstiria II, (1600-1923), Tb., 2002. Gv. 115-134; Миллер А. Ф., Мустафа паша Байрактар. Оттоманская империя в начале 19 в., М.-Л., 1947; Omar Ardeşelia. Turketşi tsignis beçdvis istoriss sataveebtan, jurnali "kulturataşorisi komunikatsiebi" N2, Tb., 2007; Omar Ardeşelia. Turquli renesansis dasatskisi, ssu sakartvelos istoriisa da etnologiss instituti, krebuli Mari Brose-210. Tbilisi, 2012, gv. 186-193)

bozuyorlardı -söz konusu anlaşmanın devam ettirilmemesi için kalkmışlardı. Buna rağmen, 11 Eylül 1805'te Rusya ile Osmanlılar arasında İttifak Antlaşması imzalandı. Ancak çok kısa sürdü, çünkü 1806'da Osmanlı ile Rusya arasında savaş başladı<sup>14</sup>.

Napolyon bundan yararlandı ve 1 Aralık 1806'da III. Selim'e şunları yazdı: "Ülkeyi Rus saldırganlığından korumak ve Rusya'ya meydan okumak için iyi bir zaman geldi"<sup>15</sup>. Aynı zamanda Fransa'nın İstanbul Büyükelçisi François Sebastian'a Türkiye ile gizli bir askeri ittifak kurma yetkisi verildi<sup>16</sup>. İmparator elçisine "Devleti Aliyye'yi kısır döngüden çıkarmak için her fırsatı kullanın" diye yazdı<sup>17</sup>.

Bu aşamada, Fransız diplomasisi temel olarak Fransa, Osmanlı ve İran arasında bir "dostluk ittifakı" yaratmaya odaklandı. Bu durum sayesinde Napolyon'un "Büyük Oryantal Projesi" gerçekleştirilecekti. Napolyon'un İran, Osmanlı ve Fransa'nın güçlerini Rusya'ya karşı birleştirme planları İran Şahı'na yazdığı "Üçümüz aynı fikirde olmalı ve sonsuz bir bağlantı kuralmalıyız" gibi sözlerinden anlaşılmalıdır. Napolyon, İran Şahı'na onlardan (Ruslardan O.A) "Gürcistan'ı ve imparatorluğunuzun eski parçaları olan tüm eyaletlerini geri al" şeklinde hitap etti.

<sup>28</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri. 05.02.1920-ci il tarixli əmr // ARDA, f.28, siy.1, iş 71, v.39.

<sup>29</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri // ARDA, f.28, siy.1, iş 100, v.95.

რეკომში უფლებამოსილ რწმუნებულად დაინიშნა მ.ხალილოვი. მირზა-დავუდ რასულზადე კი მის მოადგილედ გადაიყვანეს.<sup>30</sup>

1921 წლის მარტში ჰუსეინოვის ხელმოწერილი ბრძანებით, საქართველოში აზერბაიჯანის საკონსულოს თანამშრომლების რიცხვი შემცირდა და შემდეგ კი საერთოდ გაუქმდა.<sup>31</sup> აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა კომისარიატის 31 მარტის ბრძანებებით ნომრით 264/18 და 552/19, უფლებამოსილი წარმომადგენლობის თანამშრომლებს ხელფასების კვარტალური დანამატი მიეცემოდათ. სპეციალური ბრძანებით გათავისუფლებული თანამშრომლები დახმარებას ვერ მიღებდნენ (დამოუკიდებლობის მომხრე პირები - მ.ქ.)<sup>32</sup>

მ.ხალილოვის 1921 წლის 23 აპრილის ბრძანებით ნომერი 713/20, უფლებამოსილი წარმომადგენლობის თანამშრომელთა რიცხვი ხუთამდე შემცირდა. ფორმების გამცემი განყოფილების ხელმძღვანელი, განყოფილების მდივანი, უფლებამოსილი წარმომადგენლობის ბუღალტერი, მცველები და ეკონომისტები. მანამდე ამ პოზიციებზე მხოლოდ აზერბაიჯანელები მუშაობდნენ და მათ ადგილზე შემდეგი პირები დაინიშნენ: სირანუშ შევერდოვა, ვარვარა ჯაფარიძე, არტაშეს სანტურიანცი, ჰალილ ალიოღლუ და ზიფეთ მირზაიევა. როგორც ვხედავთ, მათგან მხოლოდ ორია აზერბაიჯანელი. მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებით გარკვეული ცვლილებები მოხდა და თანამშრომელთა რიცხვი ექვსამდე გაიზარდა.<sup>33</sup> 1921 წლის 16 ივნისს მ.ხალილოვმა აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა კომისარიატში წერილი გააგზავნა და თანამშრომლების გაორმაგება ითხოვა. თუმცა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს. კომისარიატიდან მიღებული პასუხში განმარტებული იყო: „თანამშრომელთა გაზრდის საშუალება არ გვაქვს“.<sup>34</sup>

ამ პერიოდში ცენტრი არ იყო დაინტერესებული საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების დამყარებით, რის გამოც ხელს უშლიდა და სირთულეებს უქმნიდა წარმომადგენლობების მუშობას. მაგალითად, თბილისში მოქმედი ოფისი ვერ იღებდა ინფორმაციას აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ზოგიერთი უფლებამოსილი პირიც აზერბაიჯანში, წარმომადგენლობის საქმიანობას უსარგებლოდ თვლიდა. ამბობდნენ, რომ მისიის გაგრძელება

---

<sup>30</sup> Yenə orada.

<sup>31</sup> Yenə orada, v. 15.

<sup>32</sup> Yenə orada, v. 26.

<sup>33</sup> Yenə orada, v.27.

<sup>34</sup> Yenə orada.

გამოიწვევდა გარკვეულ ფინანსურ დანაკარგებს. ყველა ამ მიზეზის გამო, ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით 1921 წლის 8 დეკემბერს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ნერიმან ნერიმანოვს გაეგზავნა წერილი წარმომადგენლობის გაუქმების შესახებ. ნ.ნერიმანოვმა ამ წერილს წააწერა შემდეგი: „ამხანაგ ანდრეევს (აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილე - მ.ქ.). გააკეთეთ, რაც საჭიროა“.<sup>35</sup> ამის შემდეგ თბილისში წარმომადგენლობაში გაგზავნილი ტელეგრამით შემდეგი ინსტრუქცია გადასცეს: საჭიროა წარმომადგენლობის თანამშრომლებს გადაუხადოთ ნახევარი თვის ხელფასი. წარმომადგენლობის ავტომობილი, საბეჭდი მანქანა, ქაღალდის მარაგი, საკანცელარიო და სხვა ფასეული ინვენტარი არ მისცეთ არავის. იგი უნდა გადაიგზავნოს ბაქოში საგარეო საქმეთა კომისარიატის განკარგულებაში.<sup>36</sup>

1921 წელს აზერბაიჯანის სსრ-მ ბათუმის რეგიონში საკონსულო გააუქმა და მის ნაცვლად უფლებამოსილი წარმომადგენლის თანამდებობა დააარსა. 13 დეკემბერს ამ პოსტზე რაშიდ ისმაილოვი დაინიშნა.<sup>37</sup> მისი უმთავრესი მოვალეობა იყო ბაქოში გადაეგზავნა თურქული და ევროპული პრესა.<sup>38</sup> 23 დეკემბერს საკონსულომ საქმიანობა ოფიციალურად შეწყვიტა. საგარეო საქმეთა კომისარის მიერ 25 დეკემბერს ბათუმში სრულუფლებიან წარმომადგენელ ანდრეევთან გაგზავნილ წერილში იუწყებოდა, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენლობა 20 დეკემბრიდან დაკეტილი იყო.<sup>39</sup> საკონსულოს დახურვის სამუშაოები 28 დეკემბერს დასრულდა და 31 დეკემბერს თანამშრომლები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.<sup>40</sup>

საბჭოთა რუსეთის ინსტრუქციის თანახმად 1922 წლის მარტში საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია ჩამოაყალიბეს. მოგვიანებით, 1922 წლის

---

<sup>35</sup> Azərbaycan SSR-in Gürsüctandakı səlahiyyətli nümayəndəliyinin ləğvi barədə Azərbaycan SSR XKS sədri N. Nərimanova göndərilən məktub. 08.12.1921 // ARDA, f.28, siy.1, iş 75, v. 286.

<sup>36</sup> Yənə orada, v. 288.

<sup>37</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri // ARDA, f.28, siy.1, iş 144, v. 4.

<sup>38</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri // ARDA, f.28, siy.1, iş 75, v. 298.

<sup>39</sup> Batumdakı səlahiyyətli nümayəndəlikdən Azərbaycan SSR xalq xarici işlər komissarının müavini Andreyevə göndərilən məktub // ARDA, f.28, siy.1, iş 75, v. 289.

<sup>40</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri // ARDA, f.28, siy.1, iş 164, v. 3; iş 165, v. 4.

აპრილში ბათუმში რ.ისმაილოვის უფლებამოსილი წარმომადგენლის ოფისი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს და საქართველოში უფლებამოსილ წარმომადგენელს ალიევს გადაეცა.<sup>41</sup> 1922 წლის 14 მაისს სხდომაზე, რომელსაც გ.მუსაბეიოვი ხელმძღვანელობდა, მეცხრე საკითხად განიხილეს ბათუმში აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობის, რომელსაც რ.ისმაილოვი წარმოადგენდა, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ბათუმში ეკონომიკურ წარმომადგენლობად გადაკეთება. მიღებული გადაწყვეტილებით, ბუხარას საბჭოთა რესპუბლიკის გარდა გაუქმდა აზერბაიჯანის ყველა დიპლომატიური მისია.<sup>42</sup> ამგვარად დასრულდა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი ურთიერთობა საქართველოსთან.

ამ მიზეზით, ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ დიდი წარსულის მქონე ქართულ-აზერბაიჯანული 1918-1920 წლებში სტრატეგიულ მიზნებს ემყარებოდა. ცნობილი აზერბაიჯანელი მცერლისა და დიპლომატის იუსუფ ვეზირ ჩემენზემინლი თავის სტატიაში „საქართველო და ჩვენ“ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის შესახებ წერს: „საქართველოსთან ჩვენი მეგობრობა ყველაზე ბუნებრივია. ჩრდილოეთიდან რუსული საფრთხე და სამხრეთიდან არსებული ინტრიგები ქართველებს და აზერბაიჯანელებს აიძულებს ახლო მეგობრები იყვნენ... საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთივე ძვირფასია, როგორც ჩვენი“.<sup>43</sup>

---

<sup>41</sup> Azərbaycan SSR Xalq Xarici İşlər Komissarlığının Sənədləri //ARDA, f.28, siy.1, iş 164, v. 5-6.

<sup>42</sup> Azərbaycan SSR Xalq Komissarları Sovetinin İclas Protokolu. 14.05.1922 // ARDA, f.28, siy.1, iş 85, v. 30.

<sup>43</sup> Çəmənzəminli Y. Xarici Siyasətimiz. Bakı, 1993.

# ერია თუ არა თეიმურაზ I გიორგი სააკაძის მკვლევლობაში?

პროფესორი ელდარ მამისტვალიშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

## მოკლე შინაარსი

თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას (1655-1716) გადმოცემით, დიდვაზირმა ხუსრევ ფაშამ გიორგი სააკაძე სულთან მურად IV-სთან შეთანხმების გარეშე, იმიტომ მოაკვლევინა, რომ იგი საქართველოში გაქცევას აპირებდა. წინა ამბებს თუ გადავხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაქცევის მოტივაცია თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ყოფილიყო. თუმცა, ფორმალურად ის სულთანს ჯარს სთხოვდა ყიზილბაშების საქართველოდან გასადევნად.

სულთანის ფირმანიდან ვიგებთ, რომ სააკაძეს დაეხმარებოდნენ საქართველოს მხარეების მმართველები და ემირები და ოსმალეთის აღმოსავლეთი პროვინციების ჯარები. სააკაძისთვის დახმარება ებრძანა ანატოლიის, არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაიეთში მყოფი ანიჩრების მეთაურებს. ბრძანებები გაეგზავნათ აგრეთვე დაღესტნის მმართველებს, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფე-მთავრებს.

ფირმანიდან ჩანს, რომ სულთანმა სააკაძეს ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნას უპირებდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, სააკაძეს სურდა თეიმურაზის წინააღმდეგ ომი. მის მიერ თეიმურაზთან განცდილი მარცხი ბაზალეთის ბრძოლაში (მანამდე ის იმერეთის მეფეს გიორგი III-ს სთავაზობდა ქართლ-კახეთში მისი შვილი ალექსანდრე გაემეფებინა), გამარჯვებებს შეჩვეული ამბიციური მხედართმთავრისათვის მოუშუშებელ ჭრილობას წარმოადგენდა და შურისძიების სურვილი ექნებოდა.

თეიმურაზ I-ს, ბაზალეთის ბრძოლა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც მოსკოვში განაცხადა, რომ იმ ბრძოლაში თეიმურაზ მეფეს ღმერთი შეეწია და მოლაღატე (საკაძე \_ ე.მ.) დაამარცხა. „ის მოლაღატე (საკაძე \_ ე. მ.) ბრძოლიდან გაიქცა თურქების (სულთანთან \_ ე.მ.) და თურქების სულთანის ღალატის და დადიანის სახელმწიფოში გაქცევა უნდოდა. როცა ეს შეიტყო ვაზირმა, იგი სიკვდილით დასაჯა“.

თუ გავითვალისწინებთ შაჰ აბას I-ის სიკვდილის შემდეგ ირანში მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ, მას, რომ ხელისუფლებაში მოვიდა გიორგი სააკაძის ფავორიტი, ისპაანის ტარულა, ხოსრო-მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომი, 1633-1658), რომლის კარიერულ აღმასვლაში

გადამწყვეტი წვლილი ჰქონდა დიდ მოურავს, შეიძლება დაშვება, რომ მისი პოლიტიკური ორიენტაცია გადაიხარა ირანისკენ. იმ დროს ეს იმდენად სერიოზული ბრალდება იყო, რომ ბრალდებულის სიკვდილით დასჯა „ნორმალურად“ ჩაითვლებოდა.

არსებული მასალები და თეიმურაზ მეფის ურთიერთობა ოსმალეთის სახელმწიფოსთან აჩენს ვარაუდს, რომ ის, გარკვეული გაგებით, მომხრე მაინც იქნებოდა გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის.

**საკვანძო სიტყვები:** თეიმურაზ I, გიორგი სააკაძე, ოსმალეთი, ირანი, მუსტაფა ნაიმა.

## **I. TEİMURAZ’IN GİORGİ SAAKADZE’NİN ÖLDÜRTMESİNDE BİR KATKISI VAR MIYDI?**

**Prof. Dr. Eldar MAMİSTVALIŞVİLİ**  
**Gori Devlet Eğitim Üniversitesi**

### **ÖZ**

Türk tarihçisi Mustafa Naima’ya (1655-1716) göre Sadrazam Hüsrev Paşa’nın Padişah IV. Murat’la görüşmeden Giorgi Saakadze’nin öldürtmesinin sebebi, Giorgi’nin Gürcistan’a kaçma niyetinde olmasıydı. Bu olaydan daha önceki gelişmelere bakarsak Giorgi Saakadze’nin Gürcistan’a kaçış sebebi Kral Teimuraz’a karşı çıkaracak bir savaş olabilirdi. Ancak, o resmi olarak padişahın İranlıları Gürcistan’dan ihraç etmek için bir ordu talep etmişti.

Padişah’ın fermanından anlaşıldığı gibi Giorgi Saakadze’ye bu konuda Gürcistan’ın farklı bölgelerinin yöneticileri ile emirleri ve Osmanlı Devleti’nin doğu bölgelerinin askeri birlikleri yardım edeceklerdi. Saakadze’ye yardım etmek için gerekli emir fermanları Anadolu, Erzurum ve Trabzon Vilayetlerinde bulunan yeniçeri birliklerinin komutanlarına, Dağıstan yöneticilerine, Guria, Samegrelo ve İmereti Kral ile Prenslarına gönderildi.

Fermandan anlaşıldığı kadarıyla Padişah Saakadze’yi İranlılara karşı göndermek niyetindeydi. Saakadze’nin Teimuraz’a karşı savaşmak istediği de kesin olarak söylenebilir. Bazaleti savaşında Teimuraz’a karşı kaybettiği savaş zaferlere alışmış komutan Giorgi için iyileşmemiş bir yara idi ve bu yüzden kendisi bir intikam almak niyeti olabilirdi.

Anlaşıldığı kadarıyla, Kral I. Teimuraz’ın Moskova’da “O savaşta Rabbi Kral Teimuraz’a yardım etti ve haine (Saakadze – E.M.) galip geldi. Bu hain (Saakadze – E.M) savaşın Türklerin (Padişah’ın - E.M.) yanına kaçtı ve daha sonra Padişah’a hile

etmek ve Dadian Ülkesi'ne kaçmak da istedi. Sadrazam bunu öğrendiğinde öldürttü” gibi bir açıklamada Bazaleti savaşından bahsetmiş olsa gerekir.

Şah I. Abbas'ın vefatından sonra İran'da pek çok siyasi değişiklikler vuku buldu. İran'daki olaylardan sonra iktidar Giorgi Saakadze'nin yakın adamı ve başarılarında kendisinden fazlasıyla destek alan İsfahan valisi Hüsrev Mirza'nın (daha sonra Kartli Kralı Rostom) eline geçti. Bu yüzden Giorgi Saakadze'nin siyasi sempatisi İran lehine çevrilebilirdi. Olasılığı yüksek olan bu ciddi suçlamayı göz önünde bulundurursak Giorgi Saakadze'nin ölümle cezalandırmasının sebebinden birisini de tespit etmiş oluruz.

Eldeki malzemelerden tahmin ettiğimize göre Teimuraz, Osmanlı Devleti ile ilişkilerinden dolayı Giorgi Saakadze'nin ölümle cezalandırmasına taraftar olmuştur.

**Anahtar Kelimeler:** I. Teimuraz, Giorgi Saakadze, Osmanlı Devleti, İran, Mustafa Naima.

## **WAS TEIMURAZ I INVOLVED IN THE MURDER OF GIORGI SAAKADZE?**

**Prof. Dr. Eldar Mamistvalishvili**  
**Gori State Teaching University**

### **ABSATRACT**

According to Turkish historian, Mustafa Naima (1655 – 1716), Grand Vizier Hüsrev Pasha had Giorgi Saakadze put to death without any agreement with the Sultan Murad IV, because Giorgi Saakadze was going to flee to Georgia. If we look through the prior events we can assume that the motivation to escape could have been the fight against King Teimuraz. Though, in fact, he was asking the Sultan the army to kick out Kizilbashs or “Red Heads” from Georgia.

We learn from the Sultan's order that the Governors of parts of Georgia, Emirs and the armies of eastern provinces of Ottoman Empire would have helped Giorgi Saakadze. The order to help Saakadze was given by the Janissaries that stood in Anatoli, Erzurum and Trebizond Vilayet together with their Commanders. The order was also sent out to Dagestani Governors, to the Kings of Guria, Samegrelo and Imereti.

It is clear from the order that the Sultan was going to send Saakadze to fight against Kizilbashs or “Red Heads”. It is obvious that Saakadze was willing to fight against Teimuraz. The failure, which he experienced with Teimuraz at the Battle of Bazaleti (before that Giorgi Saakadze was asking King of Imereti, Giorgi III, to let his son, Aleksandre, reign in Kartli-Kakheti) was like a non-healing wound for the ambitious Commander-in-Chief, who was used to victories, and now, longed for revenge.

Teimuraz I who meant the Battle of Bazaleti announced in Moscow that “King Teimuraz was supported by God in that battle and traitor (Saakadze) was defeated. The traitor (Saakadze) fled from the Battle to the Turkish Sultan, and he wished to

betray the Turkish Sultan and escape to Dadiani State. When Vizier found out about it, he put him to death”.

If we take into consideration the changes that occurred in Iran after the death of Shah-Abbas I, particularly the fact that Giorgi Saakadze`s favourite, Khosrow Mirza, Governor of Isfahan (later Rostom, King of Kartli (1633 – 1658)) came to power, whose career growth was significantly dependent on Grand Mouravi, it is possible to assume that his political orientation was that of Iran. At the time it was such a serious charge, that to sentence the accused to death was considered “normal”.

The existing materials and the relations of Teimuraz I with the Ottoman Empire make assumptions that, to some extent, Teimuraz could have been a supporter of sentencing Giorgi Saakadze to death.

**Key words:** Teimuraz I, Giorgi Saakadze, Ottoman Empire, Iran, Mustafa Naima.

1612 წელს გიორგი სააკაძემ, მეფე ლუარსაბ II-თან და ქართლის მსხვილ ფეოდალებთან დაპირისპირების გამო, წავკისის შეთქმულების შემდეგ (20 მაისი) მიატოვა ქართლი და თავის ოჯახთან და ერთგულ ადამიანებთან ერთად ირანში, შაჰ აბას I-თან შეაფარა თავი.

საკადის გარშემო თავი მოიყარეს ირანში გადახვეწილმა თეიმურაზ I-სა და ლუარსაბ II-ს მმართველობით უკმაყოფილო კახელმა და ქართლელმა დიდებულებმა და, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, მათ ურჩიეს და კიდევ დაარწმუნეს შაჰ აბას I, გაელაშქრა ქართლისა და კახეთის სამეფოების დასაპყრობად<sup>1</sup>. როგორც მეფე არჩილ II თეიმურაზს ათქმევინებს, ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც შაჰის მოთხოვნის შესაბამისად, თეიმურაზს ირანში შვილების გაგზავნას ურჩევდნენ და გააგზავნიეს კიდევ. მათი ტრაგიკული ხვედრი ცნობილია. ის დიდებულები დაჟინებით მოითხოვდნენ, თეიმურაზიც ხლებოდა შაჰს<sup>2</sup>.

საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ 1610 წელს არდებილში შაჰ აბასთან აუდიენციის დროს, რომელსაც ლუარსაბ მეფე ესწრებოდა, თეიმურაზს უთქვამს, რომ ის „ზოგიერთ ქართველ აზნაურზე ცუდი შეხედულებისა იყო“<sup>3</sup>. არ ჩანს, რომ თეიმურაზს მხოლოდ კახელი აზნაურები ჰყავდა მხედველობაში. ცხადია, რომ მან, როგორც თავისი,

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. სარგის კაკაბაძის გამოცემა // საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი, 1925, გვ. 229, 233-234.

<sup>2</sup> არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტრ. 459, 462.

<sup>3</sup> ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ // სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურაძემ, თბილისი, 1969, გვ. 76-77



ისე ლუარსაბის სახელით უკმაყოფილება გამოთქვა ირანში თავშეფარებული ქართველი თავადაზნაურების მიმართ. თეიმურაზი უკმაყოფილო იყო მათი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით. სავსებით მოსალოდნელია, ის გულისხმობდა პროირანულად განწყობილ იმ ფეოდალებსაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, თავიანთი კეთილდღეობით შაჰზე იყვნენ დამოკიდებულნი და კახეთისა და ქართლის სამეფოში მეხუთე კოლონას ქმნიდნენ, შაჰის მხარდაჭერით ახდენდნენ ზეწოლას, როგორც ქართლის ისე კახეთის მეფეებზე. როდესაც საყვედურს გამოთქვამდა, მეფე თეიმურაზს, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა ჰყოლებოდა ირანს თავშეფარებული ბატონიშვილები: ქართლის მეფე სვიმონ I-ის ძმის, დაუთ-ხანის შვილები - ბაგრატ მირზა და ხოსრო მირზა, იქვე იყვნენ გიორგი სააკაძის ძმა, მისი რამდენიმე ნათესავი, ერთ-ერთი მათგანი - როსტომ სააკაძე, შემდეგში ირანის ჯარების მთავარსარდალი იყო. არსებობს ცნობა, რომ ერთხელ გიორგიც იმყოფებოდა ირანში შაჰ აბასის კარზე. იმყოფებოდნენ, აგრეთვე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით ირანში გადახვეწილი უკმაყოფილო ქართველი დიდებულები<sup>4</sup>. როდესაც ირანში აღმოჩნდა საქართველოდან დევნილი გიორგი სააკაძე, მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური ფიგურა, ბუნებრივია, მის გარშემო შემოკრებილიყო თეიმურაზისა და ლუარსაბის უკმაყოფილო ემიგრანტული ოპოზიცია, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა და საქართველოს დაუპინძელ მტრის, შაჰ აბას I-ის ხელში საშიშ იარაღად გადაიქცეოდა.

1615 წლიდან პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა ქართლის მეფე ლუარსაბ II. ის შაჰის ტყვეობაში აღმოჩნდა და დაიღუპა 1622 წელს. 1616 წელს შაჰმა ქართლის გამგებლობა უბოძა ზემოხსენებულ ბაგრატ-ხანს (მეფე ბაგრატ VII, 1616-1619), რომელსაც მხოლოდ ქვემო ქართლი ემორჩილებოდა. როდესაც ის მოკვდა, შაჰმა ქართლის ტახტზე დასვა ბაგრატის ვაჟი სვიმონ-ხანი (მეფე სვიმონ II, 1619-1631/32), რომელსაც მრჩევლად დაუყენა გიორგი სააკაძე.

მარტყოფთან განცდილი ტრაგედიის შემდეგ, 1625 წლის ივნისის ბოლოს ყიზილბაშთა ჯარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა და 1 ივლისს, მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე, ქართველთა ჯარი დაამარცხა. მარაბდასთან მოპოვებული გამარჯვება ყიზილბაშებისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ შაჰ აბასმა

<sup>4</sup> ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბილისი, 1964, გვ. 78-79.

ამის შემდეგ ხელი აიღო საქართველოს მოსპობის განზრახვაზე, მაგრამ ქართლი დროებით შეინარჩუნა.

გიორგი სააკაძე სამცხეში გადავიდა, „საფარ ფაშას სთხოვა მოურავმან ჯარი და ათხოვა“<sup>5</sup>. მან ადგილობრივი ფეოდალების შეწევნით ყიზილბაშებს შეუტია და წარმატებაც მოიპოვა, ისინი სამცხიდან განდევნა. ამის შემდეგ სააკაძემ ოსმალეთის სულთანს მურად IV-სთან (1623-1640) თავისი ელჩი გიორგი ქავთარაშვილ-ბარათაშვილი გაგზავნა და დახმარება სთხოვა ქართლ-კახეთის ყიზილბაშებისაგან გასანთავისუფლებლად. სულთანთან მოციქულებისა და წერილების გაგზავნის შესახებ და იმაზეც თუ როგორ დახმარებას პირდებოდა იგი გიორგი სააკაძეს, ვიგებთ მის მიერ ნაბოძები ფირმანიდან:

„ვინაიდან, როგორც შენ მომახსენებ, - სწერს სულთანი გიორგი სააკაძეს, - და მაუწყებ, ჩემი უდიდებულესობისათვის ცხადი შეიქნა, რომ სარწმუნოების მტერთა (შიიტი ირანელების - ე. მ.) მიზანს უეჭველად საქართველო შეადგენს... ამიტომ შენს მეშველად დაინიშნონ... აწ ბათუმის ბეგლარბეგი... მისადმი რწმუნებული ვილაიეთის ჯარით, ჩაღდირის-ხიდის ბეგი მურთაზა, არფალიკის წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარი<sup>6</sup>... და საქართველოს მხარეების [სხვა] მმართველები და ემირები მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქრითურთ... გამოიყო ჩემი იანიჩართა ნაწილები... შენთვის დახმარება ებრძანა ანატოლიის ვილაიეთის ზაიმებსა და თიმარის პატრონებს და სრულიად არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაიეთში მყოფ იანიჩრებს თავიანთი მეთაურებით... ბრძანებები გაეგზავნათ [აგრეთვე] დაღესტნის მმართველებს, რათა მათ სასწრაფოდ გამოიყვანონ [ჯარი] და გამოგზავნონ დანიშნულების ადგილას. დიდებული ბრძანება დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფეებს მასში, რომ, ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურყეველი ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულებისა და მორჩილების შესაბამისად, თქვენთან ერთსულოვანნი იყვნენ და სამსახურის შესრულებას გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკიდონ“<sup>7</sup>.

სულთანი იმავე ფირმანით გიორგი სააკაძეს აცნობებდა, რომ ანატოლიაში გამოიყო „პატივცემული და სახელოვანი სანჯაყთაგანი...

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959 გვ. 411.

<sup>6</sup> საფარი - ახალციხის ფაშა, ყოფილი ბექა III ჯაყელი (1625-1635).

<sup>7</sup> ჯიქია ს., ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი // ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე, 13, თბილისი, 1942, გვ. 236-240

არფალიკის წესით და შენს მიერ დასაკავებლად მზადაა<sup>8</sup>. არ ჩანს, ეს საჩუქარი სულთანმა მოურავს თავისი სურვილით, ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად გასააქტიურებლად, თუ სააკაძისავე თხოვნით უბოძა. ამ სანჯაყით სულთანმა, თავის გაგებით, სააკაძეს ოსმალეთში დასაყრდენი შეუქმნიდა და თავის სამსახურშიც ჩაიყენებდა. მაგრამ ყოველივე ეს სააკაძისათვის მიუღებელი იყო. მითუმეტეს როდესაც ცნობილი გახდებოდა, რომ სულთანმა ქურთისტანის ამირებსა და ხანებს შეუთვალა, რომ საქართველოს მეფე-მთავრებთან გაერთიანდითო<sup>9</sup>. როგორც ჩანდა, სულთანი ემზადებოდა თეიმურაზისთვის დასახმარებლად და სააკაძესაც მის ხელქვეითად მოისაზრებდა. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, გიორგი სააკაძემ სულთნის შეთავაზება არ მიიღო. ის სამცხიდან იმერეთში გადავიდა და სცადა იქაური მეფე მეფე-მთავრებისა და სამცხელების ჯარით აღმოსავლეთ საქართველოდან განედევნა ყიზილბაშები.

გ. ჯამბურას ვარაუდით, გიორგი სააკაძის ქუთაისში ყოფნის დროს მოხდა მისი ვაჟის ავთანდილის და მეფე გიორგის ასულის, ხვარამზეს, ნიშნობა, რომელიც „ფიცის წიგნით“ გაფორმდა. „ეს ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთ-მეფემ პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა ალექსანდრემ, მამუკამ და როსტომ თქვენ, მოურავს პატრონს გიორგის, ასრე, რომე ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულგანწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია“<sup>10</sup>.

გიორგი სააკაძეს, როგორც ჩანს, დანათესავების შემდეგ, იმერეთის მეფესთან პოლიტიკური მოკავშირეობის სურვილიც აღედრა და, საგულისხმოა, მას საინტერესო წინადადებაც შესთავაზა, რის შესახებაც, გასაგები მიზეზების გამო, მეფის მიერ მიცემულ საფიცარ წიგნში არაფერია ნათქვამი, მაგრამ შემდეგში კი გამოჩნდება. გიორგი მეფის სიგელში აღნიშნულია გიორგი სააკაძისადმი პატივისცემაზე, როდესაც კი იგი, მისი ძმა ან შვილი იმერეთის მეფის სტუმარი იქნება. „კიდევ კარგად გარჩინოთ და არცავის საძალოთ და საავკაცოთ დაგანებოთ, რასაც შემძლებელნი ვიყოთ და კიდევ კარგად მოგეპყრათ; და თუ ვინმე თქუენი თავი შემოგუაბეზლოს, არც გაუკითხავად შეგიბეზლოთ“<sup>11</sup>.

<sup>8</sup> ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 13, 1942, გვ. 209-210.

<sup>9</sup> ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, გვ. 146.

<sup>10</sup> ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა, გვ. 22.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 24.

იმ მასალიდან, რომელიც სააკაძის დადიან-გურიელთან მოლაპარაკებას ასახავს, მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მთავრები გიორგი სააკაძეს და მის თანმხლებლებს შეწევნას მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად, მათი სამფლობელოების საზღვრებში ყოფნის პერიოდში პირდებოდნენ. მხოლოდ ამის შესახებაა ნათქვამი კათალიკოს-მთავრის მალაქია გურიელის „ფიცის წიგნში“, რომელიც მან გიორგი სააკაძეს და მის თანმხლებლებს მისცა:

„...ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ფიცი პირი და წიგნი მოგახსენეთ ჩვენ პატრონმა კათალიკოზმა მალაქიამ თქვენ პატრონს მოურავს გიორგის და თქვენსა შვილსა ავთანდილს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა... და ერთობლივ ვინც ვინ თქუენი ერთგულნი და თქუენთან მყოფნი აზნაურიშვილნი არიან დიდნი თუ მცირენი, ესე საფიცარი მოგახსენეთ ასრე და ამა პირსა ზედა ვიყუნეთ თქუენთვის კარგნი და კარგნის მდომნი... და თუ ჩვენს ალაგს მობრძანდეთ, კიდევ შეგიხიზნოთ და არას კაცსა სამალოთ და საავკაცოთ არ დაგანებოთ რაც ძალგვედვას. და თუ ჩვენის ალაგიდამე წაბრძანება მოინდომოთ, ჩვენი ადგილი უზიანოთ გაგარონინოთ“<sup>12</sup>. ასეთივე იქნებოდა დადიან-საკაძის შეთანხმების შინაარსი, ან ციტირებული დოკუმენტი დადიან-გურიელის საერთო აზრს გამოხატავდა. რაც შეეხება გიორგი III-ს იგი, გარკვეული ინტერესიდან გამომდინარე, სააკაძეს ჯარით დაეხმარა თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბაზალეთის ბრძოლაში. მაგრამ სააკაძემ მარცხი განიცადა. სააკაძესთან ერთად დამარცხდა გიორგი III-ის ვაჟის, ალექსანდრეს, გაერთიანებულ საქართველოში გამეფების იდეაც.

გარეშე მტრის თავდახმის საშიშროების მოხსნის შემდეგ, გაიღვიძა შინაგანმა დაპირისპირებამ და მტრობამ. თავადებმა მეფესა და სააკაძეს შორის განხეთქილება ჩამოაგდეს.

წერილობითი წყაროები არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, სააკაძის მიერ სულთანთან მოციქულებისა და წერილების გაგზავნა, იცოდნენ თუ არა საქართველოში სულთნის მიერ სააკაძისათვის სანჯაყის ბოძების შესახებ? შეთანხმებული თუ იყო დასავლეთ საქართველოში წარმოებული მოლაპარაკებები თეიმურაზთან? იცოდნენ თუ არა სააკაძის მიერ იმერელი ბატონიშვილისათვის გაერთიანებული ქართული სამეფოს ტახტის შეთავაზება? ფრიად მნიშვნელოვანი იყო

---

<sup>12</sup> იქვე, გვ. 148-149

ისიც, რომ თეიმურაზს გიორგი სააკაძე ლუარსაბ II-ის მკვლელად მიაჩნდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეიმურაზსაც ჰყავდა ოსმალეთსა, ირანსა და დასავლეთ საქართველოში თავისი ერთგული ადამიანები და ისინიც ვინც მას თავიანთ ერთგულობაში არწმუნებდნენ, ამიტომ მას წარმოდგენა ექნებოდა დიდი მოურავის დიპლომატიური საქმიანობის შესახებ, რომელსაც თავის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდა.

თუ გავითვალისწინებთ თეიმურაზ მეფის ფსიქიკას, ის აუცილებლად განიხილავდა სააკაძის ამბიციებსა და მთელ მის განვლილ ცხოვრებას და სრული საფუძველი ექნებოდა სააკაძის პიროვნება და საქმიანობა უნდობლობის თვალთ დაენახა. ვინ მისცემდა მას გარანტიას, რომ გიორგი სააკაძე, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი სანჯაყის მფლობელი, ბეგლარბეგი, სულთნის ჯარს ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ არ წარმართავდა.

თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის ფარული მტრობა თანდათან ღვივდებოდა და მარაბდის ბრძოლის შემდეგ (1625 წლის 1 ივლისი) ფარული დაპირისპირება გადაიზარდა ბაზალეთთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში 1626 წლის შემოდგომაზე. თეიმურაზმა გაიმარჯვა. სააკაძე სამშობლოდან გადაიხვეწა. ის არზრუმში მივიდა ოსმალეთის სულთნის დიდვაზირთან და მორჩილება გამოუცხადა.

თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას (1655-1716) მიხედვით, „არზრუმში გალაშქრების წელს მოურავმა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და არზრუმის დაპყრობასაც დაესწრო“<sup>13</sup>. ნაიმას მონათხრობიდან არ ჩანს, ვინ იყო დიდვაზირი, მაგრამ ცნობილია, რომ 1627 წელს, ოსმალთა სარდალმა, დიდვაზირმა ხალილ-ფაშამ (დიდვაზირად დაინიშნა 1626 წლის დეკემბერში) ამ ქალაქში გამაგრებულ აჯანყებულ აბაზა-ფაშაზე გაილაშქრა, მაგრამ უშედეგოდ<sup>14</sup>. ამის შემდეგ ხალილ ფაშა გადააყენეს და 1628 წლის ივნისში დიდვაზირად ხუსრევ-ფაშა დაინიშნა. მან იმავე წლის ნოემბერში აიღო არზრუმი.

ს. ჯიქია დაასკვნის, რომ „მოურავი ოსმალეთში გადასულა არზრუმში პირველი გალაშქრების წელს, ე. ი. 1627 წლის, დაახლოებით, ზაფხულში, ხალილ-ფაშას დიდ-ვაზირად და სარდალად ყოფნის დროს“<sup>15</sup>, ე. ი. 1627 წელს. ს. ჯიქიას ეს მოსაზრება უფრო მისაღები ხდება, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ 1627 წლის მარტში

<sup>13</sup> ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 210, შენ. 8.

<sup>14</sup> იქვე

<sup>15</sup> იქვე

კონსტანტინოპოლში ჩასულ კათოლიკე მისიონერებს საფრანგეთის ელჩმა სეზიმ რეკომენდაცია მისცა „თეიმურაზის ელჩის მაუროს წინაშე“<sup>16</sup> (სხვა წყაროს მიხედვით, მისიონერებისათვის სარეკომენდაციო ბარათი გიორგი სააკაძესთან ნიკიფორე ირბახს გაუტანებია)<sup>17</sup>. რა თქმა უნდა, მაურო (მოურავი) - გიორგი სააკაძეა, მაგრამ იგი თეიმურაზის ელჩი კი არა მის მიერ დევნილი იყო.

გვაქვს სხვა ცნობაც. მოსკოვის საელჩო საგანგოში გაგზავნილ მოხსენებაში ასტრახანის ვოევოდა პ. გოლოვინი წერდა, რომ სპარსელებსა და ქართველებს შორის შეტაკება აღარ მომხდარა და თეიმურაზ მეფემ შაჰთან მშვიდობა დაამყარა. მას ყიზილბაშებისგან გაუგია, რომ ქართველი მოურავი (გიორგი სააკაძე) თეიმურაზ მეფეს გამორდა და მცირე ამალით არზრუმში აბაზა ფაშასთან წავიდა<sup>18</sup>.

ყურადღებას იპყრობს რუსული წყაროს თარიღი - 1626 წლის 2 დეკემბერი, რომელიც ასახავს საელჩო საგანგოში ვოევოდას მოხსენების ჩაბარების დროს და არა იმას, როცა ვოევოდამ ამბავი მოისმინა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წერილის ასტრახანიდან მოსკოვამდე ჩატანას და დანიშნულებისამებრ ჩაბარებას საკმაოდ დრო დასჭირდებოდა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რუსული წყარო კიდევ უფრო აზუსტებს გიორგი სააკაძის საქართველოდან ოსმალეთში გადასვლის დროს. აბაზა-ფაშა ამ დროს, მართლაც არზრუმში იმყოფებოდა, მაგრამ სააკაძე, ალბათ, სამცხეში შეყოვნდა და არზრუმთან მაშინ მივიდა, როცა ხალილ-ფაშას ეს ქალაქი ალყაში ჰქონდა მოქცეული. როგორც ჩანს, სააკაძემ ქართლი ბაზალეთში წაგებული ბრძოლის-თანავე დატოვა და ოსმალეთში გაემგზავრა<sup>19</sup>.

---

<sup>16</sup> თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, IV-V, თბილისი, 1999, გვ. 370.

<sup>17</sup> მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 94-96.

<sup>18</sup> Тивадзе Т. Г., Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержащиеся в архивном фонде «Сношения России с Персией» // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბილისი, 1973, გვ. 165, #27.

<sup>19</sup> ნაიამ გიორგი სააკაძის საინტერესო დახასიათება დაგვიტოვა: `მოურავი ჭემშარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევისღონე იყო, მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეებში უმეცარი და, ბუნებრივია, მიდრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი`; `მოურავი სპეტაკ-წვერიანი სამუალო ტანისა იყო`. ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 210.

ებლა დავუბრუნდეთ სტატის სათაურში დასმულ კითხვას. დადებითი ან უარყოფითი პასუხის გასაცემად მივმართოთ არაპირდაპირ ცნობებსა და არგუმენტებს.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში წასვლა, თეიმურაზმა თავისთვის იმდენად უარყოფითი შედეგის მომტანად ჩათვალა, რომ სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა შაჰ აბასისადმი მორჩილება. ამის შემდეგ, თეიმურაზ მეფესა და შაჰ აბასს შორის „მშვიდობა“ დამყარდა.

თეიმურაზ მეფისა და შაჰ აბასის შერიგების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა დაუდ-ხან უნდილაძემ (შემდეგში განჯის ბეგლარბეგი). სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის გადმოცემით, „თეიმურაზმა თავისთვის უმჯობესად სცნო შეხვეწნოდა [შაჰის] კარს. ალავერდი-ხანის შვილს, რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად, თავისი ხალხის ერთი რაზმით თბილისში იდგა, გაეცნო და დაუმეგობრდა და მისვლა-მოსვლა გაიმართა“<sup>20</sup>. მისი რჩევით, თეიმურაზმა შაჰს მორჩილების წერილები გაუგზავნა. თეიმურაზის ეს ნაბიჯი, როგორც ისქანდერ მუნში წერდა, ნაკარნახევი იყო გიორგი სააკაძის სულთნისათვის დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში წასვლით. ამგვარად, ქართლ-კახეთის მეფემ გაიმაგრა ზურგი ირანის მხრიდან.

1627 წლის ერთ-ერთ რუსულ დოკუმენტში ვკითხულობთ: ასტრახანის ვოევოდას ირანის შაჰის ელჩთან, მაჰმედ სალი ბეგთან საუბრისას გაუგია, რომ თეიმურაზ მეფესა და შაჰს შორის მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ელჩმა არ იცოდა, რამდენი ხნით. თეიმურაზს ქ. აშრაფში (მაზანდერანში) ორი თურქის, ოთხი ქართველის და 100 სხვა მოკლული ადამიანის გვამი გაუგზავნია და შაჰისათვის შეუთვლია, რომ ეს ადამიანები დახოცა თავის ქვეყანაში, როცა ისინი შაჰის მოღალატე მოურავის (გიორგი სააკაძის) მეთაურობით თურქებთან და ქართველებთან ერთად თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ მოვიდნენ<sup>21</sup>.

თუ რუსული წყარო სიმართლეს ასახავს, მაშინ გამოდის, რომ გიორგი სააკაძეს ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მცირე ხანში (ბაზალეთის ბრძოლა მოხდა 1626 წლის გვიან შემოდგომაზე, რუსული დოკუმენტი კი დაწერილია 1627 წლის 30 ივლისს), თავის ერთგულ ქართველებისა და ოსმალთა რაზმებზე დაყრდნობით საქართველოში დაბრუნება უცდია, მაგრამ კვლავ მარცხი განუცდია. მაჰმედ

<sup>20</sup> ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 139-140.

<sup>21</sup> Тивадзе Т. Г., Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержащиеся в архивном фонде «Сношения России с Персией», гв. 166, № 29.

სალი ბეგის თქმით, თეიმურაზ მეფეს ეს სამხედრო წარმატება, რაც სააკაძის დამარცხებაში გამოიხატა, ისპაანში უცნობებია, როგორც საერთო მტერსა და შაჰის მოღალატეზე, გიორგი სააკაძეზე გამარჯვება<sup>22</sup>.

საინტერესოა, რომ შაჰის ელჩის ეს ცნობა, გიორგი სააკაძის ოსმალთა ჯარით თეიმურაზ მეფის სამფლობელოებში შეჭრის შესახებ, საქართველოში ნამყოფმა რუსებმა, ფედკა გრიგორიევმა და ივაცკო ივანოვმა დაადასტურეს<sup>23</sup>.

ფედკა გრიგორიევს და ივაცკო ივანოვს ქართველებისგან გაუგიათ, რომ თეიმურაზს განზრახული ჰქონდა რუსეთის ხელმწიფესთან მალე, მიმდინარე წელს, ქართველი პატრიარქი ელჩად გაეგზავნა, მაგრამ რა მიზნით მიდიოდა ელჩობა, ამის შესახებ არ იცოდნენ. მათ ქართველებისგან ისიც გაუგიათ, რომ „საქართველოს მეფე თეიმურაზის ქალაქებში ოსმალთა ჯარით შეიჭრა მოურავ ფაშა (გიორგი სააკაძე - ე.მ.), რომელიც წინათ, ადრინდელი ირანის შაჰის ხანი იყო. საქართველოს მეფე თეიმურაზის ხალხმა მოურავ ფაშა და მისი დამხმარე ოსმალეთის ჯარი დაამარცხეს და საქართველოდან განდევნეს. ამის შემდეგ, ხელმწიფეო<sup>24</sup>, არც ერთი მხრიდან საქართველოს მიწა-წყალს აღარავინ დასხმია“<sup>25</sup>.

საინტერესოა რუსული წყაროების ცნობები სააკაძის შესახებ. აღინიშნა, რომ იგი 1627 წელს ოსმალეთში გადავიდა და სულთანს ჯარით დახმარება სთხოვა. იმ დროს ირან-ოსმალეთის ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და ოსმალეთს სააკაძის საქართველოში დაბრუნებისა და მისი გეგმის განხორციელებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის დრო არ ჰქონდა. სააკაძემ მონაწილეობა მიიღო აჯანყებული აბაზა ფაშას წინააღმდეგ ლაშქრობასა და არზრუმის ალბაში 1628 წელს. ამის შემდეგ ოსმალებმა სამცხის იმ ციხეებს შეუტყეს, სადაც ყიზილბაშები იდგნენ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სამცხის ციხეების დაპყრობაში შეიძლება გიორგი სააკაძეც მონაწილეობდა<sup>26</sup>.

ზემოთ დამოწმებულ რუსულ წყაროებში გადმოცემული გიორგი სააკაძესთან დაკავშირებული ამბავი, მისი საქართველოში ოსმალეთის ჯარით შემოჭრის შესახებ, მისი სამცხეში ყოფნის გამოძახილი უნდა

---

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 169, #31.

<sup>24</sup> ფედკა გრიგორიევი და ივაცკო ივანოვი მიმართავენ მოსკოვის მეფე მიხეილ I-ს (1613-1645).

<sup>25</sup> იქვე

<sup>26</sup> ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 168.



იყოს. ისიც დასაშვებია, რომ მან ქართლში შემოჭრაც სცადა, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შესძლო. ოსმალეთის სარდლობამ მას მხარი არ დაუჭირა, რადგან თეიმურაზი თავის მოკავშირედ მიაჩნდათ. ესეც არ ყოფილიყო, ირანთან მეომარი ოსმალეთი აღმოსავლეთ საქართველოს რთულ საქმეებში ვერ ჩაერეოდა. შაჰის მიერ ქართლში განცდილი ზარალი სულთნისათვის სასიამოვნო და, იმავე დროს, ანგარიშგასაწევი მაგალითი იყო.

ამგვარად, თეიმურაზ მეფის მიხედვით, ერთი პირობა, სულთანმა სააკაძეს მხარი დაუჭირა, მაგრამ თეიმურაზმა, მიუხედავად ამისა, მისი დამარცხება მაინც შესძლო. ამის შემდეგ სააკაძე ოსმალეთში გაიქცა. თეიმურაზის ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ ამ შემთხვევის გარდა მას ოსმალეთთან დაპირისპირება არ ჰქონია და რაც მოხდა ისიც მხოლოდ სააკაძის ბრალი იყო.

შეიძლება ბოლომდე ვერ ვენდოთ თეიმურაზ მეფეს გიორგი სააკაძის, თავისი მოწინააღმდეგის შეფასებაში. თეიმურაზი სააკაძის უარყოფითად წარმოჩენით იყო დაინტერესებული, მაგრამ ანგარიშგასაწევა მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის მომხდარი ამბების მისეული ახსნა. თეიმურაზ მეფემ 1658 წ. 31 აგვისტოს მოსკოვში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ისეთი რამ განაცხადა, რომელიც ნაწილობრივ მაინც ადასტურებს მუსტაფა ნაიმას ნათქვამს, კერძოდ, იმას, რომ სააკაძე ოსმალეთიდან საქართველოში გაქცევას აპირებდა. რუსული დოკუმენტის მიხედვით, თეიმურაზ მეფეს უთქვამს: „ოცდაათიოდე წლის წინათ მისმა ერთმა ბოიარმა გიორგიმ სიოს<sup>27</sup> უღალატა, გამუსლიმანდა, თურქეთის სულთან მურატთან გაიქცა და მის (თეიმურაზის - ე. მ.) წინააღმდეგ ჯარი წამოიყვანა. თეიმურაზ მეფე მის შესახვედრად წავიდა თავისი ჯარით და იმ მოღალატეს და მის თურქებს შეებრძოლა ქართლისა და მისი სამეფოს (კახეთის - ე. მ.) საზღვარზე. მოღალატესთან (გიორგი სააკაძე - ე.მ.) იყო ორმოცი ათასი თურქი<sup>28</sup>, მეფესთან კი სამი ათასი... ორივე მხარეს ცხენოსნები ჰყავდა, ქვეითები არ იყო. იმ ბრძოლაში თეიმურაზ მეფეს ღმერთი შეეწია და მოღალატე და თურქები დაამარცხა... ის მოღალატე (საკაძე - ე. მ.) ბრძოლიდან გაიქცა თურქების (სულთანთან - ე. მ.) და თურქების სულთნის ღალატის და დადიანის სახელმწიფოში

<sup>27</sup> 'სიოს' გიორგი სააკაძის მამის სიაუმის დამახინჯებული სახელი უნდა იყოს. რუსულ დოკუმენტებში პიროვნების მამის სახელის აღნიშვნა აუცილებელი იყო. მაშასადამე, უნდა დაეწერათ Георгий Сияушевич (გიორგი სიაუმის ძე).

<sup>28</sup> სავარაუდოა, თეიმურაზ მეფე აზვიადებს ოსმალთა რაოდენობას

გაქცევა უნდოდა. როცა ეს შეიტყო ვაზირმა, იგი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ მეფე თეიმურაზს თურქი (სულთნისგან - ე. მ.) არავითარი დევნა და რაიმეზე გზავნილი არ ჰქონია“<sup>29</sup>.

საინტერესოა, რატომ უნდა გასჩენოდა სააკაძეს საქართველოში დაბრუნების სურვილი, მაშინ, როდესაც თეიმურაზ მეფე იმყოფებოდა ძლიერების ზენიტში? ლევან II დადიანისაგან, შეიძლება, დახმარება ჰქონებოდა სააკაძეს, მაგრამ არა იმდენი, რომ მას სერიოზული წარმატება მოეპოვებინა თეიმურაზთან ბრძოლაში. მთავარი იყო ის, რაც ამ დროს მოხდა ირანში: მოხდა ის, რამაც გიორგი სააკაძეს არა მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების, არამედ ირანიდანაც სერიოზულ დახმარების იმედი ჩაუსახა. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით.

XVII ს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკური სიტუაციაში, გიორგი სააკაძეს და ლევან დადიანს ერთმანეთი ჭირდებოდათ. სააკაძე ეძებდა მხარდამჭერს საქართველოში, ლევან II დადიანს ჭირდებოდა დიდი სამხედრო გამოცდილების ადამიანი სააკაძის სახით. მაგრამ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ვითარება ოდიშის მთავრისათვის არასასურველად შეიცვალა. ბაზალეთის ბრძოლის დროს იმერეთის მეფე გიორგი III-მ თავისი შეიარაღებული ძალით მხარი დაუჭირა სააკაძეს, ახლა კი იგი თეიმურაზს დაუნათესავდა (მისმა ვაჟმა ალექსანდრემ თეიმურაზის ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივი, დარეჯანი შეირთო) და მისი მოკავშირე გახდა. ლევან დადიანი კი გიორგი III-სთან და თეიმურაზთან დაპირისპირებული იყო. შეიძლება თეიმურაზმა, რომელსაც სულთანის თავის მოკავშირედ თვლიდა და ოსმალეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა, თავისი აგენტების საშუალებით იცოდა სააკაძისა და ლევან დადიანის კონტაქტების შესახებ.

თურქი ისტორიკოსის გადმოცემით, დიდვაზირმა ხუსრევ ფაშამ სააკაძე სულთან მურად IV-სთან შეთანხმების გარეშე იმიტომ მოაკვლევინა, რომ იგი საქართველოში გაქცევას აპირებდა<sup>30</sup>. გასათვალისწინებელია, რომ სააკაძემ სულთნისაგან თეიმურაზის წინააღმდეგ

---

<sup>29</sup> პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.) //საისტორიო მოამბე, 23-24, თბილისი, 1970, გვ. 461-462; მაჭარაძე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს // თსუ შრომები, 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, V, თბილისი, 1965, გვ. 446-447.

<sup>30</sup> ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 213.

დახმარება კი არა, თანამდებობა (კონიას ბეგლარბეგობა) მიიღო, რითაც ის არ იყო დაინტერესებული.

წინა ამბებს თუ გადავხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააკაძის გაქცევის მოტივაცია თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ყოფილიყო. თუმცა ფორმალურად, ის სულთანს ჯარს სთხოვდა ყიზილბაშების საქართველოდან გასადევნად.

სულთნის ფირმანიდან ვიგებთ, რომ მისი ბრძანებით, სააკაძეს დაეხმარებოდნენ საქართველოს მხარეების მმართველები და ემირები და ოსმალეთის აღმოსავლეთი პროვინციების ჯარები. სააკაძისთვის დახმარება ებრძანა ანატოლიის, არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაეთში მყოფ იანიჩრებს მათი მეთაურებით. ბრძანებები გაეგზავნათ აგრეთვე დაღესტნის მმართველებს, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფე-მთავრებს.

მაშინ, როდესაც სულთანი სააკაძეს ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნას უპირებდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ამ უკანასკნელს სურდა თეიმურაზის წინააღმდეგ ომი. მის მიერ თეიმურაზთან განცდილი მარცხი ბაზალეთის ბრძოლაში (მანამდე ის იმერეთის მეფეს გიორგი III-ს სთავაზობდა ქართლ-კახეთში მისი შვილი ალექსანდრე გაემეფებინა თეიმურაზ I-ის მაგიერ), გამარჯვებებს შეჩვეული ამბიციური მხედართმთავრისათვის მოუშუშებელ ჭრილობას წარმოადგენდა და შურიძიება სურდა.

გასათვალისწინებელია, რომ შაჰ აბას I-ის სიკვდილის შემდეგ ირანში მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ იმას, რომ ხელისუფლებაში მოვიდა გიორგი სააკაძის ფავორიტი, ისპაანის ტარულა, ხოსრო-მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომი, 1633-1658), რომლის კარიერულ აღმასვლაში გადამწყვეტი წვლილი ჰქონდა დიდ მოურავს<sup>31</sup>. ხოსრო მირზამ შაჰ აბასის ტახტზე დასვა სეფი მირზა, რის გამოც მისი გავლენა და ავტორიტეტი უაღრესად გაიზარდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სააკაძის ორიენტაცია გადაიხარა ირანისკენ. არ შეიძლება სულთნის კარსა და აგენტებს არ ჰქონოდათ ცნობები გიორგი სააკაძისა და ხოსრო-მირზას ურთიერთობის შესახებ.

---

<sup>31</sup> შაჰის კარზე როსტომი სწრაფად დაწინაურდა. იგი ჯერ შაჰის გვარდიის \_ ყულის ჯარის \_ სარდალი გახდა, შემდეგ ირანის სატახტოს ისპაანის მოურაობაც მას ჩააბარეს. შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ის კიდევ უფრო აღზევდა. მისი `ცდით შაჰ სეფი ყაენი გახემწიფდა... ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა` \_ ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე. იხ. მისი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.

ამდენად, შეიძლება სააკაძე სულთნის ქვეშევრდომიდან მისი მტრების მოკავშირედ გამხდარიყო. იმ დროს ეს იმდენად სერიოზული დანაშაული იყო, რომ ბრალდებულის სიკვდილით დასჯა „ნორმა-ლურად“ ჩაითვლებოდა.

არსებული წყაროები და თეიმურაზ მეფის ურთიერთობა ოსმალეთის სახელმწიფოსთან, მისი სურვილი - გამქრალიყო გიორგი სააკაძე პოლიტიკური ასპარეზიდან, თანხვედრაში იქნებოდა სულთნის კარის ანალოგიურ სურვილთან.

მივაქციოთ ყურადღება მოვლენების სწრაფ განვითარებას ირანსა და ოსმალეთში: 1629 წლის 19 იანვარს მოკვდა შაჰ აბას I; 28 იანვარს გამეფდა შაჰ სეფი I, ხოსრო მირზას დიდი ძალისხმევით; 3 ოქტომბერს გიორგი სააკაძეს თავი მოკვეთეს.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ თეიმურაზ მეფე იქნებოდა მოსურნე გიორგი სააკაძის სიკვდილისა და ამას თავისი ხელითაც ჩაიდენდა. მაგრამ, ვიმეორებ, არავითარი პირდაპირი საბუთი არ გაგვაჩნია იმის სათქმელად, რომ თეიმურაზმა რაიმე სახით გავლენა მოახდინა დიდ ვეზირზე ხუსრევ-ფაშას გადაწყვეტილებაზე სიკვდილით დაესაჯა გიორგი სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი 40 მხლებელთან ერთად.

1612'de Giorgi Saakadze, Kral II. Luarsab ve Kartli'nin güçlü derebeyleri ile karşı karşıya geldi ve bu yüzden 20 Mayıs'taki Tsavkisi komplosundan sonra Kartli'den ayrıldı. Ailesi ve sadık dostlarıyla birlikte I. Şah Abbas'ın yönetimindeki İran'a sığındı.

I. Teimuraz ve II. Luarsab'ın yönetiminden memnun olmayan ve Kartli ile Kaheti'den İran'a kaçan soylular Saakadze'nin etrafında toplandılar. Vakainüvist Parsadan Gorgicanidze'ye göre bu soylular I. Şah Abbas'a Kartli ile Kaheti Kralıkları'na karşı sefer çıkmasını tavsiye ettiler<sup>1</sup>. Kral Arçil şiirinde anılan derebeylerin tavsiyesi ve Şah Abbas'ın isteği üzerine Teimuraz'ın evlatlarını İran'a gönderdiğini anlatmıştır. Bu çocukların trajik sonucu malumdur. Ayrıca, bu soylular Teimuraz'ın Şah'a teslim olması konusunda ısrar ediyorlardı<sup>2</sup>.

1610 tarihinde Erdebil'deki Kral Luarsab ile Şah Abbas arasında düzenlenen bir toplantı sırasında Teimuraz, bazı Gürcü soylular hakkında “kötü bir görüşe sahip olduğunu” dile getirdi<sup>3</sup>. Teimuraz'ın bu ifadeleri sadece Kaheti soylular hakkında

<sup>1</sup> Parsadan Gorgicanidzis istoria, Sargis Kakabadzis gamotsema // saistorio Moambe, Tbilisi, 1925, gv. 233-234.

<sup>2</sup> AArçili, gabaaseba Teimurazisa da Rustvelisa, str. 459, 462.

<sup>3</sup> İskander Munşis tsnobebi saqarTvelos şesaheb//sparsuli teksti targmanita da şesavliturt gamostsa el. Puturidzem, Tbilisi, 1969, gv. 76-77.

değildi. Burada, Teimuraz gerek kendi, gerekse Luarsab adına İran'a sığınan Gürcü soylulardan memnun olmadığını açıkladı.

Teimuraz soyluların devlete karşı yaptıkları eylemlerinden memnun değildi. Teimuraz ifadelerinde Gürcistan'da yaşayan İran yanlısı soyluları da kastediyordu. Çünkü bunlar Gürcistan'da yaşıyorlardı, refah içinde yaşamaları Şah'a bağlı idi ve kendileri Kaheti ve Kartli Krallıklarında Şah'ın müttefiklerini oluşturuyorlardı. Şah'ın desteğiyle, gerek Kartli, gerekse Kakheti krallarına baskı yaparlardı.

Kınama yaptığında, Kral Teimuraz'ın öncelikle İran'a sığınan Kartlı Kralı I. Svimon'un kardeşi Daut-Han'ın çocukları olan Bagrat Mirza ve Khosrow Mirza gibi soylulardan bahsettiği açıktır. İran'da aynı dönemde Giorgi Saakadze'nin kardeşi ve bir kaç akrabası da bulunuyordu. Bu akrabalarından birisi Rostom Saakadze idi. Daha sonra bu zat İran ordularının komutanlığını da yaptı. Bir rivayete göre bir kez Giorgi Saakadze de İran'a gidip Şah'ın huzuruna çıkmıştı. Burada farklı zamanlarda ve farklı nedenlerle İran'a sığınan Gürcü soyluları da bir araya gelmişlerdi<sup>4</sup>. Doğal olarak, Teimuraz ve Luarsab'dan memnun olmayan ve daha önce İran'a giden soylular Gürcistan'dan göçen ve İran'a sığınan önemli bir askeri ve siyasi figür olan Giorgi Saakadze'nin etrafına toplandılar. Bu soylular gün geçtikçe güçleniyorlardı ve Gürcistan'ın yenilmez düşmanı olan I. Şah Abbas'ın elinde tehlikeli bir silaha dönüşüyorlardı.

1615'ten itibaren Kartli Kralı II. Luarsab siyasi arenadan ayrıldı. Kendisi Şah tarafından yakalandı ve 1622'de vefat etti. 1616'da Şah, Kartlı yönetimini yukarıda bahsedilen Bagrat-Han'a devretti. (Kral VII. Bagrat, 1616-1619). Bagrat'a sadece Kvemo Kartli Bölgesi itaat ediyordu. Bagrat öldüğünde Şah, Bagrat'ın oğlu Svimon-Han'ı (Kral II. Svimon, 1619-1631/32) Kartli tahtına çıkardı ve danışmanı olarak da ona Giorgi Saakadze'yi verdi.

Martkopi'de yaşanan trajediden sonra, 1625 Haziran sonunda, Isa-Han Korçibaşı komutasındaki Kızılbaş ordusu Gürcistan'a geldi ve 1 Temmuz'da Algeti Irmağı'nın boğazında, Marabda meydanında Gürcü ordusunu mağlup etti. Marabda zaferinin kızılbaşlar için çok ağır olması Şah Abbas'ı Gürcistan'ı yok etmekten vazgeçirdi. Ancak geçici olarak Kartli yine de elinde kaldı. Giorgi Saakadze Samtskhe'ye geçti "Sapar Paşa'dan askeri yardım istedi ve aldı"<sup>5</sup>. Yerli soyluların yardımıyla Kızılbaşlar üzerine yürüdü, savaşı kazandı ve onları Samtskhe'den ihraç etti. Bunda sonra, Saakadze Padişah IV. Murad'a (1623-1640) elçisi olarak Giorgi Kavtaravili-Barataşvili'yi gönderdi ve Kartli-Kahketi'den Kızılbaşları ihraç etmek için yardım istedi. Padişah'ın fermanı, Giorgi Saakadze tarafından Padişah'a elçi ve mektup gönderilmesini ve Padişah'ın yardım edeceği konusundaki gelişmeleri öğrenmemize imkân sağlamaktadır. Buna göre: "Bana açıkladığın gibi, Majestelerim için netleşti ki, dini düşmanların (Şii İranlıların – E. M) hedefleri Gürcistandır... Bu yüzden Batum Beylerbeyi askeri birlikleriyle birlikte.. Çaldır'ın-Hıdis'ın Beyi Murtaza, arpalık usulu

<sup>4</sup> CamburiaG. Saakadze, Tbilisi, 1964, gv. 78-79.

<sup>5</sup> Kartlis Tskhovreba,/teksti dadgenili kvela dziritadi helnatseris mihedvit S. Kauhçişvilis mier,II, Tbilisi, 1959, gv. 411.

ile onun sancak beyi olan Sapar<sup>6</sup> ... ve Gürcistan Bölgelerinin [diğer] yöneticiler ve emirleri askeri birlikleriyle... sana yardım için görevlendirirsin... Yeniçer birliklerim ayarlandı .... Anadolu eyaletlerinin Zayım ile Tımar sahiplerine ve Trabzon ile Erzurum Eyaletlerinde bulunan yeniçerlere komutanlarıyla birlikte sana yardım etmeleri emredildi. ...[ayrıca] Dağıstan yöneticilerine ivedilikle [asker] toplamak ve belirlenen yere göndermek için emir gönderildi. Guria, Samegrelo ve İmereti krallarına sonsuz tahtım ve hanedanıma sarsılmaz bağlılıkları ile itaatlerine uygun olarak ve sizlere tutarlı olmaları ve görevlerini özen ve dikkatle yerine getirmeleri için muhteşem bir emir gönderildi”<sup>7</sup>.

Padişah, Giorgi Saakadze'ye yazdığı aynı fermanla Giorgi'ye "Arpalık kuralına göre Anadolu'da saygın ve ünlü bir Sancağın tahsis edildiği”<sup>8</sup> bildirdi. Fermanın sancağın Saakadze'nin talebi üzerine veya Padişah'ın Giorgi üzerinden Kızılbaşlara karşı mücadelesini daha aktif hale getirmek için verildiği belli olmuyor. Padişah'a göre bu sancak tahsis edilerek Saakadze için Osmanlı İmparatorluğu'nda bir dayanak oluştururdu ve böylelikle onu kullanırdı. Ancak, Saakadze Padişah'ın Kürdistan Emirleri ve Hanlarına Gürcistan kralları ve prensleri ile birleşmek üzere bir haber gönderdiğini öğrenince Padişah'ın yukarıdaki emellerini kabul etmeyecekti<sup>9</sup>. Görüldüğü gibi Padişah Teimuraz'a yardım etmek için hazırlanıyordu ve Saakadze'yi bir ast olarak görüyordu. Daha sonraki gelişmelerden görüldüğü gibi, Giorgi Saakadze Padişah'ın teklifini kabul etmedi. Kendisi Samtskhe'den İmereti'ye geçti ve yerli kral ile prensleri ve Samtskhe ordusunu kullanarak Kızılbaşları Doğu Gürcistan'dan kovmaya çalıştı. Camburia'ya göre Giorgi Saakadze'nin Kutaisi'de kaldığı sırada, oğlu Avtandil ve Kral Georgi'un kızı Khvaramze nişanlandılar ve bu nişan bir "Yeminler Kitabı'nda" yer aldı: “Biz, patron Kral Georgi ve oğullarım Aleksandre, Mamuka ve Rostom, bu yemin ve söz yazısını, Size Mouravi (Başkan E.M) olan Patron Giorgi'ye verdik ki, kızım hanımefendi Khvaramze'yi oğlunuz Avtandille isteyerek evlendirdik”<sup>10</sup>.

Giorgi Saakadze, akrabalıkla birlikte İmereti Kralı ile siyasi ittifak kurmak niyetindeydi ve belki de ayrıca bir teklif de sundu. Belli bir nedenlerden ötürü, kral'ın “Yemin Kitabı'nda” bu durumdan bahsedilmemiştir, ancak daha sonraki gelişmeler bunu gösterecektir. Kral Giorgi “Kitabı'nda”, Saakadze'nin kardeşi veya oğlu İmereti Kralı'nın konuğu olduğunda Giorgi Saakadze'ye karşı saygı duyduğundan dolayı onlarla çok yakından ilgileneceğinden söz etmiştir. “Sizler üst düzeyde karşılanacaksınız ve kimse size dokunamayacak, zorlamayacak, elimizden geldiğince

<sup>6</sup> Sapar – Akhaltsikhe (Ahıska) Paşası, Daha önceki ismi III. Beka Cakeli (1625-1635).

<sup>7</sup> Cikia S., *hontkris mier didi mouravisadmi gatsemuli sigeli//enis, istoriis da materialuri kulturis moambe*, 13, Tbilisi, 1942, gv. 236-240

<sup>8</sup> Cikia S., *tsnoba didi mouravis ukanaskneli dgeebis şesaheb osmaletşi//masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriisatvis, nakv. 13, 1942, gv. 209-210.*

<sup>9</sup> Camburia, G. Saakadze, gv. 146.

<sup>10</sup> Burcanadze, Ş., *istoriuli dokumentebi imeretis sameposa da guria-odişis samtavroebisa*, gv. 22.

saygı göstereceğiz ve eğer birisi size karşı itirafta bulunursa doğrusunu öğrenmeden sizden nefret etmeyeceğiz”<sup>11</sup>.

Saakadze'nin Dadiani-Gurieli ile müzakerelerini yansıtan materyalden görüldüğü kadarıyla, soyluların Giorgi Saakadze ve arkadaşlarına sadece batı Gürcistan'da yardımcı olacakları belli oluyor. Daha doğrusu, bunlar hâkimiyetlerinin sınırları içinde kalmaya söz verdiler. Bu durum Katolikos ve Prens Malakia Gurieli'nin Giorgi Saakadze ve arkadaşlarına verdiği "Yemin Kitabı"nda da belirtilmiştir: "...Ben, Patron Katalikos Malakiya bu ebedi yeminle ve "kitapla" size Patron Mouravi Giorgiye ve oğlunuz Avtandil'e ve çocuklarınıza ve soyunuzun nesillerine ....ve size sadık olanlar ile küçük ve büyük soylulara sizler için iyi niyetli olacağımıza ve olumlu dileklerde bulunacağımıza yemin ettik...Topraklarımıza geldiklerinize misafir edeceğiz ve gücümüz yetinceye kadar kötülerin ve zorbaların eline vermeyeceğiz. Buradan gitmek istediğinizde sizi topraklarımızdan ziyansız yolcu edeceğiz”<sup>12</sup>. Dadian-Saakadze'nin anlaşmasının da aynı manada olacağı gerek belki de yukarıda adı geçen belgede Dadian-Gurieli'nin ortak düşünceleri ortaya konulmuştur. III. Giorgi'ye gelince, kendisi belli bir menfaatler çerçevesinde Bazaleti meydan muharebesinde I. Teimuraz'a karşı Saakadze'ye askeri güçle yardım etti. Ancak, Saakadze mağlup oldu. Saakadze ile birlikte III. Giorgi'nin oğlu Aleksandre'nin bütün Gürcistan'ın kralı olarak tahta çıkarmak fikri de yenilgiye uğratıldı.

Harici bir düşman saldırısı tehdidi ortadan kalktıktan sonra iç çekişme ve düşmanlık ortaya çıktı. Soylular Kral ile Saakadze'nin arasını bozdular.

<sup>28</sup>აღმოჩნდა, რომ ომის გამო ოლთისის მოსახლეობის მუსლიმი მოსახლეობის ნაწილი შიდა რეგიონებში გადასახლდა. მათმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო რეფერენდუმში, მაგრამ ვერ ჩაასწრეს. (Sabah, 16 Ağustos 1334/1918, No. 10 326).

<sup>29</sup>Sabah, 16 Ağustos 1334/1918, No. 10 326.

<sup>30</sup>Kurat, Türkiye ve Rusya, s. 492.

ართვინის სანჯაყი სამ საარჩევნო ოლქად იყოფოდა. 166 სოფელში 5597 მუსლიმური და 450 არამუსლიმური კომლი ცხოვრობდა. აქედან 35952 მუსლიმი და 1196 არამუსლიმი მოსახლე იყო. 18 572 მუსლიმი მამაკაცისა და 1000 არამუსლიმი მამაკაცისგან, ხმის უფლება 10844-ს ჰქონდა. 11 ამომრჩეველმა უარყოფითი, ხოლო 10833 ამომრჩეველმა დადებითი პასუხი გასცა რეფერენდუმის შეკითხვას.

ბათუმის სანჯაყი ხუთ საარჩევნო ოლქად იყოფოდა. აქ განსხვავებული საარჩევნო მეთოდი გამოიყენეს. რუსებმა და ბერძნებმა ერთი, ქართველებმა მუსულმანებმა და დანარჩენმა ამომრჩეველებმა ცალკე თითო თითო საარჩევნო ოლქებში გამოიყენეს საარჩევნო ხმა. ამ საარჩევნო უწყებაში ფარული ხმის მიცემის მეთოდი გამოიყენეს. ბათუმს გარეთ ოთხ მუნიციპალურ უწყებაში ოთხი საარჩევნო კომისია შეიქმნა. ბათუმის ოლქის 320 სოფელში 8421 მუსლიმი და 1297 არამუსლიმი კომლი იყო. მთლიანობაში ამ კომლების სრული მოსახლეობა 64626 შეადგენდა, აქედან 56692 მუსლიმი და 7379 არამუსლიმი იყო. ამ რიცხვიდან 22282 მუსლიმი მამაკაცი და 3453 არამუსლიმი მამაკაცი იყო. მამაკაცების მთლიანი რაოდენობა 25735 აღწევდა, რომელთაგან მხოლოდ 16317 ჰქონდა ხმის უფლება. მხოლოდ 9 ამომრჩეველმა გასცა უარყოფითი პასუხი რეფერენდუმის შეკითხვას,<sup>31</sup> 1483 - ამომრჩეველმა თავი შეიკავა<sup>32</sup> დარჩენილმა 14826 ამომრჩეველმა დადებითი პასუხი დააფიქსირა.<sup>33</sup>

მთლიანობაში 6 საარჩევნო ოლქად - არტაანის, ოლთისის, ყარსის, კალიზმანის, ართვინის და ბათუმის საარჩევნო ოლქებად დაყოფილ სამ სანჯაყში სახალხო რეფერენდუმის საბოლოო შედეგი ასე გამოიყურებოდა: მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 301640 ადამიანს. ხმის

---

<sup>31</sup>ქურათი ბათუმის სანჯაყში ხმის უფლების მქონე პირების რაოდენობად 4312 ასახელებს (Kurat, Türkiye ve Rusya, s. 492) თუმცა დიდი იმის ალბათობა, რომ ციფრები შეიძლება არეული იყოს. ხუთ საარჩევნო ოლქად დაყოფილ ბათუმში იმ წლების მოსახლეობის აღწერის დოკუმენტების მიხედვით ხმის უფლების მქონე მამაკაცების რაოდენობა დაახლოებით ოთხჯერ მეტი უნდა იყოს. იმიტომ რომ თუ ბათუმში მოსახლეობის რაოდენობა 64026 ადამიანია, შეუძლებელია ხმის უფლება მხოლოდ 4312 ჰქონდეს. თუ ვნახავთ იმ პერიოდში გამოძვალ გაზეთებს, რომლებსაც ქურათიც იყენებდა, დავინახავთ, რომ ამ წყაროებში განსხვავებული ციფრებია, რაც მიანიშნებს, რომ ხსენებულ ნაშრომში დიდი ალბათობით ციფრების არევა მოხდა. რადგან ამ შეცდომის აღმოჩენის შემდეგ გაზეთი, რომელიც წიგნში იყო გამოყენებული, რამდენჯერმე იქნა შესწავლილი. თანაც მკვლევარის მიერ მოყვანილი რეფერენდუმის საბოლოო შედეგები არ ემთხვევა სხვა ციფრებს, რაც ამტკიცებს ციფრების არევის ალბათობას.

<sup>32</sup>Sabah, 16 Ağustos 1334/1918, No. 10 326.

<sup>33</sup>Kurat, Türkiye ve Rusya, s. 492.

უფლებით სარგებლობდა 82878 ამომრჩეველი.<sup>34</sup> დადებითი პასუხი გასცა 81044 ამომრჩეველმა, უარყოფითი - 211, თავი შეიკავა 1623.<sup>35</sup>

ამ მონაცემებით ხმების 97,8%-ით მხარი დაუჭირეს თურქეთთან შეერთებას და სულთანმაც 15 აგვისტოს გამოქვეყნებული ჰატი-ჰუმაიუნით საქმე დაასრულა. ეს თურქეთისთვის დიდი გამარჯვება იყო. ქართველების და სომხების პრეტენზიები საბოლოო ჯამში ამ სამ სანჯაყში არსებულმა დემოგრაფიულმა ვითარებამ თურქული მხარისთვის დადებითად გადაწყვიტა ავტომატურად. ერთადერთი თემა, რომელიც შეიძლებოდა გაეკრიტიკებინათ. ეს იყო თურქული შეიარაღებული ძალების მიერ რეგიონის დაკავება პლებისციტის ჩატარებამდე. ესეც, როგორც უკვე იყო განმარტებული ეს გამოიწვია რუსეთის მიერ ჯარების არაორგანიზებულმა გაყვანამ და სომხების მიერ დაწყებულმა ძალადობამ. ამას გარდა, იმ დროის პირობებით თურქეთის მიერ ჩატარებული სახალხო კენჭისყრის გასაკრიტიკებლად სხვა მიზეზი არ არის. თანაც მნიშვნელოვანი წარმატება იყო ისიც, რომ თურქეთმა მარტომ საკმაოდ მოკლე ვადებში ჩაატარა ეს სახალხო კენჭისყრა და ბოლოს კურათის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, სამი სანჯაყ მოსახლეობამ არჩევანი კენჭისყრით გამოხატა და შედეგი განსაზღვრა. შედეგი დაიდო სამ სანჯაყში უმრავლესობის ხარჯზე, რომელსაც მუსულმანი მოსახლეობა წარმოადგენდა. მათ აჩვენეს, რომ მხოლოდ თურქული მმართველობა სურდათ.<sup>36</sup> ამგვარად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობა შესრულდა.

ელვიე-ი სელასეში ჩატარებულ რეფერენდუმს სტამბოლის პრესა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს. ამიტომ ამ თემაზე გაზეთებში ბევრი დაიწერა. სამი სანჯაყის სამშობლოს საზღვრებში დაბრუნებას მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.<sup>37</sup> თუმცა სომხურ, ქართულ, საბჭოთა რუსეთის და გერმანულ პრესაშიც კი კრიტიკული კომენტარები იბეჭდებოდა. ზემოთ ვახსენეთ საქართველოს მთავრობის პროტესტი. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოდ საბჭოთა რუსეთი მოიქცა. თურქეთის მიერ ამ ტერიტორიების შეერთების შემდეგ მოსკოვის

---

<sup>34</sup>რადგან ზუსტად არ ვიცით იმ პერიოდის მოსახლეობის სტატისტიკა, აქ მხოლოდ იმ მამაკაცების რაოდენობაა მოყვანილი, რომელმაც ხმის უფლება გამოიყენა. უცნობია იმ მამაკაცების რაოდენობა, რომლებსაც ჰქონდათ ხმის უფლება და არ გამოიყენეს. ამის ცოდნა შეუძლებელია, რადგან მოსახლეობის ზუსტი რაოდენობაც არაა ცნობილი.

<sup>35</sup>ქურათისმიერ საბოლოო შედეგთან დაკავშირებით ნაჩვენები ხმების რაოდენობა იმ რამდენიმე განსხვავებას: ხმის უფლება გამოიყენა 87048 მამაკაცმა, დადებითი პასუხი გასცა 85129, უარყოფითი 441 და თავი შეიკავა 1693 ამომრჩეველმა (Kurat, Türkiye ve Rusya, s. 492).

<sup>36</sup>Kurat, Türkiye ve Rusya, s. 492-493.

<sup>37</sup>Tanin, 4 Eylül 1334/1918, No. 3 496.

მთავრობამ პირველ ეტაპზე არაფერი გააკეთა და თურქი ელჩის მემვობით პროტესტი არ გამოუთქვამს. თუმცა როდესაც თურქული შეიარაღებული ძალები 15 სექტემბერს ბაქოს მიადგნენ, საბჭოთა მთავრობამ თურქეთის წინააღმდეგ პრესაში დიდი საპროტესტო ტალღა ააგორა. ბოლოს, 1918 წლის 20 სექტემბრის ნოტიო გააპროტესტა თურქეთის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და სცადა არტანში, ბათუმსა და ყარსში ჩატარებული პლებისციტისთვის დაეკავშირებინა სხვადასხვა უკანონობა. რუსეთმა განაცხადა, რომ არ აღიარებდა პლებისციტს და მოითხოვდა მის გამეორებას უკეთესი პირობებით და რეგიონის საკითხის განხილვას საერთაშორისო დონეზე.<sup>38</sup> ეს იყო რუსეთის ღია რეაქცია.

თუმცა რუსეთმა თავისი ძირითადი რეაქცია, თურქეთის ახლო მოკავშირესთან გერმანიასთან 1918 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებით ირიბად გამოხატა. რუსეთის რეაქცია ბუნებრივი იყო. მის მფლობელობაში მყოფი კავკასია, რომლის თვალუწვდენელი ტერიტორიით ყველანაირად სარგებლობდა, ხელიდან ეცლებოდა. რუსეთმა რევოლუციებით დაკარგა ბევრი რამე და მათ შორის კავკასიაც. ეხლა კი აპროტესტებდა თურქეთის მიერ ამ ფართო და მდიდარი მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას. ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესოა გერმანიის რეაქცია ამ მოვლენებზე. სინამდვილეში ტრაპიზონის და ბათუმის კონფერენციებზე გერმანია თავისი სურვილით არ დათანხმებულა, რომ თურქეთი კავკასიაში შესულიყო. მაგრამ იმ პერიოდში კავკასიაში თურქეთს არ ჰყავდა კონკურენტი და მან ხელი შეუშალა გერმანიას. ჯერ კიდევ ივლისის თვეში გერმანიის რაიხსტაგში გამართულ შეხვედრაზე ერთერთმა დეპუტატმა ასე დაახასიათა გერმანიის კავკასიური პოლიტიკა: „ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მთავრობა მოახდენს მეგობრულ ზეწოლას ჩვენს თურქ მოკავშირეებზე, რომლებმაც გადაკვეთეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები“.<sup>39</sup>

ასეთი იყო „თურქეთის ახლო მოკავშირე გერმანიის“ შეხედულება თურქეთის მოქმედებასა და წამოწყებაზე კავკასიაში. არა და ენვერ ფაშა გერმანელების შესახებ როგორი „დადებითი“ შეხედულების იყო და ადვილად არ აპირებდა მის შეცვლას. თუმცა მოვლენების განვითარებამ და რეალობამ აიძულა ენვერ ფაშა გაეცნობიერებინა ეს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში გერმანელები ფარულად დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან ქართველებთან და თურქების

<sup>38</sup>Kurat, Türkiye ve Rusya, s. 493-494.

<sup>39</sup>Ati, 14 Temmuz 1334/1918, No. 193.

წინააღმდეგ მხარდაჭერა აღმოუჩინეს. სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერევნისკენ მიმავალ მთავრობის რამდენიმე წევრს გერმანელებმა ორი ოფიცერი გააყოლეს. ისევ გერმანელები იყვნენ, ვინც აღმართული დროშებით დაიკავა თბილისის აღმოსავლეთით 5 კმ მანძილზე მდინარე მტკვრამდე მდებარე ტერიტორია ქარაიზილი, რომლის მოსახლეობაც მთლიანად მუსლიმებისგან შედგებოდა. ისევ გერმანელები ახდენდნენ სამხრეთიდან ზეწოლას ჩრდილოეთ კავკასიაზე.<sup>40</sup> მოვლენების ასეთმა განვითარებამ ენვერ ფაშას შეცვალა აზრი და პირველად გამოაცხადა, რომ ბაქოს გადარჩენა თურქეთს საკუთარ თავზე უნდა აეღო.<sup>41</sup> ამგვარად გერმანელებმა კავკასიის საკითხის გამო დაკარგეს თურქეთის მთავრობაში მათი ყველაზე დიდი მომხრე.

გერმანელებს სურდათ კავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების შენარჩუნება და აქედან გამომდინარე მხარს არ უჭერდნენ თურქების სამხედრო ოპერაციებს, განსაკუთრებით არ მოწონდათ და თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ბაქოს ლაშქრობას. მათი მიზანი იყო თავის მხარეს მიემხროთ საბჭოთა რუსეთი და გაეძლიერებინათ ზეწოლა, ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთობმრეწველობა და რეგიონის სასარგებლო წიაღისეული, კავკასიიდან ირანისკენ, ბასრასა და შუა აზიისკენ მიმავალი გზები გაეკონტროლებინათ. ასეთ ვითარებაში, რადგან რეგიონში თურქეთის საპირწონე ძალა არ იყო, ისინი ცდილობდნენ საქართველოს მეშვეობით ეკონტროლებინათ კავკასიაში განვითარებული მოვლენები.<sup>42</sup> მაგრამ თურქეთმა გამოიყენა უპირატესობა და ცხადი გახდა, რომ გერმანიას ასე ადვილად არ დანებდებოდა. 1918 წლის აგვისტოში ენვერ ფაშამ ამ თემასთან დაკავშირებით სინამდვილე შეიტყო და გერმანიის ნამდვილი სახე უფრო კარგად დაინახა. III არმიის სარდლობისთვის გაგზავნილ წერილში მათ ატყობინებდა, რომ გერმანიასთან დაწყებული მოლაპარაკებები კავკასიასთან დაკავშირებით შეთანხმებით არ დასრულდა, რადგან გერმანელებმა რუსებთან დაახლოება დაიწყეს და არ უნდათ აიღონ ვალდებულება, რომ ბაქო აზერბაიჯანელებს გადაეცეს. მაშინ როცა თურქეთი ითვალისწინებდა აზერბაიჯანის მთავრობის მოსაზრებას, რომ ბაქოს გარეშე ქვეყანა ვერ იცხოვრებდა და ამ საკითხზე გერმანელებიც ცდილობდნენ თავისი ეკონომიკური ინტერესების გატარებას. თანაც გერმანელები კავკასიაში თურქების სამხედრო ოპერაციაში

<sup>40</sup>ATASE, A. 1-64, K. 1857, D. 133-428, F. 1-32, 1-33.

<sup>41</sup>Kurat, Türkiye ve Rusya, s. 535-536.

<sup>42</sup>Kılıç, Ermeni Sorunu ve Almanya, s. 169-175; Ronald Grigor Suny, Bakû Komünü Rus Devriminde Milliyet ve Sınıf, Türkçesi: Kudret Emiroğlu, İstanbul, 1990, s. 273.

ჩართვასაც კი ფიქრობდნენ,<sup>43</sup> ამიტომ ისინი ცდილობდნენ მიმდინარე მოვლენებში მხარე ყოფილიყვნენ.

ამ პერიოდში ზოგიერთ გერმანულ გაზეთში გერმანიის კავკასიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარები იბეჭდებოდა. ვინმე თავადი რევენტლოფი პროტესტს აცხადებდა თურქების კავკასიაში წინსვლასთან და თბილისთან მიახლოებასთან დაკავშირებით და სთავაზობდა მათ: „თქვენი თვალები არაზეთის, ეგვიპტისა და პალესტინისკენ მიმართეთ და თქვენი ძალები ოსმალეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის გამოიყენეთ“.<sup>44</sup> ასეთი იყო გერმანელების შეხედულება. ცდილობდა თურქეთის რეგიონში გაბატონებისთვის წინაღობა შეექმნა საკუთარი ეკონომიკური ინტერესების სახელით და სურდა მისი ყურადღება სამხრეთისკენ, არაზეთის ნახევარკუნძულისკენ და ეგვიპტისკენ გადაეტანა, სადაც უნდა ეკონტაქტა ინგლისელებთან, მაშინ როცა თავად უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენდა კავკასიის რეგიონისადმი.

ჯერ კიდევ ბათუმში ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისას, რეგიონში გერმანიის ელჩმა გენერალმა ოტო ფონ ლასოვმა ბერლინში კავკასიასთან დაკავშირებით შემდეგი წერილი გააგზავნა: „თუ ჩვენ ხელიდან გავუშვებთ ამ მდიდარ ქვეყანას, შეიძლება დავკარგოთ შესაძლებლობა, რომელიც აღარ გვექნება საუკუნეების განმავლობაში. საკითხი ძალიან მძიმეა, დრო ძალიან მცირე“.<sup>45</sup>

გერმანიას, რომელიც თვლიდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული საკმარისი არ იყო და რომ ქართველები არ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მოპოვებულით და უფრო კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ. ამ მიზნით მან გადადგა ყველაზე სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით და დაიწყო რუსეთთან დაახლოება. მათი აზრით, თურქეთის კავკასიაში შესაჩერებლად, ან სულ ცოტა შეზღუდულ ტერიტორიაზე დატოვება, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რუსეთის მონაწილეობით. რუსეთი კვლავ უნდა დაბრუნებულიყო კავკასიაში. ამგვარად თუ რამე მოხდებოდა, გერმანია იქნებოდა მომრიგებელი ქვეყანა და უზრუნველყოფდა თავისი მაქსიმალური ინტერესების დაკმაყოფილებას.<sup>46</sup> ამაზე იყო აგებული გერმანიის ახალი სტრატეგია. ამის საუკეთესო მასალა იყო თურქეთის ბაქოსკენ სწრაფვა და კავკასიაში მოპოვებული წარმატება. სამი სანჯაყის სამშობლოსთან მიერთების

<sup>43</sup>ATASE, A. 1-64, K. 1857, D. 133-428, F. 1-30, 1-31.

<sup>44</sup>Zaman, 28 Haziran 1334/1918, No. 86.

<sup>45</sup>WolfdieterBihl, DieKaukasus Politik der Mittelmaechte, c. II, Wien, Köln, Weimar, 1992, s. 55.

<sup>46</sup>WernerZürerer, Kaukasien 1918-1921, Düsseldorf, 1978, s. 46-50; Bihl, Die Kaukasus Politik, s. 45.

საკითხის მსგავსად თურქეთმა ამ საკითხთან მიმართებაშიც სიმტკიცე გამოავლინა. ამიტომ მოქმედების დრო იყო. რუსეთიც უკვე შემზადებული იყო ამისთვის<sup>47</sup> და ისე ეტყობოდა, რომ ამ საკითხზე დამატებითი სიძნელე არ უნდა წარმოქმნილიყო.

ივნისის თვეში დაწყებულმა მცდელობებმა 1918 წლის 27 აგვისტოს შედეგი გამოიღო. ამ დღეს ბერლინში, გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებას, რომლის მიხედვითაც გერმანია ვალდებულივას იღებდა შეეჩერებინა თურქული ჯარების წინსვლა კავკასიაში და განსაკუთრებით მათ მიერ მდინარე მტკვრის გადაკვეთა, ხოლო მტკვრის გადაღმა ტერიტორიის საბჭოთა რუსეთისთვის გადაცემაში დახმარების პირობას იძლეოდა, სამაგიეროდ მას უნდა გადაეცემოდა ბაქოს ნავთობის ნახევარი.<sup>48</sup> ამ შეთანხმებით რუსეთი აცხადებდა, რომ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს.<sup>49</sup> ამგვარად ახლო მოკავშირე გერმანიამ თავის ნამდვილ სახეს წარმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებში მთავარი მოქმედი აქტორი და გერმანიის მოკავშირე იყო, თურქეთის სახელიც არ იყო ნახსენები. უფრო მეტიც, ტერიტორია და ნავთობი, რომელიც მოლაპარაკების საგანი იყო, აზერბაიჯანში მდებარეობდა, თუმცა ამ ხელშეკრულებაში აზერბაიჯანის სახელიც არ გაჟღერებულა. გერმანიის ერთ გაზეთის შენიშვნა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა: „ამგვარად გერმანია ადასტურებდა, რომ აზერბაიჯანი ეკუთვნოდა ბოლშევიკებს გარკვეული რაოდენობა საწვავის სანაცვლოდ“.<sup>50</sup> ასეთ ხელშეკრულებას პირველ რიგში აზერბაიჯანი არ მიიღებდა.

ქურათი ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან აზრიან შეფასებას იძლევა: „გერმანელები ამგვარად ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ თურქეთის შეიარაღებული ძალების მსვლელობას ბაქოზე. მით უფრო, რომ სწორედ გერმანელები იყვნენ იმის მიზეზი, რომ თურქებმა ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მიაღწიეს ბაქომდე, რადგან ნებას არ აძლებდნენ მათ ბათუმი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზის გამოყენებით გადაეყვანათ ცოცხალი ძალა და საბრძოლო მასალა. საბრძოლო მასალის სიმცირით იყო გამოწვეული თურქების წარუმატებლობა ბაქოს მისადგომებთან ივლისის

<sup>47</sup>Ati, 19 Ağustos 1334/1918, No. 228.

<sup>48</sup>ზოგიერთ ნაშრომებში ეს მოცულობა ნაჩვენებია, როგორც ¼ (Mirza Bala, “Milletlerarası Münasebetlerde Azerbaycan”, Kurtuluş (Berlin), 43 (Mayıs 1938), s. 6 (1156).

<sup>49</sup>TTK, Tefvik Bıyıklıoğlu Arşivi, No. 32; Mirza Bala, “Azerbaycan Cumhuriyeti'nin Menşei”, Dergi, 4 (1956), s. 22; Alexandre Manvelichvili, Histoire de la Georgie, Paris, 1951, s. 428; Kurat, Türkiye ve Rusya, s. 511..

<sup>50</sup>Tercüman-ı Hakikat, 1 Eylül 1334/1918, No. 13 470.



ბოლოს და 5 აგვისტოს გამართულ ბრძოლებში. როდესაც მოხერხდა თავრიზის გავლით საკმარისი რაოდენობით საბრძოლო მასალის ტრანსპორტირება, თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა 14-15 სექტემბერს მოახერხეს ბაქოს ხელში ჩაგდება.<sup>51</sup>

მალე რეგიონის მოსახლეობამ სხვადასხვა სახით გააპროტესტა ეს ხელშეკრულება. ყველაზე ხისტი პროტესტი კი აზერბაიჯანმა გამოთქვა. 1918 წლის 12 სექტემბერს სტამბოლში კონფერენციზე მყოფმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურმა მეჰმედ ემინ რესულზადემ 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთის ხელშეკრულებას საკმაოდ ვრცელი დეკლარაცია მიუძღვნა, რომელშიც დაგმო და გააპროტესტა მისი ხელმოწერა. ამ დეკლარაციაში რასულზადე აღნიშნავს, რომ სხვა ერებს ყოველთვის მადას აღუძრავდა ბაქოს ეკონომიკური სიმდიდრე, თუმცა ამ ერებისთვის ბაქო მხოლოდ ეკონომიკური სიმდიდრის მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა აზერბაიჯანელებისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო, რადგან აზერბაიჯანი ბაქოს გარეშე ვერ იარსებებდა და აზერბაიჯანელები არასოდეს იტყოდნენ უარს ამ ქალაქზე.<sup>52</sup> ამგვარად აზერბაიჯანმა საერთაშორისო საზოგადოებას გააგებინა, რომ იგი არ მიიღებდა ასეთ შეხედულებებს.

რუსეთის მიერ მისგან გამოყოფილი ერებიდან მხოლოდ ქართველების დამოუკიდებლობის ცნობა გასაგებია. გერმანელების „მფარველი ფრთის ქვეშ მყოფი ქართველები“ რუსეთის პრობლემებს გარეთ რჩებოდნენ. როდესაც რუსებმა გამოთქვეს სურვილი ჰქონოდათ ურთიერთობა ფედერაციის მთავრობასთან ფედერაციის არსებობის პერიოდში და მიეღოთ მონაწილეობა ბათუმის კონფერენციაში, ყველაზე დიდი რეაქცია ქართველებმა გამოხატეს.<sup>53</sup> ახლა აქტუალური აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხი იყო. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ყველაზე მეტად თურქეთს შეეხებოდა. რადგან ამ ქვეყნებში რეალურ ძალაუფლებას თურქეთი ფლობდა. საქართველო გერმანიას ეყრდნობოდა და შეეძლო ესარგებლა შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით და აზერბაიჯანთა არსებული სასაზღვრო პრობლემები დღის წესრიგში დაეყენებინა. მაგრამ ეს იყო უძლურების გამოხატულება გერმანიის მხრიდან, რადგან მან ვერ მოახერხა რუსეთი დაეთანხმებინა ელიარებინა სომხეთის დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, ამ ხელშეკრულებით გერმანიას ბაქოს ნავთობის სიმდიდრე რუსეთისთვის უნდა გაეყო.

<sup>51</sup> Kurat, Türkiye ve Rusya, s. 511.

<sup>52</sup> საპროტესტო მანიფესტის სრული ტექსტი იხ.: Azərbaycan, 6-7 (Eylül-Ekim 1954), s. 25-26.

<sup>53</sup> Dokumenti i Materyali, ves. 146, s. 290-292.

როგორ შეხვდა მოვლენების ასეთ განვითარებას სომხეთის რესპუბლიკა? იმ პერიოდის სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხატისოვი 27 აგვისტოს გერმანულ-რუსულ ხელშეკრულებას და სომხეთის მდგომარეობას ასე აფასებს: „ბოლშევიკებს ჩვენი დამოუკიდებლობა რომც ელიარებინათ, ეს ჩვენს მდგომარეობას არ შეცვლიდა. სომხეთის დამოუკიდებლობა მომხდარი ფაქტი იყო მაგრამ ვინც არ უნდა წავიდეს ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ჩვენ შევებრძოლებით. ყველა ერის თვითგამორკვევის წმინდა უფლება, ყველას უფლებაა და ეს ბოლშევიკებმაც კი აღიარეს. მაშინ როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ იგივე არ გააკეთეს სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში? ამასთან დაკავშირებით ერთი რამ ნათელია: სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან, ხელს ვერ შეუშლის თურქეთის მოკავშირე გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და ბულგარეთს სამი კავკასიური ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას“.<sup>54</sup> ხატისიანი ასეთი განცხადებით სთავაზობს ყველა მოკავშირე სახელმწიფოს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე აღიარონ სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. მაგრამ შეუძლებელია იმის გაგება, თუ რატომ არის მოხსენიებული გერმანია ამ სახელმწიფოებს შორის.

1918 წლის 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ იმ პერიოდის თურქული პრესის წამყვანი გაზეთის „თერჯუმანი ჰაქიქათის“ 1 სექტემბრის ნომერში დაიწერა სტატია სათაურით „კვლავ ბაქოს საკითხი“, რომელშიც ყველაზე კარგად არის გადმოცემული თურქეთის „რეაქცია“ და „სულიერი მდგომარეობა“ მიმდინარე მოვლენების მიმართ. სტატიის ერთი ნაწილი დაგვეხმარება საკითხი უფრო მრავალმხრივ გავიგოთ: „გერმანელებისთვის გაუგებარია, რომ ოსმალები კავკასიასთან სიკვდილ-სიცოცხლის ძაფებით არიან დაკავშირებული. კავკასია ჩვენი მეზობელია. კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის 75% ენის, რელიგიის და რასის მხრივ ჩვენთან ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული. ჩვენი ამ ხალხთან მრავალჯერ მოვაწერეთ ხელი სხვადასხვა ხელშეკრულებებს, რაც იცოდნენ გერმანელებმა და მონაწილეობაც მიუღიათ მათში. ათი წელზე მეტია ვიბრძვით და ათასობით მსხვერპლი გავიღეთ. ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარი ამ ომში იყო იმედი, რომ რუსულ კომმარს კავკასიის მთებს გადაღმა გადავაგდებდით და ამით რუსული საფრთხისგან დავიხსნიდით საკუთარ თავსაც.“

<sup>54</sup> Sabah, 2 Eylül 1334/1918, No. 10 343.

ეხლა კი გამოდის, რომ ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, მხოლოდ უბრალო საწვავის გამო ბაქოს რუსეთს უტოვებს და ამ საფრთხის გახანგრძლივება სურს! ჩვენს იმედს საფუძველშივე კლავს. როგორ გამოდის ასე, რომ გერმანია აჭრის რუსეთს მის ღვიძლ ნაწილებს - ფინეთს, ესტონეთს, ლიეტუვას, პოლონეთს და უკრაინას, აქუცმაცებს მას და თანაც ამ ადგილებში გერმანული სამთავროების დაარსებაზე საუბრობს, მაგრამ მხედველობაში არ იღებს ჩვენს კავშირებს კავკასიასთან, კავკასიურ მთავრობებთან გაფორმებულ მრავალ ხელშეკრულებას. ამ კითხვების დასმისას ადამიანი მხოლოდ გაკვირვებული არ რჩება და აჯანყებას იწყებს!...”

გაზეთი „თერჯუმანი ჰაქიქათი“ სტატიის ბოლო ნაწილში, მიმართავს გერმანიას და ძალიან კიცხავს მათ და მათ ქმედებებს. ძალიან დამაფიქრებელ, მაგრამ ზუსტ შეფასებას აკეთებს: „ამდენი საწვავი მოგცათ აზერბაიჯანმა! გამოდის, რომ მთელი ერების ბედი, ხელშეკრულებები, მეგობრობა, ერთგულება, იმედის გარკვეული რაოდენობა გაზის სანაცვლოდ ნულდება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ როგორი იმედით ველოდოთ მომავალს!“<sup>55</sup> დიახ, გერმანიამ თურქეთს კავკასიის ბუნებრივი რესურსები და განსაკუთრებით ბაქოს ნავთობი ხელიდან გამოაცალა და რუსეთთან, რომელიც აღარც იმედოვნებდა და დაშორებული იყო კავკასიას, რეგიონი გაინაწილა. მაშინ როდესაც გერმანია უკვე ორი თვეში ხელმოწერილი კაპიტულაციის შემდეგ მიხვდება, რომ მისი პოლიტიკა უშედეგოდ დასრულდება და რომ კავკასია საკუთარი ხელით ჩაუბარებია რუსეთისთვის. თუმცა ამ ვითარების ამოხსნის ან შეცვლის შესაძლებლობა აღარ იქნებოდა.

## დასკვნა

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, სამ სანჯაყში ოსმალეთმა პლებისციტი ჩაატარა, რომელიც 14 ივნისს დაიწყო და დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ 1918 წლის 27 ივლისს დასრულდა. დათვლისა და ოფიციალური პროცესების დასრულების შემდეგ 1918 წლის 15 აგვისტოს გამოცემული ჰატი-ჰუმაიუნით თურქეთისთვის დიდი სიხარულის მომტანი გამარჯვება მოიპოვეს. 97,8%-იანი შედეგით რეგიონმა თურქეთთან ერთად ყოფნა გადაწყვიტა. ხმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არტანსა და ყარსში დაფიქსირდა, ბათუმში კი ხმების 10%-მა რეფერენდუმში მონაწილეობისგან თავი შეიკავა. ეს ციფრები, რომლებიც

<sup>55</sup> Tercüman-ı Hakikat, 1 Eylül 1334/1918, No. 13 470.

ექვის შეტანის საფუძველს არ ტოვებს, ყარსის, არტანის და ბათუმის არჩევანის მაჩვენებელია. თუმცა ამ მოვლენას სომხურ, ქართულ, საბჭოთა და გერმანულ პრესაში მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა. ყველაზე დიდი რეაქცია საბჭოთა რუსეთში გამოიწვია, რომელმაც 27 აგვისტოს კავკასიის საკითხზე გერმანიასთან ხელშეკრულება გააფორმა. უფრო სწორად ინტერესებმა უბიძგა გერმანიას რუსეთთან ერთად ემოქმედა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა მხარეს იდგნენ და რუსეთს ხელი ჰქონდა მოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მძიმე პირობებზე. ამ პერიოდში საქართველომ სულ ცოტა ცირე ხნით მაინც გერმანიასთან ერთად დაიწყო მოქმედება. გერმანიამ კი საქართველოს მეშვეობით კავკასიაში ფეხი მოიკიდა. უფრო მიტიც ზოგიერთ რეგიონში თურქეთის წინააღმდეგ ქართულ-გერმანული გაერთიანება შეინიშნებოდა. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ გერმანელები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ რეგიონი. სხვადასხვა პრობლემებისა და ნოტების გაცვლის მიუხედავად პლებისციტის ჩატარების და მის შემდეგ საქართველოსა და თურქეთს შორის დიდი დაპირისპირება ან ომი არ დაწყებულა. მსოფლიო ომის შემდეგ კავკასიამ მცირე ხნით ინგლისელების ოკუპაცია გადაიტანა, შემდეგ რეგიონში ჰეგემონია ჯერ საქართველომ, 1920-21 წლებში კი საბჭოთა რუსეთმა მოიპოვა. ამ პერიოდში ქართული და თურქული მხარეების ურთიერთობებში დროდადრო წარმოიქმნებოდა ხოლმე სირთულეები, თუმცა ეს ორი მეზობელი არ ივიწყებდა ახლობლობას და მეგობრობას და მათი ურთიერთობების დიდ დაპირისპირებასა და ომში გადაზრდის გარეშე აგვარებდა ყველა პრობლემას.

## ბრიტანელი მოგზაურების: ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მანგელსის ცნობები თურქეთში ტყვედ გაყიდული ქართველების შესახებ (XIX საუკუნის I მეოთხედი)

პროფესორი გიორგი სოსიაშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### მოკლე შინაარსი

ადამიანთა ვაჭრობა გვიან შუასაუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ოსმალეთში მოსახლეობის გატაცების აღმოსაფხვრელად სამეფო ხელისუფლების, თუ საეკლესიო წრეების მხრიდან არაერთი მკაცრი ღონისძიება გატარდა, თუმცა უშედეგოდ. ამ „სარფიან“ საქმეში ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩაბმულები. ისინი ხშირად ფიცს დებდნენ ეკლესიის, თუ ხელისუფლების წინაშე "ტყვის სყიდვაზე" უარის თქმის შესახებ, მაგრამ ცდუნება მაინც დიდი იყო. პრობლემა პრობლემად რჩებოდა. საქართველოდან ადამიანთა გაყიდვა-გატაცების ფაქტებს XIX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ძალზე გამკაცრა პოლიტიკა, რასაც თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენებისადმი რუსეთის მაღალჩინოსნების წერილებიც ადასტურებს. ოსმალეთში საქართველოდან ადამიანთა გაყიდვის შესახებ ცნობები შემოგვინახეს როგორც ქართულმა ისე უცხოურმა წყაროებმა. "ტყვეთა სყიდვაზე" გვიამბებონ უცხოელი მოგზაურებიც. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბრიტანელი საზღვაო მაღალჩინოსნების ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მანგელსის ჩანაწერებმა. სამხედრო-საზღვაო კაპიტანი და მოგზაური ჩარლზ ლეონარდ ირბი (1789 – 1845) დაიბადა 1789 წლის 9 ოქტომბერს. ყმაწვილი ჩარლზი საზღვაო საქმით 1801 წლიდან დაინტერესდა. ჩრდილოეთის ზღვაზე, ხმელთაშუა ზღვაზე და კეთილი იმედის კონცხზე კეთილსინდისიერი სამსახურის, მონტევიდეოსა და ბისკაიში გამოჩენილი თავდადების გამო 1808 წლის 13 ოქტომბერს, მან ლეიტენანტის წოდება მიიღო. ჩარლზ ირბი გარკვეული პერიოდი მსახურობდა ჩრდილო ამერიკის სანაპიროზეც; 1814 წლის 7 ივნისს დაინიშნა გემ „თეიმზის“ (Thames) მეთაურად, რომლითაც მონაწილეობდა ახალი ორლეანის წინააღმდეგ განხორციელებულ საბრძოლო ოპერაციაში, რაც ბრიტანელების მარცხით დასრულდა. ჯანმრთელობის გაუარესების

გამო, მას 1815 წლის მაისში თანამდებობის დატოვება მოუწია. 1816 წლის ზაფხულში თავის ძველ მეგობართან, კაპიტან ჯეიმს მენგელსთან ერთად ირბიმ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა გადაწყვიტა. მოგზაურობა იმაზე მეტად ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ისინი ესტუმრნენ ეგვიპტეს. ჯოვანი ბაპტისტა ბელზონის და ჰენრი უილიამ ბიჩის თანხლებით დაათვალიერეს აბუ-სიმბელის ტაძარი; შემდეგ გადაკვეთეს უდაბნო, ჩავიდნენ ალეპოში, სადაც შეხვდნენ უილიამ ჯონ ბენკს და ტომას ლის. აქედან გაემგზავრნენ პალმირსა და დამასკოში. შემდეგ იმოგზაურეს იერუსალიმში. მკვდარი ზღვის შემოვლით გადაკვეთეს წმინდა მიწა. ბოლოს მიაღწიეს კონსტანტინოპოლს, თუმცა ორივე დიზენტერიით დაავადდა, რის გამოც იძულებულები იყვნენ კვიპროსზე გაჩერებულებიყვნენ. 1818 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მოგზაურები მარსელში გაემგზავრნენ, სადაც მძიმე მგოზაურობით სავსე 76 დღეში ჩააღწიეს. მეზღვაურთა შთაბეჭდილებები 1823 წელს გამოიცა სათაურით: „მოგზაურობა ეგვიპტესა და ნუბიაში, სირიასა და მცირე აზიაში 1817 -16 წლებში“. 1844 წელს აღნიშნული ჩანაწერები „მიურეს კოლონიალურმა და საშინაო ბიბლიოთეკამ“ ერთ ტომად გამოსცა. მოგვიანებით საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე ჩარლზ ირბის და ჯეიმს მანგელსის წიგნი რამდენჯერმე გამოქვეყნდა. როგორც მათი ჩანაწერების შესავალშია აღნიშნული, მოგზაურობა ეგვიპტეში, ნუბიაში, სირიასა და წმინდა მიწაზე ინგლისიდან 1816 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და ოთხ წელზე მეტ ხანს გასტანა. სირიაში ბრიტანელ მოგზაურებს საქართველოდან მოტაცებული ქართველი გოგონები უნახავთ. თურქები მათ სხვადასხვა ადგილზე ჰყიდდნენ. როგორც მოგზაურები აღნიშნავენ, ტყვედ წამოყვანილი ორმოცი-ორმოცდაათი ქართველი მანდილოსნიდან გასაყიდი თერთმეტი იყო დარჩენილი. ბრიტანელი მოგზაურები წერენ: „სანამ სასტუმროში გაჩერებულები ვიყავით, ერთ საღამოს ოთხი ცუდად ჩაცმული თურქი მოვიდა, ჯარისკაცებივით ეცვათ. უფროსი მათგანი უკეთ იყო შემოსილი, მაგრამ ხეირიანად მაინც ვერ გამოიყურებოდა. ამ ხალხმა თან მოიყვანა თერთმეტი ქართველი გოგო. როგორც გვაცნობეს, ესენი ორმოცი - ორმოცდაათი გოგოდან იყვნენ დარჩენილები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან მშობლებს მოსტაცეს და მდიდარ თურქებზე მონებად ან ხასებად უნდა გაეყიდად. საცოდავი გოგონები ჩვენს მეზობლად მდებარე ოთახში გააჩერეს. უმრავლესობა თხუთმეტიდან ოც წლამდე იყო; ორი უფრო პატარა - თორმეტ წლამდე. ყველა ერთმანეთზე ლამაზი. შავი მზზინვარე თვალებით, ვარდისფერი ლოყებით, გრძელი შავი თმით და საუცხოო გარეგნობით. რაც ვოლნის (გაურკვეველია ვის

გულისხმობენ-გ. ს) დახასიათების საწინააღმდეგოა ქართველი და ჩერქეზი ქალების სილამაზის შესახებ. ის ამბობს: „მათი სილამაზის პოპულარობა გამომდინარეობს მათი დანახვის სირთულიდან, რომელსაც მგზავრები აწყდებიან. სინამდვილეში კი არანაირი ხიბლი არ გააჩნიათ-ო“. თანხა, რომელსაც ამ გოგონებში ითხოვდნენ, წარმოდგენას შეგიქმნიდა იმ ფასზე, რასაც თურქები მათში იხდიდნენ. მომსწრენი გავხდით, როგორ იყიდა ერთი გოგო მდიდარმა თურქმა. ამისათვის მყიდველს თოთხმეტ ქისას თხოვდნენ, თითო ქისა 500 პიასტრი, დაახლოებით 18 ფუნტი სტერლინგია. მყიდველმა ათი შესთავაზა, მაგრამ ერთი პარაც არ დააკლეს. საწყალი გოგო, რომელიც დაახლოებით თხუთმეტი წლის იყო, ფეხზე იდგა და უსმენდა როგორ ვაჭრობდნენ მის გაყიდვაზე. ისინი ოთხჯერ, სხვადასხვა დროს ქალაქის გავლით მიჰყავდათ მდიდარი თურქების სახლებში, რათა ეჩვენებინათ და ევაჭრათ; ორჯერ თავად მოვიდნენ მყიდველები ჩვენს სასტუმროში და ოთახის კარიდან ათვალიერებდნენ უბედურ გოგონებს. როცა მათ სილამაზეზე მსჯელობდნენ, ისინი რიგში უნდა მდგარიყვნენ. ზოგი მყიდველი ორმოცდაათ წელს აღემატებოდა, იმ დროს როცა გოგონები მხოლოდ თხუთმეტი წლისანები იყვნენ. ამ უბედურებს წესიერად საჭმელსაც არ აჭმევდნენ. მხოლოდ ერთი ნატეხი პური და პატარა ნაჭერი ყველი ორჯერ დღეში; ფორთოხალი სულ ორი პარა (ნახევარი პენი) ღირდა, მაგრამ მათ არასოდეს არ აძლევდნენ. როდესაც მეპატრონეები სხვაგან წავიდოდნენ, გამოკეტავდნენ ამ უბედურებს ოთახში და გასაღები თან მიჰქონდათ. ქალაქიდან მორიგი დაბრუნებისას, ერთ-ერთი პატარა გოგოს მწარე მოთქმა-გოდება მოგვესმა, რომელსაც გაყიდვას უპირებდნენ. იგი ტიროდა, არაფრით უნდოდა თავისი დისა და მეგობრებისგან დაეშორებინათ. ამ საცოდავ გოგონებს ქალაქიდან ქალაქში ცხენის ზურგზე შემოსმულებს დაატარებდნენ. ისინი ამგვარადვე ჩამოიყვანეს საქართველოდან. გასაყიდად სთავაზობდნენ ყველა მთავარ ქალაქში. ახლა დამასკოში მიჰყავდათ, სადაც ფიქრობდნენ, რომ მათი გაყიდვით კარგ ფულს იშოვიდნენ.

**საკვანძო სიტყვები:** ირბი, მანგელსი, საქართველო. თურქეთი, ტყვე.

# **BÜYÜK BRİTANYALI GEZGİNLERİ CHARLES LEONARD IRBY VE JAMES MANGLES'İN TÜRKİYE'YE ESİR OLARAK SATILAN GÜRCÜLER HAKKINDA BİLGİLERİ (XIX. YÜZYILIN İLK ÇEYREĞİ)**

**Prof. Dr. Giorgi SOSİAŞVİLİ**  
**Gori Devlet Eğitim Üniversitesi**

## **Öz**

Geç Ortaçağ döneminde Gürcistan'daki insan ticareti en ağır ve zor çözülecek problem olarak kendini göstermişti. Komşu ülkelere, özellikle Osmanlı Devleti'ne insanlar kaçırılarak satılmasına karşı gerek kral hükümeti, gerekse kilise yetkilileri tarafından çok sayıda önlem alındı ancak bir sonuç elde edilemedi. Söz konusu "gelirli" işin içinde feodal aristokrasinin temsilcileri de vardı. Onlar çoğu zaman kilise veya saray karşısında "köle ticaretinden" vazgeçmek için yemin etseler de verdikleri sözleri tutmazdılar. Oluşan problem yine de devam ederdi. Gürcistan'dan "köle ticaretinin" birkaç olayı XIX. yüzyılın başlarında vuku buldu. Rusya'nın İmparatorluk Sarayı söz konusu meselenin çözümü için sıkı önlemler aldı. Rusların bu yaklaşımları Türk yetkililerine yazdıkları mektuplardan da belli olmuştur. Gürcistan'dan Osmanlı Devleti'ne "köle ticareti" konusu üzerine olan bilgiler gerek Gürcü, gerekse yabancı kaynaklarda muhafaza edilmiştir. Konu, yabancı gezginlerin günlüklerinde de yer almıştır. Bu açıdan İngiliz donanma yetkilileri olan Charles Leonard Irby ile James Mangle'nin notları dikkatimizi çekmiştir.

Donanma Kaptanı ve Gezgin Charles Leonard Irby (1789 – 1845) 9 Ekim 1789'da doğmuştur. Genç Charles denizcilikle 1801'de ilgilendi. Charles'a Kuzey ve Akdenizler ile Ümit Burnu'nda yaptığı vicdani hizmet, Montevideo ve Biskay'da yaptığı ithaf üzerine 13 Ekim 1808'de teğmen ünvanı verildi. Charles Leonard Irby belli bir zaman Kuzey Amerika sahillerinde de askeri hizmetinde bulundu. 7 Haziran 1814'te "Thames" adlı gemiye kaptan olarak atandı ve New Orleans'a karşı askeri operasyona gönderildi. Ancak, bu savaş İngilizlerin mağlubiyetiyle sonuçlandı. Mayıs 1815'te Charles sağlık sorunları nedeniyle görevinden ayrıldı ve arkadaşı olan James Mangle ile birlikte doğu ülkelerini gezmeye karar verdi. Bu gezi planladıklarından daha uzun sürdü. Kendileri Mısır'a gittiler. Giovanni Baptista Belzoni ve Henry William Beach refakatlarıyla Abu Sibel kilisesini ziyaret ettiler. Daha sonra, çöl üzerinden geçip Halep'e gittiler. Burada William John Benk ve Thomas Lee ile görüştüler. Bundan sonra Kudüs'ü ziyaret ettiler. Ölü Denizi dolaşarak Kutsal Topraklardan ayrıldılar. Sonunda İstanbul'a vardılar. Ancak, her ikisi de dizanteri hastalığını kaptıkları için mecburen Kıbrıs'ta kaldılar. Aralık 1818'de gezginler Marsilya'ya gittiler ve zor bir yolculuk yaptıktan sonra 76 gün içinde ülkelerine vardılar. Denizcilerin hatıraları 1832'de "1816-17 Yıllarında Mısır ve Nubia, Suriye ve Küçük Asya Gezisi" adlı bir kitap olarak çıktı. 1844'te ise anılan hatıralar "Miura Sömürgeci ve Dahili Kütüphanesi" tarafından bir cilt olarak neşredildi. Daha sonraki dönemlerde toplum tarafından fazlasıyla rağbet gördüğü için bu kitap bir kaç defa



yeniden basıldı. Gezinlerin notlarının girişinde yer alan yazılara göre Mısır, Nubia, Suriye ile Kutsal Topraklardaki seyahatları İngiltere'den 14 Ağustos 1816'da başladı ve dört aydan fazla sürdü. Suriye'de gezinler Gürcistan'dan kaçırılan Gürcü kızlarını görmüşler. Türkler onları çeşitli yerlerde satıyorlardı. Gezinlerin anlattıklarına göre kaçırılan ve satın-alınacak 40-50 kızdan yalnız 11 tane kalmıştı. İngiliz gezinlerin yazılarına göre: "Misafirhanede iken bir akşam asker gibi giyinmiş ve aynı zaman kötü giyimli olan dört Türk geldi. Onların reisi daha güzel giymişti, ancak yine de yakışıklı değildi. Bunlar beraberinde 11 Gürcü kızını getirdiler. Kendi ifadelerine göre, bu kızlar Gürcistan sınırlarından kaçırıldıkları ve zengin Türklere köle veya cariye olarak satacakları 40-50 kızdan kalan 11 idi. Zavallı kızları komşu odamıza yerleştirdiler. Bunlardan çoğu 15-20 yaşındaydı. İki daha küçük olup 12 yaş civarındaydı. Birisi diğerinden güzeldi. Onların siyah ve parlak gözleri, pembe yanakları, uzun siyah saçları vardı ve çok yakışıklı idiler. Söz konusu ifadeler Volni (Kimden kastettikleri belli değil G.S.) tarafından Gürcü ve Çerkez kızlarının güzelliklerine dair yapılan değerlendirmelerin tam tersidir. Volni, Gürcü ve Çerkez kızları hakkında "Bunların güzelliğinin bu kadar yaygın olduğu yolcuların onları görme zorluğuna bağlı olduğundan kaynaklıdır. Aslında, cazibeleri hiç yok" gibi ifadelerini kullanmıştır. Söz konusu kızlar için talep edilen ve Türkler tarafından ödenen ücretten verilen fiyatlar hakkında bilgi edinmiş oluyoruz. Bir zengin Türk tarafından bir kızın satın alındığına şahit olduk. Bunun için kendisinden 14 kese para istediler. Bir kese 500 kuruş, yaklaşık 18 sterling değerindedir. Müşteri 10 kese verdi, ancak bir kuruş dahi düşmediler. Zavallı kız, yaklaşık 15 yaşındaydı, ayakta durup satın alınacağına dair konuşmaları dinliyordu. Kızları dört kez, farklı zaman diliminde şehir içini dolaştırarak zengin Türklerin evlerine götürüp satmak için gösterirdiler. İki defa müşteriler misafirhanemize kendileri geldiler ve zavallı kızlara odanın kapısını açıp baktılar. Kızlar güzellikleri değerlendirileceği zaman sıraya geçerlerdi. Müşterilerden bir kaç yaş olarak 50'den fazlaydı, kızlar ise yalnız 15 yaşındaydılar. Bu zavallılara uygun bir şekilde yemek de vermezdi. Günde iki defa bir dilim ekmek ve az bir parça peynir verirdiler. Portakal fiyatı tam iki para (yarım pen) idi, ancak hiçbir zaman alıp da yedirmediler. Sahipleri başka bir yere gittiklerinde kızları odaya kapatırlardı ve anahtarları yanlarına alırlardı. Biz bir ara şehirden döndüğümüzde satacakları bir küçük kızın acı acı ağladığını duyduk. Bu kız kızkardeşi ile arkadaşlarından ayrılmak istemiyordu. Zavallı kızları şehirden şehire atın sırtında gezdiriyorlardı. Gürcistan'dan da aynı şekilde getirmişler. Bütün büyük şehirlere götürüp satışa çıkarıyorlardı. Şimdilik Şam'a götürmeye kalktılar. Tüccarlar kızları Şam'da iyi bir fiyata satacaklarını düşünüyorlardı.

**Anahtar kelimeler:** İrby, Mangles, Gürcistan, Türkiye, Esir.

# **REFERENCES FROM THE BRITISH TRAVELLERS CHARLES LEONARD IRBY AND JAMES MANGLES ABOUT THE GEORGIAN CAPTIVES TRADED IN TURKEY (FIRST QUARTER OF THE XIX CENTURY)**

**Prof. Dr. Giorgi Sosiashvili  
Gori State Teaching University**

## **ABSTRACT**

Human abduction had been considered as one of the most problematic and unresolved issues in Georgia during the Middle Ages. In order, to eradicate the the human trading to neighboring countries, especially to Ottoman Empire, the, then Royal authorities and the ecclesiastic circles had carried out various measures, but all in vain. In this "profitable" business, many of the feudal aristocrats had also been involved. They had sworn an oath, not to engage in human abduction, but they had been enticed seldomly and the problem remained the same. The Russian Imperial authorities had carried out strict measures to counter the problem, which is mirrored in the correspondences of Russian officials to Ottoman counterparts. We have encountered many Georgian and foreign sources about the human trading customs in Georgia. Our attention was caught by the sources provided by the British officials, Charles Leonard Irby and James Mangles.

Military-naval Captain and traveler Charles Leonard Irby (1789-1845) was born on October 9, 1789. Young Charles had shown interest in military affairs from 1801. For the valor shown in Montevideo and Biscay and for his service in Northern Sea, Mediterranean Sea and Cape of Good Hope he had been ranked as a Lieutenant on October 13, 1808. Charles Irby had also served on the shores of the Northern America, whereas was appointed as commander-in chief of the ship Thames, where he participated in the military operation in New Orleans, which had resulted in a failure for the British. Due to the health concerns, he had to leave the military service in 1815, wherea in 1816 Irby, alongside with his friend Captain James Mangles had decided to travel in the Middle East countries. The journey was extended beyond the original plan. Initially, they visited Egypt, and, going up the Nile, in the company of Giovanni Baptista Belzoni and Henry William Beechey, explored the temple at Abu-Simbel; afterwards, they went across the desert and along the coast and reached Aleppo, where they met William John Bankes and Thomas Legh. The party travelled to Palmyra, Damascus, down the Jordan valley, and so to Jerusalem. They afterwards passed round the Dead Sea, finally landing for Constantinople; but falling ill with dysentery, they were landed at Cyprus for medical assistance. In the middle of December 1818 they shipped on board a vessel bound for Marseilles, which they reached after a passage of 76 days. The impressions of the sailors had been published

in their book "Travels in Egypt and Nubia, Syria, and Asia Minor, during the Years 1817 and 1818" in 1823. In 1844, the Home and Colonial Library had published the manuscripts as single-volume book. In the later period, due to the societal interest the manuscripts had been published on several times. As, it is mentioned in their manuscripts the travels to Egypt, Nubia, Syria and Holy Land had begun on August 14, 1816 and had lasted for 4 years. During their quest, the British travellers had seen the abducted Georgian girls. The Turkish had a custom of selling them at various places., whereas as the travellers had noticed, there had remained only 11 girls out of the 40-50 abducted. The British travelers note, "while we were stationed at the hotel, one of the evenings we were approached by the 4 badly dressed Turks, who looked like the soldiers. The chief, among them was dressed better than the others, but he didn't look decent either. These people brought 11 Georgian girls with them. As, they informed us, they were the only 11 left out of the 40-50 girls, which were abducted from Georgia, in order for them to be sold to Turks, as sex-slaves. The poor girls were kept in a room next to us. The most of the girls were of age 15-20, while 2 were no less than 12, while all with the black, sparkly eye, pink cheeks, long black hair and remarkable appearance. Which is contrary to the description of Volny (It is unknown for us, who they mean by this surname - G.S), in reference to his description of the beauty of Georgian and Circassian women. He notes: "the difficulty of the popularity of their beauty derives from the fact that they are hard to notice by the travelers, in fact they have no real charm". The price that the girls had, would make you realize the prices the Turks would pay for them. We witnessed, how a wealthy Turk had paid a sum to buy 1 girl, whereas the buyer was asked to pay 14 pouches, where 1 pouch was equivalent 500 piaster, about 18 pounds. The buyer offered 10 pouches, but the sellers did not deduce even a para. The poor girl, who should have been approximately 15 years old, listened to how they discussed her trade. They were taken 4 times to other cities to the wealthy Turks, in order for them to see and trade for them; on 2 occasions, visitors came to our hotel and looked at the girls from the door of the room. When they discussed their beauty, they stood in line, whilst the girls should have been about 15 years old, when their buyers were 50 years old at least. The poor girls, were not even fed properly, whereas they had only a small piece of bread and 2 tiny pieces of cheese, while the oranges cost 2 para, they did not even buy it for the girls. Whenever the owners, left the hotel, they took the key with them. On one instance, while coming back from the city, we heard a crying of a little girl, who was on the verge of being traded, due to the reason that she did not want to be separated from her sister and friends. The girls were carried on a horse-back in the city, while they were brought from Georgia in the same way. The girls were traded in every major cities, while they headed to Damascus, because they thought to get good profit from the trading the girls there.

**Keywords:** Irby, Mangles, British travelers, Georgia, Ottoman Empire.

ადამიანთა ვაჭრობა გვიან შუასაუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ოსმალეთში მოსახლეობის გატაცების და გაყიდვის აღმოსაფხვრელად სამეფო ხელისუფლების, თუ საეკლესიო წრეების მხრიდან არაერთი მკაცრი ღონისძიება გატარდა, თუმცა უშედეგოდ. ამ „სარფიანი“ საქმით საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები იყვნენ დაკავებული<sup>1</sup>. „იქმნა განტევება ცოლთა, კლვა კაცთა და იღუმალ ტყეს ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“, ასე აფასებს ვახუშტი ბატონიშვილი XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას<sup>2</sup>. ადამიანებით ვაჭრობის შავზნელ საქმეში ხშირად სასულიერო პირებიც იყვნენ შემჩნეულები<sup>3</sup>. XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში, სირიაში და ეგვიპტეში ათასობით ადამიანი გაჰყავდათ<sup>4</sup>.

საქართველოდან ადამიანთა გაყიდვა-გატაცების ფაქტებს XIX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად პოლიტიკა ძალზე გაამკაცრა. 1802 ივნისში რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ვ. ტამარამ ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დააყენა ადამიანთა ვაჭრობის აკრძალვის საკითხი. რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქართველო უკვე რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და ის არ დაუშვებდა აქედან ეგვიპტესა და ოსმალეთში ადამიანების გაყიდვას<sup>5</sup>. 1804 წლის 16 ივნისს გენ. ლიტვინოვმა, დასავლეთ საქართველოს „მმართველმა“ სამეგრელოში გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად თუ ადამიანთა ვაჭრობაში ვინმე იქნებოდა მხილებული, არა მარტო დამანაშე პირი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც სიკვდილით დაისჯებოდნენ<sup>6</sup>. 1817 წელს გენ. ერმოლოვი რუსეთის

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 343.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 824.

<sup>3</sup> მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, გვ. 313.

<sup>4</sup> ა. კილასონია, ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში, XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006, გვ. 107.

<sup>5</sup> Внешняя политика России XIX и начала XX века, Документы Российского министерства иностранных дел, Сер. 1, т. I, М., 1960, стр. 170

<sup>6</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. II, 1868, стр. 475.

სრულუფლებიან მინისტრს კონსტანტინოპოლში ბარონ სტროგანოვს სწერდა, რომ ოსმალეთის ხელისუფლებისთვის პროტესტით მიემართა, რადგან ყარსის, ახალციხის და ტრაპიზონის ფაშები საქართველოს ტერიტორიაზე დათარეშობდნენ და ადამიანებს იტაცებდნენ<sup>7</sup>. თუმცა, როგორც სტროგანოვის წერილიდან ჩანს, ამ ცდას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია<sup>8</sup>. ოსმალეთში საქართველოდან ადამიანთა გაყიდვის შესახებ ცნობები შემოგვინახეს როგორც ქართულმა, ისე უცხოურმა წყაროებმა. „ტყვეთა სყიდვაზე“ გვიამბობენ ევროპელი მოგზაურები: ჟან შარდენი (XVII ს.)<sup>9</sup>, დონ ქრისტეფორო დე კასტელი (XVII ს.)<sup>10</sup>, დონ პიეტრო ავიტაბილე, (XVII ს.)<sup>11</sup>, არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.)<sup>12</sup>, დონ ჟუზეპე ჯუდიჩე მილანელი, (XVIII ს.)<sup>13</sup>, ჟ. პ. დე ტურნეფორი (XVII ს-ს ბოლო, XVIII ს-ის დასაწყისი)<sup>14</sup>, მორიც ვაგნერი (XIX ს-ის I ნახევარი)<sup>15</sup>, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (XIX საუკუნის I ნახევარი)<sup>16</sup>, ჟაკ ფრანსუა გამბა (XIX საუკუნის I ნახევარი)<sup>17</sup>, ედუარდ აიხვალდი (XIX ს-ის I

---

<sup>7</sup> AKAK, т. VI (II), 1875, стр. 403, 418.

<sup>8</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX-XX ს. ს. თბ., 1949, გვ. 297

<sup>9</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 211-212.

<sup>10</sup> დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 54.

<sup>11</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 74-77.

<sup>12</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938, გვ. 71-72.

<sup>13</sup> დონ ჟუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVIII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 45.

<sup>14</sup> ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 57.

<sup>15</sup> მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და სამიხედები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 111.

<sup>16</sup> აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და სამიხედები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011, გვ. 33.

<sup>17</sup> ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტომი პირველი, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 118.

ნახევარი)<sup>18</sup>. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბრიტანელი საზღვაო მაღალჩინოსნების ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ჩანაწერებმა. ჩარლზ ლეონარდ ირბი დაიბადა 1789 წლის 9 ოქტომბერს, ის იყო მეორე ლორდ ბოსტონის ფრედერიკის მეოთხე, უმცროსი ვაჟი. ჩარლზ ლეონარდის დედა - ქრისტიანა, პოლ მეთუენის ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ<sup>19</sup>. მომავალი მოგზაური კონტრ-ადმირალ ფრედერიკ პოლ ირბის უმცროსი ძმა იყო. ირბიმ სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახური 1801 წლის 23 მაისიდან დაიწყო. მოღვაწობდა გემზე „ნარცისი 32“ (the Narcissus) 1803 წლის 8 ივლისს, მან მონაწილეობა მიიღო ფრანგული გემის, ლალსიონის (L'Alcion) დატყვევებაში, რომლის შეიარაღებაშიც იყო 96 მებრძოლი და 16 ზარბაზანი. 1805 წელს, ის გაემგზავრა კეთილი იმედის კონცხზე ექსპედიციაში; შეიარაღებული გემის ლე პრუდენტის (Le Prudent) გარდა, რომელიც 12 ზარბაზნისა და 70 მებრძოლისაგან შედგებოდა, მან დააკავა 22 ზარბაზნიანი გემი „ჰორაციო ნელსონი“ (Horatio Nelson). მის სახელს უკავშირდება ასევე საბრძოლო გემის „ნაპოლეონის“ (32 ზარბაზნით და 250 მებრძოლით), ხელში ჩაგდება. კონცხის დაცემის და 46 ზარბაზნიანი ფრეგატის (Volontaire) დატყვევების შემდეგ, ბატონი ირბი გადავიდა მდინარე რიო დე ლა პლატაზე. აქედან ის დაბრუნდა ინგლისში, სადაც შეიტყო ბუენოს აირესის დაპყრობის შესახებ. მცირე ხანში იგი კვლავ სამხედრო სამსახურში გამოიძახეს. ჩარლზ ირბი კაპიტან ღონელისთან ერთად, (გემი „არდენტი 64“ (Ardent) მონტევიდეოს წინააღმდეგ 1807 წლის თებერვლის საბრძოლო მოქმედებებს შეუერთდა<sup>20</sup>, სადაც მსუბუქად დაიჭრა. მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა მონტევიდეო დაიკავეს, ირბი სახლში დაბრუნდა. თუმცა თავის პროფესიული საქმიანობა კვლავ გააგრძელა. სანამ ლეიტენანტის წოდებას მიიღებდა, 1808 წლის 13 ოქტომბერს, რამდენიმე თვის მანძილზე ირბი მსახურობდა „კეთილი იმედის კონცხზე“. ხომალდით „არმიდა“ მიიღო მონაწილეობა ოპერაციაში ამერიკული შეიარაღებული ხომალდის წინააღმდეგ, რომელზეც 100 მებრძოლი იმყოფებოდა და 17 ზარბაზნით იყო აღჭურვილი. 1814 წლის 7 ივნისს, ბატონი ირბი დაინიშნა ხომალდ

---

<sup>18</sup> ედუარდ აიხვალდი საქარველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 210.

<sup>19</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1; Roger O. De Keersmaecker, Charles Leonard Irby 1789-1845, James Mangles 1786-1867, <http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>.

<sup>20</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 2.

თემზას 32 (the Thames) მეთაურად, იგი ამავე ხომალდით ახალი ორლენის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობდა, შემდეგ თავისივე თხოვნით, ჯანმრთელობის პრობლემების გამო 1815 წლის მაისში თანამდებობა დატოვა<sup>21</sup>. ჩარლზ ლეონარდ ირბი გარდაიცვალა 1845 წლის 3 დეკემბერს. 1816 წლის ზაფხულში ირბი თავის ძველ მეგობართან, კაპიტან ჯეიმს მენგელსთან ერთად კონტინენტზე მოგზაურობას შეუდგა. ჯეიმს მენგელსი, ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ჯეიმს მენგელსის (1762–1838) ძმის - ჯონ მენგელსის (1760–1837) და ჰარიეტ კემდენის ვაჟი იყო. მენგელსმა სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახური 1800 წლის მარტში დაიწყო. ის კაპიტან როს დონელისთან ერთად მსახურობდა ხომალდზე „მეიდსტოუნი“ (Maidstone) ხოლო 1801 წელს კი მსახურობდა ხომალდზე „ნარცისი“ (Narcissus). 1806 წლის 24 სექტემბერს ჯეიმს მენგელსმა ლეიტენანტის წოდება მიიღო. 1811 წელს მან ლეიტენანტის ჩინით სამსახური გააგრძელა ხომალდზე „ბოინი“ (Boyne). 1814 წელს კი ხომალდზე „დუნკანი“ (Duncan). 1815 წლის 13 ივნისს, მენგელსს კაპიტანის წოდება მიანიჭეს<sup>22</sup>. ჯეიმს მენგელსი 1825 წელს ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრად აირჩიეს, ხოლო 1830 წელს იგი სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საბჭოს წევრი გახდა<sup>23</sup>. ჯეიმს მენგელსი გარდაიცვალა 1867 წლის 18 ნოემბერს, 81 წლის ასაკში. როგორც აღვნიშნეთ, 1816 წელს მენგელსმა თავის ძველ მეგობართან ჩარლზ ლეონარდ ირბისთან ერთად, (ვისთან ერთადაც ხომალდ „ნარცისზე“ მსახურობდა), ეგვიპტეში, სირიაში და მცირე აზიაში იმოგზაურა. მოგზაურობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ისინი ესტუმრნენ ეგვიპტეს, აუყვნენ ნილოსს და დაათვალიერეს აბუ-სიმბელის ტაძარი; შემდეგ გადაკვეთეს უდაბნო, გაიარეს სანაპირო, ბაალბეკის და სიდარის გავლით, მოხვდნენ ალექსანდრიაში. აქედან გაემგზავრნენ პალმირასა და დამასკოში, გაუყვნენ იორდანის ხეობას და იერუსალიმში ჩავიდნენ. ამის შემდეგ შემოუარეს მკვდარ ზღვას და გადაკვეთეს წმინდა მიწა. ბოლოს ისინი ვენეციური ბრიგის საშუალებით კონსტანტინოპოლს ეწვივნენ. გზაში ორივე მოგზაური დიზენტერიით დაავადდა, რის გამოც იძულებულები იყვნენ კვიპროსზე გაჩერებულებიყვნენ. 1818 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გემით გაემგზავრნენ მარსელში, რომელსაც თავგადასავლებით სავსე 76 დღეში მიაღწიეს. მათი შთაბეჭდილებები 1823 წელს

<sup>21</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1-13.

<sup>22</sup> Bierbrier M. L. Who Was Who in Eguptology, 2012, p. 353

<sup>23</sup> Dictionary of National Biography, Vol. 36, Malthus Mason, London, 1893, p. 33-34.

დაიბეჭდა სათაურით: „მოგზაურობა ეგვიპტესა და ნუბიაში, სირიასა და შუა აზიაში 1817-18 წლებში“.<sup>24</sup> 1847 წელს მოგზაურთა წიგნი „მიურეს კოლონიალურმა და სამინაო ბიბლიოთეკამ“ ერთ ტომად გამოსცა.<sup>25</sup>

ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ეგვიპტეში, ნუბიაში, სირიასა და წმინდა მიწაზე მოგზაურობის ამსახველ წიგნში<sup>26</sup> (V თავი) გარკვეული ადგილი ეთმობა სირიაში თურქების მიერ მონებად გაყიდულ ქართველ გოგონებს. როგორც ტექსტიდან ჩანს, ჩარლზ ირბიმ და ჯეიმს მენგელსმა სირიის ქალაქ ჰამაში არსებულ

---

<sup>24</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832. p. 4.

<sup>25</sup> იხ. TRAVELS in EGYPT AND NUBIA, SYRIA, AND THE HOLY LAND including A JOURNEY ROUND THE DEAD SEA < AND THROUGH THE COUNTRY EAST OF THE JORDAN BY THE HON. CHARLES LEONARD IRBY, AND JAMES MANGLES, COMANDERS IN THE ROYAL NAVV. LONDON, 1847. ჩარლზ ლეონარდ ირბისა და ჯეიმს მენგელსის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. იხ. The Hon. Charles Leonard Irby and James Mangles, commanders in the Royal Navy, London 1844, reprint London 1985; Martin R. Kalfatovic, Nile Notes of a Howadji, London 1992; Richard Hill, A Biographical Dictionary of the Sudan, London 1967; Morris L. Bierbrier, Who was Who in Egyptology, 2012; Royal Naval Biography, vol. IV, part I, London 1833; Gentleman's Magazine, C. L. Irby, Obituary, May 1846; J. Mangles, Botanical collector, Australian National Botanic Gardens, Biography; Plants & Fungi: Rhodanthe manglesii (Mangles' everlasting; Roger O. De Keersmaecker, Elkab-The Rock Tombs, volume IV, in Travellers' Graffiti from Egypt and the Sudan, Mortsel, Antwerpen 2005.

ახევე იხტ. რესურსი:

<http://www.worldcat.org/identities/lccn-nr95027868/>

<https://www.bookdepository.com/Cambridge-Library-Collection-Egyptology-Travels-Egypt-Nubia-Syria-Asia-Minor-during-Years-1817-1818-Charles-Leonard-Irby/9781108076197;>

<http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>;<http://www.kew.org/plants-fungi/Rhodanthe-manglesii.htm>;

<http://www.anbg.gov.au/biography/mangles-james.html>

<http://www.jdhooker.org.uk/collectors3.htm>;

<http://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>;<https://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>;

<http://www.eoas.info/biogs/P000616b.htm#pubresources>

[http://www.kaowarsom.be/virtual\\_library/Bierbrier%202012\\_Who%20Was%20Who.pdf](http://www.kaowarsom.be/virtual_library/Bierbrier%202012_Who%20Was%20Who.pdf)

<https://prabook.com/web/james.mangles/2189554>;

[https://threedecks.org/index.php?display\\_type=show\\_crewman&id=1616](https://threedecks.org/index.php?display_type=show_crewman&id=1616);

[www.parksandgardens.ac.uk](http://www.parksandgardens.ac.uk)

<https://www.surreyarchaeology.org.uk/content/manglescollection>

[https://en.wikisource.org/wiki/A\\_Naval\\_Biographical\\_Dictionary/Irby,\\_Charles\\_Leonard#cite\\_ref1](https://en.wikisource.org/wiki/A_Naval_Biographical_Dictionary/Irby,_Charles_Leonard#cite_ref1);

<https://archive.org/details/travelsthroughs03volngoog/page/n10/mode/2up>;

<https://archive.org/details/travelsthroughs01volngoog/page/n10/mode/2up>

<sup>26</sup> იხ. TRAVELS in EGYPT AND NUBIA, SYRIA, AND THE HOLY LAND including A JOURNEY ROUND THE DEAD SEA < AND THROUGH THE COUNTRY EAST OF THE JORDAN BY THE HON. CHARLES LEONARD IRBY, AND JAMES MANGLES, COMANDERS IN THE ROYAL NAVV. LONDON, 1847



სასტუმროში რამდენიმე დამე გაათენეს. სწორედ აქ უნახავთ ბრიტანელ მოგზაურებს სამშობლოდან მოტაცებული ტყვე ქართველები, რომელთა ნაწილი თურქებს უკვე გაყიდული ჰყავდათ, ნაწილი კი უკეთეს ფასად გაყიდვის მიზნით დამასკოში მიჰყავდათ. ბრიტანელი მოგზაურების ცნობები სირიაში გაყიდული ქართველი გოგონების შესახებ ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ვფიქრობთ, ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მენგელსის ჩანაწერებში შემონახული ინფორმაცია კიდევ უფრო მეტ წარმოდგენას შეგვიქმნის საქართველოში გავრცელებული ადამიანთა ვაჭრობის შესახებ, რასაც XIX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი.

### **ჩარლზ ლეონარდ ირბი და ჯეიმს მენგელსი, მოგზაურობა ეგვიპტეში, ნუბიაში, სირიასა და წმინდა მიწაზე**

#### **თავი V**

ჰამაში<sup>1</sup> გამგზავრება - სარეკომენდაციო წერილები - ქარავანი მექიდან<sup>2</sup> - ჰამა - სასტუმროები - ქართველი მონები - მოლაპარაკება არაბებთან და მათთან ინტერვიუ - ჰომსი<sup>3</sup> - პალმირიდან<sup>4</sup> გამგზავრება - არაბთა ბანაკი - ინტერვიუ არაბთა მეთაურებთან - არაბთა წვეულება - პალმირას შესანიშნავი ხედი - იმედგაცრუება ნანგრევებთან მისვლისას - მათი აღწერა - არაბთა ბანაკში დაბრუნება - ჰომში მისვლა - ჩვენი მოგზაურობის ხარჯები - არაბთა თვისებები - მათი თვისება არაკეთილსინდისიერება დაუმსახურებელია - დამასკო<sup>5</sup> - დაგეგმილი მარშრუტის მონახაზი

**3 იანვარი.** ჰამაში გავემგზავრეთ. ცხენზე ამხედრებული ჩვენი კეთილი და პატივცემული მასპინძელი თავის ძმასთან ერთად ქალაქიდან გასვლის შემდეგ ჩვენთან ერთად ორი საათის განმავლობაში მგზავრობდა. ასეთი ყურადღება გამოიჩინა ჩვენ მიმართ ბატონმა ბარკერმა<sup>6</sup>, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან წერილები გამოგვატანა ჰამაში გუბერნატორის მდივან სელიმთან<sup>7</sup> და სკანდერთან<sup>8</sup>, - ჰომსის მმართველის მდივანთან; სარეკომენდაციო წერილი მოგვცა აგრეთვე ჰაჯი ჰასანთან<sup>9</sup> გადასაცემად. ეს გახლდათ ჰომსის უხუცესი თურქი, რომელსაც არაბებთან დიდი კავშირები ჰქონდა. მათ ჩვენთვის ყველანაირი დახმარების გაწევა დაევალათ, რათა პალმირაში ჩავსულიყავით. ამის გარდა, მან სხვა წერილებიც გამოგვატანა დამასკოს

ფაშას<sup>10</sup> ხაზინადარებთან, სადაც სთხოვდა, რომ თუ ცხენებით მგზავრობა მოგვიწევდა, ცხენებითაც დაგვხმარებოდნენ. ბატონმა ბარკერმა წერილები გამოგვატანა აკრაში, კვიპროსსა და სმირნაში, ბატონ რობერტ და ლედი ლისტონებთან<sup>11</sup> და კიდევ რამდენიმე პიროვნებასთან კონსტანტინოპოლში. მან გვათხოვა მონდრელის სირიაში<sup>12</sup>, მცირე აზიისა და საბერძნეთში მოგზაურობისთვის ამსახველი რუკა, თუმცა არ დაკმაყოფილდა იმით, რომ აგვლჭურვა ყველა საჭირო ნივთით და მან, როგორც ადრე აღვნიშნეთ ფულადი დახმარებაც გაგვიწია. მზის ჩასვლისას სასტუმრო „თუმანს“ მივადექით, იგი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად სრულად გადაჭედული, აქ უამრავ ქარავანს ნახავდით, რომლებიც დამასკოსა და ლატაქიისაკენ<sup>13</sup> მიემართებოდნენ. მეორე დღეს, ქარავნები როგორც კი დაიდრნენ, ჩვენც მათი მიმართულებით გავწიეთ; ჩვენი გზა ნახევრად დამუშავებულ, შიშველ მინდვრებზე გადიოდა. დაახლოებით შუადღის სამ საათზე სერმენში<sup>14</sup> გავჩერდით. აქ რამდენიმე სოფელია და ზეთისხილის ხეებიც დგას; სხვაგან ხეებს, ან ტყეს თვალს ვერ მოკრავთ. ჩვენს მარჯვნივ მოჩანდა თოვლით დაფარული კასიუსის მთა<sup>15</sup>. **5 იანვარი.** მზის ამოსვლისთანავე გზა განვაგრძეთ. ლატაქიას ქარავანთან ერთად შოგჰამდე<sup>16</sup> მისვლა და აქედან მდინარე ორონტესის<sup>17</sup> ნაპირის გაყოლებით ჰამამდე მისვლა გვსურდა, მაგრამ გვაგვიანდებოდა და როცა ჩვენს მარცხნივ პირდაპირ ჰამაში მიმავალი ქარავანი შევნიშნეთ, მისკენ გადავინაცვლეთ და ამ ქარავანთან ერთად ჰამასა და დამასკოსკენ გავემართეთ. დაახლოებით ათი საათისთვის თურქულ, ოთხკუთხედის ფორმის გალაგნის ნანგრევებს ჩავუარეთ, რომელიც სოფელს გარშემო ჰქონდა შემოვლებული. უდაბნოს განაპირას მდებარე ბევრი ასეთი დასახლება კედლებით არის გამაგრებული, რათა არაბთა თავდასხმებისგან დაიცვან. ცოტა ხანში ძალიან დიდ ქარავანს გადავეყარეთ, რომელიც მექაში ნამყოფი მომლოცველებისგან შედგებოდა და ახლა დამასკოდან ბრუნდებოდნენ - მწვანე დროშა ფრიალებდა, რომელიც წინასწარმეტყველის<sup>18</sup> ბაირალად ითვლებოდა. ქარავანში რამდენიმე აქლემი შედიოდა, თუმცა ცხენები და ჯორები უფრო სჭარბობდნენ, მათ ზარები ჰქონდათ ჩამოკიდებული და მხიარულ ხმას გამოსცემდნენ\*. ქარავანში აღმოსავლური, სპეციალური ტრანსპორტიც იყო. ასეთი მათგანი მაროკოში<sup>19</sup>

\* იმ დღეს ცხენის ზანზალაკებზე იქნება წარწერილი: სიწმინდე უფალშია. ~ მეფეთა წიგნი, ზაქარია, XIV, V. 20/O gün atların boyundaki küçücük çanlarda "Saflık Rab'bin içindedir` ;ekl'nde yazılır.Krallar Kitabı, Zekerya.

მომლოცველებსაც ჰქონდათ, რომლებიც გასულ სექტემბერს კაიროში<sup>20</sup> ჩამოვიდნენ; ეს ტრანსპორტი დასაჯდომ სკამს მოგაგონებდათ, იგი ადამიანების ნაცვლად წინ და უკან ცხენებზე იყო დამაგრებული. ერთიც საწოლის მაგვარი სავარძლიანი კარავი იყო, რომელიც ჯორის ზურგზე ჯვარედინად დაედოთ; კიდევ ერთი მათგანი ორი ბავშვის აკვანს მოგაგონებდათ, რომელიც აქლემის ზურგზე კალათასავით მოეთავსებინათ. ტრანსპორტს ფარდები ჰქონდა და ქალბატონებისა და ავადმყოფებისთვის იყო განკუთვნილი. თითქმის ორი დღე მომლოცველთა ჯგუფებს ვხედავდით. ქარანში მყოფი თითოეული ცხოველი პილიგრიმების სავაჭრო საქონლით იყო დატვირთული. ასეთი მოგზაურობის დროს მლოცველები კარგად უთავსებდნენ ერთმანეთში ვაჭრობასა და რელიგიას. ძველი ანდაზა ასე ჟღერს: „მოერიდე მეზობელს, რომელმაც ერთხელ მოილოცა წმინდა ადგილები, ხოლო თუ ეს ორჯერ გააკეთა, მყისიერად დატოვე სახლი.“ თითქმის ყველა გლეხი საცხოვრებელ სახლებთან ვაჭრობს. ისინიც პილიგრიმების მსგავს საქმიანობას ეწევიან. დღეს ვიხილეთ რომის იმპერიის დროინდელი, რომაულ ნაგებობათა ნანგრევები, ასევე ქვისგან დამზადებული სარკოფაგები. დაახლოებით საღამოს 2 საათზე, ღამის გასათევად მარაში<sup>21</sup> გავჩერდით და კარგ ადგილას გვეძინა. მეორე დღით ლიბანში<sup>22</sup> გავემგზავრეთ; კასიუსის მთა ჩრდილოეთით ანსარიის მთები<sup>23</sup> ემიჯნება. ძველი ქალაქების ადგილებს, წყალსაცავებს და სარკოფაგებს ჩავუარეთ. თითქმის ყოველივე განადგურებული და ნაკლებად საინტერესო ეს ყველაფერი მხოლოდ იმას მეტყველებდა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. აქ მხოლოდ ერთი მეორეზე გადაბმული მოტიტვლებული მინდვრები გხვდებოდათ, სადაც უამრავი ქურციკი, კაკაბი, კურდღელი, სავათისებრნი და სხვა ცხოველები ბინადრობენ. ღამე სასტუმრო „მექუნში“ გავათენეთ, რომელიც ხელოვნურ გორაკთან მდებარეობს. მთელი დღის მანძილზე არაერთი ასეთი გორაკი შეგვხვდა. ეს გორაკები სალისბერის<sup>24</sup> მდელოს და ინგლისის კიდევ სხვა ნაწილს მოგაგონებთ. სასტუმრო მოგვეწონა, მაგრამ მომლოცველების დაბრუნების გამო ხალხით იყო გადაჭედილი. 7 იანვარი. ჩვენი გზა ისევ ფართოდ გადაშლილ, ნახევრად დამუშავებული მინდვრების და ანსარიის მთების მასივის პარალელურად გადიოდა. ჩვენს თვალწინ ლიბანი და ანტილიბანი<sup>25</sup> გადაშლილიყო. დაახლოებით დღის 3 საათზე, ჰამაში ჩავედით. უკანასკნელი ერთი საათის განმავლობაში ძალზე ლამაზი გზა გავიარეთ, იგი დაბლა მინდორში ეშვებოდა, საიდანაც მდინარე

„ორონტესი“ უხვევს. მდინარის ერთი ნაპირი დამუშავებულია, ხე ტყიანია, ბაღებშია ჩაფლული; ხოლო მეორე ნაპირზე უამრავი წვრილი კლდე გვხვდება. მდინარეზე უზარმაზარი ბორბლებია გამართული, რომლებსაც დინება ატრიალებს წყლის დონის ასაწევად, რათა ნიადაგი მორწყონ. ჰამა ბერძნებისა და რომაელების ღვთიური ადგილია. იგი უძველესი ჰამასის ტერიტორიაა, რომელიც დამასკოსთან, ლიბანთან და სხვა მომიჯნავე ადგილებთან ერთად სხვადასხვა რელიგიურ წიგნშია მოხსენიებული; მათი სახელები მომდინარეობს ქანაანის<sup>26</sup>, ნოეს<sup>27</sup> ვაჟის – ქამის<sup>28</sup> მეოთხე შვილის (არაბულ წყაროებში ქანაანი/ჰანაანი მოხსენიებულია, როგორც ნოეს მეოთხე ვაჟი - [https://simple.wikipedia.org/wiki/Canaan\\_\(son\\_of\\_Noah\)](https://simple.wikipedia.org/wiki/Canaan_(son_of_Noah))) ვაჟების სახელები-საგან, რაც მის ღრმა ანტიკურობაზე მიგვანიშნებს. ჰამას არაჩვეულებრივი მდებარეობა გააჩნია ჩალრმავებულ ადგილას, ორ გორაკს შორის, მდინარე „ორონტესის“ დასავლეთ ნაპირთან; თუმცა დღესდღეობით არანაირი დანიშნულება არ აქვს. სასტუმროში გავერდით. ქალაქში არსებული სასტუმროები მნიშვნელოვნად განსხვავდება გზისპირა სასტუმროებისგან. გზაზე განთავსებული სასტუმროების მსგავსად ესენიც დიდ სივრცეს მოიცავენ, მაგრამ განსხვავებულად არიან აშენებულნი. სასტუმრო გამიზნულია იმ მგზავრებისთვის და ვაჭრებისთვის, ვისაც ქალაქში საქმე აქვს, სადაც საქონელს ყიდიან და პირად საქმეებსაც აგვარებენ. გზისპირა სასტუმროები კი მგზავრებსა და მათ პირუტყვს მხოლოდ ღამის გათენებასა და უსაფრთხოებას სთავაზობენ. ასეთ სასტუმროში ოთახი ღია ადგილს წარმოადგენს, სადაც ადამიანებს და მათ ცხოველს ერთად სძინავთ, ოთახები არ არის დაყოფილი და შესაბამისად არც გადასახადია. სასტუმროებს ქალაქში ღია ადგილების ნაცვლად, პატარა კეთილმოწყობილი ოთახები აქვთ ორ სართულზე. თითო ოთახი, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ საკანი, 12 კვადრატული მეტრისაა და კარები აქვს (გასაღები ხელმისაწვდომია) და მინის ფანჯრების ნაცვლად რკინისგისოსიანი ფანჯარა აქვს. ვფიქრობ, თავდაპირველად სასტუმროები უფასო იყო, - გზისპირაზეც და სოფელშიც, რადგან ერთი პატარა შესასვლელი აქვთ და ქალაქში ყველაზე დაცულ ადგილად მიიჩნევა. ქალაქში, დაბლა სართულის ოთახები სავსეა ამ სასტუმროში გაჩერებული ვაჭრების საქონლით. სასტუმროს წინ არის ვერანდა ცხენების, ჯორების და სხვა პირუტყვის გასაჩერებლად, მაღლა ოთახებსაც აქვთ აივანი ხის მოაჯირით, თუმცა ოთახები კეთილმოწყობილი არაა. სტუმარს თვითონ უნდა ჰქონდეს ლეიბი დასაწოლად, სამზარეულოს ჭურჭელი, საწვავი

და სხვ. კარისკაცი აქირავებს სასტუმროს და დღისით დარაჯობს კარებს, რომელიც ღამით იკეტება. მისი შემოსავალი მოგზაურისგან აღებული თანხა და საქონელის ქირაა. ოთახში ორი პიასტრა<sup>29</sup> გადავიხადეთ; ერთი დღის ქირა ოთხ პარას<sup>30</sup> (ერთ ინგლისურ პენს უდრის) შეადგენს და თითო ცხენის ერთი დღით შენახვა კი ერთი პარა ღირს. სურსათს ბაზარში ვყიდულობდით და საჭმელს ჩვენს ოთახში ვაკეთებდით. ჩვენი ძირითადი საკვები ცხვრის ხორცი იყო. თურქები არ მიირთმევენ საქონლის ხორცს და შესაბამისად საქონლის ხორცი არც ვარგოდა. ჰამაში ყოფნისას, ბატონ ბარკერისგან ნებართვიანი წერილი მივიღეთ, რომელიც ბატონ რობერტ ლისტონისთვის მიეწერა. ეს ნებართვა საშუალებას გვაძლევს ოთხ მსახურთან ერთად სირიის, კვიპროსის, არქიპელაგის კუნძულების, სმირნას, ადანას, კარამანის, კარაჰისარისა და კიუტაიას გავლით ჩავიდეთ ბრუსაში<sup>31</sup>, ხოლო იქიდან კონსტანტინოპოლში. ძალზე მეგობრულად მოგვექცვიან, გვექნება ყოველგვარი დახმარება, უსაფრთხოება, დაცვა და როცა არ უნდა დაგვჭირდეს, ესკორტი მოგვემსახურება. სანამ სასტუმროში გაჩერებულები ვიყავით, ერთ საღამოს ოთხი ცუდად ჩაცმული თურქი მოვიდა, ჯარისკაცებივით ეცვათ. უფროსი მათგანი უკეთ იყო შემოსილი, მაგრამ ხეირიანად მაინც ვერ გამოიყურებოდა. ამ ხალხმა თან მოიყვანა თერთმეტი ქართველი გოგო. როგორც გვაცნობეს, ესენი ორმოცი - ორმოცდაათი გოგოდან იყვნენ დარჩენილები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან მშობლებს მოსტაცეს და მდიდარ თურქებზე მონებად, ან ხასებად უნდა გაეყიდად. საცოდავი გოგონები ჩვენს მეზობლად მდებარე ოთახში გააჩერეს. უმრავლესობა თხუთმეტიდან ოც წლამდე იყო; ორი უფრო პატარა - თორმეტ წლამდე. ყველა ერთმანეთზე ლამაზი. შავი მზინვარე თვალებით, ვარდისფერი ლოყებით, გრძელი შავი თმით და საუცხოო გარეგნობით, რაც ვოლნის დახასიათების საწინააღმდეგოა ქართველი და ჩერქეზი ქალების სილამაზის შესახებ. ის ამბობს: „მათი სილამაზის პოპულარობა გამომდინარეობს მათი დანახვის სირთულიდან, რომელსაც მგზავრები აწყდებიან. სინამდვილეში კი არანაირი ხიბლი არ გააჩნიათ“. თანხა, რომელსაც ამ გოგონებში ითხოვდნენ, წარმოდგენას შეგიქმნიდა იმ ფასზე, რასაც თურქები მათში იხდიდნენ. მომსწრენი გავხდით, როგორ იყიდა ერთი გოგო მდიდარმა თურქმა. ამისათვის მყიდველს თოთხმეტ ქისას თხოვდნენ, თითო ქისა 500 პიასტრი, დაახლოებით 18 ფუნტი სტერლინგია<sup>32</sup>. მყიდველმა ათი შესთავაზა, მაგრამ ერთი პარაც არ დააკლეს. საწყალი გოგო, რომელიც დაახლოებით

თხუთმეტი წლის იყო, ფეხზე იდგა და უსმენდა, როგორ ვაჭრობდნენ მის გაყიდვაზე. ისინი ოთხჯერ, სხვადასხვა დროს ქალაქის გავლით მიჰყავდათ მდიდარი თურქების სახლებში, რათა ეჩვენებინათ და ევაჭრათ; ორჯერ თავად მოვიდნენ მყიდველები ჩვენს სასტუმროში და ოთახის კარიდან ათვალიერებდნენ უბედურ გოგონებს. როცა მათ სილამაზეზე მსჯელობდნენ, ისინი მწკრივში უნდა მდგარიყვნენ. ზოგი მყიდველი ორმოცდაათ წელს აღემატებოდა, იმ დროს როცა გოგონები მხოლოდ თხუთმეტი წლისანები იყვნენ. ამ უბედურებს წესიერად საჭმელსაც არ აჭმევდნენ. მხოლოდ ერთი ნატეხი პური და პატარა ნაჭერი ყველი ორჯერ დღეში; ფორთოხალი სულ ორი პარა (ნახევარი პენი) ღირდა, მაგრამ მათ არასოდეს არ აძლევდნენ. როდესაც მეპატრონეები სხვაგან წავიდოდნენ, გამოკეტავდნენ ამ უბედურებს ოთახში და გასაღები თან მიჰქონდათ. ქალაქიდან მორიგი დაბრუნებისას, ერთ-ერთი პატარა გოგოს მწარე მოთქმა-გოდება მოგვესმა, რომელსაც გაყიდვას უპირებდნენ. იგი ტიროდა, არაფრით უნდოდა თავისი დისა და მეგობრებისგან დაეშორებინათ. ამ საცოდავ გოგონებს ქალაქიდან ქალაქში ცხენზე შემოსმულებს დაატარებდნენ. ასე ჩამოიყვანეს ისინი საქართველოდან. გასაყიდად სთავაზობდნენ ყველა დიდ ქალაქში. ახლა დამასკოში მიჰყავდათ, სადაც ფიქრობდნენ, რომ მათი გაყიდვით კარგ ფულს იშოვიდნენ. ისინი ჩვენზე ორი დღით ადრე გაემგზავრნენ. ბრიუსს<sup>33</sup> თავისი შეხედულება აქვს ქართველ და ჩერქეზ ქალბატონებზე და ვფიქრობ, რომ სიმართლესთან ის უფრო ახლოა, ვიდრე ვოლნი<sup>34</sup>.

### შენიშვნები:

1. **ჰამა** - დასავლეთ-ცენტრალურ სირიაში, მდინარე ორონტესის ნაპირებზე მდებარე ქალაქი. ის ჩრდილოეთით დამასკოდან 213 კილომეტრის, ხოლო ჰომსიდან 32 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ქალაქი ჰამის მუჰაფაზის პროვინციულ დედაქალაქს წარმოადგენს. 854,000 მოსახლით ალექსო, დამასკოს და ჰომსის შემდეგ ჰამა სირიის სიდიდით მეოთხე ქალაქია.

2. **მექა** – (არაბ. مكة المكرمة, თურქ. ეკკე, ურდუ مكه مكرمه) - საუდის არაბეთის მექას პროვინციის დედაქალაქი, ისტორიულ ჰეჯაზის რეგიონში. მდებარეობს ჯედადან 73 კმ-ში, აბრაამის ვიწრო ქვიშიან ხეობაში, ზღვის დონიდან 277 მ-ში, წითელი ზღვიდან 80 კმ-ში. მექაში არის კუბური ფორმის ნაგებობა ყააბა (ქააბა) არაბ. الكعبة. ისლამური რელიგიაში ეს არის ყველაზე სათაყვანებელი ადგილი. ისლამური

ტრადიციის თანახმად შენობა აგებულია მოციქულ იბრაჰიმის (აბრაამის) მიერ ორიათასზე მეტი წლის წინ. ნაგებობის გარშემო სამლოცველოა (მასკი)–მასჯიდ ალ-ჰარამი. ლოცვის დროს ყოველი მუსლიმანი, დედამიწის რა ადგილასაც არ უნდა იმყოფებოდეს, სახით ქაბასკენ ბრუნდება და ლოცვას ისე ადავლენს. ქაბა კოსმოსიდან ყოველთვის თეთრად ჩანს, მუდმივი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მლოცველების გამო. ქალაქი ისლამის უწმინდეს ადგილად ითვლება და ჰაჯის მიხედვით ყველა ფიზიკურად ჯანმრთელ და შეძლებულ მუსლიმანს მოეთხოვება ამ ადგილის მონახულება სიცოცხლეში ერთხელ მაინც.

3. **ჰომსი** – (არაბ. حمص) - ქალაქი დასავლეთ სირიაში, ელ-ასის ხეობაში. ჰომსის მუჰაფაზის ადმინისტრაციული ცენტრი. მოსახლეობა – 900 492 ადამიანი.

4. **პალმირა** – (არაბ. تدمر, ძვ. ბერძნ. Παλμύρα - უძველესი არამეული ქალაქი თანამედროვე სირიის ცენტრალურ ნაწილში. პალმირა უძველესი დროიდანვე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა. ქალაქიდან 215 კილომეტრში მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქი დამასკო, ხოლო 180 კილომეტრში – მდინარე ეფრატზე არსებული ქალაქი დეირ-ეზ-ზორი. ეს ადგილი უკვე საუკუნეებია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთელ სირიის უდაბნოში. პალმირა განიცდიდა ბერძნულ-რომაული და სპარსული ცივილიზაციის გავლენას, რაც აქ არსებულ ნასახლარებზე და ტაძრებზე მკვეთრად აისახა.

5. **დამასკო** - (ترانسლიტ: დიმაშყ, აგრეთვე ცნობილი როგორც الشام ash-Shām) – სირიის დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქი; მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი. მისი მოსახლეობა ამჟამად შეადგენს 4,5 მილიონს.

6. **ბარკერი** – არ იძებნება.

7. **სელიმი** – როგორც ტექსტიდან ირკვევა, სელიმი ჰამას გუბერნატორის მდივანი იყო. სხვა ინფორმაცია, არ იძებნება.

8. **სკანდერი** – მოგზაურთა ტექსტის მიხედვით სკანდერი ჰომსის მმართველის მდივანი იყო, სხვა ინფორმაცია არ იძებნება.

9. **ჰაჯი ჰასანი** – არ იძებნება.

10. **დამასკოს ფაშა** – სავარაუდოდ იგულისხმება ჰაფიზ ამასიალი ფაშა, რომელიც დამასკოს 1816-1817 წ.წ. მართავდა. მან ამ თანამდებობაზე 1816 წლის მაისში სილაჰდარ სულეიმან ფაშა შეცვალა. აღსანიშნავია, რომ 1810-1812 წ.წ. დამასკოს მმართველი წარმოშობით

ქართველი მამლუქი სულეიმან ფაშა ალ ადილი იყო. იხ. Thomas Philipp, *Acre the Rise and Fall of a Palestinian city 1730-1831*, New York, 2001, p. 78.

11. **რობერტ ლისტონი** - შოტლანდიელი ქირურგი (1794-1847 წ.წ) სასულიერო პირისა და გამომგონებლის ჰენრი ლისტონის ვაჟი. განათლება მიიღო ედინბურგის უნივერსიტეტში. მოღვაწეობდა ედინბურგის სამეფო საავადმყოფოში.

12. **მონდრელი** - საუბარია ბრიტანელ მოგზაურ ჰენრი მონდრელზე, (1665-1701 წ.წ. ჰენრი მონდრელს ეკუთვნის წიგნი: *A Journey From Alepoo To Jerusalem At Eastern, A. D. 1697. By Henry Maundrell, M. A. London, 1810. 1810.* ჰენრი მონდრელის წმინდა მიწაზე მოგზაურობის ამსახველ წიგნში გვხვდება ცნობები იერუსალიმში ქართველების შესახებ. იხ. მ. ებანოძე, რამდენიმე ცნობა ქართველთა შესახებ წმ. მიწაზე, მე-17-18 საუკ. ინგლისელი მოგზაურების მიხედვით, მრავალთავი, 2001, #19, გვ. 372.

13. **ლატაქია** - ერთ-ერთი მთავარი საპორტო, სიდიდით მეოთხე (ალეპოს, დამასკოს და ჰომსის შემდეგ), ქალაქი სირიაში. მისი მოსახლეობა შეადგენს 383 786.

14. **სერმენი** - ქალაქ ალეპოსთან არსებული დასახლება, ამ სახელით არსებულ ადგილს ირბის და მენგელსის გარდა იხსენიებს XIX საუკუნის შვეიცარიელი მოგზაური ჯონ ლუის ბურგჰარდტი, იხ. *Travels in Syria and The Holy Land, By the late John Lewis Burckhardt, London, 1822, p. 121-122..*

15. **კასიუსის მთა** - თურქეთ-სირიის საზღვარზე არსებული მთის მასივი, იგივე ჯებელ აკრა, (არაბულად: الجبل العاصي, [ʔ dʒæb all al ' ʔ aqra;]; თურქული: Cebel-i Akra), ცნობილია ასევე როგორც კასიუსის მთა. მის თურქულ ნაწილს ეწოება „კელი“ (Kel Dağı).

16. **შოგჰა** - ამ სახელით არსებულ ადგილს ბრიტანელი მოგზაურების გარდა იხსენიებს შვეიცარიელი მოგზაური ჯონ ლუის ბურგჰარდტი, შოგჰა მდებარეობდა ედლიპიდან 6 საათის სავალზე, ლატაქიის გზაზე. *Travels in Syria and The Holy Land, By the late John Lewis Burckhardt, London, 1822, p. 123.*

17. **ორონტესი** - (ბერძ *Ὀρόντις*, არაბ *العاصي نهر* ნაჰრ-ალ-ასი, ასი, დრაკო, ტიფონი) — მდინარე ლიბანსა და სირიაში. ორონტესი ჰელიოპოლისთან მდებარე მთებში ანტილიბანის წყაროდან იღებს სათავეს, ბეირუთიდან 30 კილომეტრში. მიედინება ჩრდილოეთისაკენ ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ. თავიდან კლდოვან ხეობას გამოდის, შემდეგ ტბა ჰომსში ჩადის. ტბიდან ქალაქ ჰამამადე ველზე მიედინება და ანტიოქიის დაბლობზე ოდნავ დასავლეთით უხვევს; აქ ორონტესში ორი მსხვილი შენაკადი ხვდება — აფრინი და ყარა-სუ. ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში თურქეთის საპორტო



ქალაქ სამანდაგიდან სამხრეთით. საერთო სიგრძეა 240 კილომეტრი. მდინარის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ ორონტესის ველი ძველად სავაჭრო გზებს კვეთდა. შუა საუკუნეებში ორონტესი ჯვაროსნებისთვის საზღვრის ფუნქციას ასრულებდა ანტიოქიასა და ალექსოს შორის.

18. **წინასწარმეტყველი** - იგულისხმება მაჰმადი, მუჰამადი (არაბ. محمد - მუჰამად; დ. დაახლ. 570/571, მექა -გ. 8 ივნისი, 632, მედინა) – ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმანური ტრადიციის და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული, წინასწარმეტყველი.

19. **მაროკო** – მაროკო ამ დროისთვის ერთადერთი აფრიკული ქვეყანაა, რომელიც არ არის აფრიკის კავშირის წევრი (კავშირიდან გამოვიდა 1984 წელს). თუმცა ეს სახელმწიფო შედის არაბული ქვეყნების ლიგაში, არაბეთის მაღრიბის კავშირში, ისლამის თანამეგობრობის ორგანიზაციაში, ფრანკოფონიაში.

20. **კაირო** – ეგვიპტის დედაქალაქი; 15.2 მილიონიანი მოსახლეობით. იგი უდიდესი ქალაქია აფრიკაში; მსოფლიოში რიგით მე-16 ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მეტროპოლია.

21. **მარა** – იგულისხმება უმ-ელ-მარა ჩრდილოეთ სირიაში, თანამედროვე ალექსოს აღმოსავლეთით, ჯაზულის დაბლობში არსებული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი.

22. **ლიბანი** – (არაბ. لبنان) ოფიციალური სახელწოდება ლიბანის რესპუბლიკა (არაბ. الجمهورية اللبنانية) – ქვეყანა დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მას ესაზღვრება სირია, ხოლო სამხრეთით ისრაელი. მისმა მდებარეობამ ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და არაბულ სამყაროს შორის განაპირობა მისი მდიდარი ისტორია, კულტურული იდენტობა, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება.

23. **ანსარის მთები** – (არაბ. السلسلة الجبال Silsilat al-Jibāl as-Sāhiliyah) ქედი ჩრდილო – დასავლეთ სირიაში, ლატაქიის აღმოსავლეთით. ანსარის მთა გადის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, სანაპირო ზოლის პარალელურად. მთის საშუალო სიგანე 32 კმ-ია. უმაღლესი მწვერვალია ნაზი იუნისი. მისი სიმაღლე 1,562 მეტრს აღწევს.

24. **სალისბერი** – საკათედრო ქალაქი ვილტშირში, (ინგლისი) მდინარეების ავონის, ნადდერისა და ბორნის შესართავთან.

25. **ანტილიბანი** – ჯეზელ-ემ-შარკი (არაბ. الشرفية لبنان جبال) – მთის მასივი სირიასა და ლიბანში. სიგრძე დაახლოებით 150 კმ, სიმაღლე 2814 მ-მდე (მთა ჰერმონი).

26. **ქანაანი** – ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ძის – ქამის ვაჟი. დაბადების მე-9 თავის მიხედვით, ერთხელ როდესაც ნოე ღვინით დათვრა და სრულიად შიშველმა ჩათვლიმა თავის კარავში, მისმა შვილმა ქამმა იხილა რა მამის სიშიშველე, გაიქცა თავის ორ ძმასთან ამ ამბის საამბობად. სემმა და იაფეტმა მოიტანეს ტანისამოსი, მიაფარეს მას მხრებზე და ზურგზე და ამით დაფარეს მამის სიშიშველე, თუმცა ისე, რომ არ დაუნახავთ იგი – თავები მიბრუნებული ჰქონდათ. უპატივცემულობის გამო ნოემ დასწყევლა საკუთარი ძე ქამი, ქამის შვილი ქანაანი და სრულიად მათი შთამომავლობა. აქვე იწინასწარმეტყველა, რომ ისინი მომავალში იაფეტისა და სემის მონებად იქცეოდნენ.

27. **ნოე** – ბიბლიური პერსონაჟი. კიდობნის ლეგენდარული შემქმნელი. ბიბლიური ლამექის შვილი, სემის, ქამის და იაფეტის მამა, სახელოვანი ბიბლიური პატრიარქი.

28. **ქამი** – ბიბლიური პერსონაჟი. ნოეს ვაჟი. ქამიტების მითური წინაპარი. ბიბლიის მიხედვით მამასთან და მეუღლესთან ერთად გადაურჩა წარღვნას.

29. **პიასტრი** – ლითონის ფული თურქეთში, ეგვიპტესა და სხვა არაბულ ქვეყნებში.

30. **პარა** – თურქული ვერცხლის ფულის ერთეული.

31. **ბურსა** – (თურქ Bursa, ადრე ცნობილი როგორც ბრუსა, ბერძ. Βουρσα, პრუსა) — მსხვილი ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში.

32. **სტერლინგი** – დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ფულის ერთეული.

33. **ბრიუსი** – იგულისხმება შოტლანდიელი მოგზაური ჯეიმს ბრიუსი (1730-1794 წ.წ), ჯეიმს ბრუსმა იმოგზაურა ჩრდილოეთ აფრიკასა და ეთიოპიაში და მოგზაურობის დასრულების შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები ლონდონში გამოსცა. იხ. *Travels to Discover the Source of the Nile, In the Years 1768, 1769, 1770, 1771, 1772 and 1773. By James Bruce of Kinnaird, Five Volumes, G.G.J. and J. Robinson, London, 1790.*

34. **ვოლნი** – იგულისხმება ფრანგი მოგზაური, მწერალი და აღმო-საველეთმცოდნე კონსტანტინ ფრანსუა დე შასებო ვოლნი.

იხ. *Travels Through Syria and Egypt in the years 1783, 1784, and 1785, By M. C-F. Volney, Vol. I, London, 1788* <https://archive.org/details/>

travelsthroughs01volngoog/page/n10/mode/2up Travels Through Syria and Egypt in the years 1783, 1784, and 1785, By M. C-F. Volney, Vol. II, London, 1788; <https://archive.org/details/travelsthroughs03volngoog/page/n10/mode/2up>

## გამოყენებული ლიტერატურა: BIBLIYOGRAFYA

1. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
4. გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტომი პირველი, ფრანგულიდან თარგმნა კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა, თბ., 1987.
5. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. თბ., 1949.
6. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977.
7. დონ ჟუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVIII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964.
8. დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976.
9. ებანოიძე მ., რამდენიმე ცნობა ქართველთა შესახებ წმ. მიწაზე მე-17-18 საუკ. ინგლისელი მოგზაურების მიხედვით, „მრავალთავი“, 2001, №19.
10. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, (XIX საუკუნის I მესამედი) გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.
11. კილასონია ა., ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში, XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006.

12. ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938.

13. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

14. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

15. რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982.

16. ტურნეფორი ჟ. დ., მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988.

17. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. II, Тиф., 1868.

18. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. VI (II), Тиф., 1875.

19. Внешняя политика России XIX и начала XX века, Документы Российского министерства иностранных дел, Сер. 1, т. I, М., 1960.

20. A Journey From Alepoo To Jerusalem At Eastern, A. D. 1697. By Henry Maundrell, M. A. London, 1810.

21. Bierbrier Morris L., Who was Who in Egyptology, 2012.

22. Dictionary of National Biography, Malthus Mason, Vol. XXXVI, london, 1893.

23. Gentleman's Magazine, C. L. Irby, Obituary, May 1846.

24. Hill Richard, A Biographical Dictionary of the Sudan, London 1967.

25. Kalfatovic Martin R., Nile Notes of a Howadji, London 1992.

26. Mangles J., Botanical collector, Australian National Botanic Gardens, Biography; Plants & Fungi: Rhodanthe manglesii (Mangles' everlasting; Roger O. De Keersmaecker, Elkab-The Rock Tombs, volume IV, in Travellers' Graffiti from Egypt and the Sudan, Mortsel, Antwerpen 2005.

27. Philipp Thomas, Acre the Rise and Fall of a Palestinian city 1730-1831, New York, 2001.

28. Royal Naval Biography, vol. IV, part I, London 1833.

29. Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832.

30. The Hon. Charles Leonard Irby and James Mangles, commanders in the Royal Navy, London 1844, reprint London 1985.

31. Travels in Syria and The Holy Land, By the late John Lewis Burckhardt, London, 1822.

32. Travels to Discover the Source of the Nile, In the Years 1768, 1769, 1770, 1771, 1772 and 1773. By James Bruce of Kinnaird, Five Volumes, G.G.J. and J. Robinson, London, 1790.

33. Travels Through Syria and Egypt in the years 1783, 1784, and 1785, By M. C-F. Volney, Vol. I, London, 1788.

34. Travels Through Syria and Egypt in the years 1783, 1784, and 1785, By M. C-F. Volney, Vol. II, London, 1788.

35. TRAVELS in EGYPT AND NUBIA, SYRIA, AND THE HOLY LAND including A JOURNEY ROUND THE DEAD SEA & AND THROUGH THE COUNTRY EAST OF THE JORDAN BY THE HON. CHARLES LEONARD IRBY, AND JAMES MANGLES, COMMANDERS IN THE ROYAL NAVY. LONDON, 1847.

ინტერნეტ რესურსი:

- <http://www.worldcat.org/identities/lccn-nr95027868/>
- <https://www.bookdepository.com/Cambridge-Library-Collection-Egyptology-Travels-Egypt-Nubia-Syria-Asia-Minor-during-Years-1817-1818-Charles-Leonard-Irby/9781108076197>
- <http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>
- <http://www.kew.org/plants-fungi/Rhodanthe-manglesii.htm>
- <http://www.anbg.gov.au/biography/mangles-james.html>
- <http://www.jdhooker.org.uk/collectors3.htm>
- <http://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>
- <https://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>
- <http://www.eoas.info/biogs/P000616b.htm#pub-resources>
- [http://www.kaowarsom.be/virtual\\_library/Bierbrier%202012\\_Who%20Was%20Who.pdf](http://www.kaowarsom.be/virtual_library/Bierbrier%202012_Who%20Was%20Who.pdf)
- <https://prabook.com/web/james.mangles/2189554>
- [https://three decks.org/index.php?display\\_type=show\\_crewman&id=1616](https://three decks.org/index.php?display_type=show_crewman&id=1616)
- [www.parksandgardens.ac.uk](http://www.parksandgardens.ac.uk)
- <https://www.surreyarchaeology.org.uk/content/mangles-collection>
- [https://en.wikisource.org/wiki/A\\_Naval\\_Biographical\\_Dictionary/Irby,\\_Charles\\_Leonard#cite\\_ref-1](https://en.wikisource.org/wiki/A_Naval_Biographical_Dictionary/Irby,_Charles_Leonard#cite_ref-1)
- <https://archive.org/details/travelsthroughs03volngoog/page/n10/mode/2up>
- <https://archive.org/details/travelsthroughs01volngoog/page/n10/mode/2up>

Geç Ortaçağ döneminde Gürcistan'daki insan ticareti en ağır ve zor çözülecek problem olarak kendini göstermişti. Komşu ülkelere, özellikle Osmanlı Devleti'ne insanlar kaçırılarak satılmasına karşı gerek kral hükümeti, gerekse kilise yetkilileri tarafından çok sayıda önlem alındı ancak bir sonuç elde edilemedi. Söz konusu "gelirli" işin içinde toplumun bütün kademelerinden temsilci vardı<sup>1</sup>. Vakhuşti Batonişvili "İmereti'de karısını boşama, öldürme ve gizlice esir satma gibi dine layık olmayan çok şey olurdu" kelimeleriyle XVII. yüzyılda Batı Gürcistan'da oluşan durumu değerlendirilmiştir<sup>2</sup>. Hatta esir ticareti işinde din adamlarının bile yer aldıkları tespit edilmiştir<sup>3</sup>. XVII-XVIII yüzyılda Batı Gürcistan'dan Osmanlı Devleti'ne, Suriye'ye ve Mısır'a binlerce insan esir olarak götürülmüştür<sup>4</sup>.

Gürcistan'dan "köle ticaretinin" birkaç olayı XIX. yüzyılın başlarında vuku buldu. Rusya'nın İmparatorluk Sarayı söz konusu meselenin çözümü için sıkı önlemler aldı. Haziran 1802'de Rusya'nın İstanbul Büyükelçisi V. Tamara, Osmanlı makamları nezdinde insan ticaretinin yasaklanması konusunu gündeme getirdi. Rus yetkililerince Gürcistan'ın artık bir Rus yanlısı ülke olduğu için Mısır ve Osmanlı ile insan ticaretine izin vermeyeceği dile getirildi<sup>5</sup>. 16 Haziran 1804'te Batı Gürcistan'ın "yöneticisi" olan Litvinov, Samegrelo'da bir yönetmelik yayınladı. Buna göre insan ticaretini yapan herkes ailesi ile birlikte ölüm cezası ile cezalandırılacaktı<sup>6</sup>. 1817'de General Ermolov, İstanbul'daki Rusya'nın İstanbul'daki tam yetkili bakanı Baron Stroganov'a yazarak, Kars, Akhaltsikhe (Türk literatüründe Ahıska olarak geçmektedir) ve Trabzon paşalarının Gürcistan topraklarına baskın düzenlediklerini ve insanları kaçırdıklarını, bunun için Osmanlı Hükümeti'ne karşı protesto çekilmesini talep etti<sup>7</sup>. Ancak, Stroganov'un mektubundan anlaşıldığı kadarıyla bu girişim herhangi bir sonuç getirmedi<sup>8</sup>.

Gürcistan'dan Osmanlı'ya insan ticareti konusu gerek Gürcü, gerekse yabancı kaynaklarda yer almıştır. "Esir Ticareti" meselesi Jean Chardin (XVII y.y)<sup>9</sup>, Don

---

<sup>1</sup> N. Berdzenişvili, sakartvelos istoriis sakithebi, t. VI, Tb., 1973, gv. 343.

<sup>2</sup> Vakhuşti Batonişvili, ağıtsera aameposa sakartvelosa, kartlis tskhovreba, teksti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mihedvit S. Kauhçişvilis mier, t.IV, Tb., 1973, gv. 824

<sup>3</sup> R. Rekhviaşvili, İmereti XVIII saukuneşi, Tb., 1982, gv. 313.

<sup>4</sup> A. Kilasonia, adamianebit vaçroba saqarTvelo-kavkasiaşi, XVI-XIX saukuneebşi, Tb., 2006, gv.107.

<sup>5</sup> Внешняя политика России XIX и начала XX века, Документы Российского министерства иностранных дел, Сер. 1, т. I, М., 1960, стр. 170

<sup>6</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. II, 1868, стр. 475.

<sup>7</sup> АКАК, т. VI (II), 1875, стр. 403, 418.

<sup>8</sup> P. Guguşvili, sakartvelosa da amierkavkasiis ekonomikuri ganvitareba, XIX-XX s.s. Tb., 1949, gv. 297.

<sup>9</sup> Jan Şardenis mogzauroba sparsetsa da ağımosavletis shva kveknebşi (tsnobeşi saqartvelos şesaheb). Prangulidan targmna, gamokvleva da komentarebi daurto mzia mgaloblişvirma, Tb., 1975, gv. 211-212.

Christoforo de Castelli (XVII y.y.)<sup>10</sup>, Don Pietro Avitable (XVII y.y.)<sup>11</sup>, Arcangelo Lamberti (XVII y.y.)<sup>12</sup>, Milanlı Giuseppe Giudice (XVIII y.y.)<sup>13</sup>, J. P. De Tournafort (XVII y.y. sonu, XVIII y.y. başlanğıcı)<sup>14</sup>, Moritz Vagner (XIX. y.y ilk yarısı)<sup>15</sup>, August Haxthausen (XIX y.y. ilk yarısı)<sup>16</sup>, Jean-François Gamba (XIX. y.y. ilk yarısı)<sup>17</sup>, Eduard Eichvald (XIX. y.y. ilk yarısı)<sup>18</sup> gibi Avrupalı gezginlerin kaleme aldıkları eselerde de yer almıştır. Bu bağlamda İngiliz deniz görevlileri olan Charles Leonard Irby ve James Mengels'in kayıtları dikkatimizi çekti.

Charles Leonard Irby 9 Ekim 1789'da doğdu. Kendisi II. Lord Boston Frederik'in dördüncü ve en küçük oğlu idi. Charles Leonard'ın annesi Christiana, Paul Matthew'in tek kızıydı<sup>19</sup>. Charles Leonard Irby Count-Amiral Frederick Paul Irby'nin küçük kardeşi idi. Irby, 23 Mayıs 1801'de Deniz Kuvvetleri'nde hizmet etmeye başladı. 8 Temmuz 1803'te "Narcissus 32" gemisinde görev yaptı. 96 savaşçı ve 16 top bulunan Fransız gemisi L'Alcion'un yakalanmasına katıldı. 1805 yılında "Ümit Burnu'na" bir sefer başlattı; 12 top ve 70 savaşçıdan oluşan gemi Le Prudent dahil olmak üzere 22 topu olan Horatio Nelson adlı gemiyi de ele geçirdi. Kendisinin ayrıca "Napolyon" adlı bir savaş gemisinin (top ve 250 savaşçı ile) ele geçirilmesiyle ilgili operasyonla da ilişkisi vardır. "Burnun" düşmesinden ve 46 topu olan firkateynin (Volontaire) ele geçirilmesinden sonra, Irby Rio de la Plata nehrinden geçti. Buradan İngiltere'ye döndü ve Buenos Aires'in fethini burada öğrendi. Kısa süre sonra tekrar askerlik hizmetine çağrıldı. Charles Irby, Kaptan Donnelly ile birlikte Şubat 1807'de "Ardent 64" gemiyle Montevideo'ya karşı savaşa katıldı<sup>20</sup> ve hafif yaralandı. Ancak,

---

<sup>10</sup> Don Kristoporo De Kasteli, tsnobebi da albomi sakartvelos şesakheb,teksti gaşıpra, targmna, gamokvleva da komentarebi daurto Bejan Giorgadzem, Tb., 1976, gv. 54.

<sup>11</sup> Don Pietro Avitable, Tsnobebi da Komentarebi Bejan Giorgadzisa, Tb., 1976, gv. 74-77.

<sup>12</sup> Arkanjelo Lamberti, Samegrelas Ağtsera, Targmani italiuridan Aleksandre Çkoniasi, Tb., 1938, gv. 71-72.

<sup>13</sup>Don Juzepe Milaneli, tserilebi sakartveloze, XVIII saukune, italiuri teksti targmna, tsinasitkvaoba da şenişvnebi daurto B. Giorgadzem, Tb., 1964, gv. 45.

<sup>14</sup> J.P. De Turnepori, mogzauroba ağmosavletis kvekneşşi, prangulidan targmna, şesavali da komentarebi daurto mzia mgaloblişvilma, Tb., 1988, gv. 57.

<sup>15</sup> Moris Vagneri sakartvelos şesakheb, germanuli teksti targmna, şesavali, komentarebi da saZieblebi daurto Gia Gelaşvilma, Tb., 2002, gv. 111.

<sup>16</sup> August Kakshauzeni sakartvelos şesaheb, germanulidan targmna, şesavali, komentarebi da sadzieblebi daurto Gia Gelaşvilma, Tb., 2011, gv. 33.

<sup>17</sup> Jak Pransua Gamba, mogzauroba amierkavkasişi, tomi pirveli, prangulidan targmna, komentarebi daurto mzia mgaloblişvilma, Tb., 1987, gv. 118.

<sup>18</sup> Eduard Aikhvaldi sakartvelos şesakheb, germanulidan targmna da sadzieblebi Gia Gelaşvilma, Tb., 2005, gv. 210.

<sup>19</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1; Roger O. De Keersmaecker, Charles Leonard Irby 1789-1845, James Mangles 1786-1867, <http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>.

<sup>20</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 2.

profesyonel çalışmalarına yine de devam etti. Irby teğmenliğe terfi etmeden önce, 13 Ekim 1808'de birkaç ay boyunca Ümit Burnu'nda görev yaptı. "Armida" adlı savaş gemisi ile 100 savaşçı ve 17 topla donanmış Amerikan silahlı gemisine karşı operasyonda yer aldı. 7 Haziran 1814'te Irby, "the Thames 32" adlı gemi Komutanlığına atandı. New Orleans'a karşı bir seferde aynı gemide yer aldı. Daha sonra, kendi isteği üzerine ve sağlık sorunları nedeniyle Mayıs 1815'te istifa etti<sup>21</sup>. Charles Leonard Irby 3 Aralık 1845'te vefat etti. 1816 yazında Irby, eski arkadaşı Kaptan James Mengel ile bir kıta gezisine başladı.

James Mengels, James Mengels'in (1762-1838) erkek kardeşi ve İngiliz Parlamentosu üyesi olan John Mengels (1760-1837) ile Harriet Kemden'in oğluydu. Mengels hizmetine Mart 1800'de donanmada başladı. "Maidstone" gemisinde Kaptan Ross Donnelly ile birlikte görev yaptı. 1801'de ise Narcissus gemisinde görev yaptı. 24 Eylül 1806'da James Mengels teğmenliğe terfi etti. 1811'de "Boyne" adlı gemide, 1814'te ise "Duncan" gemisinde teğmen rütbesiyle görev yaptı. 13 Haziran 1815'te kaptanlığa yükseldi<sup>22</sup>. 1825 yılında İngiliz Kraliyet Cemiyeti'ne seçildi ve 1830'da Kraliyet Coğrafya Derneği Konseyi'ne üye oldu<sup>23</sup>. James Mengels 18 Kasım 1867'de 81 yaşında vefat etti. 1816'da Mengels, Narcissus gemisinden olan eski arkadaşı Charles Leonard Irby ile birlikte Mısır, Suriye ve Küçük Asya'ya gitti. Yolculuğun beklenenden daha uzun olduğu ortaya çıktı. Mısır'ı, Nil'i ve Abu Simbel Tapınağı'nı ziyaret ettiler. Sonra çölden, sahilden, Baalbek ve Sidari'den geçtiler ve Halep'e girdiler. Oradan Palmyra ve Şam'a seyahat ettiler, Ürdün Vadisi'ni geçtiler ve Kudüs'e geldiler. Daha sonra Ölü Deniz'e yelken açtılar ve Kutsal Toprakları geçtiler. Sonunda Venedik Brig'ini (iki direkli yelken) kullanarak İstanbul'a geldiler. Yolda her iki gezgin dizanteriye yakalandılar ve bir müddet Kıbrıs'ta kalmak zorunda kaldılar. Aralık 1818'in ortalarında, 76 günlük maceranın sonunda Marsilya'ya doğru yola çıktılar. Onların izlenimleri 1823'te "1817-18'de Mısır ve Nubia, Suriye ve Orta Asya'ya yolculuk"<sup>24</sup> başlıklı bir kitap olarak "Miure Sömürgeler ve Dâhili Kütüphane" tarafından yayınlandı<sup>25</sup>.

---

<sup>21</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832, p. 1-13.

<sup>22</sup> Bierbrier M. L. Who Was Who in Egyptology, 2012, p. 353

<sup>23</sup> Dictionary of National Biography, Vol. 36, Malthus Mason, London, 1893, p. 33-34.

<sup>24</sup> Royal Naval Biography By Jhon Marshall, Vol. III, Part. II, London, 1832. p. 4.

<sup>25</sup> ob. .Travels in Egypt and Nubia, Syria, and the Holy Land Including a Journey round the Dead Sea and through the Country East of the Jordan by the hon. Charles Leonard Irby and James Mangles, Commanders in the Royal Navy, London, 1847. Çarlz Leonar İrbisa da Jeims Mangelsis tskhovrebis da moğvatseobis şesakheb ih. The Hon. Charles Leonard Irby and James Mangles, commanders in the Royal Navy, London 1844, reprint London 1985; Martin R. Kalfatovic, Nile Notes of a Howadji, London 1992; Richard Hill, A Biographical Dictionary of the Sudan, London 1967; Morris L. Bierbrier, Who was Who in Egyptology, 2012; Royal Naval Biography, vol. IV, part I, London 1833; Gentleman's Magazine, C. L. Irby, Obituary, May 1846; J. Mangles, Botanical collector, Australian National Botanic Gardens, Biography; Plants & Fungi: Rhodanthe manglesii (Mangles' everlasting; Roger O. De Keersmaecker, Elkab-The Rock Tombs, volume IV, in Travellers' Graffiti from Egypt and the Sudan, Mortsel, Antwerpen 2005.



Mısır, Nubia, Suriye ve Kutsal Topraklarda Charles Leonard Irby ile James Mengels'in gezilerini anlatan kitapta (Bölüm V) yer alan bir parça Suriye'deki Türkler tarafından köleliğe satılan Gürcü kızların durumunu anlatır. Metinden de anlaşılacağı gibi, Charles Irby ve James Mengels Suriye'nin Hama kentindeki bir otelde birkaç gece geçirmişlerdir. Burada İngiliz gezginler esir Gürcülerin ana vatanlarından kaçırıldığını gördüler. Kızlardan bazıları Türkler tarafından satılmıştı ve bazıları daha iyi bir fiyata satmak için Şam'a getirilmişti. İngiliz gezginlerin Suriye'de satılan Gürcü kızları hakkındaki bilgileri ilk kez Gürcüce yayınlanıyor. Charles Leonard Irby ve James Mengels'in kayıtlarında muhafaza edilen bilgilerin bize, 19. yüzyılın başlarında Gürcistan'dan yapılan insan ticareti hakkında daha fazla bilgi vereceğini düşünüyoruz.

## Charles Leonard Irby ve James Mengels, Mısır, Nubia, Suriye ve Kutsal Topraklara Yolculuk

### V Bölüm

Hama'ya <sup>1</sup> yolculuk – Referans Mektupları - Mekke'den <sup>2</sup> bir kervan –Hama – oteller – Gürcü köleleri – Araplarla müzakereler ve onlarla röportajlar – Homs<sup>3</sup> – Palmyra'dan<sup>4</sup> hareket Arap Kampı – Arap Liderlerle röportaj – Arap Ziyafeti – Palmyra'nın Mükemmel Görünümü – Kalıntılarla Hayal Kırıklığı – Onların Tanımı – Arap Kampına Dönmek – Hama'ya Gelmek – Yolculuğumuzun Maliyetleri – Arapların Özellikleri – Sahip Olmadığı Sadakatsizlik – Şam<sup>5</sup> – Planlanan Rotanın Çizgileri.

**3 Ocak.** Hama'ya gittik. At sırtında olan bizim iyi niyetli ve saygın ev sahibi kasabadan ayrıldıktan sonra kardeşi ile birlikte bizimle iki saat seyahat etti. Barker<sup>6</sup>

---

სსკკკ ობც. რცხვრბო: <http://www.worldcat.org/identities/lccn-nr95027868/>  
<https://www.bookdepository.com/Cambridge-Library-Collection-Egyptology-Travels-Egypt-Nubia-Syria-Asia-Minor-during-Years-1817-1818-Charles-Leonard-Irby/9781108076197>;  
<http://www.egypt-sudan-graffiti.be/Captain.htm>;<http://www.kew.org/plants-fungi/Rhodanthe-manglesii.htm>;  
<http://www.anbg.gov.au/biography/mangles-james.html><http://www.jdhooker.org.uk/collectors3.htm>;  
<http://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>;<https://trove.nla.gov.au/people/1199507?c=people>;  
<http://www.eoas.info/biogs/P000616b.htm#pubresources>  
[http://www.kaowarsom.be/virtual\\_library/Bierbrier%202012\\_Who%20Was%20Who.pdf](http://www.kaowarsom.be/virtual_library/Bierbrier%202012_Who%20Was%20Who.pdf)  
<https://prabook.com/web/james.mangles/2189554>;  
[https://threedecks.org/index.php?display\\_type=show\\_crewman&id=1616](https://threedecks.org/index.php?display_type=show_crewman&id=1616);  
[www.parksandgardens.ac.uk](http://www.parksandgardens.ac.uk)  
<https://www.surreyarchaeology.org.uk/content/manglescollection>  
[https://en.wikisource.org/wiki/A\\_Naval\\_Biographical\\_Dictionary/Irby,\\_Charles\\_Leonard#cite\\_ref](https://en.wikisource.org/wiki/A_Naval_Biographical_Dictionary/Irby,_Charles_Leonard#cite_ref);  
<https://archive.org/details/travelsthroughs03volngoog/page/n10/mode/2up>;  
<https://archive.org/details/travelsthroughs01volngoog/page/n10/mode/2up>  
<sup>25</sup> ობ. Travels in Egypt and Nubia, Syria, and the Holy Land Including a Journey round the Dead Sea and through the Country East of the Jordan by the hon. Charles Leonard Irby and James Mangles, Commanders in the Royal Navy, London, 1847.

bizimle ilgilendi ve imzasını atarak referans mektuplarını Hama Valisi Sekreteri Selim<sup>7</sup> ile Humus Valisi Genel Sekreteri olan Scander'e<sup>8</sup> teslim etmek üzere bize verdi. Ayrıca, Hacı Hasan'a<sup>9</sup> vermek üzere de bir referans mektubu verdi. Bu adam aslen Türktü ve Araplarla büyük bağlantıları olan Humus'un aksakalıydı. Bu insanlara, Palmyra'ya gitmemiz için bize gereken tüm yardımın yapılması emredildi. Ayrıca, Şam'ın<sup>10</sup> Paşa'sına başka mektuplar gönderdi ve at sırtında seyahat etmemiz gerektiğinde bize yardım etmesini istedi.

Bay Barker bize Bay Robert ve Lady Liston'a<sup>11</sup> Akra, Kıbrıs ve İzmir'de ve ayrıca İstanbul'da bir kaç kişiye verilmek üzere mektuplar verdi. Mondrel Suriye'sinde<sup>12</sup>, Küçük Asya ve Yunanistan'ı gezmek için bize daha sonra geri iade etmek şartıyla bir harita da verdi. Bununla birlikte, bize gerekli takım verdi ve yukarıda belirttiğimiz gibi finansal yardımda da bulundu. Gün batımında "Tuman" Oteli'ne vardık, oldukça büyüktü, ama yine de doluydu, burada Şam ve Lazkiye'ye<sup>13</sup> giden çok sayıda kervan görürdünüz.

Ertesi gün, kervanlar ayrılır ayrılmaz onu takip ettik. Yolumuzun bir kısmı işlenmiş çıplak tarlalardan geçti. Öğleden sonra saat üçte, Sermen'de 14 durduk. Burada birkaç köy ve zeytin ağaçları var; Başka yerlerde ağaçlık veya ormanlık göremezsiniz. Sağımızda karla kaplı Kasius<sup>15</sup> Dağı vardı.

**5 Ocak.** Güneş doğar doğmaz yolumuza devam ettik. Lazkiye kervanıyla Şogha'ya<sup>16</sup> gitmek ve buradan Orontes Nehri'nin<sup>17</sup> kıyısı boyunca Hama'ya ulaşmak istedik. Ama geç kaldık ve sol tarafta yürüyen ve Hama'ya giden bir kervan fark ettiğimizde, ona doğru ilerledik ve bu kervan ile Hama ve Şam'a vardık. Saat on civarında köyü çevreleyen ve Türkler tarafından yapılan dikdörtgen duvarın kalıntılarının yanından geçtik. Çölün kenarındaki bu yerleşimlerin çoğu, onları Arap saldırılarına karşı korumak için duvarlarla çevrilmiştir. Bir süre sonra Şam'dan dönen ve Mekke'yi ziyaret eden çok büyük bir hacı kervanı ile karşılaştık - Peygamber'in<sup>18</sup> bayrağı olarak kabul edilen yeşil bayrak dalgalanıyordu. Kervanda birkaç deve de vardı, ancak çoğunluk olarak at ve katırlardan oluşurdu. Bunların boyunlarında küçük küçük çanlar vardı ve çok güzel ses çıkarıyorlardı<sup>26</sup>. Kervanda Doğu'ya has olan özel bir ulaşım aracı da vardı. Buna benzeri şey Fas'taki<sup>19</sup> haça gidenlerde de gördük ve bunlar geçen Eylül'de Kahir'e<sup>20</sup> geldiler. Bu araç bir sandalyeye benziyordu, ileri giden ve takip eden atların sırtında şövalyelerin yerini tutuyordu. Birisi de katırın sırtına çapraz olarak yerleştirilen yatağa benzer çadırdı. Bir diğeri devenin sırtına sepet gibi yerleştirilmiş iki çocuğun beşiğini andırıyordu. Bu taşıma aracın perdeleri vardı ve kadınlar ve hastalar için tasarlanmıştı. Neredeyse iki gün boyunca hacı grupları ile rastlaşıyorduk. Kervandaki her hayvan hacıların mallarıyla yüklü idi. Böyle bir yolculuk sırasında ibadet edenler ticaret ile dini işlerini birlikte yapardılar. Bir eski

---

<sup>26</sup> იმ დღეს ცხენის ზანზალაკებზე იქნება წარწერილი: სიწმინდე უფალშია. ~ მეფეთა წიგნი, ზაქარია, XIV, V. 20/O gün atların boyundaki küçük küçük çanlarda "Saflık Rab'bin içindedir" ;ekl'nde yazılır.Krallar Kitabı, Zekerya.

atasöze göre: “Bir kere haça giden komşudan uzak dur, ikinci kere gittiğinde ise drehal evini terk et.” Hemen hemen bütün köylüler evlerinde ticaret yapıyor. Onlar da hacılara benzer alış-veriş işleri ile uğraşıyorlar. Bugün, Roma İmparatorluğu döneminde Roma binalarının kalıntılarını ve taşan yapılmış lahitleri gördük. Akşam saat 2 civarında, gece geçirmek için Mara'da <sup>21</sup> konakladık ve güzel bir yerde yattık. Ertesi sabah Lübnan'a <sup>22</sup> gittik; Kassius Dağı'nın kuzeyinde Ansar dağları<sup>23</sup> vardır. Eski şehirleri, rezervuarları ve lahitleri ziyaret ettik. Neredeyse tamamı yok edilenlerin ve çok az ilgi çeken bu alanın, bir zamanlar yoğun nüfuslu olduğu aşikârdı. Burada birçok sincap, keklük, tavşan ve diğer hayvanların yaşadığı çıplak alanlar görebilirsiniz. Gece bir tepecik'in yanında bulunan “Şekun” adlı otel de konakladık. Gün boyunca birçok tepecik'e rastladık. Bu tepecikler Salisber<sup>24</sup> düzü ile İngiltere'nin diğer bölgelerine benziyor. Oteli beğendik, ama hacılar dönüşü nedeniyle burası çok kalabalıktı.

წყარო: <https://sites.google.com/site/georgiaconfliqt/home/westerngeorgia1801-67> (06.11.2019)

სოლომონ II ოსმალეთიდანაც არ წყვიტდა ბრძოლა. მან მაჰმუდ II თავისი თანმხლები პირების ქაიხოსროს და დავითის ხელით წერილი გაუგზავნა, რომელშიც ატყობინებდა, რომ იმერეთი ოსმალეთის ტერიტორია იყო და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალეთის გვერდით იქნებოდა. მეფის ელჩებისა და ოსმალების სახელმწიფოს შორის სტამბოლში გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა ასევე მიიღო კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელმა პატრიარქმა და შეეცადა რუსების წინააღმდეგ რელიგიური უპირატესობა გამოეყენებინა. შეხვედრის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჯანიკის ვილაიეთიდან 20 ათასი, ტრაპიზონის და სხვა ვილაიეთებიდან კი 10 ათასი სამხედრო შეეკრიბათ და მოეგროვებინათ საკმარისი რაოდენობის საბრძოლო მასალა, ეთხოვათ დახმარება იმ ქართველი დიდებულებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულები, კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ პატრიარქს კი სთხოვეს ანათემაზე გადაეცათ ის ქართველები, რომლებიც რუსებს დაეხმარებოდნენ. სოლომონ II თავის წერილში იტყობინებოდა, რომ რუსებისგან მისი ტერიტორიების გამოხსნის შემდეგ 5 ათას ოსმალე სამხედროს დაიტოვებდა რეგიონში და მათ მოთხოვნებს



სრულიად დააკმაყოფილებდა.<sup>10</sup> სულთანმა მაჰმუდ II დადებითი პასუხი გასცა სოლომონ II-ის წერილს. სოლომონ II-სთვის გაგზავნილ საპასუხო წერილში სულთანი მაჰმუდ II პირდებოდა მას, რომ დაეხმარებოდა რუსების იმერეთიდან განდევნაში და სამეფოს კვლავ მას ჩააბარებდა.<sup>11</sup> ახალციხეში ჩასვლისას სოლომონ II-სთან საკმაოდ დიდი ამაღა ახლდა. ოსმალებს გაუჩნდათ შანსი რუსების წინააღმდეგ ქართველები გამოეყენებინათ.<sup>12</sup> ახალციხის შემდეგ თუ საით გაემართა სოლომონ II, აზრი ორად იყოფა. ერთი მოსაზრებით, იგი პირდაპირ ტრაპიზონში გაემგზავრა,<sup>13</sup> ფრანგული წყაროს<sup>14</sup> ცნობით კი იგი ჯერ არზრუმში ჩავიდა, სადაც ტრაპიზონში გამგზავრებამდე 1813 წლამდე დარჩა. სოლომონ II დახმარება ოსმალებთან ერთად ირანის შაჰს და საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონსაც სთხოვა. მაგრამ ირანსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი გულისტანის ხელშეკრულების გამო ირანისგან დახმარება ვერ მიიღო. საფრანგეთი კი 1812 წელს რუსეთთან ომში დამარცხდა და სოლომონ II-ს ვერ დაეხმარებოდა.

## სოლომონ II-ის ტრაპიზონში გატარებული დღეები



### იმერეთის მეფე სოლომონ II

წყარო: <https://zneoba.ge/889/> (06.11.2019)

იმერეთის მეფე სოლომონ II ტრაპიზონში სამას კაციანი ამალით ჩავიდა. იგი დიდი პატივით მიიღეს და იმ სასახლეში დააბინავეს, სადაც ჩერდებოდნენ ხოლმე საქართველოდან სტამბოლისკენ მიმავალი და უკან დაბრუნებული ქართველი დიდებულები. როდესაც გაირკვა, რომ სოლომონ II გაქცევის შემდეგ ოსმალებთან გადავიდა, რუსებმა მოითხოვეს, რომ იმერეთის მეფე მათთვის გადაეცათ. მაგრამ ტრაპიზონის

<sup>10</sup> Nebi Gümüş, “Son Gürcü Kralı II. Solomon’un Ruslara Karşı Mücadelesi ve Osmanlı Devleti ile İlişkileri”, *Selçuk Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi*, 22, 2006, s. 108-109.

<sup>11</sup> Şânî-Zâde Mehmed ‘Atâ’ullah Efendi, *Şânî-Zâde Tarihi*, C.1, Haz. Ziya Yılmaz, Çamlıca Basım Yayın, İstanbul 2008, s.456-459.

<sup>12</sup> Ahmet Cevdet Paşa, *Tarih-i Cevdet*, C.9, Matbaa-yı Amire, Dersaadet 1292, s. 267-268

<sup>13</sup> Gümüş, a.g.m., s. 109.

<sup>14</sup> Özgür Yılmaz, “Trabzon’da Fransız Varlığının İlk Dönemleri: Pierre Jarôme Dupré’nin Trabzon Konsolosluğu (1803-1820)”, *Karadeniz İncelemeleri Dergisi*, 21, 2006, s. 114.



გუბერნატორმა იმ საბაბით, რომ ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვარი მდინარე ყუბანზე გადიოდა და შესაბამისად იმერეთი ოსმალეთის სამფლობელოდ ითვლებოდა, მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.<sup>15</sup> ამასთანავე ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვარი მდინარე ყუბანზე იასის ხელშეკრულების შემდეგ ბუქარესტის ხელშეკრულებამაც დაადგინა. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი ბუქარესტის ზავით დასრულდა და ოსმალეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ამით ამოიწურა. თუმცა 1813 წელს სოლომონ II კვლავ ითხოვა დახმარება ოსმალეთისგან, მაგრამ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ოსმალეთმა თავი შორს დაიჭირა ამ თხოვნისგან.<sup>16</sup> სოლომონს სურდა ტრაპიზონში საფრანგეთის კონსულის მეშვეობით დახმარება ეთხოვა საფრანგეთისთვისაც და შეხვდა კონსულს პიერ ჯერომი დიუპრეს. დიუპრეს ჩანაწერების მიხედვით, სოლომონ II და სულეიმან ფაშა, რომელიც მიავლინეს ბუქარესტის ხელშეკრულების თანახმად რუსების ხელში გადასული ქართული მიწების გასათავისუფლებლად, ერთმანეთს ფოთში შეხვედრიან. მაგრამ ტახტის დაბრუნებისთვის ფოთში ჩასული სოლომონ II ავად გამხდარა და უკან ტრაპიზონში დაბრუნებულა.<sup>17</sup>

მას შემდეგ, რაც ოსმალეთის სახელმწიფომ სოლომონ II-ს მხარდაჭერაზე უარი თქვა, იმერეთის მეფე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. 1815 წლის დასაწყისისთვის ტრაპიზონში სოლომონ II-სთან ერთად ჩასული რამდენიმე ასეული პირისგან, მასთან მხოლოდ 25 დარჩა. არსებობისთვის მათ მოუწიათ ცხენებისა და იარაღის გაყიდვა. იმერეთის მეფემ უკანასკნელი დღეები სიღარიბეში გაატარა.<sup>18</sup> ამბობენ, რომ როდესაც სოლომონ II-ს გადაეწურა ოსმალეთისგან დახმარების მიღების იმედი, მას ხშირად ხედავდნენ ზღვის ნაპირას ღრმად ჩაფიქრებულს.<sup>19</sup> სოლომონ II დაავადების შემდეგ კიდევ 8 თვე ცხოვრობდა ტრაპიზონში და 1815 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს წმინდა გრიგორის უბნის

---

<sup>15</sup> Gümüş, a.g.m, s. 109-110.

<sup>16</sup> Gümüş, a.g.m, s. 110-111.

<sup>17</sup> Yılmaz, a.g.m., s. 114.

<sup>18</sup> სოლომონ II-სთან ერთად ჩამოსულმა ოჯახებმა იბერპოლუსის გვარით ტრაპიზონში განაგრძეს ცხოვრება. იხ. Selina Ballance vd. "Nineteenth-century Monuments in the City and Vilayet of Trebizond: Architectural and Historical Notes", part 1, 'Arch. Πόντ.', 28, 1966, p. 246; ფიქრობენ, რომ ეს ოჯახები მოსახლეობის გაცვლის დროს საბერძნეთში გადასახლდნენ. იხ. Gümüş, a.g.m., s. 113.

<sup>19</sup> Gümüş, a.g.m, s. 1112.

ბერძნული ეკლესიის (წმინდა გრიგორ ნისის ეკლესიის) ეზოში.<sup>20</sup> სოლომონ II-ის გარდაცვალებასთან ერთად ბოლო მოელო ბაგრატიონთა დინასტიას. პ. მინას ბიჟიშკიანის ცნობით, რომელიც პირადად შეესწრო სოლომონ II-ის გარდაცვალებას, ქართველების გლოვა 40 დღე გრძელდებოდა, ისინი იხევდნენ ტანსაცმელს, თმებს იგლეჯდნენ და მკერდში ხელს იცემდნენ. მეფის კუბო ქალაქის ქუჩებში მოატარეს, ეპისკოპოსმა პარაკლისი გადაუხადა, გაშლილი დროშების ქვეშ გარდაცვლილი მეფის ცხენი, ძაღლები და იარაღი ჰქონდათ მოთავსებული.<sup>21</sup>

სოლომონ II-ის ნეშტი დაკრძალეს აკლდამაში, რომელიც მართალია ქართული ტრადიციული რელიეფითა და სახურავით იყო გაფორმებული, მაგრამ ტიპიური იტალიური არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა. ერთი არშინის სიმაღლის კვადრატული ფორმის საფუძველზე ოთხი სვეტი იდგა, რომლებსაც ნახევართალიანი გუმბათი ეკავათ, ხოლო გუმბათზე ჯვარი იყო აღმართული. გრანიტის გუმბათის შიდა მხარეს დეკორაციებით გაფორმებული კარნიზი ჰქონდა. ძეგლის სიმაღლე 10 არშინი იყო (6,86მ), სიგანე კი 5 არშინი (3,43მ). აკლდამას ჰქონდა ქართული და ბერძნული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს ქართულად ეწერა სოლომონ II-ის შემდეგი სიტყვები:<sup>22</sup>

ყველა არსების შემქმნელმა, მათთვის სინათლისა და სიცოცხლის მომნიჭებელმა, უდიდესი სიკეთით მე მეფეთა ჩინი მიწყალობა. მე ვიყავი მეფეთა მეფე, მეფეთა შვილი, დავითის შთამომავალი, იმერეთის მფლობელი და პატრონი, მებრძოლთა მეთაური, არჩილის ძე, უკეთილშობილესი მეფე სოლომონი (...)

---

<sup>20</sup> Yılmaz, a.g.m., s. 114.

<sup>21</sup> P. Minas Bijişkyan, *Karadeniz'in Kıyıları ve Tarihi Coğrafyası 1817-1819*, Çev. Hrand D. Andreasyan, İstanbul Edebiyat Fakültesi Basımevi, İstanbul 1969, s. 67-68.


<sup>22</sup> Kudret Emiroğlu, "Trabzon'da Yok Olan Bir Anıt: Gürcü Kralı Solomon II'nin Türbesi", *Trabzon Dergisi*, 3, 1989, s. 79; Ballance vd., a.g.e., 248-251.



სოლომონ II აკლდამა (1915)

წყარო:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/128061/1/Saxalxo\\_Furceli\\_Surat\\_ebiani\\_Damateba\\_1915\\_N40-8.jpg](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/128061/1/Saxalxo_Furceli_Surat_ebiani_Damateba_1915_N40-8.jpg)  
(06.11.2019)



წმ.გრიგოლ ნისას სახელოს ეკლესია, სადაც მდებარეობდა სოლომონ II აკლდამა (აკლდამა მოჩანს მარცხენა ქვედა მხარეს)

წყარო:

<https://www.alamy.com/stock-photo-trabzon-saint-gregory-of-nyssa-cathedral-28destroyed-193029-147689909.html>

საფლავზე, ეკლესიის აღმოსავლეთ შესასვლელის მხარეს, ბერძნულ წარწერასთან ბაგრატიონთა დინასტიის გერბი იყო ამოკვეთილი.<sup>23</sup> სოლომონ II-ის შემდეგ ოსმალეთს შეეხიზნა გურიის სამთავროს პრინცესა სოფიო გურიელი. იგი ოსმალეთში 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადავიდა და 1829 წელს გარდაცვალების შემდეგ აქააბადში წმინდა მიხეილის ეკლესიაში დაკრძალეს.

**სოლომონ II-ის გადასვენება და ქართულ-თურქული ურთიერთობები**  
სოლომონ II-ის საფლავის ძებნა 1917 წელს ტრაპიზონის რუსული ოკუპაციის დროს დაიწყო, მაგრამ რუსების უკან დახევის შემდეგ ძებნა შეწყდა. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსებმა კავკასიაც დატოვეს და რეგიონში გარკვეული სიცარიელე წარმოიშვა. ბათუმის კონფერენციაზე ქართველებმა გერმანელების გავლენით 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამგვარად რუსული მმართველობიდან თავის დაღწევის შემდეგ საქართველოსა და ოსმალეთს შორის კვლავ დაიწყო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.<sup>24</sup> ოსმალეთის სახელმწიფომ 1918

<sup>23</sup> Ballance vd., a.g.e., s. 250.

<sup>24</sup> Enis Şahin, *Trabzon ve Batım Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara, 2002, s. 595.

წლის 4 ივნისს სცნო მენშევიკური მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მოგვიანებით პარიზის კონფერენციაზე საქართველო კიდევ 22 ქვეყანამ აღიარა.

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ბათუმში გადასული მენშევიკური მთავრობა მოელაპარაკა რუსებს და ბათუმიც საბჭოთა რუსეთს დაუთმო. ამ პერიოდში თურქეთსა და რუსეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა, რადგან ბათუმს თურქები აკონტროლებდნენ. ორ ქვეყანას შორის შეტაკება დიდი ალბათობით გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვის ხელშეკრულებით თურქმა სამხედროებმა დატოვეს ბათუმი. ამავე დროს მენშევიკური მთავრობის წევრებმა, როგორც სოლომონ II, თავი ოსმალეთს შეაფარეს. მთავრობის წევრები 13 თვის განმავლობაში სტამბოლში ცხოვრობდნენ, შემდეგ მათმა უმრავლესობამ საფრანგეთის პასპორტი აიღეს და ქვეყანა დატოვეს.<sup>25</sup> ამ დროიდან მოყოლებული 1991 წლამდე ქართველების ნაცვლად ურთიერთობები სსრკ-სთან გრძელდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში საქართველომ კვლავ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ამ ბრძოლის პარალელურად დღის წესრიგში დადგა სოლომონ II-ის ნემტის საქართველოში გადასხვენების საკითხიც.

1930-იან წლებში წმ. გრიგოლ ნესის ეკლესიის დანგრევის შემდეგ, რომლის ეზოშიც იყო დაკრძალული სოლომონ II, საფლავი დაიკარგა.<sup>26</sup> ერთერთი გერმანული ანგარიშის მიხედვით ეკლესიის დანგრევის თარიღი 1935 წელია და დიდი ალბათობით ეკლესიასთან ერთად აკლდამაც დაანგრიეს.<sup>27</sup> თუმცა 1937 წელს ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის არქივში აღმოჩენილი წერილით კვლავ მოხერხდა საფლავის ადგილმდებარეობის დადგენა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოსა და თურქეთს შორის წარმოებული მიმოწერის შემდეგ საფლავის საქართველოში გადატანის ნებართვა გაიცა. ქართველებს სურდათ, რომ სოლომონ II საფლავის ადგილას სამახსოვრო ნიშანი ყოფილიყო. კულტურის სამინისტროსა და ტრაპიზონის მერიას შორის მიმოწერის შედეგად ტრაპიზონის საკრებულომ 1990 წლის 19

<sup>25</sup> <http://www.chveneburi.net/gurcu-koyleri/turkiyedeki-gurcu-koylerinde-alan-calismasinin-sonuclari-h527.html> (12.11.2019).

<sup>26</sup> ქალაქის კლუბის აშენების მიზნით წმ. გრიგოლ ნესის ეკლესიის დანგრევის შემდეგ, 1963 წელს სანაპირო გზის გაფართოებისას ასევე დაანგრიეს ეკლესიის ადგილას აშენებული ქალაქის კლუბიც. იხ. Emiroğlu, a.g.m., s. 80.

<sup>27</sup> Ballance vd., a.g.e., s. 251.

ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ საფლავის გადატანის შემდეგ ამ ადგილას მინიატურული ძეგლი დაედგათ.<sup>28</sup>

1990 წლის 18 ნოემბერს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ოფიციალურად მოპოვებამდე სოლომონ II-ის ნეშტის გადასვენებისთვის ტრაპიზონში ქართული დელეგაცია ჩავიდა. ცერემონიას ასევე ესწრებოდა საბჭოთა კავშირის ელჩი ანკარაში ჩერნიშევი და ორი საბჭოთა მღვდელი. სოლომონ II-ის ნეშტი სპეციალური კუბოთი სამშობლოში გადაასვენეს. ჩერნიშევა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ხედვის მიხედვით აუცილებელი იყო ქართველი მეფე სოლომონ II სამშობლოში დაეკრძალათ. მიცვალებულის ქუთაისში ავტომობილით გადასვენების დროს ბათუმის მერმა დოლიძემ განაცხადა: „დამოუკიდებლობისთვის პირველი ნაბიჯი გადავდგით, ქართველებმა მიიღეს თავისი მეფე“. ამ ფრაზით მან პარალელი გაატარა სოლომონ II-ის დამოუკიდებლობის ბრძოლასა და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისთვის ქართველების ბრძოლას შორის, რითიც სოლომონ II-მ გარკვეული სიმბოლური დატვირთვა მიიღო. მანამდე საბჭოთა რეჟიმი არ იძლეოდა გადასვენების ნებას. მაგრამ მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სსრკ-ში დაწყებული ჭეშმარიტ ფასეულობებთან დაბრუნების პოლიტიკის ფარგლებში მოხერხდა მისი გელათის მონასტერში გადასვენება.<sup>29</sup>

ქართულ-თურქულმა ურთიერთობები ქართველების მიერ დამოუკიდებლობის საბოლოო მოპოვების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა და პირველი ქვეყანა, რომელმაც იგი აღიარა, იყო თურქეთი 1991 წლის 16 დეკემბერს. პირველი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც საქართველოს ეწვია, 1992 წლის 30 ივლისს იყო სულეიმან დემირელი. 1991 წლის დეკემბერში საქართველოში დაწყებული შინა ომის დროს თურქეთი აგრძელებდა მის დახმარებას, რამაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გააუმჯობესა.<sup>30</sup> მაგრამ 1993 წელს რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიმართ გამოცხადებულმა „ახლო სამეზობლო დოქტრინამ“ საქართველოზეც მოახდინა გავლენა. 2008 წელს საქართველოს და რუსეთს შორის წარმოებული ომის შემდეგ სამხრეთ

<sup>28</sup> <https://www.karadenizgazete.com.tr/karadeniz/solomon-icin-ant-mezar-bekliyorlar/164390> (12.11.2019)

<sup>29</sup> “Kralı Uğurladık”, *Milliyet*, 19.11.1990, s. 1, 16.

<sup>30</sup> Yelda Demirağ, “Bağımsızlıktan Kadife Devrime Türkiye-Gürcistan İlişkileri”, *Uluslararası İlişkiler Dergisi*, 2(7), 2005, s. 127-129.

ოსეთმა და აფხაზეთმა ცალმხრივად გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და რუსეთმა ეს ქვეყნები აღიარა.

### **დასკვნა**

ქართველებისა და თურქების ურთიერთობის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ თურქული მიწები ხშირად წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა თავშესაფარს. თურქეთი, თავისი საგარეო პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს დამოუკიდებლობის ერთერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი გახდა. იმერეთის მეფე სოლომონ II უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართველი მეფე იყო, რომელიც ოსმალეთში გაიხიზნა და აქედან აგრძელებდა ბრძოლას. თუმცა ტრაპიზონში 41 წლის ასაკში გარდაცვლილი სოლომონ II რუსული ოკუპაციის გამო მშობლიური ქვეყნის ნაცვლად ტრაპიზონში წმ. გრიგორი ნესის ეკლესიაში დაიკრძალა. ამ დროიდან 175 წლის შემდეგ კვლავ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მიმდინარეობისას სოლომონ II სიმბოლოდ იქცა და იგი 1990 წელს საქართველოში გადაასვენეს. სსრკ-ს დაშლასთან ერთად ქართულ-თურქული ურთიერთობები თავიდან დაიწყო.

## 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ფურცლებზე (კავკასიის ფრონტი)

პროფესორი როინ ყავრელიშვილი  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი „Тифлисские ведомости“ გამოდიოდა თბილისში 1828 წლის 4 ივლისიდან 1832 წლის მარტამდე. მისი პარალელური განმეორება „ტფილისის უწყებანი“. იგი წარმოადგენდა მთავრობის საგამომცემლო ორგანოს, მთავარი რედაქტორი იყო ი. სანკოვსკი. მასში გამოქვეყნებული მასალები, საკითხების მრავალფეროვნებითა და აქტუალობით, საინტერესო წყაროა ისტორიული მოვლენების შესასწავლად. წინამდებარე სტატიაში გამოყენებული მასალები წარმოდგენილია გაზეთის რუსულენოვანი ვერსიიდან.

გაზეთის გამოცემის პერიოდი ემთხვეოდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს საკითხს.

საგაზეთო მასალები წარმოდგენას გვიქმნის მიმდინარე საომარი მოქმედებების და ახალციხის საფაშოს გაუქმების შემდეგ მისი ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. გაზეთის პირველივე ნომერში მოთავსებული ოფიციალური განცხადება წარმოადგენს კავკასიის კორპუსის სამხედრო დისლოკაციის და ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ მზადების შესახებ ინფორმაციას. საგაზეთო სტატიებში ყურადღება არის გამახვილებული მეომარი მხარეების სტრატეგიასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე. საუბარია ახალქალაქის, ასპინძის, ხერთვისის, აწყურისა და არტანის ბრძოლების შესახებ. განსაკუთრებით ვრცლად არის აღწერილი ბრძოლები ყარსისა და ახალციხისთვის. გაზეთში რუსი და ქართველი ოფიცრების გვერდით მოხსენიებული არიან ოსმალთა სამხედრო მეთაურები და საუბარია მათ სამხედრო ტაქტიკაზე. ცალკე სტატია ეძღვნება ახალციხის მეჩეთსა და ბიბლიოთეკას. მასში ვრცლად არის მოთხრობილი მათი მშენებლობის, მოქმედების და მომავალი ბედის შესახებ. აქვე, შედარებულია ახალციხის და არდებილის ბიბლიოთეკები. აღნიშნულია, რომ არდებილის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ენა იყო სპარსული და მხოლოდ ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის იყო. ხოლო, ახალციხის ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურა ძირითადად

საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდა და დიდი ნაწილი არაბულ ენაზე იყო შესრულებული.

ზემოხსენებული საკითხები წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაციის სახით და არ გააჩნიათ ანალიტიკური შინაარსი.

**საკვანძო სიტყვები:** ტფილისის უწყებანი, საქართველო, რუსეთი, ოსმალეთი, ახალციხე.

## **“TBILISİS UTSKEBANI” GAZETESİ SAYFALARINDA 1828-1829 OSMANLI-RUS SAVAŞI (KAFKAS CEPHESİ)**

**Prof. Dr. Roin KAVRELİSHVİLİ**  
**Samtskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi**

“Тифлисские ведомости (Tiflis Günlüğü)” gazetesi 4 Temmuz 1828’den Mart 1832’ye kadar çıkmıştı. Bu gazete aynı dönemde Gürcüce olarak “Tbilisis Utskebani” adında da yayınlanıyordu. Gürcüce olan haberler Rusça haberlerin tekrarı idi. Bu gazete hükümetin yayın organı olup İ. Sankovsky editörlüğünde basılıyordu. Gazetede yayınlanan haberler çok çeşitli ve güncel olduğundan dolayı dönemin tarihi gelişmelerini incelemek için dikkate değer kaynaktır. Makalede kullanılan malzemeler gazetenin Rusça olan sayılarından alınmıştır.

Gazetenin yayınlanma süreci Güney Kafkasya’da vuku bulan Osmanlı-Rus Savaşı’na denk geldi. Bilindiği gibi bu savaşta Gürcistan meselesi önemli bir konu olmuştu.

Gazete haberleri savaşın gidişatı ile Akhaltsikhe<sup>1</sup> Paşalığı’nın kaldırılmasından sonra onun idari düzenlenmesi hakkında dikkate değer bilgileri içermektedir. Gazetenin ilk sayısında yayınlanan resmi açıklama Kafkas Kolordusu’nun yerleşimi ile Osmanlı ordusuna karşı hazırlanmasıyla ilgilidir. Haberlerde savaşın tarafların stratejileri ve savaş ruhu, Akhalkalaki, Aspindza, Hertvisi, Atskuri ve Ardahan savaşları üzerine dikkat çekilmiştir. Özellikle Kars ile Akhaltsikhe için savaşlar ayrıntılı bir şekilde anlatılmıştır. Haberlerde Rus ve Gürcü komutanları yanı sıra Türk askeri komutanlardan ve taktiklerinden bahsedilmiştir. Ayrı bir haberde Akhaltsikhe Camisi ile kütüphanesinden, inşaatlarından, faaliyetlerinden ve savaş sonrası kaderinden söz edilmiştir. Devamında Akhaltsikhe ile Erdebil kütüphaneleri karşılaştırılmıştır. Buna göre, Erdebil kütüphanesinde bulunan kitaplar yalnız Farsça olup tarih ve edebiyat tarzında imiş. Akhaltsikhe kütüphanesinde muhafaza edilen kitaplar ise genellikle eğitim amaçlı olup çoğu Arapçaymış.

Yukarıdaki konular somut bilgi olarak sunulmuş ve analitik içeriği yoktur.

**Anahtar Kelimeler:** Tiflis Haberleri, Gürcistan, Rusya, Osmanlı, Akhaltsikhe.

---

<sup>1</sup> Türk yazın hayatında ve konuşma dilinde Ahıska, Ahılkelek, Hirtız, Azgur; Gürcü yazın hayatında ve konuşma dilinde ise Artaani olarak geçmektedir.



## RUSSIAN-OTTOMAN WAR OF 1828-1829 ON THE PAGES OF THE “TPILISIS UTSKEBANI” (CAUCASIAN BATTLE-FRONT)

**Prof. Dr. Roin KAVRELISHVILI**  
**Samtskhe-Javakheti State University**

The newspaper “Tiflisskie Vedomosti” had been published from February 4, 1828 till March of 1832. Its parallel edition was the “Tpilisis Utskebani” (Tiflis Bulletin). This one was press organ of local government. The main editor was I. Sakovskiy. The “Tpilisis Utskebani”, with regard to its vital and problematic publications, is interesting source for studying Historical events. At the presented article we used materials from Russian-language version of the newspaper.

As we see the period of publication of the newspaper coincided with the Russian-Ottoman war in the South Caucasus, where the issue of Georgia occupied an important place.

Newspaper materials show us an account of the ongoing hostilities and its administrative arrangement after the abolition of Akhaltsikhe Pashalik. At the first issue of the newspaper there was published official announcement about dislocation of the Caucasus Corps and their preparations against the Ottoman army. The newspaper articles are focused on the strategy and the fighting spirit of the warring parties. There are talking about the battles of Akhalkalaki, Aspindza, Khertvisi, Atskuri and Artaani (Ardahan). The battles for Kars and Akhaltsikhe are particularly detailed there. At the newspaper there are also mentions Ottoman military commanders alongside Russian and Georgian officers and authors of that articles are discusses their military tactics. One article is specially dedicated to the Akhaltsikhe Mosque and Library. There is widely description history of their construction, current action and future destiny. Author compared the libraries of Akhaltsikhe and Ardabil. It is noted that the language of the books in the Ardebil Library was Persian and was only historical and literary character but the books preserved in the Akhaltsikhe Library was mainly an educational nature and much of it was written in Arabic.

**Key Words:** Tpilisis Utskebani (Tiflis Bulletin), Georgia, Russia, Ottoman Empire, Akhaltsikhe.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა კავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. გაფართოვდა მისი საზღვრები. თუმცა, გიულისტანის ხელშეკრულებით უკმაყოფილო ირანმა 1826 წ. ივლისში ომი გამოუცხადა რუსეთს. ორი წლის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. 1829 წლამდე კავკასია ომების ქარცეცხლში იყო გახვეული.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომში რუსეთის ჩარევამ და 1827 წლის ოქტომბერში რუსეთის ესკადრის მიერ თურქეთის ფლოტის განადგურებამ ამ

ორ ქვეყანას შორის ომი გარდაუვალი გახდა. 1828 წელს რუსული ჯარის მიერ თავრიზის აღებამ რუსეთ-ირანის ომის დამთავრება დააჩქარა. სოფელ თურქმანჩაიში დადებული ზავით და ერევან-ნახიჩევანის სახანოების შემოერთებით რუსეთის საზღვარი თურქეთთან კიდევ უფრო გაფართოვდა. ირანთან ომის დასრულების შემდეგ რუსეთის არმიის სარდალი გენერალი პასკევიჩი თბილისში ჩამოვიდა და სასწრაფოდ ახალი ომის სამზადისს შეუდგა. 1828 წლის აპრილში პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი თურქეთთან ომის დაწყების შესახებ. გაიხსნა ორი ფრონტი კავკასიასა და ბალკანეთში. ომისთვის ემზადებოდა თურქეთიც<sup>2</sup>.

გაზეთის „ტფილისის უწყებანი“ გამოცემის პერიოდი ემთხვევა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საომარი მოქმედებების თემას. გაზეთი წარმოადგენდა მებრძოლი მხარის პერიოდულ ორგანოს და გარკვეულწილად ატარებდა პროპაგანდისტულ ხასიათს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არ მალავდა მოწინააღმდეგის არმიის საბრძოლო ხასიათს და გამოჩენილ სიმამაცეს. ამით ცდილობდა ეჩვენებინა მკითხველისთვის, თუ რაოდენ ძლიერ მეტოქესთან ჰქონდა საქმე.

საგაზეთო ნომრებში ვრცლად არის აღწერილი მიმდინარე ბრძოლის მომენტები და მხარეთა საბრძოლო ტაქტიკა. მოყვანილია სამხედრო შეტაკებების დროს ორივე მხრიდან დაღუპულ და დაჭრილ მეომართა სავარაუდო ციფრები. დასახელებულია რუსი ოფიცრების სახელები და გვარები, რომელებიც მონაწილეობდნენ ამ ბრძოლებში და მეთაურობდნენ სამხედრო დანაყოფებს. დახასიათებულია მხარეთა საომარი პოზიციები. აღწერილია რუსების მიერ აღებული ციხეების არქიტექტურა და ახსნილია მათი სტრატეგიული მნიშვნელობა.

რუსეთის კავკასიის სამხედრო კორპუსმა საომარი მოქმედებები ყარსის მიმართულებით დაიწყო<sup>3</sup>. რასაც მოწმობს „ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყნებული 14 ივნისის №1 განცხადება ქართულ და რუსულ ენებზე. სამხედრო ძალების შეკრების ადგილად შერჩეულ იქნა ქალაქი გიუმრი. სადაც თავი მოიყარა კავკასიის მოქმედი კორპუსის სამხედრო ძალებმა და შეიარაღებამ. გიუმრის ციხე ორი კვირის მანძილზე გამაგრებულ იქნა გენერალ-ლეიტენანტ ვოდბოლსკის მიერ. თვით კორპუსის მეთაური გენერალი პასკევიჩი გიუმრიში ჩავიდა 9 ივნისს. მეორე დღეს გამოცდილ

<sup>2</sup> შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975, გვ. 154-155.

<sup>3</sup> W.E.D. Allen, Paul Muratoff, Kafkas Harekatı, 1828-1921 Türk-Kafkas Sınırındaki Harplerin Tarihi, Ankaraö 1966, s. 26.

იქნა საალყო ქვემეხები, რომლებიც სრულიად გამოსადეგი აღმოჩნდა. 13 ივნისს გიუმრიში მივიდა ბოლო კოლონა გენერალ-მაიორ მურავიოვის ხელმძღვანელობით. 14 ივნისს დილის 6 საათზე მთელი კორპუსი ლოცვის ჩატარების მიზნით კოლონებად მოეწყო მდინარე არფაჩაისთან მდებარე გორაკზე. სამხედრო კოლონების მარში მიიღო კორპუსის მეთაურმა გენერალმა პასკევიჩმა. რის შემდეგაც, პოლკოვნიკ სერგეევის მეთაურობით მდინარე არფაჩაი პირველებმა გადაკვეთეს და თურქეთის ტერიტორიისკენ დაიძრნენ დონის კაზაკთა მოწინავე ბრიგადები. მას მიჰყვნენ დანარჩენი სამხედრო ნაწილებიც. ამგვარად, გადაიდგა პირველი ნაბიჯი სამხედრო მოქმედებების დაწყებისკენ<sup>4</sup>. რუსული არმია საზღვარზე შემდეგი რიგითობით გადავიდა: ავანგარდი - 6 სახაზო საცხენოსნო ქვემეხი და დონის კაზაკთა ორი პოლკი. შემდეგ, გენერალ-მაიორ კოროლკოვის მეთაურობით გადავიდა პირველი ბრიგადა. რუსული სამხედრო ნაწილები თურქეთის საზღვარზე ოთხ დანაყოფად გადავიდნენ. შემდეგ, კორპუსი გაჩერდა სოფელ აზატქოისთან, რომელიც მდებარეობდა ყარსიდან 8 ვერსის მანძილზე. 19 ივნისს კორპუსის მეთაურმა ციხის გარედან დათვალიერების ბრძანება გასცა იმისათვის, რომ შეესწავლათ მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. იმავე დღეს, რუსული ჯარი სამხედრო წყობით გაემართა ყარსის მიმართულებით მარცხენა ფლანგიდან. პასკევიჩმა გადაწყვიტა ციხეზე შეტევა განეხორციელებინა ციხის ფორშტატის სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან. ახალი სამხედრო ბანაკი რუსებმა დასცეს მდინარე ყარსის წყლის მარცხენა ნაპირზე, ციხიდან 3 ვერსის მანძილზე<sup>5</sup>.

რუსულმა სამხედრო კოლონამ მოძრაობა დაიწყო სოფელ დიგნისის, პალდურავანის და მეშკოვის<sup>6</sup> გავლით. პირველი შეტაკება მოხდა სოფელ მეშკოვთან 17 ივნისს, როდესაც თურქულმა მხარე ცეცხლი გახსნა. ყარსის ციხე იყო ძალიან გამაგრებული საუკეთესო სამხედრო ნაწილებით, რომლის კავალერიაც შედგებოდა ხუთი ათასი კაცისგან. ცალკე იყვნენ ფეხოსნები ხუთი ათასი ადგილობრივი მოსახლის ჩათვლით და დასახმარებლად მოსული ლაზები. როგორც ჩანს გენერალმა პასკევიჩმა გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და მიმართა სამხედრო მანევრს. მან სოფელ მეშკოვთან გადაუხვია გიუმრის მთავარი გზიდან, ფლანგური მოძრაობით შემოუარა ციხეს და დაბანაკდა არზრუმის გზის გვერდით.

<sup>4</sup> Тифлисские ведомости, №1, 4 ივლისი, 1828. გაზეთის პირველ გვერდზე 4 ივნისი არასწორადაა მითითებული, უნდა იყოს 4 ივლისი.

<sup>5</sup> Тифлиссские ведомости, №3, 18 ივლისი, 1828.

<sup>6</sup> აღნიშნული ტოპონიმები შესაძლოა არასწორად იყოს მოხსენიებული.

ამგვარად, გაწყვიტა კავშირი არზრუმსა და ყარსს შორის, ისე, რომ სერასკერს ყარსისთვის დახმარება ვეღარ აღმოეჩინა, საიდანაც სავარაუდოდ 20 ათასიანი სამხედრო კორპუსი უნდა წამოსულიყო. შემდეგი შეტაკება მხარეებს შორის სოფელ აზატქოისთან მოხდა, სადაც რუსთა ბანაკი გაჩერდა ღამისთევით. ამ შეტაკებაში რუსებმა გაიმარჯვეს. ყარსის ციხის აღებისთვის მზადება რუსულმა სამხედრო ნაწილებმა 19 ივლისს დაიწყეს. როდესაც ვაგენბურგი დაცვის თანხლებით სოფელ აზატქოიდან გაემართა ახალი დისლოკაციის ადგილისკენ. რომელიც გადიოდა არზრუმის გზასა და მდინარე ყარსის წყალზე. კორპუსის მეთაური დიდი სამხედრო ძალით პირდაპირ ყარსის ციხესთან მივიდა იმ მიზნით, რომ მოეხდინა მისი სრული რეკოგნოსტირება. ამ დროს ციხიდან გამოვიდა კავალერია და მოწინავე კაზაკთა პოლკს თავს დაესხა. აღნიშნულ ბრძოლაში თურქთა კავალერია დამარცხდა და ცოცხლად გადარჩენილები ციხეში შევიდნენ. თურქთა კავალერიამ მოკლულების სახით დაახლოებით 100 კაცი ხოლო, დაჭრილთა სახით - 200 კაცი დაკარგა. ხოლო რუსებმა - მოკლულის სახით 42 და დაჭრილის სახით 42 კაცი დაკარგეს. დაჭრილებს შორის იყო 3 რუსი ოფიცერი. კავალერიის გარდა, რუსების მხრიდან ამ ბრძოლაში ჩართული იყვნენ ფეხოსნები. მათ საღამოს ოთხ საათამდე გაუნძრევლად ეკავათ თავიანთი პოზიციები, სანამ რუსმა სამხედრო მეთაურებმა არ დაასრულეს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარის სრული დათვალიერება. მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდნენ ისინი დისლოკაციის ადგილზე. ყარსის წყლის მარცხენა ნაპირზე გადავიდა მე-40 ეგერთა პოლკის ბატალიონი, რომ დაეკავებინათ სიმაღლე და შეემზადებინათ იგი ბანაკის დასაცემად. საღამოსთვის კორპუსის გენერალმა დაასრულა ყარსის ციხის გარედან შემოვლა და დათვალიერება. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ციხის აღებისას რუსებმა 100 ზარბაზანი გამოიყენეს<sup>7</sup>.

რუსების მიერ ყარსი აღებულ იქნა 23 ივნისს შტურმით. შტურმის დროს ციხის დამცველთა ერთმა ნაწილმა თავი ციტადელს შეაფარა. დანებდა 5000 კაცი, ხოლო შტურმის დროს ტყვედ იქნა აყვანილი 1250 კაცი. ტყვეთა შორის იყვნენ ორთულაიანი მეჰმედ ემინ ფაშა და კავალერიის უფროსი ჰაჯი ალა, ასევე ბევრი მაღალი თანამდებობის პირი. შტურმი სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. თურქებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 2000 კაცი. გარნიზონის კავალერიის ერთმა ნაწილმა 2000 კაცის შემადგენლობით მოახერხა რუსულ კავალერიას

<sup>7</sup> Тифлисские ведомости, №2, 11 ივლისი, 1828.

გასხლტომოდა და მთებს შეაფარა თავი. ყარსის თურქული გარნიზონის რაოდენობა შეადგენდა 11000 კაცს. რუსების მხრიდან მოკლულ იქნა 1 ობერ ოფიცერი, დაბალი ჩინის 33 ოფიცერი. დაჭრილ იქნა - ერთი შტაბს ოფიცერი, 13 ობერ-ოფიცერი, 216 დაბალი ჩინის ოფიცერი. რუსებმა ხელში ჩაიგდეს 151 ერთეული ქვემეხი და ზარბაზანი, 33 დროშა, მნიშვნელოვანი რაოდენობის ყუმბარები, სხვადასხვა სახის თოფები და პურის დიდი მარაგი. რუსების მიერ აღებული ყარსის საფაშოს მართვის მიზნით პასკევიჩის მიერ 28 ივნისს შეიქმნა დროებითი მმართველობა. ყარსის საფაშოს დროებით მმართველად და ყარსის ციხის სამხედრო გარნიზონის მეთაურად დაინიშნა ხერსონის გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი კნიაზი ბეკოვიჩ-ჩერკასკი. ყარსის კომენდანტად, პოლიც-მეისტერად და გამგეობის წევრად დაინიშნა ყირიმის ფეხოსანთა პოლკის მაიორი ვალენტი. ნაშებურგის ფეხოსანთა პოლკის მაიორი ჟილინსკი დაინიშნა ასევე მმართველობის წევრად. 21-ე არტილერიის ბრიგადის შტაბს-კაპიტანი გორიაჩკა დანიშნულ იქნა ციხის არტილერიის უფროსად, ხოლო საინჟინრო კორპუსის პოდპორუჩიკი სიხაჩოვი ინჟინერთა უფროსად იქნა დანიშნული. ციხის გარნიზონი შეადგინეს შემდეგი სახეობის ჯარებმა: ყირიმის ფეხოსანთა პოლკმა, 39-ე ეგერთა პოლკის მე-2 ბატალიონმა და იზვალოვის პოლკის 200-მა კაზაკმა ჯარისკაცმა. ყარსის აღების ინფორმაცია თბილისში ჩამოიტანა კორპუსის მეთაურის ადიუტანტმა გვარდიის კაპიტანმა ოპერმანმა, რომელიც თბილისის გავლით პეტერბურგში გაემართა, რათა ყარსის აღება ეცნობებინა მისი აღმატებულება იმპერატორისთვის<sup>8</sup>.

გაძლიერებული შტურმის გამო, გარნიზონი უმანსოდ დარჩა და ფაშამ ციტადელზე ორი დროშა აღმართა და შეწყვიტა ცეცხლი. ეს მოხდა დილის 8 საათზე. ცეცხლი შეწყვეტილ იქნა რუსების მიერაც. ფაშას მიერ გამოგზავნილი მოციქულებთან დალაპარაკების შემდეგ პასკევიჩმა ფაშასთან გააგზავნა პოლკოვნიკი ბეკოვიჩ-ჩერკასკი და წაუყენა შემდეგი პირობები: ა) ფაშას უნდა ეღიარებინა საკუთარი თავი სამხედრო ტყვედ და წაყოლოდა თბილისში შტურმის დროს ტყვედ ჩავარდნილ თურქ ჯარისკაცებთან ერთად. ბ) ციხეში გამაგრებულ სხვა სამხედრო ნაწილებს იარაღი უნდა დაეყარათ, რის შემდეგაც მიეცემოდათ სახლებში დაბრუნების უფლება. როგორც ჩანს რუსები მაინც ფრთხილობდნენ, რადგან პასკევიჩის ბრძანებით გენერალ-მაიორი ოსტენ საკენი ჯარის დიდი ნაწილით მიუახლოვდა ციტადელს, იმ შემთხვევისთვის თუ ფაშა

<sup>8</sup> Тифлисские ведомости, N3, 18 ივლისი, 1828.

გადაწყვეტილებას შეცვლიდა, ისინი უნდა შექრილიყვნენ ციხეში. ფაშა ასეთ პირობებს მაშინვე არ დათანხმდა და მოფიქრებისათვის ორი დღე ითხოვა. ამის სათქმელად მან კორპუსის მეთაურთან გამოაგზავნა ყადი, მუფტი და ქალაქის სამხედრო ნაწილის მეთაური. მოლაპარაკებები გაგრძელდა ნახევარ საათს. პასკევიჩმა თავისი მოთხოვნები არ შეცვალა და პასუხისთვის ერთი საათი დრო მისცა. ეს ინფორმაცია ფაშას პოლკოვნიკებმა ლემანმა და ლაზარევმა აცნობეს. მათ დაარწმუნეს ფაშა, რომ მიეღო პასკევიჩის პირობები. რაზედაც, საბოლოოდ, დათანხმდა მეჰმედ ემინ ფაშა. მისივე ჩვენებით ყარსის გარნიზონი შედგებოდა 10 000-მდე ჯარისკაცისგან. აღსანიშნავია ის ინფორმაციაც, რომ ყარსის გარნიზონს უნდა დამატებოდა 15000 მეზრძოლი, რომელიც არზრუმიდან წამოვიდა და 30 ვერსის მანძილზე იდგა ყარსიდან. მაგრამ, არზრუმის გზაზე მდგარმა რუსულმა სამხედრო ნაწილებმა არ მისცეს საშუალება პირდაპირ წამოსულიყო ყარსის მიმართულებით. შემოვლით გზას კიდევ 24 საათი სჭირდებოდა. სწორედ ეს დრო გამოიყენა პასკევიჩმა და მოასწრო ციხის აღება<sup>9</sup>.

ყარსისთვის ბრძოლებში რუსებმა დაკარგეს 500 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, მათ შორის ერთი ობერ ოფიცერი და ერთი შტაბს ოფიცერი. 11 ათასიანი თურქული გარნიზონიდან 3000 კავალერისტმა მოახერხა ციხიდან გაქცევა, 2000 კაცი მოკლულ იქნა, 3000 კაცი ციხის ჩაბარების შემდეგ გაშვებულ იქნა, ტყვედ ჩავარდნილ ადგილობრივებიდან 2000 სახლებში იქნა გაშვებული. 1361 კაცი, რომლებიც სხვა პროვინციებიდან იყვნენ ყარსის ციხის დასაცავად ჩამოსული, დატყვევებულთა სახით გადაიყვანეს ამიერკავკასიის რუსეთის საზღვრებში. მათ შორის იყვნენ: ორთულიან მეჰმედ-ემინ ფაშა, მისი მოადგილე ქეგაი აჰმედ ალა, მუგარდარი, ბეჰედის მცველი, სილაჰთარი, მთავარი მედროშე, ფაშის თანმხლები პირები, 7 ასისტავი, 15 ბაირახტარი და 22 სხვა ჩინოვნიკი. ტყვედ ჩავარდნილებიდან გაშვებულ იქნა: მთავარი ღვთისმსახური იმამ ეფენდი, კავალერიის უფროსი ვალი ალა, 15 ათასისტავი, სხვადასხვა სამხედრო ნაწილების 135 ასისტავი, ბაირალთრები და 245 სხვადასხვა ჩინოვნიკი. ხელში ჩაგდებულ იქნა 151 სპილენძის ზარბაზანი, მათ შორის 22 მორტირი და ჰაუბიცა, აქედან 3 მორტირი იყო 200 ფუტიანი, დანარჩენები დიდი კალიბრის, გრძელი და მოკლე ლულიანი ზარბაზნები 48-დან 12 ფუტამდე - 22 ერთეული. მცირე კალიბრისა 98 და საველე მსუბუქი ზარბაზანი - 9 ერთეული, 7000 ფუთი თოფის წამალი, ზარბაზნის

<sup>9</sup> Тифлисские ведомости, N12, 10 სექტემბერი, 1828.

და სხვადასხვა სახის ტყვიები, დიდი რაოდენობის საორკესტრო დანიშნულების ინსტრუმენტები<sup>10</sup>.

ყარსის შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა ახალქალაქის ციხის აღება გადაწყვიტა. მოწინააღმდეგის დასაბნევად 12 ივლისს პასკევიჩმა კორპუსი გაიყვანა არზრუმის გზაზე, სოფელ ტაქმესთან<sup>11</sup>. ხოლო 18 ივლისს უცბად იბრუნა პირი ახალქალაქისაკენ<sup>11</sup>.

გენერალმა პასკევიჩმა ყარსის აღების შემდეგ იქ დატოვა გენერალ ბერხმანის რაზმი და დარჩენილი სამხედრო ძალით 16 ივლისს<sup>12</sup> დაიძრა ახალქალაქისაკენ. რუსული ჯარი ჩილდირის ქედის გავლით, 22 ივლისს ახალქალაქის ზეგანზე გადმოვიდა. ახალქალაქამდე გზის სიგრძე 100 ვერსი იყო. იგი გადის ჩილდირის ქედზე, სადაც ზოგ ადგილზე თოვლი იყო შემორჩენილი. ამ გზაზე გავლა უჭირდა ტრანსპორტს და სააღმოსავლეთი არტილერიას, ჯარმა აღნიშნული სირთულის დასაძლევად დიდი სამუშაო ჩაატარა. გაამზადა რა შესაბამისი გადასასვლელები და ხიდები, მოწინააღმდეგე თავდაპირველად არ უშლიდა ხელს რუსულ ჯარს მოძრაობაში. მაგრამ, ახალქალაქის ზეგანზე გადასვლის შემდეგ მის მარცხენა ფლანგზე გამოჩნდა 400 კაციანი ყარაფაფახელთა ცხენოსანი რაზმი. მაგრამ, როდესაც მის წინააღმდეგ გაიგზავნა დონის კაზაკთა პოლკი, იგი იმწამსვე გაერიდა იქაურობას. 23 ივლისს დილით რუსულმა ჯარი მოადგა ახალქალაქის ციხეს და მისგან 5 ვერსის მოშორებით ბანაკი დასცა. შემდეგ, პასკევიჩმა ციხის გარნიზონის უფროსთან მოლაპარაკებების მიზნით კოლეგიის მრჩეველი სახნო უსტინოვიჩი თარჯიმანთან ერთად გაგზავნა. რუსებმა მოითხოვეს ციხის ჩაბარება. მაგრამ, ციხიდან გამოსულმა ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა შემდეგი პასუხი გასცა: „ჩვენ არ ვართ არც ერევნელები და არც ყარსელები, ჩვენ ახალციხელები ვართ, ჩვენ არ გვყავს არც ცოლები და არც ქონება, ჩვენ სულ 1000 კაცი ვართ. გადავწყვიტეთ თავი გავწიროთ ჩვენი ქალაქისთვის“. აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა სააღმოსავლეთი სამუშაოების დაწყება ბრძანა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ბურცოვი. გამთენიისას 24 რიცხვში დასრულდა სააღმოსავლეთი სამუშაოები. საბრძოლო მოქმედებები დაიწყო დილის 4 საათზე. მაშინ, როდესაც ახალქალაქის ციხიდან ცეცხლი გაუხსნეს რუს მოალყეებს. საომარი მოქმედებების დროს მეტად

<sup>10</sup> Тифлисские ведомости, N13, 26 септември, 1828.

<sup>11</sup> ტოპონიმი, შესაძლოა არასწორად იყოს დასახელებული

<sup>12</sup> გაზეთის ცნობა ორი დღით განსხვავდება პროფესორ შოთა ლომსაძის მერ დამოწმებულ (Акты, т. VII, стр. 753) ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებული ზემოთ მოყვანილი თარიღისგან.

დაზიანდა ციხე. ციხეში არსებული მეჩეთი ჰოსპიტლად იყო გადაქცეული. ხოლო, 40 სახლის მეპატრონე რუსული ჯარის გამოჩენის შემდეგ მთებში იყო გახიზნული. ახალქალაქის ციხის 1000 კაციანმა გარნიზონმა, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, მედგრად იბრძოლა მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ რუსული ჯარის წინააღმდეგ და თავი რეალური სიკვდილისთვის გაწირა. რასაც ადასტურებს ის, რომ მათი დამარცხების საბედისწერო დღეს ყველა მოკლულს თეთრი პერანგი აღმოაჩნდა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, რუსების გამანადგურებელი საარტილერიო ცეცხლით მოთმინებიდან გამოყვანილმა გარნიზონმა გადაწყვიტა თავი გაქცევით გადაერჩინა. ისინი კედლებიდან ხტებოდნენ და გარდაუვალ სიკვდილზე მიდიოდნენ, რომელიც ელოდათ ფეხოსნებისა და კავალერიისგან. ახალქალაქის ციხის დამცველების დასახმარებლად 1500 ლაზისგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი მოვიდა. მათ წინააღმდეგ რუსული კავალერიის ერთი ნაწილი გაიგზავნა. მაგრამ, ლაზების ცხენოსანმა რაზმმა ნახა რა, რომ ციხე აღებულ იყო, უკან დაიხია და გაბრუნდა. გაქცეული გარნიზონის ერთი ნაწილი, რომელთაც ვერ მოასწრეს ხევში მიმალვა, განადგურებულ იქნა. ციხის აღების შემდეგ, ახალქალაქის 1000 კაციანი გარნიზონიდან 200 კაცი ტყვედ იქნა ჩავარდნილი, ხოლო მოკლულ იქნა 600 კაცი. მოკლულთა შორის იყო გარნიზონის უფროსი ფერხად ბეგი, ახალციხის ყოფილი ფაშის სელიმის შვილი და რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი. რუსებს ხელთ ჩაუვარდათ 11 ქვემეხი, 21 დროშა, სხვადასხვა სახეობის დიდი რაოდენობით იარაღი და საარტილერიო მასალა. ტყვეთა შორის იყვნენ ახალქალაქის მხარის გამგებელი მუთი ბეგი, 16 საპატო მოხელე და 10 მედროშე. რუსების მხრიდან მოკლულ იქნა შედგენილი სახაზო პოლკის უნტერ ოფიცერი ხორუნჟი ობუხოვი. დაიჭრნენ: საგზაო-საინჟინრო კორპუსის პორუჩიკი მელნიკოვი და 12 დაბალი ჩინის ოფიცერი<sup>13</sup>.

ახალქალაქის ციხის აღების შემდეგ პასკევიჩმა გადაწყვიტა ხერთვისის ციხე აეღო, რომელიც ახალქალაქიდან 30 ვერსის მანძილზე იმყოფებოდა. აღნიშნული დავალების შესასრულებლად 26 ივლისს დილის 6 საათზე გაიგზავნა შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენერალ-მაიორი ბარონი ოსტენ საკენი. ხერთვისისკენ მიმავალი რუსული სამხედრო რაზმი შედგებოდა კავკასიის გრენადერთა ბრიგადისა და საბატარეო ქვემეხებისგან, ცხენოსანთა რეგულარული 2 დივიზიონისგან, დონის კაზაკთა ლეონოვის პოლკის 4 ქვემეხისგან, თათართა სახალხო

<sup>13</sup> Тифлисские ведомости. №6, 8 აგვისტო, 1828.



ლაშქრისგან, 2 სააღმოსავლეთო და 4 სანგრევი ჰაუზისგან. ხერთვისის ციხეში მოსულმა ახალქალაქიდან გამოქცეულმა გარნიზონის დამცველებს მოუთხრეს რა რუსთა ლაშქრის მრავალრიცხოვნობის შესახებ, ციხის დამცველები დაბნეულობამ მოიცვა. პოლკოვნიკ რაევსკის მიერ მოსალაპარაკებლად გაგზავნილ მოციქულები ციხის გარნიზონის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ციხის გარნიზონის უფროსი დათანხმდა ციხის ჩაბარებას. ხერთვისის ციხის გარნიზონი შედგებოდა დაახლოებით 200 კაცისგან. მათ შორის იყო 15 თურქი ჯარისკაცი, დანარჩენები იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ყველანი სახლებში იყვნენ გაშვებული. რუსებმა ხელში ჩაიგდეს 13 ქვემეხი, ერთი ჰაუზიცა, 1000 ჩეტვერტამდე პურის მარცვალი და მნიშვნელოვანი რაოდენობით ქვემეხის ჭურვი<sup>14</sup>.

თურქულ მხარეს ხერთვისის ციხე აღჭურვილი ჰქონდა 14 ქვემეხით, რომლებიც იყვნენ 1,6 დან 5 ფუტის კალიბრის და ორი 60 ფუტისანი ჰაუზიცით. აქვე მოტანილი ცნობის მოხედვით, ხერთვისის მოსახლეობა შედგებოდა სულ 600 ადამიანისგან. მათ შორის იყვნენ თურქები, ქართველები, სომხები და ებრაელები. ხერთვისის ციხის ალების სამხედრო მნიშვნელობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ერთის მხრივ გადაიკეტა გზა მდინარე მტკვრის ხეობაში, რითაც ახალციხის და არტანუჯის ციხეები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. მეორეს მხრივ, ომის შიშით დაფანტული მტკვრის ხეობის მოსახლეობა სახლებში დაბრუნდა, რამაც მისცა საშუალება რუსულ სამხედრო ნაწილებს შეეძინათ მათგან პროვინტი და პური და ხერთვისიდან 12 კმ-ში მყოფ ასპინძის ციხეში დამარაგებინათ<sup>15</sup>.

ხერთვისის შემდეგ ასპინძის ციხე მცველებმა (150) კაცი სულ მიატოვეს და გაიქცნენ. ხერთვისიდან ახალციხემდე ჭობარეთის გზით სიარულისას რუსთა ნაწილებს რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ დახვედრია<sup>16</sup>.

ახალქალაქიდან ახალციხისკენ რუსული სამხედრო კორპუსი მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარის გზით ციხისჯვარსა, მთებსა და ტყეების გავლით გაემართა. ეს გზა არ იყო გამართული საურმე გზა. გზის შეკეთებაზე მუშაობდა გრენადერთა ბრიგადა. ვარევან-ჭობარეთის წყლის გავლით ჯარი ჩავიდა სოფელ იდუმალაში, ტამალასა და ინდუსაში. 3 აგვისტოს გენერალ მურავიოვის ავანგარდი უკვე ახალციხის პირდაპირ

<sup>14</sup> Тифлисские ведомости. №6, 8 აგვისტო, 1828.

<sup>15</sup> Тифлисские ведомости. №7, 15 აგვისტო, 1828.

<sup>16</sup> შ. ლომსაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 164.

მტკვრის სანაპიროებამდე ჩავიდა. 4 აგვისტოს კორპუსი უკვე მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა<sup>17</sup>.

მთლიანი კორპუსის გადაადგილების დაწყებამდე 3 დღით ადრე ანუ 27 ივლისს გენერალ-მაიორ მურავიოვის ბრიგადა წინასწარ იქნა გაგზავნილი ახალციხისკენ. არზრუმისა და არტანის გამოვლით ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად წამოვიდა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელთაც მეთაურობდნენ მუსტაფა და ქიოსა მეჰმედ ფაშები. მუსტაფა ფაშას დაქვემდებარებაში იყო 7000, ხოლო ქიოსა მეჰმედ ფაშას დაქვემდებარებაში - 20000 ჯარისკაცი. ორივეს ერთად შეირაღებაში ჰქონდათ 15 ქვემეხი. 4 აგვისტოს მოქმედი რუსული კორპუსის დიდმა ნაწილმა გადალახა მდინარე მტკვარი და ახალციხიდან 6 ვერსში დაბანაკდა. მდინარის მარცხენა ნაპირზე იდგა მოწინააღმდეგის 600 კაციანი ცხენოსანთა რაზმი, რომელიც თავს დაესხა ფურაჟირებს, მაგრამ უკუგდებულ იქნა. 5 რიცხვში მიღებულ იქნა ცნობა, რომ მუსტაფა და ქიოსა მეჰმედ ფაშების ჯარები ახალციხესთან მოვიდნენ. კიდევ ერთი რუსული სამხედრო რაზმი გენერალ-მაიორ პოპოვის მეთაურობით, რომელშიც შედიოდნენ ხერსონის გრენადერთა პოლკის და გრეკოვის კაზაკთა პოლკი, ბორჯომის ხეობის გამოვლით ახალციხისკენ წამოვიდა. მიუხედავად აწყურის ციხესთან მოწინააღმდეგის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, მთ მთავარ ბანაკში მოსვლა შეძლეს. კორპუსის მეთაურმა მდინარე მტკვრიდან სამ ვერსში წინ დაიკავა პოზიცია და დაასვენა ჯარი. ხოლო, 7-8 აგვისტოს რუსულმა ჯარებმა ციხიდან 400 საჟენში დადგეს პირველი ბატარეა 8 ქვემეხით და ერთი ჰაუზიციტით. 21 აგვისტოს თბილისის გავლით პეტერბურგს გაემგზავრა კურიერი, რომელმაც საიმპერატორო კარს წაუღო ცნობა პასკევიჩის მიერ ახალციხის მისადგომებთან მუსტაფა და ქიოსა მეჰმედ ფაშების დამარცხების შესახებ. კურიერის ინფორმაციით, 9 აგვისტოს, ღამით, პასკევიჩმა სააღმოსავლეთის სამუშაოების და ბანაკის დასაცავად დატოვა ჯარის გარკვეული ნაწილი, გაიყოლა 8 ბატალიონი და 25 ქვემეხი, შემოუარა ქალაქს თითქმის გაუვალი ადგილებიდან და გამთენიისას დაიწყო შეტევა ქიოსა მეჰმედ და მუსტაფა ფაშას ჯარის მიმართულებით. ბრძოლა გაგრძელდა 12 საათის განმავლობაში, რომელიც რუსების გამარჯვებით დასრულდა. თურქთა ჯარის ნაწილი გაიქცა არზრუმის გზით. რუსებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი საველე არტილერია, რომელიც შედგებოდა 10 ზარბაზნისგან, საინჟინრო და საარტილერიო პარკი და პურით დატვირთული

<sup>17</sup> შ. ლომსაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 165.

ურმები. რუსთა სამხედრო ნაწილებმა გაქცეულებს 10 ვერსის მანძილზე მისდიეს. ამავე ნომერში აღნიშნულია, რომ 15 აგვისტოს ახალციხის აღების შესახებ ინფორმაცია თბილისში, კავკასიის მთავარმმართველის სასახლეში 21 აგვისტოს დილის 7 საათზე მიიღეს. ხოლო, ციხეში დარჩენილი 2000 კაციანი თურქული სამხედრო გარნიზონი გაშვებულ იქნა კაპიტულაციის წესით. 17 აგვისტოს გენერალ-ლეიტენანტ ვოდბოლსკის მიერ აღებულ იქნა აწყურის ციხე. ახალციხის ციხის შტურმი გაგრძელდა 13 საათს. ციხეში იმყოფებოდა 10000 ადგილობრივი შეიარაღებული მაცხოვრებელი და 4 000 გარედან მოსული მეომარი, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ რუსულ სამხედრო ნაწილებს. რუსებს თითქმის ყველა სახლის შტურმით აღება უხდებოდათ, ქალაქის დიდი ნაწილი ხანძრით იქნა განადგურებული. რუსების მხრიდან მოკლულ იქნა პოლკოვნიკი ბოროდინი, ასევე 9 ოფიცერი, დაიჭრა 32 ოფიცერი. თურქთა ორ ფაშას წაერთვა 5 თული, 66 ზარბაზანი და 52 დრომა<sup>18</sup>.

რუსული სამხედრო ნაწილებსა და ახალციხის გარნიზონის დასაცავად არზრუმიდან მოსული ქიოსა მეჰმედ და მუსტაფა ფაშების არმიებს შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ თურქთა ფეხოსნებიდან მხოლოდ 5 ათასმა კაცმა შეძლო ციხეში შესვლა ქიოსა მეჰმედ ფაშასთან ერთად, რომელიც ფეხში იყო დაჭრილი. დანარჩენი ქვეითი და კავალერია დაიფანტა ტყეში და არდაგანის გზაზე. თურქებმა დაკარგეს 10 ქვემეხი, ოთხი ბანაკი, სურსათის მარაგი, ტრანსპორტი და საარტილერიო ჭურვები. სტატიაში მოტანილი ინფორმაციის მიხედვით, ახალციხის ციხეს იცავდა 16 000 კაცი. პასკევიჩს რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა მოლაპარაკება დაეწყო ციხის გარნიზონთან, მაგრამ უშედეგოდ<sup>19</sup>.

22 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციისგან განსხვავებით 29 აგვისტოს სტატიაში არ არის დაზუსტებული ცალკე ქიოსა მეჰმედ ფაშას და ცალკე მუსტაფა ფაშას ჯარების რაოდენობა. მითითებულია, რომ ორივეს ერთად ჰყავდათ 25000-ზე მეტი ჯარისკაცი. ასევე, აქ არის კიდევ ერთი ინფორმაცია ახალი თურქული სამხედრო შენაერთის შესახებ, რომლის გამოჩენასაც რამდენიმე დღეში ელოდნენ. ეს უნდა ყოფილიყო მადენ ფაშას 10000 კაციანი სამხედრო შენაერთი. აღნიშნულია, რომ სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ძალების გაერთიანების შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა რუსებს ალყა გაეგრძელებინათ. ამის გამო, გენერალმა პასკევიჩმა გადაწყვიტა დაეწყო შეტევა ზემოხსენებული

<sup>18</sup> Тифлисские ведомости. №8, 22 აგვისტო, 1828.

<sup>19</sup> Тифлисские ведомости. №9, 29 აგვისტო, 1828.

ფაშების წინააღმდეგ და არ დაეშვა მათი შესვლა ციხეში. რაც წარმატებულად დაგვირგვინდა<sup>20</sup>.

21 ივლისს თურქთა 500 კაციანი სამხედრო რაზმი გამოვიდა აწყურის ციხიდან მდინარე მტკვრის ხეობას ქვემოთ ჩაუყვა და ცეცხლი გაუხსნა ხერსონის გრენადერთა პოლკის 10 რიგითისა და ერთი უნტერ-ოფიცრისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იცავდა მიმდინარე საგზაო სამუშაოებს ბორჯომის ხეობიდან წამოსული რუსული სამხედრო ნაწილებისთვის გზის გასაკვალად. გოგიას ციხეს იცავდა შტაბს-კაპიტან გიორგი ვიზირევის რაზმი, შემდგარი 40 კაცისგან. მათ მოახერხეს მოწინააღმდეგე თურქული რაზმის შეტევის უკუგდება. გოგიას ციხის დამცველთა დასახმარებლად გამოემართა მაიორ პეტროვის დამხმარე რაზმი სოფელ სადგერიდან. მაგრამ, მოწინააღმდეგე გაქცეული დახვდა. იგი უკან გაბრუნდა თავისივე რაზმით, სადგერიდან თურქთა სხვა რაზმის მოსალოდნელი შეტევის გამო<sup>21</sup>.

ახალციხესთან გამარჯვების შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა 28 აგვისტოს მიმართა ახალციხის ბრძოლებში მონაწილე რუსულ ჯარის. მან შეაქო მეზობლები ყარსში, ახალქალაქსა და ახალციხეში მიღწეული გამარჯვებების გამო. იგი, აქვე იხსენებს ბრძოლაში დაღუპულ მეომრებს. მნიშვნელოვნად თვლის 5 და 9 აგვისტოს მიღწეულ გამარჯვებებს, რომლებმაც გზა გაუხსნეს რუსულ ჯარს 15 აგვისტოს დაეწყით ახალციხის შტურმი. აქვე, არ ივიწყებს ახალციხის დამცველებს და მათ მამაცებს უწოდებს. აღნიშნავს, რომ ახალციხის ციხის შტურმამდე გამართულ ორი ბრძოლის დროს რუსებმა ხელში ჩაიგდეს თურქთა 10 ზარბაზანი, 12 დროშა, 4 გამაგრებული სამხედრო ბანაკი, ტყვია-წამლის და იარაღის მარაგი. მისი თქმით, ახალციხის ციხეს იცავდა 15000 მეზობელი, ხოლო ციხის შტურმი გაგრძელდა 13 საათს. ციხის დაცემის შემდეგ, რუსებმა ხელში ჩაიგდეს 52 დროშა, 5 თული, 66 ზარბაზანი<sup>22</sup>.

ახალციხის შტურმი დაიწყო შუადღის 4 საათზე. ციხის დასაცავად ქალებიც კი იბრძოდნენ. ახალციხელები იმდენად მედგრად იცავდნენ თავს, რომ საჭირო გახდა ყველა სახლის ბრძოლით აღება. საღამოს 7 საათისთვის, როდესაც სიბნელე ჩამოწვა, ერთმა ყუმბარამ სახლი გადაწვა. ამით ისარგებლა კორპუსის მეთაურმა და ქალაქის გადაწვა ბრძანა. ძლიერმა ცეცხლმა ციხის დამცველები იძულებული გახადა უკან

---

<sup>20</sup> იქვე

<sup>21</sup> იქვე

<sup>22</sup> Тифлисские ведомости. №12, 10 სექტემბერი, 1828.

დაეხიათ. ახალციხის ციხის ციტადელში შეკვტილმა გარნიზონის დარჩენილმა ნაწილმა გამთენიისას კორპუსის მეთაურთან გამოაგზავნა მოციქულები მოლაპარაკებების დასაწყებად. პასკევიჩმა მხედველობაში მიიღო რა რუსი სამხედროების რაოდენობის სიმცირე, ასევე ციტადელში ჩაკეტილი 4000 მეომრის რაოდენობა, ახალი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად თავისი მრჩევლის გვარად ვლანგალის საშუალებით თანხმობა შეუთვალა ფაშებს მოლაპარაკებების დასაწყებად და საკუთარი პირობები შეუთვალა: ფაშებს და გარნიზონს უნდა დაეტოვა ციხე და შემდეგ გადასულიყვნენ თურქეთის საზღვრებში. რუსებს უნდა დარჩენოდათ ყველა სახელმწიფო ქონება და საომარი ნადავლი. სამთუ-ლიანი ქიოსა მეჰმედ ფაშა და ახალციხის საფაშოს მმართველი ორთუღიანი ახმედ ფაშა გარკვეული დაყოვნების შემდეგ საკუთარი ჯარებითურთ გამოვიდნენ ციხიდან. სტატისტიკის მიხედვით, ახალციხის ციხის შტურმით ალების შემდეგ რუსებმა ხელთ იგდეს თურქების 67 ქვემეხი, იმ ქვემეხების გარდა, რომლებიც 9 აგვისტოს ჩაიგდეს ხელთ. ასევე, 52 დროშა და ორი ფაშის ხუთი თული. რუსთა დანაკარგი ამ დღეს მოკლულების სახით იყო შემდეგი: 2 შტაბს-ოფიცერი, 8 ობერ-ოფიცერი, 118 დაბალი ჩინის ოფიცერი. დაჭრილთა სახით: 1 შტაბს-ოფიცერი, 31 ობერ-ოფიცერი და 439 დაბალი ჩინის ოფიცერი. თურქთა დანაკარგი იყო შემდეგი სახის: 400 არტილერისტიდან ცოცხლად გადარჩა მხოლოდ 50, 100 კაციანი იანიჩართა რაზმი მთლიანად ამოწყდა, 1800 ლაზი მეზრძოლიდან 1300 მოკლულ იქნა, ადგილობრივი მოსახლეობიდან დაიხოცა 3000 კაცი. აქვე არის 9 აგვისტოს ბრძოლის დროს რუსთა სამხედრო ძალის შესახებ ინფორმაცია. რომლის მიხედვითაც რუსთაგან ამ დღეს წინა ხაზზე იყო არაუმეტეს 12, 702 მეზრძოლი. ამათგან, სამხედრო ბანაკის დასაცავად უნდა დარჩენილიყო 3,287 კაცი, საალყო ბატარეების დასაცავად 2,959 კაცი. ამგვარად, საომარ მოქმედებებში უნდა ჩართულიყო მხოლოდ 6,546 მეზრძოლი. მათ შორის იყო 4,016 ფეხოსანი. ახალციხის ციხის შტურმის გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია თურქული სამხედრო გარნიზონის პროვიანტის მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ თურქული სამხედრო ნაწილების აქ ხანგრძლივად დარჩენამ გამოიწვია ფურაჟის ნაკლებობა, მათ დარჩენილი ჰქონდათ არაუმეტეს 7 დღის მარაგი. თვითონ გარნიზონს დარჩენილი ჰქონდა ხუთი კვირის პროვიანტი, თუმცა ეს არ იყო ერთ ადგილას დამარაგებული. მოსახლეობა

პროვიანტით მხოლოდ 50 მებრძოლს ამარაგებდა. სწორედ ასეთმა მდგომარეობა უბიძგა გენერალ პასკევიჩს დაეწყო ციხის შტურმი<sup>23</sup>.

ახალციხის აღების შემდეგ გენერალ პასკევიჩის მიერ ახალციხის საფაშოს მმართველად დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი ბებუთოვი, რომელიც აქამდე ასრულებდა კომენდანტის მოვალეობას ახალციხეში<sup>24</sup>.

აღსანიშნავია გაზეთის მთავარი რედაქტორის გ. სანკოვსკის ჩანაწერები ახალციხის მეჩეთის შესახებ. იგი ახმედიეს მეჩეთს ქალაქში არსებულ არაჩვეულებრივ ნაგებობას უწოდებს. ახასიათებს მის ხუროთმოძღვრულ სტილს და აღნიშნავს, რომ აზიურთან ერთად მასში შერწყმულია სწორი ევროპული ხუროთმოძღვრების ელემენტები. ყურადღებას ამახვილებს მეჩეთის მოოქროვილ გუმბათსა და ყუმბარისგან ნაწილობრივ მოგლეჯილ და გადაწვენილ ნახევარმთავარეზე. სტანკოვსკის მიხედვით, მეჩეთისგან ცოტა მოშორებით, ეზოში იდგა ორი ძეგლი. ერთ-ერთზე ამოკვეთილი იყო შემდეგი სიტყვები: „აქ განისვენებს ღვთისმოსავი ჰაჯი ახმედ ფაშას ნემტი, რომელიც გარდაიცვალა 1176 წელს (მუსლიმური კალენდრის მიხედვით). მეორე ძეგლი ეკუთვნოდა მის მეუღლეს აიშე ხანუმს. ახმედიეს მეჩეთი აგებულ იქნა ჰიჯრით 1171 წელს, დასრულდა შვიდ წელიწადში. მეჩეთის გარდა, სტანკოვსკი აღწერს მეჩეთის მომდებარე ტერიტორიას. საინტერესოა მისივე შენიშვნა, რომ მეჩეთი აგებული იყო სტამბოლის აია სოფიას ნიმუშის მიხედვით. სტანკოვსკი აღნიშნავს, რომ „მეჩეთის შესასვლელთან მარცხნივ არის მრგვალი აივანივით ადგილი, რომელიც უჭირავს კოლონებს. რომელზე ასასვლელადაც, გარედან სპეციალური განიერი კიბეებია გაკეთებული. ამ ადგილს ლოცვის დროს იკავებდა ახმედ ფაშა. თუ დაუუჯერებთ გადმოცემას, რომელიც გავრცელებულია ახალციხეში, სწორედ ეს განსხვავება გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. ასეთი პატივი მხოლოდ სულთანს ჰქონდა. ასეთი საქციელისთვის ახმედ ფაშა ჩამოახრჩვეს. რადგან ცენტრში დაუმორჩილებლობად აღიქვას“. სტანკოვსკი, ძალიან მოკლედ მიანიშნებს ოსმალეთის პერიფერიების ფაშების სეპარატიზმის შესახებ. აღნიშნავს, რომ „60 წლის წინ აზიის თურქი ფაშები უფრო მორჩილნი იყვნენ სულთნის ხელისუფლებისადმი, ვიდრე ახლა“. სტატიის ავტორის მიხედვით, ეს მდგომარეობა გამოჩნდა, განსაკუთრებით, რუსების მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაკავების შემდეგ. მაგალითად მოჰყავს სულთნის მთავრობის მიერ დაუმორჩილებელი ახალციხელების დასასჯელად

<sup>23</sup> Тифлиссские ведомости. №14, 3 октомбери, 1828.

<sup>24</sup> Тифлиссские ведомости. №15, 12 октомбери, 1828.

Rusya Kafkasya siyasetini genellikle askeri gücüne dayalı yürütürdü. Ayrıca, elinden gelen diğer metotları da etkili bir şekilde kullanırdı. Örneğin, Rus Mesih düşüncelere dayalı ileri sürülen Ortodoks Hıristiyanları koruma hikâyesi ve Kafkas halkları arasında Rusların onlara yardım için geldikleri gibi yanıltıcı beklentilerin yaratması; İmparatorluğun dini birliğinde belirleyici bir faktör olarak Hıristiyanlığın yayılması; Sosyal dayanak olarak işbirlikçi yerel aristokrasinin yaratması; Slav halklarının kolonizasyonu ve kukla gruplarının oluşturulması ile güçlendirilmesi. Ayrıca, Rusya İmparatorluğun özel teşkilatları tarafından geniş ölçüde istihbarat ile ajan, şantaj, aldatma, yıldırma, rüşvet, hile vb. gibi metotlar kullanırdı.

Kafkasya’da Devlet-i Aliyye’nin de özel menfaatleri vardı. Kendisi için bu bölgeye sahip olmak, yalnızca bölgenin kontrolü için bir araç anlamına gelmiyordu, burası aynı zaman Orta Asya Türk ve Müslüman halklarıyla kesintisiz bir iletişim için kullanırdı. Osmanlı Kafkasya’dan vazgeçmek istemiyordu ve buraları elinde tutmak için uzun süre savaştı.

XIX yüzyılda Rusya, Kafkasya meselesini kendi lehine çözebildi. Başarı ile yürüttüğü savaşlarla gerek İran’ı, gerekse Osmanlı’yı bölgeden ihraç etti ve tartışıkları bölgeye tek başına hâkim oldu.

Rus tarih biliminde Osmanlı’ya karşı yapılan savaşlarda elde edinilen başarılar Kafkasya’nın kurtuluşu olarak gösterilmiştir. Türk tarihçiliğinde ise aynı gelişmeler haksız ve Rusların bu bölgeleri işgal ettiği olarak belirtilmiştir.

Kafkasya sakinleri için ise her iki taraf da istismarcı ve işgalci idi. Çünkü bir hegemonyacının yerini diğeri tutmuş oldu. Bölge ise haksız, mücbir sebep kurbanı ve bir sömürge alanı olarak hayatını devam etti.

Özgürlüğe yatkın Kafkasya halkları Rus İmparatorluğu'na karşı ayaklanıyordu. Kayıp ettiği özgürlüğü yeniden yakalamak için yapılan ayaklanmalar Osmanlılar tarafından da desteklenirdi.

Makalede, Osmanlı'nın Kafkasya bölgesinde 1801-1864 yıllarında Rus genişlemeci politikasına yönelik tutumu ele alınacaktır.

**Anahtar Kelimeler:** Kafkasya, Osmanlı, Doğu Meselesi, Rusya, Jeopolitik.

## **RUSSIAN EMPIRE'S CAUCASIAN POLICY AND OTTOMAN EMPIRE (1801-1864)**

**Professor Otar JANELİDZE  
Gori State Teaching University**

Russia came to the Caucasus not by its own will,  
but by a call of history when it expanded the borders of its state.

A. Shishov

Russian military historian

### **Abstract**

The geopolitical shifts of the 19th century made a turning point in the life of the Caucasus. They greatly influenced the fate and future of the local peoples. It is noteworthy that part of the region's modern political challenges is rooted in that era.

The chronological framework of the report is defined by two important events: 1.) In 1801, Russia realized incorporation of Eastern Georgia in the Empire, thereby violating the balance in the region (the so-called Amasya Parity) and engaged in confrontation with Iran and the Ottoman Empire; 2.) In 1864 the Russian Empire ended the conquest of the Caucasus.

In its Caucasian policy, Russia relied heavily on its military power, but it also used other instruments effectively. Namely: the obligation to defend the Orthodox, proclaimed on the basis of the Russian messianic idea, and to create an illusory expectation of help to the Caucasian Orthodox peoples; Christianization as a determining factor in the religious unity of the Empire; Collaborative local nobility as a social stronghold; Colonization of the Slavic population and creation and strengthening of the fifth column. The relevant services of the Russian Empire also

extensively addressed intelligence and agency activities, blackmail, recruitment, intimidation, bribery, cheating, and more.

Of particular interest was the magnificent port in the Caucasus, for which the possession of this space was not only a means of control of the region, but also a means of uninterrupted communication with the Turkic and Muslim peoples of Central Asia. The Ottoman Empire could hardly afford to let the Caucasus go and fought long to keep it.

In the 19<sup>th</sup> century, the problem of the Caucasus was decided by Russia in its own favor, exterminated opposing Iran and the Ottomans from the region through successful wars, and gained a single dominance in the region.

Russian historical science presents successes in the wars with the Ottomans as liberation of the Caucasus, while in Ottoman historiography the same events are regarded as unfair, occupation of these territories by Russians.

For the peoples of the Caucasus, both of the opposing sides were violators and invaders. In turns, one hegemonistic power took the place of the other, and the region remained a rightless victim and a colonial periphery.

The freedom-loving peoples of Caucasus staged uprisings against the Russian Empire. In order to recapture the lost positions, these activities were usually backed by the Ottomans.

The article will cover the Ottoman attitude towards the expansionist policy of the Russian Empire in the Caucasus region from 1801 to 1864.

**Keywords:** Caucasus, Ottoman Empire, Russia, Eastern Issue, Geopolitics.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის ექსპანსიის მთავარ მიმართულებას კავკასია წარმოადგენდა. ეს არჩევანი უალტერნატივო იყო, რადგან ამ დროისათვის ევროპის ქვეყნებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ამერიკის, აზიისა თუ აფრიკის კონტინენტთა დიდი ნაწილი და ამ სივრცეში რუსეთისათვის ადგილი ნაკლებად რჩებოდა. იგი მხოლოდ ახლომდებარე ტერიტორიებისა და ხალხების შემოერთებას უნდა დასჯერებოდა.

კავკასია რუსეთის ინტერესების სფეროში ჯერ კიდევ მოსკოვის გარშემო ე. წ. „რუსული მიწების შემოკრების“ პერიოდიდან მოექცა. ეს ინტერესი სტრატეგიული ხასიათის ამოცანებით განისაზღვრებოდა და სამხრეთის საზღვრების დაცვის, სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკადის გარღვევისა თუ აზიაში „ფანჯრის“ გაჭრის აუცილებლობით იყო მოტივირებული. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ასევე ქვეყნის სამხრეთით განვრცობის მისწრაფებაც. ცნობილი ისტორიკოსისა და რუსეთის არმიის გენერლის ვ. პოტოლს თანახმად, ივანე მეოთხედან დაწყებული პრაქტიკულად ყველა რუსი მმართველი კავკასიაზე თავისი ძალაუფლების

დამყარებას ცდილობდა და „კავკასიაში ბატონობის აზრი რუსეთის ისტორიაში მემკვიდრეობითად იქცა.“<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, რუსულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ რუსეთის სახელმწიფოს მესვეურებს კავკასიაში შესაღწევად თითქოს მხოლოდ ალტრუისტული მიზნები უბიძგებდათ, მაჰმადიან აგრესორთა ძალმომრეობისა და რელიგიური ჩაგვრისაგან ერთმორწმუნე ხალხების გადარჩენის კეთილშობილური გრძნობა ამოდრავებდათ. ეს პოსტულატი ერთგვარი კიტჩია, უფერული განმეორება „თეთრი ადამიანის ტვირთის“ მისიისა, რომელიც ბრიტანელებმა დაამკვიდრეს კოლონიურ სამფლობელოებში თავიანთი ყოფნის გასამართლებლად.

ცნობილია, რომ კავკასიის დასაუფლებლად ერთმანეთს ხანგრძლივად ირანისა და ოსმალეთის იმპერიები ეცილებოდნენ. მათი დაპირისპირება ცვალებადი, გარდამავალი უპირატესობით ხასიათდებოდა. 1555 წლის ცნობილი ზავით, როდესაც მოქიშპე მხარეებმა რეგიონი თითქმის შუაზე გაიყვეს, ე. წ. „ამასიის პარიტეტი“ დამყარდა.<sup>2</sup> იგი სამი საუკუნის განმავლობაში, მანამდე ინარჩუნებდა ძალმოსილებას, ვიდრე კავკასიის ასპარეზზე რუსეთის სახით, ახალი, მესამე ძალა აქტიურად გამოჩნდებოდა.

როგორც თვალსაჩინო რუსი ისტორიკოსი ნ. პოკროვსკი წერდა, რუსეთი კავკასიაში ორი ამოცანით მივიდა: 1. რათა რუსი მემამულისათვის დაეპყრო კავკასიის ნაყოფიერი მიწები და 2. უზრუნველყო რუსი კომერსანტი სავაჭრო გზებით.<sup>3</sup> ეს კონცეფცია სწორია, მაგრამ სრულად ვერ აღწერს რუსეთის მიზანდასახულობის არსსა და თავისი მნიშვნელობით უფრო გლობალურ პროცესს კავკასიის დაპყრობისა.

კავკასიაში გაბატონებით რომანოვთა იმპერიის წინაშე იკვეთებოდა შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე დამკვიდრების, ცენტრალური აზიისა თუ ხმელთაშუა ზღვის ბაზრებზე რუსეთის ვაჭრობის თავისუფალი გასვლის პერსპექტივა. ამასთან, რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდა მეტად ხელსაყრელი პლაცდარმი წინა და ცენტრალურ აზიის სიღრმეში შემდგომი წინსვლისათვის.<sup>4</sup> მეტიც, კავკასია

<sup>1</sup> В. Потто, Кавказская война: В 5 томах, Ставрополь, 1994, т. 1, с. 14.

<sup>2</sup> დ. ჯოჯუა, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, თბ., 2010, გვ. 19.

<sup>3</sup> Н. Покровский, Кавказские войны и имамат Шамиля, М., 2000.  
<http://www.gazavat.ru/history3.php?rub=1&art=933>

<sup>4</sup> И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 87-88.

რუსეთისათვის „სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად“, ხოლო მისი დაუფლება პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ აუცილებლობად მიიჩნეოდა.<sup>5</sup> რუსეთის პოლიტიკა რეგიონში ალექსანდრე I-მა ლაკონურად განსაზღვრა: „მტკიცედ დგომა კავკასიაში“<sup>6</sup> („Стоять на Кавказе твердо“).

რაც შეეხება ოსმალეთს, კავკასია მასაც არანაკლებ უღირდა. ოსმალეთისათვის ამ სივრცის ფლობა არა მხოლოდ რეგიონის კონტროლს გულისხმობდა, არამედ გზაც იყო ცენტრალურ აზიაში მცხოვრებ თურქულენოვან და მუსლიმ ხალხებთან შეუფერხებელი კავშირისათვის. ამასთან, კავკასიას სამხედრო ბაზის როლიც უნდა შეესრულებინა ირანთან ომის შემთხვევაში.<sup>7</sup>

კავკასიაში თავიანთი ინტერესები გააჩნდათ ინგლისსა და საფრანგეთსაც. ამით აიხსნება, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან კავკასიის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთის საკითხს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემად ჩამოყალიბდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდების შემდგომ, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ თავის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად კავკასიაში არსებული მაჰმადიანური სახანოების შემოერთება ან მათზე გავლენის დამყარება დაისახა. ეს სახანოები ირანთან ცილობის საგანს წარმოადგენდა და ოსმალეთის ხელისუფლებას ამ სივრცეში რუსეთის ექსპანსიის გამო განსაკუთრებული უკმაყოფილება არ გამოუხატავს.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქაური მმართველებისა და სასოფლო თემების ნაწილთან რუსეთი იმ დროისათვის ვასალურ-სამოკავშირეო ხელშეკრულებებით იყო დაკავშირებული. მეფის მთავრობა ახლა ამას აღარ ჯერდებოდა და მთის სრულ მორჩილებას მოითხოვდა, რასაც მისი გავლენა რეალური ბატონობით უნდა შეეცვალა.

1802 წელს საქართველოს მთავარმართველად დანიშნულ პ. ციციანოვს დაევალა რომ, ემოქმედა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისა და შავი ზღვის სანაპიროზე პოზიციების განმტკიცების მიმართულებითაც, - ოღონდ სიფრთხილით და ისე, რომ იმ დროს რუსეთის მოკავშირე ოსმალეთი ზედმეტად არ გაელიზიანებინა

---

<sup>5</sup> Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны. Государственный порядок. Россия и Кавказ, М., 2010, с. 33.

<sup>6</sup> И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 50.

<sup>7</sup> მ. კომახია, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი 66, მარტი, 2002, გვ. 3/М.



(ჯერ კიდევ ძალაში იყო რუსეთ-ოსმალეთის 1798 წლის ხელშეკრულება, რომელიც 1805 წლის სექტემბერში განახლდა კიდევ).

რუსეთისათვის მნიშვნელოვანი იყო ფეხის მოკიდება ოდიშის სამთავროში, რომელიც იმ დროისათვის ნომინალურად იმერეთის სამეფოში შედიოდა, მაგრამ ფორმალურად ოსმალეთს ექვემდებარებოდა. მთავარი გრიგოლ დადიანი ერთისა და მეორისაგანაც თავდახსნას ცდილობდა და სამთავროს სრული თავისუფლების მიღწევას ესწრაფვოდა.

რუსეთის საიმპერიო მთავრობამ დიპლომატიური საშუალებებით გაარკვია, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ოსმალეთი სამეგრელოს გამო პროტესტს მოერიდებოდა. ამის შემდეგ, კერძოდ, 1803 წლის დეკემბერში სამეგრელოს სამთავრო რუსეთმა თავის მფარველობაში მიიღო.<sup>8</sup>

რით აიხსნება, რომ რუსეთმა გაურთულებლად, მშვიდობიანი გზით მოახერხა ოსმალეთის დაყოლიება ასეთ დათმობაზე? ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობის შემდეგ, 1802 წლის დასაწყისში საფრანგეთი და ოსმალეთი დაზავდნენ, თუმცა ნაპოლეონ ბონაპარტე კვლავაც ოსმალეთის დანაწილების იდეას ერთგულებდა. რუსეთი ამ პოლიტიკას არ იზიარებდა, ოსმალეთის ესარჩლებოდა, რის გამოც დიდი გავლენა ჰქონდა სულთან სელიმ III-ზე.<sup>9</sup>

მიუხედავად ამისა, ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო რუსეთის ჯარის ნაწილების გადასხმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ფოთის ციხის ოსმალურმა გარნიზონმა რამდენჯერმე გააბრუნა კიდევ უკან რუსთა გემები, მაგრამ რუსებმა მდინარე ხობის შესართავთან მოახერხეს ალტერნატიული ნავმისადგომის - ყულევის გამოძებნა, სადაც გამაგრებული პუნქტი ააგეს. იგი ისტორიაში ევროპულ-თურქული ტოპონიმით - რედუტ-კალეს სახელითაა ცნობილი. ეს მოხდა 1804 წლის ოქტომბერში და მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ იმით, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიას ზღვითაც დაუკავშირდა, რითაც აქ დისლოცირებული სამხედრო შენაერთების სურსათით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით მომარაგების საქმე გაიიოლა, არამედ იმითაც, რომ რუსეთმა

---

<sup>8</sup> სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღების აქტი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1804 წლის 4 ივლისს, მანამდე დაამტკიცა, ვიდრე ოსმალეთიდან დადებით პასუხს მიიღებდნენ, ოფიციალურად კი იგი მას შემდეგ ამოქმედდა, რაც პორტამ სამეგრელოს დათმობაზე თანხმობა განაცხადა.

<sup>9</sup> Л. Гальберштадт, Восточный вопрос. [http://www.museum.ru/1812/Library/Sitin/book2\\_05.html](http://www.museum.ru/1812/Library/Sitin/book2_05.html)

ოსმალეთის სამფლობელოების მახლობლად ზღვისპირა პლაცდარმიც გაიჩინა (მოგვიანებით რედუტ-კალე ევროპული საქონლით ახლო აღმოსავლეთთან სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრადაც იქცა).

რუსეთის იმპერიამ ძლევამოსილი პორტა საფუძვლიანად ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში შეავიწროვა, როდესაც 1768-1774 და 1787-1791 წლების ომებში, მანამდე ოსმალეთის შიდა ტბად მიჩნეული, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროები დაატოვებინა, ყირიმის სახანოც გამოსტაცა და მათზე საკუთარი კონტროლი დაამყარა.

ამის მიუხედავად, XIX საუკუნის პირველ დეკადაში ოსმალეთი ჯერ კიდევ ფლობდა შავი ზღვის როგორც აღმოსავლეთ, ისე ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე მდებარე ციხეებს და ცდილობდა ისინი რუსეთის ექსპანსიის შესაჩერებელ ფორპოსტებად ექცია.

რუსებმა ფოთის ციხე 1809 წელს, ოსმალეთთან 1806 წლიდან მიმდინარე ომის პერიოდში აიღეს, მაგრამ ბუქარესტის ზავით (1812 წ.) მისი უკანვე დაბრუნება მოუწიათ. პორტასთან მომდევნო ომისას, 1828 წელს რუსეთის ჯარმა ქართველ მოლაშქრეთა მონაწილეობით კიდევ ერთხელ დაიკავა ფოთი, რომლის რუსეთის იმპერიის ხელში გადასვლა ოფიციალურად ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამ დადასტურდა (1829 წ.). ამავე ზავით რუსეთს მანამდე ოსმალეთის მფლობელობაში არსებული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა სანავსადგურო პუნქტები - სუჯუკ-კალე და ანაპაც გადაეცა. რუსეთის ხელისუფლებამ მათ გარდა ამ სივრცეში კიდევ რამდენიმე სიმაგრე ააგო (გაგრის ციხე, ლაზარევის, ველიამინოვის, გოლოვინის ფორტები და სხვ.) და ე. წ. შავი ზღვის სანაპირო ხაზი ჩამოაყალიბა.

ყოველივე ეს ღირებული იყო ახლად შემოერთებული სამფლობელოების დაცვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ რუსეთის ინტერესები ამით არ იფარგლებოდა, - მისი იმპერიული ამბიციები უფრო შორს აღწევდა და მახლობელ აღმოსავლეთს სწვდებოდა. აღმოსავლეთში შესაღწევად კი განსაკუთრებით როლი მისი ერთ-ერთი კარიბჭის - ახალციხის დაუფლებას ენიჭებოდა. ამით აიხსნება, რომ დეკაბრისტების თვალსაჩინო იდეოლოგი მ. ლუნინი ახალციხის აღებას პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, ვიდრე პარიზისას. მისი სიტყვით: „კავკასიის დაპყრობა არის მამულის მომავალი ბედის, ღირსების მნიშვნელოვანი საკითხი“.<sup>10</sup>

<sup>10</sup> Я. Гордин, Кавказская Атлантидаю 300 лет войны.

რომანოვთა იმპერიამ სამხრეთ კავკასიაში ისე შემოაღწია, კავკასიის მთის დიდი ნაწილი მისი გავლენის ქვეშ ჯერ კიდევ მოქცეული არ ყოფილა. რუსეთის ხელისუფლება ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიას მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონად განიხილავდა, როგორც ტერიტორიული გაფართოების, ისე ეკონომიკური ინტერესების კუთხითაც.<sup>11</sup>

როდესაც XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში ირან-ოსმალეთთან ომები მოიგო და სამხრეთ კავკასიაში პოზიციები მნიშვნელოვნად გაიმყარა, მეფის მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიაზე შეტევა გააძლიერა, მაგრამ მისი დაპყრობა გაჭიანურდა. თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის რეგიონს რუსეთისათვის, მოწმობს ისიც, რომ ამ ომის წარმოებისათვის იმპერია სახელმწიფოს უზარმაზარი შემოსავლების მეექვსედ ნაწილს ხარჯავდა.<sup>12</sup>

კავკასიის დაპყრობისათვის პერმანენტულ ომში რუსეთმა 25 ათასამდე ადამიანი დაკარგა დაღუპულთა სახით, ხოლო დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რიცხვი 65 ათასს აღემატებოდა. გაცილებით მეტი იყო მსხვერპლი მთიელთა მხარეს, რომელიც თავგანწირვით იგერიებდა რეგულარული არმიის შემოტევებს.<sup>13</sup>

რუსეთს დაუშვებლად მიაჩნდა კავკასიის ადგილობრივ ხალხებთან კეთილი მეზობლობა და ნორმალური ურთიერთობა. იმპერიის ხელისუფლებას ნებისმიერი დათმობა სისუსტედ წარმოედგინა, ანგარიშს არ უწევდა რეგიონის მოსახლეობის რელიგიურ თუ კულტურულ იდენტობას, ლახავდა და ფეხქვეშ თელავდა მის ღირსებასა და ეროვნულ უფლებებს.<sup>14</sup> ექსპანსიას კავკასიის მთის ხეობებში აუწერელი სისასტიკე ახასიათებდა. ადგილობრივ მოსახლეობას უმოწყალოდ ჟლეტდნენ ან აიძულებდნენ დაეტოვებინათ საცხოვრისი, მიწასთან ასწორებდნენ

---

[https://www.e-reading.club/chapter.php/1017147/2/Gordin\\_-\\_Kavkazskaya\\_Atlantida.\\_300\\_let\\_voyny.html](https://www.e-reading.club/chapter.php/1017147/2/Gordin_-_Kavkazskaya_Atlantida._300_let_voyny.html)

<sup>11</sup> Л. Шатохина, Политика России на Северо-Западном Кавказе в 20-60-е годы XIX века. Тема диссертации и автореферата, М., 2000. <https://www.dissercat.com/content/politika-rossii-na-severo-zapadnom-kavkaze-v-20-60-e-gody-xix-veka>

<sup>12</sup> <http://russian7.ru/post/zachem-rossiyskaya-imperiya-zavoevala-k/>

<sup>13</sup> В. Бакланов, Российская колониальная экспансия на Северном Кавказе и ее последствия. [http://historick.ru/view\\_post.php?id=144&cat=15](http://historick.ru/view_post.php?id=144&cat=15)

<sup>14</sup> ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო და მიუღებელი იყო რუსული ადმინისტრაციული მმართველობის წესიცა და მართლმსაჯულებაც, რომელთაც უპირისპირდებოდა ქართველი მწერლის ა. ყაზბეგის მიერ გამოთქმული დევიზით: „დავწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულება“.

აულებს და დაპყრობილ ადგილებში კაზაკებსა თუ რუს კოლონისტებს ასახლებდნენ.

თავისუფლებისმოყვარე კავკასიელები არ ურიგდებოდნენ ამგვარ ყოფას და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობდნენ. უნდა ითქვას, რომ კავკასიელ ხალხებთან კომპრომისის გზებს არც ოსმალეთი ეძებდა, გამომდინარე ძლიერ სახელმწიფოთა ჩვეულებრივი, პრაგმატული პოლიტიკიდან, მასაც რეგიონში თავისი იმპერიული ამბიციები არ ეთმობოდა. დაკარგული პოზიციების დაბრუნების მიზნით, ოსმალეთი ზურგს უმაგრებდა სამხრეთ თუ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ ანტირუსულ გამოსვლებს.<sup>15</sup> ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიისაგან თავდასაღწევად მებრძოლ იმერეთსა და მის მეფეს 1810 წელს ახალციხის ფაშა შერიფმა, სულთან მაჰმუდ II-ის თანხმობით, ტყვია-წამალი, 3000-მდე თურქი და ლეკი მებრძოლი მიაშველა.<sup>16</sup> საქართველოში ანტიკოლონიურ აჯანყებათა არაერთი მეთაური დამარცხების შემდეგ თავს ოსმალეთს აფარებდა. საკმარისია დავასახელოთ იმერეთის უკანასკნელი გვირგვინოსანი სოლომონ მეორე (1810 წ.), მისი შვილიშვილი ივანე აბაშიძე (1820 წ.) ვახტანგ ბაგრატიონი (1820 წ.), გურიის მთავრის მამია გურიელის მეუღლე სოფიო (1828 წ.) და სხვ.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომში ადილები ოსმალეთს მიემხრნენ და რუსეთს დაუპირისპირდნენ.<sup>17</sup> ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ახალციხის ფაშას და აზერბაიჯანის ხანებსაც.<sup>18</sup> ამ ომში რუსეთის დროშის ქვეშ ქართველი ხალხის მხოლოდ ნაწილი იბრძოდა, მეორე ნაწილი (სოლომონ II, ალექსანდრე ბატონიშვილი და

---

<sup>15</sup> იგივეს აკეთებდა რუსეთის იმპერიაც ქრისტიანებით დასახლებულ ბალკანეთში, აგულიანებდა და შთააგონებდა მათ გამოსვლებს პორტას წინააღმდეგ.

<sup>16</sup> მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება. 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012. M. Khomeriki, İmereti Krallığı'nın Feshi, 1819-1820 Yılları Başkaldırmalar ve İmereti Bagrationları, Tifl., 2012. <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4---0-11-11-ru-00---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.11&d=HASH3894363b59fa0975bfc70b.1.3>

<sup>17</sup> А. Чеучева, Северо-Западный Кавказ в политике Великобритании и Османской империи в последней четверти XVIII - 60-х гг. XIX вв. Автореферат диссертации по истории, М., 2008. <http://cheloveknauka.com/severo-zapadnyy-kavkaz-v-politike-velikobritanii-i-osmanskoj-imperii-v-posledney-chetverti-xviii-60-h-gg-xix-vv>

<sup>18</sup> Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. II. СПб., 1886, с. 232.

სხვ.) საქართველოს თავისუფლების პირობად ცარიზმის დამარცხებას მიიჩნევდა და ძალებს საამისოდ რაზმავდა.

რუსეთთან მომდევნო ომის პერიოდში ოსმალეთი მიმართავდა კავკასიელ მთიელთა საქართველოზე თავდასხმების პროვოცირებას, რისი შედეგიც იყო ჭარელთა რამდენიმე შემოჭრა კახეთის სოფლებში და შეტაკება რუსეთის სამხედრო ნაწილებთან. ოსმალეთის მხარდაჭერით 1828 წელს მოეწყო ყარაჩაელთა გამოსვლაც რუსული მმართველობის წინააღმდეგ, მაგრამ მასშტაბურ ანტირუსულ აჯანყებამდე კავკასიაში საქმე არ მისულა. რუსეთის სამხედრო ნაწილების მხარდამხარ გამოსულმა ადგილობრივ მცხოვრებთა (ყაზარდოელები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები) სახალხო ლაშქარმა კი, რომელშიც მუსლიმთა ცხენოსანი პოლკებიც ერივნენ, 8-10 ათას კაცს გადააჭარბა.<sup>19</sup>

ყირიმის ომის მიმდინარეობისას, 1855 წლის საომარ კამპანიაში სამხრეთ კავკასიელთა გარდა, კავკასიის კორპუსის შემადგენლობაში იარაღით ხელში დაღესტნის, ჩრდილო ოსეთის, ყაზარდოსა და სხვ. 30 ათასი წარმომადგენელი იბრძოდა.<sup>20</sup>

ოსმალეთთან წარმატებული ომებით რუსეთმა კავკასიის პრობლემას თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.<sup>21</sup> მან რეგიონიდან განდევნა მოწინააღმდეგე ირანიცა და ოსმალეთიც და მათთან საცილო ამ სივრცეში ერთპიროვნულად გაბატონდა. რუსეთის იმპერიის პოზიციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

რუსული საისტორიო მეცნიერება ოსმალეთთან ომებში მიღწეულ წარმატებებს კავკასიის განთავისუფლებად წარმოაჩენს, ოსმალურ ისტორიოგრაფიაში კი იგივე მოვლენები უსამართლობად, ამ ტერიტორიების რუსების მიერ ოკუპაციად არის შეფასებული.

კავკასიის მკვიდრთათვის ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარე მოძალადე და დამპყრობელი იყო. მათი მონაცვლეობით ერთი ჰეგემონისტის ადგილს მეორე იკავებდა, ხოლო რეგიონი კვლავ ძალმომრეობის მსხვერპლად, უუფლებო, კოლონიურ პერიფერიად რჩებოდა. ორ მოქიშპე იმპერიას, - რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოქცეული

<sup>19</sup> А. Апфельбаум, Народы Кавказа в Русско-турецкой войне 1828-1829 гг. История, этнология и археология Кавказа, № 4/2018, с. 14, 17.

<sup>20</sup> <http://www.istoria.net/referat/referat3/1260.php>

<sup>21</sup> ირან-ოსმალეთთან წარმატებული ომების აღსანიშნავად სანქტ-პეტერბურგში ცნობილი მოსკოვის ტრიუმფალური ჭიშკარი (თაღი) ააგეს

კავკასიელი ხალხების ტრაგიკულ ყოფას მკაფიოდ ცხადყოფს იმამ შამილის შვილების ბედი: ერთ მათგანი - ღაზი მოჰამედი ოსმალეთის არმიის, ხოლო მეორე - მოჰამედ-შაფი რუსეთის არმიის გენერალი გახდა.<sup>22</sup> ცნობილი ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის (უიარაღოს) პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ, არც ერთი იყო ოსმალო და არც მეორე რუსი, - ორივენი ბედკრული კავკასიის შვილები იყვნენ.

რეგიონში გაბატონების შემდეგ რუსეთი კავკასიის საკითხს უკვე საშინაო პრობლემად განიხილავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო, კარგა ხანს ოსმალეთის ბაზარზე იყო დამოკიდებული. პირველი მოხმარების საგნები გურიაში ძირითადად პორტას მფლობელობაში დარჩენილ „სამაჰმადიანო საქართველოდან“ - ბათუმ-ქობულეთიდან შემოჰქონდათ. XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისშიც კი გურიის ბაზრებზეც მიმოქცევაში ოსმალური ლირა ჭარბობდა.<sup>23</sup>

ვაჭრობა ოსმალეთისათვის მნიშვნელოვანი საშუალება იყო ჩრდილო კავკასიის ხალხებზე, უმთავრესად ადიღეებზე პოლიტიკური გავლენისათვის. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად პუნქტებს ტრაპეზუნდის, სინოპის, სამსუნისა და სხვ. ნავსადგურები წარმოადგენდა.<sup>24</sup>

რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკასა და ადგილობრივ ხალხებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა რელიგიას, როგორც ქვეყნის შიგნით სოციალური სტაბილურობის განმაპირობებელ ერთ-ერთ საშუალებას.

რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ანტიკოლონიურ მოძრაობაშიც. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან ეს მოძრაობა აქტიურად დაეყრდნო მიურიდიზმის იდეებს, რომლებიც მთიელთა გაერთიანების იდეურ საფუძვლად იქცა.

რეგიონში ისლამის გავლენის შესასუსტებლად და საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად მეფის მთავრობა ადგილობრივი მუსლიმი

---

<sup>22</sup> М. Гаммер. Шамиль. Мусульманское сопротивление царизму. Завоевание Чечни и Дагестана. М., 1998, с. 392.

<sup>23</sup> ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 57/0.

<sup>24</sup> А. Чеучева, Северо-Западный Кавказ в политике Великобритании и Османской империи в последней четверти XVIII - 60-х гг. XIX вв. Автореферат диссертации по истории, М., 2008. <http://cheloveknauka.com/severo-zapadnyy-kavkaz-v-politike-velikobri-tanii-i-osmanskoj-imperii-v-posledney-chetverti-xviii-60-h-gg-xix-vv>

მოსახლეობის გაქრისტიანების მეთოდს მიმართავდა, ახალისებდა საეკლესიო სინოდის მისიონერულ მოღვაწეობას, ხოლო 1860 წელს, საერო და სასულიერო ხელისუფალთა ძალისხმევით, თბილისში ოფიციალური ინსტიტუციაც შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ სახით.

მიუხედავად იმპერიაში დეკლარირებული სინდისის თავისუფლებისა, პრაქტიკულ ცხოვრებაში არამართლმადიდებლური აღმსარებლობები შევიწროებას განიცდიდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალეროვნული და მულტიკონფესიული ქვეყნის ხელისუფლება გეოპოლიტიკური სიტუაციის, შიდა თუ გარე ოპოზიციის ზეგავლენით, იძულებული ხდებოდა გადაეხედა თავისი რელიგიური პოლიტიკისათვის და მისი პრინციპები ზოგჯერ კარდინალურადაც კი შეეცვალა.<sup>25</sup>

მაგალითად, თუ მთავარმართებელმა ა. ერმოლოვმა კავკასიელ მუსლიმ მომლოცველებს მექაში ჰაჯი აუკრძალა, მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვი თავის ხელქვეითთაგან მუსლიმთა რელიგიური გრძნობებისადმი უფრო ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვდა.<sup>26</sup>

რუსეთთან დაპირისპირებაში რელიგიური ფაქტორის გამოყენება დამახასიათებელი იყო ოსმალეთის იმპერიისათვისაც.

1828 წლის აპრილში, როდესაც რუსეთმა პორტას ომი გამოუცხადა, ოსმალეთმა მთელ მუსლიმურ სამყაროს მტრის წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდა. სულთან მაჰმუდის საგანგებო პროკლამაციაში ხაზგასმული იყო, რომ ომი მიმდინარეობდა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ამიტომ თითოეული მუსლიმი, - მდიდარი თუ ღარიბი, წარჩინებული თუ უბრალო მოკვდავი უნდა დარაზმულიყო და ებრძოლა მათ დასაცავად.<sup>27</sup>

1853 წელსაც, როდესაც ყირიმის ომი დაიწყო, სულთანმა აბდულ ჰამიდ I-მა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინამძღოლს, იმამ შამილს ჯიჰადისაკენ მოუწოდა,<sup>28</sup> რამაც რეგიონის ხალხებში სათანადო გამოძახილი ჰპოვა.

---

<sup>25</sup> Е. Вишленкова, Религиозная политика в России (первая четверть XIX века), Казань, 1998. Тема диссертации и автореферата. <https://www.dissercat.com/content/religioznaya-politika-v-rossii-pervaya-chetvert-xix-veka-0>

<sup>26</sup> Р. Газимагомедов, Конфессиональная политика Российской империи в Дагестане в середине XIX – начале XX вв. Вопросы истории, 2014, № 5, с. 165-166.

<sup>27</sup> Исторія военныхъ дѣйствій в Азіятской Турціи в 1828 и 1829 годахъ в двухъ частях, ч. I, СПб., 1836, с. 381.

<sup>28</sup> Encyclopedia of the Ottoman Empire, by Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009, p. 126.

აქვე იმის აღნიშვნაც არ იქნება უადგილო, რომ ამავე ომში, მოწინააღმდეგის დასასუსტებლად, ოსმალეთმა და მისმა მოკავშირე ინგლის-საფრანგეთმა კიდევ ერთ სენსიტურ თემას - დაპყრობილი ხალხებისათვის ეროვნული თავისუფლების შეთავაზებას მიმართეს. მხედველობაში მაქვს დღის წესრიგში ჩერქეზეთის სუვერენული სახელმწიფოს შექმნისა და სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობის საკითხის დასმა.<sup>29</sup> როგორც მოვლენათა განვითარებამ უჩვენა, ეს ომის მდგომარეობით განპირობებული სახელდახელო დაპირებები იყო და არა პრაქტიკაში განსახორციელებლად გათვლილ-დაგეგმილი პროექტები, რომელთა შესრულებაზე აღარავის უზრუნია.

გამარჯვებულ სახელმწიფოებს ზავის პირობებში გაკვრიტაც არ აუსახავთ ხსენებული საკითხი. „პარიზის კონგრესზე სიტყვა საქართველო და კავკასია არც უხსენებიათ... საქართველოს და კავკასიის საკითხი, ამ დროს, ყველას მიერ განწირული იყო და ის რუსეთის შინაურ საკითხად დარჩაო“, - შენიშნავდა ქართველი ემიგრანტი მკვლევარი ა. მანველი-შვილი.<sup>30</sup>

ყირიმის ომში განცდილმა მარცხმა რუსეთის პოზიციები კავკასიაში დიდად ვერ შეარყია, - მან რეგიონში ერთპიროვნული ბატონობა შეინარჩუნა. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ იმ დროს რუსეთის იმპერია უფრო სტაბილური და შინაგანად მტკიცე სახელმწიფო იყო, ვიდრე ოსმალეთი, რომელმაც ქვეყნის მოდერნიზაციის - სოციალურ-ეკონომიკური განახლების პროცესი (თანზიმატი) რუსეთზე ადრე დაიწყო, მაგრამ ლოკალურ დადებით ცვლილებებს მისთვის ყოფილი დიდებისა და ძლიერების დაბრუნება აღარ შეეძლოთ.

ურთიერთობის თუ სხვა ომებმა მნიშვნელოვნად შეაფერხეს როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ეკონომიკური განვითარება. ამ ომებს ორივე სახელმწიფომ დიდი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები შეაღია, მაგრამ მეტი ზარალი ოსმალეთმა განიცადა და რუსეთზე უფრო დასუსტდა. განსახილველი პერიოდის განმავლობაში პორტამ და რუსეთმა 15 წელი ერთმანეთთან ომში გაატარეს. ორივე მათგანს დროის იმავე მონაკვეთში საგარეო ომების გარდა, მრავალი შიდა ომიც ჰქონდა დაპყრობილი ხალხების აჯანყებებთან გასამკლავებლად. ამ

---

<sup>29</sup> АКАК., т. XI, Тифлис, 1888, с. 112; 150; ვ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები, თბ., 1934, გვ. 26-27.

<sup>30</sup> ა. მანველი-შვილი, რუსეთი და საქართველო (1801-1951), პირველი ტომი, პარიზი, 1951. გვ. 432-433.



ომებში ოსმალეთი სამფლობელოების ნაწილს კარგავდა, რუსეთი კი იძენდა და იმპერიას აფართოებდა.

განსახილველ პერიოდში რუსეთს სამი იმპერატორი - ალექსანდრე I (1801-1825), ნიკოლოზ I (1825-1855) და ალექსანდრე II (1855-1881) მართავდნენ, ხოლო ოსმალეთის ტახტზე ხუთი სულთანი იჯდა: სელიმ III (1789-1807), მუსტაფა IV (1807-1808), მაჰმუდ II (1808-1839), აბდულმეჯიდ I (1839-1861) და აბდულ აზიზი (1861-1876).

ქვეყნის უმაღლესი მმართველის ხშირი ცვლილება, კრიზისი რომ არა ვთქვათ, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და პოლიტიკური არამდგრადობის მაჩვენებელი იყო. მართალია, პოლიტიკური გართულება ორჯერ რუსეთსაც შეექმნა 1825 და 1859-1861 წლებში (დეკაბრისტების გამოსვლა და ე. წ. რევოლუციური სიტუაცია), მაგრამ პირველ შემთხვევაში ძალით და მეორე შემთხვევაში დიდი კომპრომისით (ბატონყმობის გაუქმება), ისინი დამღეულ იქნა. სათქმელია ისიც, რომ რუსეთის ხსენებული სამი იმპერატორიდან ერთი - ალექსანდრე II-ე სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ იგი რევოლუციონერმა-ტერორისტებმა (ნაროდოვოლცებმა) მოკლეს, განსხვავებით ოსმალეთის ორი სულთნის - სელიმ III-ისა და მუსტაფა IV-ისაგან, რომლებიც თვით მმართველი დინასტიის წევრთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის მსხვერპლად იქცნენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეუძლებელია გვერდი ავუაროთ წინამდებარე თემის გაშუქებისას, არის რუსეთის იმპერიის კოლონიზაციური პოლიტიკა კავკასიის რეგიონში და მისი გამომახილი ოსმალეთში.

მეფის მთავრობა შემოერთებულ მხარეებში იმპერიული ძალაუფლების განმტკიცებისა და დასაყრდენი სოციალური ბაზის გაფართოების მიზნით ეთნიკურ ექსპანსიას მიმართავდა. თუ ჩრდილოეთ კავკასიის ახალშემოერთებულ მიწებზე კაზაკების კოლონიზაციით მთავრობა სამხედრო ხარჯებს ზოგავდა და ამ ტერიტორიების დაცვას უზრუნველყოფდა, სამხრეთში იგი უფრო ლოიალური და ერთგული კონტიგენტის დამკვიდრებით იყო დაინტერესებული. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია ოსმალეთიდან ამიერკავკასიაში სომხების გადმოსახლება,<sup>31</sup> რაშიც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვოდა.

---

<sup>31</sup> სომხური მოსახლეობის გადმოსახლების პროცესი მომდევნო ათწლეულებშიც არ შეწყვეტილა. XIX საუკუნის 70-90-იანი წლებიდან გადმოსახლებულ სომეხთა

პორტასთან ყოველი წარმატებული ომის შემდეგ მეფის მთავრობას, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა მოსაზრებებით, რეგიონში საცხოვრებლად სომეხთა დიდი ნაკადები გადმოყავდა. სხვადასხვა ცნობით, მარტო 1828-1830 წლებში ირანიდან და ოსმალეთიდან სამხრეთ კავკასიაში 119.500 სომეხი მიგრირდა.<sup>32</sup>

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ რუსეთ-ოსმალეთის ყოველ ომს თან სდევდა საქართველოდან მოსახლეობის ნაწილის, უმთავრესად აფხაზების მიგრაციაც ოსმალეთში: 1810 წელს 5 ათასი, 1828-1830 წლებში - 10, ხოლო 1855-1856 წლებში - 20 ათასი აფხაზი აიყარა და საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიაში გადავიდა.<sup>33</sup>

ცნობილია ისიც, რომ 1829 წელს სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მაჰმადიანი მესხები იძულებულნი გახდნენ თავიანთ სამკვიდროს გასცლოდნენ და ოსმალეთის სიღრმეში გადაენაცვლებინათ. გამოანგარიშებულია აგრეთვე, რომ 1801-1831 წლებში აზერბაიჯანი დატოვა დაახლოებით 147 ათასმა ადგილობრივმა მუსლიმმა.<sup>34</sup> მათი უმეტესობა ოსმალეთს შეეხიზნა.

ამას უნდა დაემატოს ე. წ. მუჰაჯირობაც, რომელიც ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს: აბაზებს, აბაძეებს, ბუედიულებს, ყუბანისპირელ ნოღაელებს, ჩერქეზებს, უბიხებს, ჩეჩნებს, ყარაჩაელებს, ყაბარდოელებსა და ოსებს შეეხოთ, მაგრამ იგი არანაკლები გამოწვევა იყო აფხაზებისა და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ქართველებისათვისაც.

რუსულმა ისტორიოგრაფიამ იმთავითვე დაამკვიდრა აზრი, რომ კავკასიელ მთიელთა ოსმალეთში მასობრივი გადასახლების სულისჩამდგმელს ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა და რომ მუჰაჯირობა ინსპირირებული იყო თურქი ემისრების, მთიელთა სოციალური ზედაფენისა და სასულიერო წრეების ზეგავლენით.<sup>35</sup>

---

ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაშიც.

<sup>32</sup> А. Бадалян, Население Армении со времени присоединения ее к России и до наших дней. Известия академии наук Армянской ССР, т. 5, 1953, с. 51.

<sup>33</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ-მუსლიმანთა დიდი გადასახლება თურქეთში, თბ., 1912, გვ. 169.

<sup>34</sup> Р. Сафаров, Этнотерриториальные изменения на Кавказе в веках. Кавказ глобализация, т. 6, вып. 4, 2012 г, с. 134.

<sup>35</sup> А. Берже, Выселение горцев с Кавказа, „Русская старина“, т. XXXIII, 1882, февраль, с. 346. Г. Дзидзари, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухум, 1975, с. 8.

თურქი ისტორიკოსების პუბლიკაციებში შეინიშნება იმის მტკიცების მცდელობა, რომ კავკასიის მთიელი მოსახლეობა მუდმივად ერთ-გულედა სულთნის ოსმალეთს და მისადმი განსაკუთრებულ მიზიდულობას განიცდიდა. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორ ა. ერანის ნაშრომი, რომელშიც ავტორი საერთოდ გამორიცხავს ოსმალეთის მონაწილეობას მუჰაჯირობის ტრაგიკულ პროცესში.<sup>36</sup>

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ოსმალეთის ინტერესებში შედიოდა მართვადი მიგრაცია, რომლის შედეგად ქვეყანა, მამაცი მთიელების სახით, დამატებით რესურსს შეიძენდა თავისი საომარი ძალის შესავსებად.<sup>37</sup> ამიტომაც იყო, რომ ოსმალური პროპაგანდა კავკასიელ მთიელებს მუჰაჯირობის სარგებლიანობას უსაბუთებდა და ოსმალეთში გადასვლის შემთხვევაში მათ ათასგვარ სიკეთეს ჰპირდებოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია ხაზი გაესვას იმასაც, რომ მუჰაჯირობას ნიადაგი რუსეთის მიერ რეგიონის შევიწროებამ და დაპყრობამ შეუშადა; რომ არა მეფის მთავრობის ანტიხალხური კოლონიური პოლიტიკა, გადასახლების მასშტაბი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა და იგი ტრაგიკულად არც აისახებოდა კავკასიელ მთიელთა სვე-ბედზე. მთიელთა მუჰაჯირობას გადამწყვეტი ბიძგი სწორედ რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ მისცა.

ხელოვნურმა მიგრაციულმა პროცესებმა კავკასიის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასა და ეთნოკონფესიონალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობეს, რაც მოგვიანებით არაერთი გამოწვევის წყაროდ იქცა.

რუსეთის იმპერიის გაბატონება კავკასიის რეგიონში გარდამტეხი აღმოჩნდა ადგილობრივი ხალხების ცხოვრებაში. ახალმა გეოპოლიტიკურმა სინამდვილემ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი შემდგომი ბედი და მომავალი.

---

<sup>36</sup> X. Ибрагимбейли, Кавказ в Крымской войне 1853-1856 гг. и международные отношения. М., 1971, с. 55-56.

<sup>37</sup> ხშირ შემთხვევაში სწორედ გადასახლებულ მთიელთაგან კომპლექტდებოდა ოსმალეთის იმპერიის არარეგულარული სამხედრო შენაერთები - ე. წ. ბაშიბუზუკის ჯარი და ასევე, საკავალერიო ნაწილები - ჰამიდე, რომლის ოფიცერთა მნიშვნელოვან ნაწილს ჩერქეზები შეადგენდნენ.

XVIII-XIX yüzyılların başında, Rusya'nın genişlemesinin ana yönü Kafkasya idi. Bu seçeneğin başka bir alternatifi yoktu, çünkü bu zamana kadar Avrupa Ülkeleri tarafından Amerika, Asya ve Afrika Kıtaları'nın büyük kısmı ele geçirilmiş olup Rusya için bu alanda yer kalmamıştı. Rusya yalnız yakın olan toprak ile halkları kendine bağlamakla yetinecekti.

Kafkasya, Rusya'nın çıkarları alanına daha Moskova etrafına "Rus Topraklarının Toplanması" gibi hareket döneminden beri dâhil edildi. Bu menfaatler stratejik amaçlar üzerinden belirlenirdi ve güney sınırlarını koruma, ticareti ve ekonomik ablukayı kırmakla veya da Asya "Penceresini" açmakla güçlendirildi. Aynı zamanda ülkenin güneyine doğru genişleme niyeti de vardı. Ünlü tarihçi ve Rus Ordusu Generali V. Potto'ya göre, IV. İvan ile birlikte neredeyse tüm Rus yöneticiler güçlerini Kafkasya'ya doğru yönlendirdiler ve "Kafkasya üzerine hâkimiyet kurmak düşüncesi Rusya tarihinde bir mirasa dönüştürüldü".<sup>1</sup>

Bununla birlikte, Rus tarihçiliğinde, Rus liderlerinin Kafkasya'ya nüfuz etmek için sadece özel hedeflerinin olduğu görüşü hâkimdir. Sanki aynı inançta olan halkları Müslümanların saldırıları ve baskılarından kurtarmak için çabılıyor gibi duygularla harekete geçmişlerdi. Bu bir nevi ucuz bir propagandadır, İngilizlerin sömürge hâkimiyetlerindeki varlıklarını haklı çıkarmak için kurduğu gibi yani "beyaz adamın kurtarıcı niyeti" misyonunun renksiz tekrarıdır.

İran ve Osmanlı İmparatorluklarının uzun süre Kafkasya'yı fethetmek için birbirleriyle savaştıkları malumdur. Aralarındaki mücadeleler değişen bir başarılarla kendini gösterdi. 1555 Amasya Anlaşması gereğince, rakip taraflar bölgeyi neredeyse aralarında paylaştıktan sonra bir nevi "Amasya Eşitliği" kuruldu<sup>2</sup>. Bu süreç üç asır, Kafkasya içlerine üçüncü güç olan Rusya'nın aktif müdahalesine kadar sürdü.

Tanınmış Rus tarihçisi N. Pokrovsky, Rusya'nın Kafkasya'ya iki görevle geldiğini belirtmiştir: 1. Rus derebeyleri için Kafkasya'nın verimli topraklarını fethetmek, 2. Rus tüccarlarına ticaret yolları sağlamak<sup>3</sup>. Bu kavram doğrudur, ancak Rusya'nın amacının özünü ve bir anlamda Kafkasya'nın daha küresel fethi sürecini tam olarak tanımlamamaktadır.

Kafkasya üzerine hâkimiyet sürdürmek ve Romanovlar İmparatorluğu'na Karadeniz ile Hazar Denizi arasındaki arazide egemenlik kurmak, Orta Asya ile

---

<sup>1</sup> В. Потто, Кавказская война: В 5 томах, Ставрополь, 1994, т. 1, с. 14.

<sup>2</sup> D. Cocua, Rusetis Samkhedro Interventsia Sakartveloşi, 2008 Tslis Agvistos Omi da Misi Şedegebi, Tb., 2010. Gv. 19/D

<sup>3</sup> Н. Покровский, Кавказские войны и имамат Шамиля, М., 2000. <http://www.gazavat.ru/history3.php?rub=1&art=933>

Akdeniz pazarlarına ulaşmak için bir imkân veriyordu. Bununla birlikte bu durum, Rusya için Ön ve Orta Asya içlerinde ilerlemesi için de iyi bir basamak olacaktı<sup>4</sup>. Dahası, Rusya için Kafkasya “hayati önem taşıyan bir mesele” idi ve ele geçirilmesi de devletin birinci derece yapması gerekli bir iş olarak görülüyordu<sup>5</sup>. Rus Çarı I. Aleksandr bölgedeki Rusya politikasını “Kafkasya’da sağlam durmamız gerek” ifadesiyle belirledi<sup>6</sup>.

Osmanlı Devleti’ne gelince, Kafkasya onun için de çok önemli bir bölge idi. Osmanlı Devleti için bu bölgede hâkimiyet kurması yalnız burayı kontrol etmek değil, Orta Asya’da yaşayan Türk Dilli ve Müslüman halklarla kesintisiz temas yolu anlamına geliyordu. Ayrıca, İran’a karşı savaşlar döneminde Kafkasya Osmanlı Devleti için bir askeri üssü görevini de üstlenecekti<sup>7</sup>.

İngiltere ile Fransa’nın da Kafkasya üzerine kendi emelleri vardı. Uluslararası siyasetin önemli bir parçasına dönüşen “Kafkasya meselesi” XIX. yüzyılın başlarından beri “Doğu Meselesi’ne” bağlanmıştı.

Doğu Gürcistan’a yerleştikten sonra Rus İmparatorluk hükümeti Kafkasya’daki Müslüman Hanlıkların kendine bağlamayı ile onlar üzerine tesir kurmayı öncelikli bir görev olarak gördü. Bu hanlıklar Osmanlı ve İran arasında tartışma konusu olduğu için Osmanlı Devleti, Rusya’nın bu alanda genişlemesinden çok da rahatsız olmadı.

Kuzey Kafkasya’ya gelince bu dönemde buranın köylerinin mahalli idarelerinin bir kısmı Rusya’ya anlaşmalarla bağlanmıştı. Çar Hükümeti bununla yetinmedi ve dağ bölgelerini tamamen kendine bağlanmasını istedi. Bu durumda Rusya’nın mevcut etkisi artacak ve bölgeyi tahakkümü altına alacaktı.

1802’de Gürcistan Valisi olarak atanan Tsitsianov’a Batı Gürcistan Krallık ve Prenslüklerin Rusya’ya bağlanması ile Karadeniz sahilinde Rusya’nın durumunun daha da sağlam hale getirilmesi emredildi. Buna rağmen, Tsitsianov’a 1805’te yenilenen ve 1798’de imzalanan Osmanlı-Rus Anlaşması daha yürürlükte iken o dönemde Rusya’nın müttefiki olan Osmanlı Devleti’ni çok tahrik etmeden çok dikkatli davranması gerektiği de söylendi.

---

<sup>4</sup> И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 87-88.

<sup>5</sup> Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны. Государственный порядок. Россия и Кавказ, М., 2010, с. 33.

<sup>6</sup> И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 50.

<sup>7</sup> М. Komakhia, Turket-Rusetis Urtiertoba da Samkhret Kavkasia, sakartvelos Strategiuli Kvelevisa da Ganvitarebis Tsentri, Biuleteni, 66. Marti, 2002, gv. 3/M

Rusya, o dönemde ismen İmereti Krallığı'na bağlı, ancak resmen Osmanlı Devleti'ne tabi olan Odişi Prenslığı'ni kontrol altına almaya çok önem verdi. Buranın prensi Grigol Dadiani hem birisinden, hem de diğlerinden kurtulmaya ve kendi prensliğinin tamamen bağımsızlığa kavuşturması için gayret gösterirdi.

Rusya İmparatorluk hükümeti diplomatik kanallarla ekonomik ve siyasi sıkıntılar içerisindeki Osmanlı Devleti'nin protesto etmeyeceğini öğrenir öğrenmez Aralık 1803'te Samegrelo Prenslığı'ni kendi himayesine aldı<sup>8</sup>.

Rusya hiçbir sıkıntı yaşamadan Osmanlı Devleti'ni bu konuda nasıl ikna ettiği sorusu ilgiye değerdir. Bu durumu açıkladığımızda şunu belirtmek gerekir ki, Napoleon'un Mısır seferinden sonra, 1802 yılın başlarında Fransa ile Osmanlı Devleti arasında bir barış imzalandı. Ancak, Napoleon Bonaparte Osmanlı Devleti'nin parçalanması fikrinden henüz vazgeçmemişti. Rusya Napoleon'nu bu fikrine katılmıyordu ve Osmanlı Devleti'ni destekliyordu. Bu yüzden Rusya'nın Padişah III. Selim üzerinde büyük etkisi vardı<sup>9</sup>.

Buna rağmen, Osmanlı Devleti Karadeniz'in Güney-Doğu sahillerine Rus askeri birliklerinin gönderilmesine sıcak bakmadı. Poti (Faş) kalesinde bulunan Osmanlı birlikleri Rus gemilerini birkaç defa geri çevirdiler. Ancak, Ruslar Khobi Irmağı'nın denize döküldüğü yerde Kulevi adlı alternatif bir liman keşfedip müstahkem bir mevki inşa ettiler. Burası gerek Avrupalılar dilinde olan, gerekse Türkçe kelimelerin bitişik bir tarzını kullanarak Redut-Kale adıyla bilinir. Bu kale 1804'te inşa edildi ve Rusya'yı Güney Kafkasya'ya yalnız karadan değil de, denizden de bağladı. Burası bölgede bulunan askeri birliklerini iase ve mühimmatla daha kolay sağlamakla birlikte, Rusya için Osmanlı Topraklarına yakın olan bir hareket noktası halini aldı. (İleri zamanlarda Redut-Kale, Avrupa'dan gelen malları Ortadoğu'ya göndermek için geçiş noktasına dönüştürüldü).

Rusya İmparatorluğu güçlü Devlet-i Adliye'den daha XVIII. yüzyılın 60-90'lı yıllarında yani 1768-1774 ve 1787-1791 savaşlarında, "Osmanlı Devleti'nin iç gölü" denen Karadeniz ile kuzey sahillerini, Kırım Hanlığını elinden alıp buraları kontrol ederek Osmanlı Devleti'ni sıkıştırdı.

---

<sup>8</sup> Samegrelo Prenslığı'nın Rusya İmparatorluğu himayesine alınması fermanı 4 Temmuz 1804'te İmparator I Aleksandr tarafından Osmanlı Devleti'nden olumlu cevap gelmeden önce çıkarıldı. Resmen yürürlüğe ise Osmanlı Devleti tarafından Samegrelo Prenslığı'nde vazgeçtikten sonra girdi. Н. Дубровин, Закавказье от 1803-1806 года. СПб., 1866, с. 516.

<sup>9</sup> Л. Гальберштадт, Восточный вопрос.

[http://www.museum.ru/1812/Library/Sitin/book2\\_05.html](http://www.museum.ru/1812/Library/Sitin/book2_05.html)

Buna rağmen, 19. yüzyılın başlarında Osmanlıların hala Karadeniz'in doğu ve kuzeybatı kıyılarında kaleleri vardı ve Rusya'nın genişlemesini durdurmak için onları karakollara dönüştürdü.

Ruslar Poti (Faş) kalesini 1806'dan itibaren devam eden savaş döneminde 1809'da ele geçirdiler, ancak 1812 Bükreş Anlaşması gereğince geri vermek zorunda kaldılar. Devlet-i Aliye ile yapılan bir sonraki savaşta Rus Ordusu, Gürcü askeri birliklerinin katılımıyla Poti'yi daha bir kez ele geçirdi. Poti Kalesi 1829 Edirne Anlaşması gereğinde resmen Rusya'nın eline geçti. Bu anlaşmaya göre, önce Osmanlı Devletine ait olan, daha sonra ise Rusya'nın eline geçen Karadeniz'in doğu sahillerinde bulunan Sucuk-Kale ve Anapa da Rusya'ya terk edildi. Bunlar dışında Rusya bölgesinde Gagra Kalesi, Lazarev, Veliaminev Golovin kuleleri gibi mevkiiler inşa edip "Karadeniz hattı" nı kurdu.

Bütün bu adımlar yeni ilhak edilen toprakları korumak açısından önem arz ediyordu. Ancak, Rusya bununla yetinmiyordu, onun emperyalist hırsları daha uzağa girip Yakın Doğu'ya dayanıyordu. Doğuya nüfuz etmek için ise Akhaltsikhe'nin (Ahıska) yani doğunun kapılarından birisinin ele geçirmesi gerekiyordu. Dekabristlerin önemli ideologlarından birisi olan M. Lunin siyasi açıdan Akhaltsikhe'nin ele geçirilmesinin Paris'in ele geçirilmesinden daha önemli olduğunu vurgulamıştı. "Kafkasya'nın fethi, memleketin gelecekteki kaderi ve haysiyeti için önemli bir konudur" ifadesi ona aittir.<sup>10</sup>

Romanovların imparatorluğu Kafkasya'ya geldiğinde bu toprakların büyük kısmı üzerine henüz nüfuzunu sağlamamış durumdaydı. O zaman, Rus hükümeti Kuzey Kafkasya'yı hem bölgesel genişleme, hem de ekonomik çıkarlar açısından önemli bir stratejik bölge olarak görüyordu.<sup>11</sup>

19. yüzyılın ilk çeyreğinde İran ile Osmanlı'ya karşı Savaşı'nı kazandığında ve Güney Kafkasya'daki konumunu güçlendirdiğinde, Çar hükümeti Kuzey Kafkasya'ya saldırılarını yoğunlaştırdı. Ancak, buraların fethi zaman açısından uzadı. Kafkasya Bölgesi'nin Rusya için özel bir önemi olduğunu imparatorluğun bu savaşı yürütmek için devasa gelirlerinden yaklaşık altıda birinin harcamasından anlamak mümkündür.<sup>12</sup>

---

<sup>10</sup> Я. Гордин, Кавказская Атлантидаю 300 лет войны. [https://www.e-reading.club/chapter.php/1017147/2/Gordin\\_-\\_Kavkazskaya\\_Atlantida\\_300\\_let\\_voyny.html](https://www.e-reading.club/chapter.php/1017147/2/Gordin_-_Kavkazskaya_Atlantida_300_let_voyny.html)

<sup>11</sup> Л. Шатохина, Политика России на Северо-Западном Кавказе в 20-60-е годы XIX века. Тема диссертации и автореферата, М., 2000. <https://www.dissercat.com/content/politika-rossii-na-severo-zapadnom-kavkaze-v-20-60-e-gody-xix-veka>

<sup>12</sup> <http://russian7.ru/post/zachem-rossiyskaya-imperiya-zavoevala-k/>

Kafkasya'nın fethi için yapılan kalıcı savaşta Rusya yaklaşık 25.000 insan kaybetti, 65.000'den fazla kişi yaralandı ve sakatlandı. Düzenli ordunun saldırılarını özverili bir şekilde püskürten dağlılar ise çok daha fazlasını feda etti.<sup>13</sup>

Rusya, Kafkasya'nın yerel halklarıyla iyi komşuluk ve normal ilişkilerde bulunmasını kabul edilemez bir durum olarak değerlendiriyordu. Emperyal hükümeti tavizlerini bir zayıflık olarak görürdü. Bölge nüfusunun dini veya kültürel kimliğini hiçe sayardı, onurunu ve ulusal haklarını çiğnerdi.<sup>14</sup> Genişleme sürecinde Kafkasya'nın dağ vadilerinde tarif edilemez zulümler yapılırdı. Yerel halk acımasızca katledildi veya evlerini terk etmeye zorlandı, köyler yerle bir edildi ve işgal altındaki bölgelere Kazaklar ya da Rus sömürgecileri yerleştirildi.

Özgürlüğü seven Kafkasyalılar bu durumu kabul etmeyip Rus İmparatorluğu'na karşı ayaklanıyorlardı. Bunu da belirtmek gerekir ki, güçlü devletlerin olağan ve pragmatik politikaları göz önüne alındığında, Osmanlılar da Kafkas halklarıyla uzlaşmanın yollarını aramıyorlardı ve bölgedeki emperyalist hırslarından vazgeçmek istemedikleri görünür. Kayıp mevkiileri yeniden kazanmak için Osmanlılar, Güney veya Kuzey Kafkasya'da Rusya'ya karşı yapılan ayaklanmaları destekliyorlardı.<sup>15</sup> 1810 yılında Akhaltsikhe Paşası Şerif'in Sultan II. Mahmud'un rızasıyla Rus İmparatorluğu'ndan kaçmak için mücadele eden İmereti Kralına 3.000 Türk ve Dağıstanlı asker ile yardım ettiği bilinir.<sup>16</sup> Gürcistan'da sömürgeciliğe karşı ayaklanan komutanların pek çoğunun Osmanlı'ya sığındığı da bilinmektedir. Bunlardan İmereti'nin son Kralı II. Solomon'un (1810), torunu İvane Abaşidze'nin (1820), Vakhtang Bagrationi'nin (1820), Guria Prensi Mamia Gurieli'nin eşi Sopio'nun ve diğerlerinin durumunun anlatması da oluşan durumu yeterince kadar açıklar.

---

<sup>13</sup> В. Бакланов, Российская колониальная экспансия на Северном Кавказе и ее последствия. [http://historick.ru/view\\_post.php?id=144&cat=15](http://historick.ru/view_post.php?id=144&cat=15)

<sup>14</sup>Yerli halk için Rus idare sistemi ile hukuku yabancı ve kabul edilemezdi. Bu sisteme karşı olan fikirler, yazar A. Kazbegi'nin "Yansın hukuk ile kanunlarınız" şeklindeki sloganyla ifade edilir

<sup>15</sup>Rusya tarafından aynısı Hristiyanların yaşadığı Balkanlar'da da yapılırdı. Kendisi bunları Devlet'i Aliye'ye karşı kıskırtıyordu. A Concise History of the Armenian People (From Ancient Times to the Present). Fifth Edition Completely Revised. George A. Boumoutian. Mazda Publishers Inc. Costa Mesa, California 2006, p. 197

<sup>16</sup> M. Khomeriki, İmereti Krallığı'nın Feshi, 1819-1820 Yılları Başkaldırmalar ve İmereti Bagrationları, Tifl., 2012.<http://www.nplg.gov.ge/gsd//cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4---0-11-11-ru-00---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.11&d=HASH3894363b59fa0975bfc70b.1.3>



1806-1812 Rus-Osmanlı Savaşı'nda Adigeyler Osmanlı Devleti'nin yanında saf tuttular ve Rusya'ya karşı çıktılar.<sup>17</sup> Osmanlılar, ayrıca Akhaltsikhe Paşası ile Azerbaycan Hanlarını Rusya'ya karşı kıskırttılar.<sup>18</sup> Bu savaşta Gürcü Halkı'nın sadece bir kısmı Ruslarla yan yana savaştı. İkinci kısmı ise (II. Solomon, Aleksandre Batonişvili vb.) Çarlığın yenilgisini Gürcistan'ın özgürlüğünün bir koşulu olarak görüyorlardı ve bunun için de askeri güçlerini hazırlıyorlardı.

Rusya ile bir sonraki savaşta, Osmanlılar Kafkas dağlarının Gürcistan'a saldırımları için provokasyonlara başvurdu, bu da Çari Bölgesi (Dağıstan'ın bir bölgesi) yağmacılarının Kakheti köylerine birkaç defa saldırması ve Rus birliklerine karşı çatışmalarla sonuçlandı. Osmanlıların desteğiyle, 1828'de Rus hükümetine karşı bir Karaçay-Çerkes protestosu düzenlendi, ancak Kafkasya'daki büyük çaplı Rus karşıtı ayaklanma gerçekleşmedi. Rus ordusu safına savaşan yerli "Halk Ordusu" birliklerinin sayısı (Kabardaylılar, Çeçenler, İnguşlar, Dağıstanlılar, Gürcüler, Azerbaycanlılar, Ermeniler, Osetyalılar) Müslüman süvari alayları da dahil olmak üzere 8-10 bin kişiden fazlaydı.<sup>19</sup>

Kırım Savaşı sırasında yani 1855 savaş kampanyasında, Güney Kafkasyalılar dışında Kafkasya Kolordusu'nda 30 bin kadar Dağıstanlı, Kuzey Osetyalı, Kabardalı ve Kuzey Kafkasya'nın diğer halklarından oluşan askeri birlikleri Rusya lehine savaşırlardı.<sup>20</sup>

Osmanlılarla yapılan başarılı savaşlar sonucunda Rusya, Kafkasya sorununu kendi lehine çözdü.<sup>21</sup> İran ile Osmanlıları bölgeden ihraç etti ve bölgede tek başına hüküm sürdü. Rus İmparatorluğu'nun hem Kafkasya bölgesindeki, hem de uluslararası alandaki gücü önemli ölçüde arttı.

Rus tarih bilimi, Osmanlılara karşı yapılan savaşları Kafkasya'nın kurtuluşu olarak göstermiş, Türk tarih biliminde ise aynı olaylar haksızlık ve bu toprakların Rusya tarafından işgali olarak değerlendirilmiştir.

---

ზვიად გამსახურდიას შემდეგ ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის მოსვლამ რეგიონში თურქების მიმართ რადიკალური პოლიტიკა შეცვალა. შევარდნაძემ დათბობის პოლიტიკა აირჩია და ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებთან დადებითი ურთიერთობები დაამყარა. აზერბაიჯანის ხელისუფლებაში ჰეიდარ ალიევის მოსვლის შემდეგ შევარდნაძისა და ალიების ახლო მეგობრობის გამო საქართველოს თურქები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 2004 წელს ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, რომლის მთავრობამაც თურქების მიმართ პოზიტიური პოლიტიკის გატარება გააგრძელა. სააკაშვილის პოლიტიკის გამო რეგიონის თურქულ მოსახლეობას და განსაკუთრებით პროვინციებში მცხოვრებ ნაწილს, სახელმწიფოს მიმართ უფრო მეტი ნდობა გაუჩნდა. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის მეორე ვადის განმავლობაში უფრო აქტიურად დაიწყო არჩევნებში მონაწილეობა. 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ ისინი პოლიტიკაშიც ჩაერთნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში სახელმწიფოსა და ბორჩალოელ თურქებს შორის პრობლემები არ წარმოქმნილა, რეგიონიდან გადასახლებულთა რიცხვი მაინც დიდია. მიგრაციას ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები იწვევს. ბორჩალოელი თურქები ძირითადად რუსეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში მიდიან. 90-იანი წლების დასაწყისში თურქები ნაკლებად ერთვებოდნენ საჯარო სამსახურში. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თურქების მიმართ გატარებული შეცვლილი პოლიტიკის შემდეგ ჩვენ ვხედავთ მდგომარეობის ცვლილებას. 2016 წელს საპატლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში თურქული წარმომომობის 4 დეპუტატი მოხვდა - 1 ოპოზიციური და 3 სახელისუფლო პარტიებიდან.

### **განათლების დონე**

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მიუხედავად რაოდენობისა, ბორჩალოელი თურქები სახელმწიფო სამსახურში საკმარისად არ არიან წარმოდგენილი. რადგან საბჭოთა კავშირის მრავალეროვან სტრუქტურაში სახელმწიფო ენა იყო რუსული, ყველას - ქართული, სომხური და

თურქული წარმოშობის მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად ემუშავათ სხვადასხვა უწყებაში. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფო ენა ბუნებრივად გახდა ქართული და ამ ენის უცოდინარმა მოქალაქეებმა მუშაობის საშუალება დაკარგეს. ბორჩალოში მცხოვრები თურქების დიდმა ნაწილმა კი ქართული ენა არ იცის. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ისინი ვერ ხედავდნენ ქართული ენის შესწავლის აუცილებლობას საბჭოთა კავშირის პირობებში, სადაც სახელმწიფო ენა რუსული იყო. 2008 წლამდე თურქები ვერ სწავლობდნენ უნივერსიტეტებში ენობრივი ბარიერის გამო. უნივერსიტეტის მისაღები გამოცდები ქართულად ტარდებოდა, რაც ბორჩალოელ თურქებს ბარიერს უქმნიდა. ხელისუფლებაში სააკაშვილის მთავრობის მოსვლის შემდეგ განათლების პრობლემის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამ პერიოდის შემდეგ ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს უფლება მიეცათ გამოცდები მშობლიურ ენაზე ჩაებარებინათ. ამგვარად ბორჩალოელი თურქებიც გავიდნენ ამ გამოცდებზე და უმაღლესი განათლების მიღება დაიწყეს იმ პირობით, რომ სწავლის პირველ წელს გაივლიდნენ მოსამზადებელ კურსს ქართულ ენაში. დღეისთვის ბორჩალოელი თურქები სახელმწიფო უნივერსიტეტებში ეუფლებიან პოლიტოლოგიას, მედიცინას, იურისპუნდენციას, ისტორიას, ლიტერატურას, დასავლურ და აღმოსავლურ ენებს და სხვა. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაონ როგორც კერძო სექტორში, ისე დაიკავონ თანამდებობები სახელმწიფო უწყებებშიც.<sup>10</sup>

ბორჩალოს სკოლებში სახელმძღვანელოების ნაწილი ქართულადაა, ნაწილი თურქულად. მასწავლებლებს და მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ თარგმანში არსებული შეცდომების გამო. სკოლებში ქართულთან ერთად ასწავლიან ინგლისურს და რუსულს, როგორც უცხო ენებს. რეგიონის მოსახლეობისთვის დიდი დანაკლისია, ის რომ ბორჩალოში არ არის თურქულენოვანი ბაგა-ბაღები. ბორჩალოელი თურქებისთვის კიდევ ერთი პრობლემაა ისტორიისა და ლიტერატურის გაკვეთილები. ბოლო წლებში შემცირდა აზერბაიჯანულ/თურქული ლიტერატურის გაკვეთილები.

### **სხვა დასკვნები**

იმ რეგიონებში, სადაც თურქები უმრავლესობას წარმოადგენენ, კულტურის ცენტრების რაოდენობა საკმარისი არ არის. ეს კი რეგიონის ახალგაზრდა თურქებს როგორც საკუთარი, ისე ზოგადი კულტურის

---

<sup>10</sup> Okan Yeşilot, Serdar Oğuzhan Çaycıoğlu, “Borçalı Türklerinin Problemleri” *Bozkırın Oğlu Ahmet Taşağıl'a Armağan*, İstanbul, Yeditepe Yayınları, 2019, s. 622.

დეფიციტს უქმნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე ერთეულის გარდა თურქულ რეგიონებში არ არის სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. ასევე დიდ ხარვეზს წარმოადგენს ბიბლიოთეკების და პროფესიული სასწავლებლების არარასებობაც. ბორჩალოში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უფრო მეტი კურსების გახსნა კულტურულ და სოციალურ სფეროში, რაც მოაგვარებს რეგიონის მოსახლეობის პრობლემებს. შესაძლებელია ასევე გაიხსნას ხალხური საკრავების, ხალხური ცეკვების, თეატრისა და სხვა კურსები.

ბორჩალოში ქალებისთვის შესაძლებელია პროფესიული განათლების და ხელოვნების კურსების ორგანიზება. იმიტომ რომ რეგიონში ქალთა დასაქმებისთვის სამუშაო არ არის. ქალების დიდ ნაწილს აქვს სურვილი იმუშაოს ან რაიმე საქმით დაკავდეს. ამისათვის შესაძლებელია დაარსდეს ასოციაციები ან სახელოსნოები, სადაც საშუალება იქნება ისინი დაკავდნენ ქარგით, ქსოვით, ტანსაცმლის და აქსესუარების დამზადებით და სხვა. ბორჩალოელ ქალებს შეუძლიათ აწარმოონ მსგავსი ნაწარმი. ქალების განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდისთვის საჭიროა სახელოსნოების გახსნა.

### **ბორჩალოელი თურქების რელიგიური სტატუსი**

ბორჩალოში მცხოვრები თურქების უმრავლესობა სუნიტები არიან და ჰანაფიტურ მაზჰაბს მიეკუთვნებიან. ნაწილი კი შიიტი ჯაფარიტები არიან. შიიტური თემის მეჩეთებს ახუნდი, ხოლო სუნიტებისას იმამი მართავს. ქვემო ქართლის ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებისა და აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტურია, მარნეულის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში კი შიიტები და სუნიტები თანაბრად არიან წარმოდგენილი. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში შიიტები და სუნიტები ძირითადად შერეულად ცხოვრობენ. საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს კარგი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ. შიიტები და სუნიტები თბილისში ერთი და იგივე მეჩეთში დადიან და ერთდროულად ლოცულობენ. თუმცა ირანიდან და არაბეთიდან რეგიონში ჩამოსული რადიკალი შიიტები და ვახაბიტები ცდილობენ, რომ ბორჩალოელი თურქები ერთმანეთს დაუპირისპირონ მაზჰაბების დონეზე. ასეთმა ვითარებამ შეიძლება დაარღვიოს საქართველოს მუსლიმების ერთიანობა და მთლიანობა. ამან შეიძლება წარმოშვას ახალი საფრთხე საქართველოსთვის, რადგან შეიძლება მოხდეს მუსლიმთა შეხედულებების ცვლილება და მათი რადიკალიზაცია.

ბორჩალოს სოფლებში, რომლებიც ძირითადად სუნიტებით არის დასახლებული, მეჩეთების რაოდენობა საკმარისი არ არის. სოფელში

მეჩეთის აშენების მსურველ მუსულმან მოსახლეობას, გარკვეული სირთულეების გადალახვა უწევს. რეგიონის მოსახლეობა ჩივის, რომ როდესაც ისინი ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას ინდივიდუალურად ან მოსახლეობის მიერ შეგროვილი თანხით, მათ უწევთ გრძელი ბიუროკრატიული პროცესის გავლა. ხალხი ითხოვს, რომ ძველი ეკლესიების განახლების და ახალის აშენების პროცესის ადვილად წარმოებასთან ერთად მიიღონ მეჩეთების აშენების და რესტავრაციის ნებართვაც და მხარდაჭერაც.<sup>11</sup>

### **ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობა**

ბორჩალოს რეგიონში თურქების საარსებო წყაროები იცვლება მუნიციპალიტეტისა და სოფლების გეოგრაფიული პირობების მიხედვით. ძირითადად, თურქების საცხოვრებელი ადგილები, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგია. მარნეულისა და ბოლნისის სოფლებში მოყავთ კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ლობიო და სხვა კულტურები. ისეთი დიდი ქალაქების ბაზრებში, როგორცაა თბილისი და რუსთავი, თურქების მოყვანილი ბოსტნეული და ხილი იყიდება. ზემოთხსენებულ მუნიციპალიტეტებში თურქები იყენებენ სათბურებს, რათა ბაზარში ნაადრევად მოყვანილი პროდუქტი გაიტანონ.

ბორჩალოს ზოგიერთ სოფელში მეფუტკრეობასაც მისდევენ. თუმცა ძველი მეთოდებით მოქმედებენ. თუ მეფუტკრეობის თანამედროვე მეთოდებით განხორციელებას ექნება მხარდაჭერა, მოიმატებს პროდუქციაც და უფრო მოიმატებს მისი ხვედრითი წილი ეკონომიკაშიც. მეფუტკრეობა რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ან არასამთავრობო ორგანოებმა გლებებს აღმოუჩინონ დახმარება, რათა მათ საქმე უფრო გაცნობიერებულად გააკეთონ. ბორჩალოელი თურქებისთვის მეცხოველეობაც შემოსავლის ისეთივე მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც მიწათმოქმედება. გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, ისევე როგორც ბორჩალოს მთიან და ფერდობიან სოფლებში, მეცხოველეობა ფართოდ არის გავრცელებული. რეგიონში ჯერ კიდევ მოქმედებს საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ტრადიცია. მეცხოველეობით დაკავებული ბორჩალოელი თურქების ძირითადი პრობლემა საძოვრებია.

<sup>11</sup> Yeşilot, "Borçalı Türklerinin Problemleri" *Bozkırın Oğlu Ahmet Taşağul'a Armağan*, s. 625.

ბორჩალოელი თურქებისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა უმუშევრობა. რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ აზერბაიჯანში, თურქეთში, რუსეთში და ბოლო პერიოდში ევროპის ქვეყნებში. ზოგიერთ ოჯახს კი თურქეთში, რუსეთსა და აზერბაიჯანში გადასახლებული ნათესავების გამოგზავნილი თანხით გააქვს თავი. რეგიონის მოსახლეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ბანკებიდან გამოტანილი კრედიტები.<sup>12</sup>

საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები შესაბამისად აისახება ბორჩალოელი თურქებით დასახლებულ რეგიონზეც. როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ეკონომიკური სიდუხჭირე ამ რეგიონშიც ხელს უშლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც განიცდიან ბორჩალოელი თურქები, უკავშირდება სოფლებში სარწყავი და სასმელი წყლის ნაკლებობას. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სახელმწიფო არხებით, მიწისქვეშა წყლების სოფლებამდე მიყვანითა და არტეზიული ჭების გახსნით. ამ პრობლემის მოგვარებაში შეიძლება ჩაერთონ კერძო კომპანიები და ისეთი საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორცაა TİKA. ბორჩალოს რეგიონში ქალაქების შიდა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია.

საქართველოში თურქებით მჭიდროდ დასახლებულ ყველაზე ხალხმრავალ და ყველაზე დიდ მუნიციპალიტეტს - მარნეულსა და გარდაბანს შორის ჩამოედინება მდინარე მტკვარი და ამ მიზეზით ამ ორ რაიონს შორის პირდაპირი მიმოსვლა არ ხორციელდება. ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში მოხვედრა მხოლოდ ქალაქ რუსთავის გავლით არის შესაძლებელი. ამის გამო რეგიონის მოსახლეობა 5 კმ მანძილის გასავლელად 50 კმ გზის გავლა უწევს. მარნეულსა და გარდაბანს შორის კავშირის არარსებობა, ორივე რეგიონში მრავლად მცხოვრები ბორჩალოელი თურქების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებს აზარალებს. ხსენებულ მუნიციპალიტეტებს შორის მდინარე მტკვარზე ხიდის აშენებით ზემოთ ხსენებული პრობლემები მოგვარდება. ხიდის აშენები რეგიონში მცხოვრები თურქების ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას გამოაცოცხლებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკაში.<sup>13</sup>

<sup>12</sup> Yeşilot, “Borçalı Türklerinin Problemleri” *Bozkırın Oğlu Ahmet Taşağıl’a Armağan*, s. 630-631.

<sup>13</sup> Yeşilot, “Borçalı Türklerinin Problemleri”, *Bozkırın Oğlu Ahmet Taşağıl’a Armağan*, s. 633.



## დასკვნა

ჩვენ შევეცადეთ მიმოგვეხილა ის ვითარება, რომელიც არსებობს ბორჩალოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და განათლების სფეროში. საჭიროა, რომ თანმიმდევრულად ჩატარდეს ღონისძიებები ბორჩალოელი თურქების განათლების დონის ასამაღლებლად, საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში მათი ჩართვისთვის. საქართველოს სახელმწიფოს გასაძლიერებლად საჭიროა ამ სახელმწიფოს ერთი ნაწილის - თურქების მდგომარეობის გამოსწორებაც. ზემოთ აღნიშნული პრობლემები საქართველოს სხვა რეგიონებსაც ახასიათებს, გარდა რამდენიმესი, რომელიც ბორჩალოს რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. ძლიერი საქართველო რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოს მთავრობას ქვეყნის საზღვრებში მცხოვრებ თურქებთან დაკავშირებით, თურქეთთან და აზერბაიჯანთან უფრო ახლო ურთიერთობის დამყარება შეუძლია. მსგავსი სახის ურთიერთობებს შეუძლია ბევრი პრობლემის მოგვარებას შეუწყოს ხელი. ამასთანავე შესაძლებელია თანამშრომლობა ხსენებული ქვეყნების და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქართველოში მცხოვრებ თურქებს შეუძლიათ შეისწავლონ ქართული ენა და დაიკავონ თანამდებობები როგორც კერძო სექტორში, ისე სახელმწიფო სამსახურში. გვახარებს, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა იმ თურქების რაოდენობა, რომლებიც იღებენ საუნივერსიტეტო განათლებას და ჩაერთვნენ პოლიტიკურ პროცესებში. თურქეთის რესპუბლიკას ახარებს, რომ მეგობარ და მოკავშირე საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრობს ერთიანი და ეკონომიკურად განვითარებული თურქი ერი. სსრკ-ს დაშლის შემდგომ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკამ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და იყო ერთერთი პირველი ქვეყანა, ვინც აღმოუჩინა დახმარება საქართველოს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. და კვლავაც აგრძელებს დახმარებას.

## შიდა ქართლის მოსახლეობა XVIII ს.\_ XIX ს. დასაწყისის ქართული, ოსმალური და რუსული აღწერების მიხედვით

ასოცირებული პროფესორი იოსებ ალიმზარაშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### მოკლე შინაარსი

სტატიაში გადმოცემულია შიდა ქართლის (დღევანდელი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებისა და ცხინვალის, ახალგორის და ყორნისის ოკუპირებულ ტერიტორიები) მოსახლეობის დინამიკა XVIII ს. 20-იანი წლებიდან XIX ს. დასაწყისამდე (1804 წ.).

შედარებული განხილული და გაანალიზებულია, როგორც ადგილობრივი, ისე ოსმალური და რუსული ხელისუფლების მიერ მოცემულ წლებში ჩატარებული და ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა აღწერა და მისი შედეგები.

ამ აღწერათაგან თითოეული გარკვეულ მიზანს ატარებდა. ქართლისა და კახეთის მეფეებისა და მამა-შვილის: თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ინიციატივით XVIII ს. 50-70-იან წლებში ჩატარებული ხალხთა აღწერის დავთრები სამხედრო ხასიათისაა და მორიგე ჯარში, ყარაულსა და სამდევროებში გამომსვლელებს ეხება. „თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი” ოსმალ ხელისუფლების დაკვეთითაა შედგენილი მათი ქართლში ბატონობის დროს (1723-1735 წწ.) შემოსავლის დადგენის მიზნით და გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას, გადასახადების რაოდენობას და სახეებს წარმოადგენს. რუსული ხელისუფლების მიერ 1804 წლის კამერალური აღწერის ჩატარება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევა, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ ორჯერ გადატანილი (1797 და 1800 წლებში) შავი ჭირის ეპიდემია, ქვეყნიდან გადასახლებულ ბაგრატიონთა და მათ ერთგულ თავადთა მფლობელობაში მყოფი გლეხთა რაოდენობის დადგენა, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიაში მომხდარი ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური ცვლილებები და სხვ.

ამასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში, გარდა რუსული აღწერისა, მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობაა აღწერილი და მთლიანი მოსახლეობის (არ ჩანს ქალები, ბავშვები, მოხუცები, გადასახადებიდან თავისუფალი კატეგორიები და სხვ.) სრულყოფილ სურათს ვერ

იძლევა. ასეთ შემთხვევაში მკვლევრები იძულებულნი არიან ე. წ. შედარებით მეთოდს მიმართონ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, აღწერები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის შიდა ქართლის ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების, მოსახლეობის ეთნიკური, სოციალური და რელიგიური შემადგენლობის, ტოპონიმიკის, გვარების, გადასახადების სახეობების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** შიდა ქართლი, მოსახლეობის აღწერა, ქართული დავთარი, ოსმალური დავთარი, რუსული დავთარი.

## **XVIII-XIX. Y.Y. GÜRCÜ, OSMANLI VE RUS NÜFUS SAYIMI DEFTERLERİNE GÖRE ŞIDA KARTLI BÖLGESİ AHALİSİ**

**Doç. Dr. İoseb ALIMBARAŞVİLİ**  
**Gori Devlet Eğitim Üniversitesi**

### **ÖZ**

Bu bildiri XVIII. yüzyılın ilk çeyreğinden XIX. yüzyılın başlarına (1804) kadar Şida Kartli bölgesinin (günümüz Gori, Kaspi, Kareli, Khaşuri ve işgal altında bulunan Tskhinvali, Akhalgori ile Kornisi ilçeleri) nüfus dinamiği tetkik edilmiştir.

Yukarıda bahsedilen tarihlerde yerel, Rus, Osmanlı hükümetleri tarafından yapılan ve günümüze kadar muhafaza edilen nüfus sayım belgeleri karşılaştırılarak incelenmiştir.

Anılan defterlerden her biri belli bir amaçla tutulmuştu. Kartli ve Kakheti Kralları ve baba oğul olan II. Teimuraz ile II. Erekle'nin girişimleriyle XVIII. yüzyılın 50-70'li yıllarında ortaya konulan nüfus sayım defterleri askeri amaçla tutuldu ve nöbet, devriye ve takipçi birlikleriyle ilgilidir. "1728 Tiflis Vilayeti'nin Mufassal Defteri" Osmanlı Hükümeti tarafından Osmanlı'nın Kartli'de hâkimiyet sürdüğü zamana denk geliyor (1723-1735) ve bölge gelirini belirlemek için tutulmuştu. Defterde vergi ödeme kapasitesi olan nüfusun sayısı, vergi türü ile miktarı belirlenmiştir. 1804'te Rus hükümeti tarafından yapılan nüfus sayımı birkaç sebepten dolayı kaynaklanmıştı: 1795'te Ağa Muhammed Han'ın istilası, 1797 ile 1800 yıllarında meydana gelen veba hastalığı, ülkeden ihraç edilen Bagrathlılar ile onlara sadık olan derebeylere ait köy nüfusu sayısının belirlenmesi, toplumun farklı tabakalarında meydana gelen idari, sosyal, dini değişimler v.s.

Şu hususu da belirtmek gerekir ki Rusça yapılan nüfus sayımı haricinde bütün diğer sayım defterlerinde yalnız erkekler gösterilmiştir. Burada toplumun diğer (bayan, çocuk, yaşlılar, vergiden muaf tutulanlar v.s.) üyelerinden bahsedilmediği yüzünden nüfusun tam sayısının tespit edilmesi mümkün değildir. Bu durumdan dolayı araştırmacılar karşılaştırmalı metotlara başvurmak zorundalar.

Yukarıda bahsedilen nüfus sayımı defterlerinden XVIII. ile XIX. yüzyılda Şida Kartli bölgesinin ekonomik, demografik, nüfusun etnik, sosyal ve dini durumu, yer adları, soy adlar ile vergi türleri hakkında belli bir bilgi edinmek mümkündür.

**Anahtar Kelimeler:** Şida Kartli, nüfus sayımı, Gürcü Defteri, Osmanlı Defteri, Rus Defteri.

## **POPULATION OF SHIDA KARTLI ACCORDING TO GEORGIAN , OTTOMAN AND RUSSIAN CENSUSESIN THE BEGINNING OF XVIII - XIX CENTURY**

**Associate Professor Ioseb ALIMBARASHVILI**  
**Gori State Teaching University**

### **ABSTRACT**

The article deals with the population dynamics of Shida Kartli (today's occupied territories of Gori, Kaspi, Kareli, Khashuri and Tskhinvali, Akhagori and Kornisi) from the 20s of the XVIII century to the beginning of the 19th century (1804).

Almost all the censuses and their results which were carried by the local authorities as well as the Ottoman and Russian ones in these years and are compared, reviewed and analyzed.

Each of these descriptions served a specific purpose. The censuses of the 1750s and 1770s carried out under the initiative of the kings of Kartli and Kakheti: Teimuraz II and his son Erekle II are of a military nature and refer to those who serve in the army. The "Great Book of Tbilisi Vilayet of 1728" is compiled by the Ottoman authorities during their domination of Kartli (1723-1735). Its purpose is to determine their income and represents the taxpaying population, the amount and the types of taxes. The census of 1804 by the Russian authorities was due to several reasons: the invasion of Aga-Mohammad-Khan in 1795; the epidemic of black plague twice (1797 and 1800) in the last seven years; to define the number of peasants belonging to Bagratians and their followers exiled from the country; the administrative, social and religious changes that covered different categories of population and so on.

However, in all of the above documents, with the exception of the Russian census, only the male population is described and do not provide a complete picture of the entire population (women, children, elderly, tax-exempt categories, etc.). In this case the researchers are forced to use so called a comparative method.

Despite the foregoing, the censuses give us some idea about the economic and demographic situation of the XVIII and the early XIX century's ethnic, social and religious composition of the population, toponyms, surnames and the types of taxes.

**Keywords:** Shida Kartli, Population description, Georgian Count it, Ottoman Count it, Russian Count it.

დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ტერმინი შიდა ქართლი (უწინდელი ზემო ქართლი), აღმოსავლეთიდან იწყება კასპიდან, მისდევს მდინარე ქსანს ბოლომდე, სამხრეთის საზღვარი მისდევს მდინარე მტკვარს, ჩრდილოეთით „კავკასს“, ხოლო დასავლეთით მდ. ძირულას იქით კოლბეურის მთამდე, რომელიც ჩრდილოეთით პერანგას მთამდე მიჰყვება<sup>1</sup>. დღეისათვის იგი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებისა და ცხინვალის, ახალგორის და ყორნისის ოკუპირებულ ტერიტორიებს მოიცავს.

სამწუხაროდ, XVIII საუკუნისა და წინა პერიოდის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გავაჩნია. მოსახლეობის აღწერების დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული თითოეული დოკუმენტი სპეციფიკური ხასიათისაა და კონკრეტულ მიზანს ემსახურება. მაგ., 1715 წ. „რუისის სამწყსოს დავთარი“ რელიგიური შინაარსისაა (მროველის მართლმადიდებელ სამწყსოს წარმოადგენს და შემომწირველი მოსახლეობის ასახავს XVIII ს. 10-იან წლებში), „თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი“ ოსმალთა ხელისუფლების დაკვეთითაა შედგენილი მათი ქართლში ბატონობის დროს (1723-1735 წწ.) შემოსავლის დადგენის მიზნით და გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას, გადასახადების რაოდენობას და სახეებს წარმოადგენს, ქართლისა და კახეთის მეფეებისა და მამა-შვილის: თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ინიციატივით XVIII ს. 50-70-იან წლებში ჩატარებული ხალხთა აღწერის დავთრები სამხედრო ხასიათისაა და მორიგე ჯარში, ყარაულსა და სამდევროებში გამომსვლელებს ეხება.

ამასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობაა აღწერილი და მთლიანი მოსახლეობის (არ ჩანს ქალები, ბავშვები, მოხუცები, გადასახადებიდან თავისუფალი კატეგორიები და სხვ.) სრულყოფილ სურათს ვერ იძლევა. ასეთ შემთხვევაში მკვლევრები იძულებულნი არიან ე. წ. შედარებით მეთოდს მიმართონ.

XVIII საუკუნის I ნახევარში ქართლის მოსახლეობის შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ორ აღწერას. ესენია: „1715 წ. „რუისის სამწყსოს დავთარი“ და „თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი“.

---

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 364/

„რუისის სამწყსოს დავთარი” XVIII ს. დასაწყისის შიდა ქართლის ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების, მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, ტოპონიმის, გვარების, გადასახადების სახეობების შესახებ საინტერესო წყაროა.

დავთარი სულ 84 სოფლისა და 1839 კომლის აღწერას მოიცავს, მაგრამ სამწყსოს ცენტრის - რუისის აღწერა მასში არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სრული სახით არ შემოგვრჩა, მოცემული გვარების ფუძეთაგან ცხადი ხდება, რომ ქართლში მოსახლეობის აქტიურ მოძრაობას აქვს ადგილი (მეგრელი მამუკა, ჯავახი ელისე, იმერელი სუხა, მრატველი გიორგი, აჭარაძე გოჩა, დვალი გოგია, მესხი თამაზა, მეხატურაშვილი (იგივე მესხი ასატურაშვილი - ი. ა.) გიორგი, ნასყიდა და სხვ.). გვარებიდანვე ჩანს მათი სოციალური წარმომავლობა და პროფესია (მჭედელი დათუნა, მეზვერე იორდანე, ხარატი ივანე, ოქრომჭედელი დათუნა, მენაბდიშვილი ქავთარა, დალაქი გოგია, ბუში ივანე, მოურავი გუგულა, ხატისკაცი გელია, მღვდელი გოგია). გადასახადების სახეები (დრამა, საწირავი, დანი, სახუცო) და ფორმები (მარჩილი).

მოსახლეობის მოძრაობა ჩანს შემდგომი აღწერების მასალებთან შედარებითაც. მაგ., „რუისის სამწყსოს დავთარში”, დირბში მითითებული 50 კომლიდან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან: ეგნატაშვილი (3 კომლი), გაბრიელაშვილი (2), ერაძე (2), ნიადაგიშვილი (3), ჯანუაშვილი (2), ნანუჩაშვილი (2), ანანიაშვილი (2)<sup>2</sup>.

იგივე დირბში, 60 წლის შემდეგ (1774 წ.), ერეკლე II-ის „მორიგე ჯარის” დავთრის მიხედვით, აბსოლუტურად სხვა გვარები გვხვდება: მაგლობლიშვილი, ქვრივიშვილი, ტეტუნაშვილი, მურაჩაშვილი და მხოლოდ ერაძე (3) მეორდება. ამავე დოკუმენტით, დირბელი მღებრის გოგიას ძმა სულხანა უკვე გორიჯვარშია დაფიქსირებული<sup>3</sup>.

არადეთში 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში” ჩანან: იშხნელიშვილი (5 კომლი), თოდაძე (3), მირიანაშვილი (2)<sup>4</sup>, ხოლო 1774 წელს არადეთიდან „მორიგეში” უნდა გამოსულიყვნენ ძამარაშვილი, კაპანაძე, ჩაჩანიძე, სულხანიშვილი, წიწვანიძე (თუმცა, ისინი თილვადან გადმოსულან)<sup>5</sup>.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა, 2015, გვ. 11-13.

<sup>3</sup> იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ., 1947, გვ. 343

<sup>4</sup> რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 8-9.

<sup>5</sup> იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, გვ. 34

ეთნიკური თვალსაზრისით, სამწყსოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქართველია. მხოლოდ ორი ოსია (ოთია და ლაზარე) მითითებული თიღვაში და ერთიც (ოთია) ახალსოფელში. მაშინ, როცა, ერეკლე II-ის 1774 წლის „მორიგე ჯარის“ დავთრებში ოსები „ხიზნებად“ უკვე მრავლად ჩანან: „ხიზანი ჯერანასშვილი ივანე“. „ხიზანი მეწისქვილე ხითარა“. „ხიზანი ბარაჩასშვილი თამაზა“ და სხვ.

საინტერესოა „რუისის სამწყსოს დავთრის“ გეოგრაფია. იგი იწყება სოფ. არადეთიდან. მოიცავს მდ. ფრონეს, ფცისწყლის, დვანისწყლის, ალისწყლის, სურამისწყლის, ხეფინისხევის სოფლებს და სოფ. ვაყათი მთავრდება. ისტორიულად იგი საამილახვროს, საციციანოს, საავალიშვილოს, სააბაშიოს, საამირეჯიბოს, მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილის საუფლისწულოებს მოიცავს, ხოლო თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით: ქარელის, ხაშურის და ბორჯომის რაიონებს.

მნიშვნელოვანია გადასახადების რაოდენობა და სახეები, რომელიც თითოეული სოფლის მოსახლეობის აღწერის დასკვნით ნაწილებშია განმარტებული. გათვალისწინებულია სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობანი, მოსახლეობის გადამხდელუნარიანობა, კატეგორია, დამსახურება და სხვ. მაგ., დავთრის პირველივე სოფლის არადეთის მოსახლეობა (37 კომლი) იხდიდა: „დრამას ბოგანო<sup>6</sup> ნახევარ კოდსა: და სხვა სრულს კოდს<sup>7</sup> იღებენ: ამათ სახუცო მარჩილი<sup>8</sup>, ე. ი. თანამედროვე გადაანგარიშებით, მოსახლეობა არადეთში იხდიდა „დრამის“ გადასახადს მარცვლეულის სახით, კომლზე 75 კილოგრამს.

(შესაბამისად, ეკონომიკურად შეჭირვებული (ბოგანო ანუ უმიწაწყლო) მის ნახევარს - დაახლ., 34 ვგ.-ს.), „სახუცოს“ - თანხის სახით, კომლზე დაახლ., 12 აბაზს და დამატებით 10 კაპიკს („უზალთუნს“). ანალოგიური იყო „დრამის“ გადასახადი სალოლაშენის 8 კომლიანი მოსახლეობისათვის. სამაგიეროდ, ისინი შედარებით ნაკლებს, 6 „შაურს“ (30 კაპ.) იხდიდნენ „სახუცოს“. „სახუცო“ გადასახადი სხვადასხვა რაოდენობის იყო („ათი აბაზი“, „ექვსი აბაზი“, „ოთხი აბაზი“, „ათი შაური“ და

<sup>6</sup> უმიწაწყლო გლეხი.

<sup>7</sup> ჭირნახულის საწყაო ძველ საქართველოში, უდრიდა 4-5 ფუთს, ანუ დაახლ. 73-75 კგ.

<sup>8</sup> სულხან საბას მიხედვით, მარჩილი არის სამი აბაზი ოთხი და უზალთუნი (=10 კაპ.). იხ: სულხან-საბა შორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, *ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ*, თბ., 1993. გვ. 247

სხვ.) სოფლებისათვის, იმისდამიხედვით, იხდიდნენ თუ არა ისინი „დრამის“ გადასახადს. სამწუხაროდ, სიებში გვარ-სახელების გასწვრივ მითითებული არ არის კატეგორია, ანუ მოსახლე „ბოგანოა“ თუ არა, რაც ამნელებს სამწყსოს მთლიანი შემოსავლის დადგენას.

ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს „რუისის სამწყსოს დავთართან“, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარია“, რომელიც ოსმალური ხელისუფლების (სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.)) დავალებით შეიქმნა და გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის აღწერას ისახავდა მიზნად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი დოკუმენტი, გარკვეულწილად, ერთმანეთს ავსებს. თუ „რუისის სამწყსოს დავთარი“ რეგიონში არსებული მოსახლეობას, გვარებს, სოფლებს ასახავს, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური კატეგორიების, ამა თუ იმ სოფელში მოსახლეობის კლება-მატების შესახებ გვამღვეს ინფორმაციას. მაგ., სოფ. ქვიშეთის აღწერაში ვკითხულობთ: „მიწის დღიური მფლობელი - 100; მიწის თავისუფალი მფლობელი - 120; სამეუფო ველის დღიური მფლობელი - 40”<sup>10</sup> (მფლობელებად სავარაუდოდ კაცი იგულისხმება ი.ა).

გარდა ამისა, ოსმალთა მიერ დაწესებული გადასახადები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა იყო ეკონომიკური გადასახადების სფერო: თამბაქო, ხილი, ცხენი, საქონელი, ტყვე ქალ-ვაჟი, კრამიტისანი სახლები, კერძო საკუთრებაში მყოფი სავაჭურო ჯამეები, მტკვარზე დაჭერილი თევზი, ბაღ-ვენახები, მდინარეებზე აგებული წისქვილები, საბაჟოებიდან, ბორნებიდან, ზარაფხანებიდან მიღებული შემოსავალი. თითოეული სოფლის გასწვრივ მითითებულია გადასახადის სახე (ისფენჯი, უშირი, დონუმი, დემთიბანი), რაოდენობა (ქერი, ჭკავი, ხორბალი, ფეტვი, თივა, ერბო, სკა, ცხვარი, ღორი) და სხვ.

ამასთან, ოსმალური ხელისუფლება ითვალისწინებდა მოსახლეობის გადამხდელუნარიანობას, ცდილობდა ზომიერების დაცვას და ადგილობრივ ფეოდალებსაც მოუწოდებდა ზედემეტი ხარჯებით მოსახლეობის აყრა, გაქცევა, ან სხვა ადგილებში გადასახლება არ გამოეწვიათ. მაგ., ისაყ ფაშა<sup>11</sup> 1732 წელს მამუკა მუხრანბატონს აფრთხილებს: „მერმე შენის

<sup>10</sup>1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, *ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ*, თბ., 2009, გვ. 254.

<sup>11</sup> ისაყ-ფაშა, გვარად ჯაყელი - ახალციხის ფაშა და ქართლის გამგებელი, თბილისის ვალი, ოსმალეთის სამთულთან ვეზირი 1727-1735 წლებში.



აზნაურისშვილს რატიშვილს სოფელი მხანდაკი ან სხვა სოფელი აყრილი იყოს, ყველა მოაგროვე და ნურავის გააცარცვინებ ...თუ წართვა ვინმე, მწვედ გარდავახდევინებთო“<sup>12</sup>. ამავე ხანებში ისაყ-ფაშა ქართლის სხვა დიდებულს გივი ამილახვარს მოუწოდებდა: „მერმე ამ ბეჟან თუმანი-შვილის გლეხი სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენი კაცი გაგზავნეთ და ისევ თავის მამულზედ მოიყვანეთ. ნურაის კაცი თავის მემკვიდრეს გლეხს ნუ დაუჭერენ, თორემ პასუხს ვეღარ მოგვცემენ, ისევ თავის სამკვიდროს მამულში ხნას და თესოსო“<sup>13</sup>.

„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარსა“ და „რუისის სამწყსოს დავთარს, შორის სხვაობა სულ 13 წელია. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა აღწერაში გვარები მითითებული არ არის<sup>14</sup> ხსენებული დოკუმენტების შედარება გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა. „რუისის სამწყსოს დავთრის“ სოფლები „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია, როგორც „სამილახვროს ნაჰიე გორის საყადოში“ და 84-დან 60-ზე მეტი სოფელი მეორდება, თუმცა, ოსმალურ დოკუმენტში აღარ ჩანს სოფლები: მდავი, წიფლითი, ოჟორა, არამგამა, ბალთა, ჭვირინი... ხრტანა ხრტანედ ქცეულა, ატოცი ატუცად და სხვ. სამაგიეროდ, „თბილისის ვილაიეთის დავთარში“ მოხსენიებულია „ახალი“ სოფლები: უწლევი, წაღვლი, ბადნო, წირეთი<sup>15</sup>.

ხაშურში, „რუისის სამწყსოს დავთრის“ მიხედვით, 15 გადასახადის გადამხდელი კომლია<sup>16</sup>, ამდენივე კომლი ჩანს „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარშიც“<sup>17</sup>. იტრიაში „რუისის სამწყსოში“ 42 გამო-მღები იყო<sup>18</sup>, ამავე სოფელში უმნიშვნელოდაა შემცირებული მოსახლეობა (37 კაცი) „თბილისის ვილაიეთის დავთარში“<sup>19</sup>. სამაგიეროდ, მროველის სამწყსოსთან შედარებით, ოსმალურ დოკუმენტში თითქმის ორჯერაა

---

<sup>12</sup> იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 2011, გვ.215.

<sup>13</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, თბ., 1910, გვ. 419, დოკ. 442.

<sup>14</sup> როგორც ცნობილია, ოსმალეთში გვარებით მიმართვა მიღებული არ იყო და „გვარების კანონი“ მხოლოდ მოგვიანებით, მუსტაფა ქემალ ფაშას (ათათურქის) მიერ იქნა მიღებული 1934 წელს.

<sup>15</sup> შესაძლოა, ეს იყოს „რუისის დავთრის“ წიფლითი.

<sup>16</sup> რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 90.

<sup>17</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 266

<sup>18</sup> რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 71.

<sup>19</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 273

გაზრდილი გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა ოსიაურში (შესაბამისად, 28 და 69 კაცი)<sup>20</sup>.

„რუსის სამწყსოს დავთარში“ ხაშურში დაფიქსირებულნი არიან აბიაშვილი ბადურა და აბიაშვილი ოთარი<sup>21</sup>, რომლებიც, სავარაუდოდ, მამა და შვილნი უნდა იყვნენ. მხედველობაში გვაქვს „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იმავე ხაშურში მოხსენიებული: „ოთარ ძე ბაჩყასი“<sup>22</sup>. ჩვენი აზრით, ქართული „ბადურა“ და ოსმალური „ბაჩყა“ ერთიდაიგივე პირს უნდა ასახავდეს.

ანალოგიური შემთხვევები ზემოთ მოყვანილ ორ დოკუმენტში სხვაგანაც მრავლად გვხვდება. „რუსის სამწყსოს დავთარში“ ქვიშხეთში მოხსენიებულნი არიან მჭადაშვილები თამაზა და თევდორე<sup>23</sup>. „თბილისის ვილაიეთის დავთარში“ იმავე ქვიშხეთში დაფიქსირებულია: „თამაზა ძე დათუნასი“ და „თედორე ძმა მისი“<sup>24</sup>. ანუ, თამაზა და თევდორე მჭადაშვილები ძმები ყოფილან. მსგავსი მაგალითები გვაქვს ამავე სოფელში მამა-შვილ ივანე და დათუნა ბლუაშვილებთან. თევდორე და თამაზა კიკნაძეების შემთხვევაში ოძისში.

ხსენებული ორი დავთრის შედარებით, არა მხოლოდ მამა-შვილის, ან ძმების, არამედ თაობების დადგენა შესაძლებელი. მაგ., რუსის სამწყსოში ოძისში მოხსენიებულნი არიან კიკნაძეები ნასყიდა, ესიტა და ბერია<sup>25</sup>. „თბილისის ვილაიეთის დავთრით“ ვიგებთ, რომ ბერი და ესიტა (ოსმალურ დოკუმენტში დაფიქსირებულია „ესია“ - ი. ა.) ძმები არიან, ხოლო ნასყიდა მათი მამაა („ბაჯითა ძე ნასყიდასი, ბერი ძე მისი, ესია ძმა მისი“)<sup>26</sup>. მსგავსი ვითარება გვაქვს ოსიაურში იამანიძეებთან და სხვ.

კიდევ ერთი პარალელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთი დოკუმენტის დახმარებით, მეორე დოკუმენტში დასმულ კითხვას გაეცეს პასუხი. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაფიქსირებულია შემდეგი დასახლებული პუნქტი: „სათესველი ჩალა სოფელ თეზირთან, იგი ახლოსაა ლებგურთან“<sup>27</sup>. „რუსის სამწყსოს დავთარში“ კი ვკითხულობთ: „ჭალის სოფელს ზემო“, შემდეგ მოსდევს მხოლოდ

---

<sup>20</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 266-267

<sup>21</sup> რუსის სამწყსოს დავთარი, გვ. 91.

<sup>22</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 266

<sup>23</sup> რუსის სამწყსოს დავთარი, გვ. 84.

<sup>24</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 253

<sup>25</sup> რუსის სამწყსოს დავთარი, გვ. 67.

<sup>26</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 271

<sup>27</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 257

კომლთა ჩამონათვალი სოფლის სახელწოდების გარეშე (თეზირი?) და გრძელდება „ლუბრმათი“<sup>28</sup>. ამ შემთხვევაშიც, ქართული „ლუბრმა“ და ოსმალური „ლებგური“ ერთიდაიგივე სოფელს უნდა ნიშნავდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელთა ხშირი დამთხვევებიც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ერთიდაიგივე პირებთან გვაქვს საქმე:

„რუისის სამწყსოს დავთარი 1715“	„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარი“
„ჭალის სოფელს ზემო“	„სათესველი ჩალა სოფელ თეზირთან“
ქადაგიშვილი გივი	გივი ძე ბილარასი
ხმალაძე ბერი	ბერი ძე ადილარასი
კიკაძე შიო	შიო ძე მისი
ხარშილაძე ბერი	ბერი ძე აჩიკ ბაშისა

დღეისათვის ზემოთ დასახელებული სოფლები (თეზირი და ლუბრმა) აღარ არსებობს. ამდენად, მნიშვნელოვანია ოსმალურ დოკუმენტში მოცემული ლოკალიზაცია, რომელიც გვაუწყებს: „ხსენებული სოფლის საზღვარი იწყება ტაშისკარის მისადგომებთან. მდინარე მტკვრის ნაპირით, გორაკთან არსებული ციხით საციციანომდე ზედა მხარემდე გაივილის, იგი მთაწმინდის კომპლექსამდე აღწევს. იქიდან ჰაჯის გორაკამდე ვრცელდება იქიდან კი თავქვე ეშვება. ჰაჯი სუს ცხელი ადგილებით მიემართება. იქიდან კი მტკვრის ნაპირით აღმა მიუყვება იგი ტაშისკარის მისადგომებთან მთავრდება“<sup>29</sup>. ანუ, დღევანდელი განფენილობით, სოფელი თეზირი ტაშისკარსა და ქვიშხეთს შორის მდებარეობდა.

გარდა ამისა, ოსმალური დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაცია იძლევა ქართული ქალაქ-სოფლების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თაობაზე. მაგ., ცხინვალში მითითებულია: 180 დღიური მიწა, 15 დღიური ვენახი, 20 თვალი ღუქანი, 112 ბალი, 1 ეკლესია<sup>30</sup>, ვარიანში: სამეუფო ველის დღიური მფლობელობა - 20; ველი მეჰმედის ხელში

<sup>28</sup> რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 93-94.

<sup>29</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 258.

<sup>30</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 358.

დღიური მფლობელობა - 20; მიწის დღიური მფლობელობა - 50; სამეუფო ვენახის დღიური მფლობელობა - 5<sup>31</sup> და სხვ.

ასე, რომ ზემოხსენებული ორი დავთრის შედარებითი ანალიზი ბევრ საინტერესო კითხვას სცემს პასუხს.

როდესაც „რუისის სამწყსოს დავთარს“, იოანე ბატონიშვილის მიერ 1794-99 წლების „ქართლ-კახეთის აღწერას“ ვუდარებთ, საუკუნის ბოლოს, დვანის წყლის სოფლებიდან უკვე აღარ გვხვდება: *ქვემო და ზემო ძვიმლეითი, მდავი, სამება, სურამისწყალზე ძვისი*<sup>32</sup> და სხვ.

ძნელბედობის კვალი დოკუმენტის შინაარსიდანაც ჩანს. მაგ., სოფ. „სატივეს“ გვერდით მითითებულია: „*აყრილია ბევრი. თუ მოვლენ ყველა მეტი უნდა მოგვეცნ. სახუცო და დრამა. ესე და ახალსოფელი*“<sup>33</sup>. იგივე მეორდება სოფ. ქემფერთან. ციხისძირის გასწვრივ კომლთა ჩამონათვალში მხოლოდ ნუმერაცია მისდევს და გამოტოვებულია ხუთი ადგილი და სხვ.

ადგილი აქვს ტოპონიმების ეტიმოლოგიურ ცვლილებებსაც. „რუისის დავთრის“ „წიფლეთი“ იოანე ბატონიშვილთან უკვე „მწიფლისია“, ხოლო „ხრტანა“ „ხტონად“ ქცეულა.

რაც შეეხება რუსული ხელისუფლების მიერ 1804 წელს ჩატარებული პირველ კამერალურ აღწერას, იგი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ ორჯერ გადატანილი (1797 და 1800 წლებში) შავი ჭირის ეპიდემია, ქვეყნიდან გადასახლებულ ბაგრატიონთა და მათ ერთგულ თავადთა მფლობელობაში მყოფი გლეხთა რაოდენობის დადგენა, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური ცვლილებები და სხვ.

ე. თაყაიშვილის განმარტებით, მხოლოდ რუისის ეპარქიაში 1800 წლისათვის 46 სოფელი ირიცხებოდა, როდესაც XVIII ს. 10-იანი წლებისათვის იმავე ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხვი ორჯერ მეტი ყოფილა<sup>34</sup>.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთში დროებითი მმართველობა გაუქმდა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით იგი ხუთ

<sup>31</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 373.

<sup>32</sup> იოანე ბაგრატიონი. „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 41-43

<sup>33</sup> იოანე ბაგრატიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, გვ. 42.

<sup>34</sup> რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 5.

მაზრად დაიყო: თბილის-ლორეს, გორისა და დუშეთის (ქართლში), თელავის და სიღნაღის (კახეთში). ზემოთ ჩამოთვლილი მაზრებიდან, მოსახლეობის რაოდენობითა და ფართობით გორის მაზრა ყველას აღემატებოდა<sup>35</sup>, მისმა ტერიტორიამ 5280 ვერსი<sup>36</sup> შეადგინა<sup>37</sup>.

აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისათვის და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე 1806 წელს სახაზინო ექსპედიციისათვის გენერალური უწყება შედგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, რომლის მიხედვით, სულ აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ რეგიონებში (აღწერა არ შეხებია მთიულეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს) აღირიცხა 153, 6 ათასი. ხოლო გორის მაზრაში 33, 4 ათასი გადამხდელი<sup>38</sup>.

აღწერა მოიცავს იმდროინდელი გორის მაზრის 189 სოფლის შესახებ მასალებს და აღწერილია მდ. მტკვრის, ფრონის, ლიახვის, თეძმის, ლეხურის, ძამას, ძირულას, ჩხერიმელას და ა. შ. მონაპირე სოფლები.

მაზრის 189 სოფელში აღრიცხული საბატონო და სახაზინო გლეხთა რაოდენობა შეადგენს 3823 კომლს (24561 სულს). აქედან 13855 მამაკაცია, ქალი – 10706<sup>39</sup>. ანუ, გენდერული ბალანსი მამაკაცების სასარგებლოდაა 56% - 44%-ზე, რაც იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

აღწერის მიხედვით, მაზრაში ყველაზე მეტი ყმები ჰყავთ ამილახვრებს - 245 კომლი, რომლებიც, ძირითადად, კონცენტრირებულნი არიან მათ რეზიდენციაში, სოფ. ქვემოჭალაში. ციციშვილებს ყველაზე მეტი ყმა ჰყავთ ქარელში, თუმანიშვილებს - ხელთუბანში, ბერბუკსა და ახალდაბაში, ფავლენიშვილებს - ნიქოზსა და ხვითში და სხვ.

ყმათა ვალდებულება შემამულეთა მიმართ, ძირითადად, გამოიხატება ბეგართა და ღალით. ბეგარა კვირაში ორ დღეს ფიზიკური შრომაა

---

<sup>35</sup> სხვა ტერიტორიების გარდა, იმ დროისათვის გორის მაზრაში, „ნარას უჩასტკის“ სახელით, შედიოდა დვალეთის ისტორიული მხარეც, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ 1859 წელს ჩამოაცილა და თერგის ოლქს გადასცა 3581 კვადრატული კილომეტრი ფართობის ოდენობით.

<sup>36</sup> ვერსი – რუს. [Версть] – ძვ. რუსული საზომი სისტემა, უდრის 1,06 კმ-ს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

<sup>37</sup> Обозрения Российских владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПб 1836, გვ. 36

<sup>38</sup> საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს.58, ფ. 1-78

<sup>39</sup> იოსებ აღიმბარაშვილი. გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, # 17; თბ., 2019, გვ. 82.

(კომლზე 1 კაცი). ღალის სახით გლეხები მებატონის სასარგებლოდ იხდიან პურის მოსავლის მეექვსედს, ან მეშვიდედს და წელიწადში ოთხჯერ დიდ უქმეებზე კომლზე ერთ ქათამს. ზოგან (ცხინვალში, ატოცში, ავნევიში, შერთულში, მოხისში, ხოვლეში და სხვ.) საგადასახადო ვალდებულებები გამოხატულია ფულადი ფორმითაც. საეკლესიო გლეხთა ვალდებულებაში ასევე შედის ცვილისა და საკმეველის დამზადება. სადაც მოსახლეობა გადახდისუუნარო და ბოგანოა, იხდიან შეძლებისდაგვარად, ან მებატონის სურვილის მიხედვით.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობა. შიგადაშიგ მისდევენ მეფუტკრეობას, თევზჭერას, წვრილმან და ხე-ტყით ვაჭრობას, რომელსაც მდ. მტკვრის საშუალებით აცურებენ და თბილისში ჰყიდიან. ცხინვალსა და ატოცში აქვთ სამღებროები, სავაჭრო ჯიხურები. დასახლებული პუნქტების უმრავლესობაშია წყლის წისქვილი, მათ შორის, ორი და სამთვლიანიც.

მართალია, 1804 წლის აღწერაში ყმათა ვინაობა დასახელებული არ არის, მაგრამ ქრონოლოგიური სიახლოვის ქართულ აღწერებში, ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება. მაგ., 1804 წლის აღწერაში სოფ. მერეთში აზნაურ გოგია ფურცელაძის ყმათა რაოდენობაში მითითებულია 28 კომლი ქართველი<sup>40</sup>. 1781 წლის ცხინვალის მხარის მოსახლეობის აღწერის დავთარში ამავე სოფელში მითითებულნი არიან ფურცელაძე გოგიას ყმები: გლახა, ნინია, სვიმონა ტიელიძეები, პეტრია, ღვთისია, გოგია გიორგიშვილები, პაპუნა, ბერიკა და დათუა მახარაშვილები, ბერი და გლახა ელიაშვილები<sup>41</sup> და სხვ.

ზოგიერთ ადგილას მოქალაქეებს გვარის ფორმად მითითებული აქვთ ხელობა, ან სადაურობა: ალექსი ნალბანდი, ოჰანეზ ფეიქარი, პეტრე კალატოზი, ნონია მებაღე, ბაღდასარ უფლისციხელი, ივანე ყარაბაღელი, ოჰანეს განჯელი და სხვ., ხოლო ნაწილს - მხოლოდ სახელი: გრიგოლი, აბაზა, სოლომონი, გასპარა და ა. შ.

---

<sup>40</sup> აპოლონ თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 98.

<sup>41</sup> აპოლონ თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 85.

იგივე სიტუაცია გვაქვს ერედში<sup>42</sup>. კარში<sup>43</sup>, ხეთში<sup>44</sup> და სხვ.

XIX ს. დასაწყისიდან გორმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. როგორც კი განელდა მტრის მოულოდნელი თავდასხმის შიში, მოსახლეობამ თანდათან ზღუდე მოშალა და ქალაქის მახლობლად არსებული ტერიტორიების ათვისება დაიწყო<sup>45</sup>. ბუნებრივია, იზრდებოდა მისი მოსახლეობაც. თუ XVIII ს. დასაწყისში გორში დაახლ. 380 კომლი ცხოვრობდა, 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით, უკვე 500 კომლი ჩანს<sup>46</sup>. თუმცა, 1770 წლიდან – 1804 წლამდე გორის მოსახლეობა ზრდის ნაცვლად, 100 კომლით შემცირდა და 1135 სული შეადგინა<sup>47</sup>.

აღწერიდან ჩანს, რომ, გარდა წვრილმანებით ვაჭრობისა, გორში ამ დროისათვის უკვე ყოფილან მესანთლები, მექუდეები, მჭედლები, ტყავის ოსტატები, დალაქები, მექალამნეები, ფეიქრები, აღვირის, ბორბლის, იარაღის მკეთებლები და სხვ. აღწერაში წარმოდგენილ გორის ვაჭარ-ხელოსანთა რიგებში, გარდა ქართველებისა და სომხებისა, ვხედავთ რუსებს, ოსებს, ებრაელებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც.

აღწერაში ცალკეა მითითებული ახალგორის მოსახლეობა, სადაც 71 კომლი სომეხი და 6 კომლი ქართველი ჩანს (243 მამაკაცი, 176 ქალი, სულ 419 სული). გვარ-სახელებიდან გამომდინარე, სომხების უმეტესობაში აქაც უნდა ვიგულისხმოთ გრიგორიანი ქართველები.

როგორც ცნობილია, ქართველების „გასომხების“ ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასული სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლდებოდა<sup>48</sup>. ერეკლე II-მ „მორიგეში“

<sup>42</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 187-188, დოკ. 78.

<sup>43</sup> გსიემ, 7486, გვ. 92.

<sup>44</sup> იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ., 1947, გვ. 3.

<sup>45</sup> ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია II, (1801-1921), თბ., 2019, გვ. 7.

<sup>46</sup> ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, # 1, გვ. 146.

<sup>47</sup> ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია II, გვ. 92. სხვათა შორის, თბილისის მოსახლეობა 1781 წლიდან 1803 წლამდე 18,3%-ით შემცირდა. თუმცა, თბილისის მოსახლეობის კლების თვალსაზრისით გადამწყვეტი ფაქტორი ადა-მაჰმად-ხანის შემოსევამ განაპირობა, რომელმაც დედაქალაქიდან მარტო 10 ათასამდე ტყვე წაიყვანა (ს. კაკაბაძე. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა. „საისტორიო მოამბე“, ტფ., 1925. წიგნი II, გვ. 31)..

<sup>48</sup> მთავარეპისკოპოსი ანანია ჯავარბიძე. ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, გვ. 34;

გამოცხადებაზე მკაცრი კონტროლი დააწესა, მაგრამ „აღებ-მიცემობის კაცნი“ და დუქნის პატრონები „ბადალის“ (შემცვლელის) პირობით თავისუფლდებოდნენ<sup>49</sup>. მართლაც, ერეკლეს დროინდელი დავთრების მიხედვით, ახალგორიდან „მორიგეში“ გამოსულებს საცხოვრებელ ადგილად სხვა პუნქტი აქვს მითითებული.

ახალგორის მოსახლეობა 1804 წლისათვის მნიშვნელოვნად ჩანს შემცირებული XVIII ს. 70-იან წლებთან შედარებით. 1770 წლის 5 აპრილის ნუსხით, ახალგორში 140 კომლია დაფიქსირებული<sup>50</sup>. ე. ი. 34 წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა 63 კომლით შემცირებულა.

აღწერიდან ჩანს, რომ XIX ს. დასაწყისში არაგვისა და ქსნის ხეობების ზემო წელში მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდაა. ეთნიკურობის მიხედვით, დიდ უმრავლესობას ქართველები და ოსები წარმოადგენენ. არის მთლიანად ოსური სოფლებიც, მაგრამ რეგიონში მაცხოვრებელ ქართულ მოსახლეობას ისინი რაოდენობით ჯერ კიდევ ორჯერ ჩამოუვარდებიან. თუმცა, თვით ოსური სოფლების დასახელებები: „საბარკლეთი“, „ველისი“, „ციხე“, „ცხრა-წყარო“ და სხვ., ცხადყოფს მათ წარმომავლობას და თავდაპირველ მოსახლეობას. ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ხეობებში, ქართველი მოსახლეობისაგან ქსნის ხეობის დაცლის ძირითადი მიზეზი გახშირებული ლეკიანობა და ცხოვრების უკეთესი პირობებისაკენ სწრაფვა იყო. 1804 წლისათვის არაერთი ქართული სოფელი ხეობაში უკვე დაცლის პირასაა მისული, მაგ., საქართვეში 5 კომლია (32 სული) ცხოვრობს, ახალდაბაში - მხოლოდ 3 (46 სული), კარელთ-კარში - 7 (40), მიდელაანთ-კარში - 8 (68) და ა. შ.

ხსენებული ტერიტორიების ქართულ სოფლებში XIX ს. ბოლოსათვის, ქართველების ხარჯზე ოსურმა მოსახლეობამ მნიშვნელოვნად მოიმატა. მაგ., თუ 1804 წლის აღწერით სოფელ ჭურთაში მთლიანად ქართველები არიან მითითებულნი (9 კომლი, 54 სული)<sup>51</sup>, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, იმავე ჭურთაში 7 კომლი ჩანს 84 მაცხოვრებლით, მაგრამ

---

<sup>49</sup> სოსო ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 54.

<sup>50</sup> ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 146.

<sup>51</sup> გსიემ, 7486, ქსნის საერისთაოს 1804 წ. აღწერა გვ. 105.



მთლიანად ოსები არიან <sup>52</sup>. 1804 წელს ლოროში 6 კომლი და 35 სული ქართველია<sup>53</sup>, 1886 წლისათვის სოფლის მოსახლეობა 14 კომლამდე და 126 სულამდე გაზრდილა, მაგრამ ყველა ოსია <sup>54</sup>.

მოსახლეობის მატება გორის მაზრაში 75 წლის განმავლობაში (1728-1804 წწ.) ოსმალური და რუსული აღწერების შედარების საფუძველზე, თვალნათელია. მაგ., მხოლოდ მამაკაცების რაოდენობა ცხინვალში 205 კაციდან 563 კაცამდე გაზრდილა<sup>55</sup>, ქემერტის - 24 კაციდან - 63-მდე<sup>56</sup>, თამარაშენის - 70-დან-202-მდე<sup>57</sup> და სხვ.

## დამოწმებული საარქივო დოკუმენტები, წყაროები და ლიტერატურა BIBLIYOGRAFYA

### ა) საარქივო დოკუმენტები

გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი გსიემ,  
7486

საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს.58, ფ. 1-78

### ბ) წყაროები და ლიტერატურა

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, *ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ*, თბ., 2009.

---

<sup>52</sup> *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г.*, Тифлисская губерния, Душетский уезд, Тифлиси 1893, №1705

<sup>53</sup> გსიემ, 7486, ქსნის საერისთაოს 1804 წ. აღწერა გვ. 63. .

<sup>54</sup> *Свод статистических данных...*, Тифлисская губерния, Душетский уезд, 1696.

<sup>55</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 258; იოსებ ალიმზარაშვილი. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, ხელნაწერი, გვ. 607.

<sup>56</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 363; იოსებ ალიმზარაშვილი. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, ხელნაწერი, გვ. 608.

<sup>57</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 359-360; იოსებ ალიმზარაშვილი. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, ხელნაწერი, გვ. 609.

ალიმბარაშვილი იოსებ. გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, # 17; თბ., 2019.

ალიმბარაშვილი იოსებ. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, ხელნაწერი.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 2011.

ალიმბარაშვილი სოსო. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008.

ბაგრატიონი იოანე. „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

გამრეკელი ვახტანგ, ცქიტიშვილი ზურაბ. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, # 1.

თაბუაშვილი აპოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013

თაყაიშვილი ექვთიმე. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა, 2015.

თაყაიშვილი ექვთიმე. საქართველოს სიძველენი. ტ. III, თბ., 1910.

კაკაბაძე სარგის. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა. „საისტორიო მოამბე“, ტფ., 1925. წიგნი II.

ლორთქიფანიძე იასე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ., 1947.

მამისთვალიშვილი ელდარ, გორის ისტორია II, (1801-1921), თბ., 2019.

ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.

ჯავახიშვილი ივანე. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974.

ჯაფარიძე ანანია. ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1999

Обозрения Российских владений за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПб 1836.

Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлиси 1893.

Büyük Gürcü tarihçi ve coğrafyacı Vakhuti Batonishvili'ye göre, Şida Kartli (eski adı Zemo Kartli) sınırı Kaspi'nin doğusundan başlayıp Ksani nehrini sonuna kadar takip ederdi. Güney sınırı Kür nehrini takip eder, kuzeyde Kafkas Dağları'nı, Batı'da Dzirula nehrinin ötesinde bulunan Kolbeuri Dağı'na Kuzey'de Peranga Dağı'na kadar giderdi<sup>1</sup>. Günümüzde Şida Kartli bölgesi Gori, Kaspi, Kareli, Khaşuri ilçeleri ile Rus işgali altında bulunan Tskhinvali, Akhgori ve Kornisi bölgelerini kapsar.

Ne yazık ki XVIII. yüzyıl ve önceki dönemlerde Gürcistan nüfusu hakkında kesin verilerimiz yoktur. Bize ulaşan belgelerin her biri spesifiktir ve belirli bir amaca hizmet eder. Örneğin, “Ruisis Samtskxos Davtari (Ruisi Piskoposluk Merkezi'ne Bağlı Nüfus Defteri)” dini amaçlıdır (Bu Defter Mroveli lakabını taşıyan piskoposun Ortodoks cemaati üzerine tutulmuş olup 1710 yıllarında kiliseye bağış yapan nüfusu anlatır), 1728'de Osmanlı Devleti tarafından “Tiflis Vilayeti'nin Mufassal Defteri” vergi toplamak amaçla tutulmuş ve içinde vergiye tabi tutulan nüfusun sayısı, verginin miktarı ile çeşitleri yansımıştır. Kartli ve Kaheti Kralları olan baba-oğul II. Teimuraz ve II. Erekle'nin girişimiyle XVIII. yüzyılın 50-70'li yıllarında tutulan nüfus sayım defterleri askeri niteliğinde olup görevli, nöbet ve takipçi askerler üzerinedir.

1560 წლის ამბების თხრობისას შერეფ ხანი ყვება, რომ კახეთის დედაქალაქ ზაგემის<sup>94</sup> გამგებლის, ლევან ხანის შვილმა ისამ ისლამი მიიღო. ამის გამო შაჰ თამაზმა მას შეკის ვილაიეთის მმართველობა ჩააბარა. სახელად ისა ხანი ეწოდა. შაჰი ახლადმოქცეულ ისა ხანს, რომელსაც მისი მმართველობის ქვეშ მყოფი რეგიონიდან 7000 თუმანი შემოსავალი ჰქონდა, „წმინდა შვილს“ უწოდებდა. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ სიამაყე შეეპარა და უმადურობის გამო საქართველოში გაპარვა განიზრახა, მაგრამ შეიპყრეს და შაჰის ბრძანებით ალამუთის ციხეში გამოკეტეს. (1563 წლის 11 იანვარი).<sup>95</sup>

მალე სიმონ ხანმა კვლავ დაიკავა მამის ადგილი და ქართლში საკუთარი მმართველობა დაამყარა. სიმონის ძმა დავითი 1564 წელს დახმარების მიღების მიზნით ყაზვინში ჩავიდა, წარსდგა შაჰის წინაშე და აცნობა, რომ ისლამი მიიღო. შაჰმა კი მისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით უსტაჯალუ ჰაჯი ფაქიჰლუს ტომიდან ქარინჯაოლლუ შაჰყული სულთანის თბილისისკენ გაგზავნა.<sup>96</sup>

ამბავი, რომელზეც შეგვიძლია ვისაუბროთ შაჰ თამაზის პერიოდის სეფიანურ წყაროების მიხედვით, არის სიმონის მიერ ძმის დავითის განდევნა და თბილისში აჯანყების დროშის აფრიალება. 1568 წელს აჯანყების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ შეკის გამგებელი ჩერქეზი შამხალ სულთანი, იბრაჰიმ ხალიფე ალფავუთი და ალი ყული ბეგი ყაჯარი ქართველების წინააღმდეგ გააგზავნეს. ამ დროს დავითი სეფიანთა მხარეს იდგა. შედეგად ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს, სიმონი ტყვედ ჩავარდა, იგი დედაქალაქ ყაზვინში ჩაიყვანეს და შაჰს წარუდგინეს. შემდეგ შაჰის ბრძანებით სიმონი ალამუთის ციხეში გააგზავნეს, სადაც 1576 წლამდე დარჩა.<sup>97</sup>

XVI საუკუნის მემატიანე შერეფ ხანი 1570 წლის მოვლენების აღწერისას აღნიშნავს, რომ ქართველი ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე წარსდგა

<sup>93</sup> *Kızılbaşlar Tarihi Tarih-i Kızılbaşan*, s. 92 ve n. 158; İskender Bey Türkmen, s. 89; Kadı Ahmed el Kumî, s. 370-372, 384, 420-421; Cihanbahş Sevâkıb, s. 189.

<sup>94</sup> Nebi Gümüş, 2000, s. 265.

<sup>95</sup> Şeref Han, *Şerefname*, s. 215, 220; Abdi Beğ Şirâzi, s. 110, 115.

<sup>96</sup> *Kızılbaşlar Tarihi Tarih-i Kızılbaşan*, s. 47; Mustafa Aydın, “Tiflis”, *DİA*, c. 41, s. 151; Nebi Gümüş, 2000, s. 209.

<sup>97</sup> İskender Bey Türkmen, s. 90; Kadı Ahmed el Kumî, s. 558-559; Cihanbahş Sevâkıb, s. 189-190; Abdi Beğ Şirâzi, s. 129.



შაჰ თამაზის წინაშე და მიაღწია დიდი და უცხო საჩუქრები. როგორც ჩანს შაჰმა დაამტკიცა ქაიხოსრო მმართველად.<sup>98</sup>

შაჰ თამაზის მეფობის პერიოდში ქართველების ბოლო შიდა დაპირისპირება, რომელსაც ლაშქრობა არ მოყოლია, შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1574 წელს ლევან მეფის შვილის გიორგის გარდაცვალების შემდეგ ქაიხოსრომ (გიორგის ძემ) ქვეყნის მმართველობა ხელში აიღო. ქაიხოსროს შვილმა ალექსანდრემ ეს გააპროტესტა, რასაც ქართველებს შორის ომი მოჰყვა. შედეგად ქაიხოსრო მოკლეს და ალექსანდრემ მამის ადგილი დაიკავა. შემდეგ შაჰ თამაზს ელჩი გაუგზავნა და მორჩილება გამოუცხადა. შაჰმა მასთან მასუმ ბეგი გააგზავნა საჩუქრებით (ხალათი, გვირგვინი, ქამარი და ოქროთი მორთული ცხენი) და საქართველოს მმართველად დაამტკიცა.<sup>99</sup>

შაჰ თამაზის ეპოქის პოლიტიკური ქრონოლოგია და ზოგადი მდგომარეობა რომ შევაჯამოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1540-1541 წლებში შაჰ თამაზმა თბილისი აიღო; ერთერთი ლაშქრობისას კი 1556 წელს გარისის ბრძოლაში ქართლის მმართველი ლუარსაბი მოკლეს.<sup>100</sup> შაჰ თამაზის ლაშქრობების ბოლოს დიდი რაოდენობით ტყვეები<sup>101</sup> (სეფიანური წყაროების მიხედვით მათი რაოდენობა 30000 შეადგენდა) ირანში წაასხეს.<sup>102</sup> შაჰ თამაზის დროს არაბული ერაყის, სპარსულ ერაყის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ოსმალურ-სეფიანური დაპირისპირება 1555 წლის 1 ივნისს ამასიის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა და ამ ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორია ოსმალეთმა და სეფიანებმა გაინაწილეს. აღმოსავლეთ საქართველო - ქართლი და კახეთი სეფიანებს დარჩათ, ხოლო დასავლეთ საქართველო - იმერეთი ოსმალეთის ტერიტორიად ჩაითვალა.<sup>103</sup> სეფიანთა ტახტზე შაჰ აბას I ასვლის შემდეგ XVI საუკუნის უკანასკნელ

<sup>98</sup> Şeref Han, *Şerefname*, s. 240.

<sup>99</sup> Cihanbahş Sevâkib, s. 190.

<sup>100</sup> D. M. Lang, "Georgia and the Fall of the Safavi Dynasty", *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London, 1952, Sayı 14, s. 523.

<sup>101</sup> თეირანის უნივერსიტეტის თანამშრომელი ბასტანი პარიზი ყურადღებას ამახვილებს იმ ასპექტზე, რომ შაჰ თამაზის მეოთხე ლაშქრობისას აყვანილი ტყვეების უმრავლესობა (30 ათასი ქალი, ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი და სხვა) ყიზილბაშთა უმერებს შორის განაწილებამ დიდი ეკონომიკური სარგებელი მოიტანა. იხ.: Bâstân-ı Pârizî, *Siyaset ve İktisâd-ı Asr-ı Safevî*, Tahran, Neşr-i İlm, 1378, s. 73.

<sup>102</sup> Hüsamettin M. Karamanlı, "Gürcistan (Osmanlı Hâkimiyeti Dönemi)", *DİA*, İstanbul, 1996, c. 14, s. 314.

<sup>103</sup> Remzi Kılıç, *XVI. ve XVII. Yüzyıllarda Osmanlı-İran Siyasî Antlaşmaları*, Tez Yayınları, İstanbul, 2001, s. 77.

მეოთხედში სვინურ-ოსმალური დაპირისპირება კვლავ განახლდება, ოსმალების ჯარი თბილისს აიღებს და კახეთის მმართველი ალექსანდრე 10 საპალნე (10 მლნ) აქჩეს ხარაჯას გადახდას იკისრებს.<sup>104</sup> რადგან საქართველოში არ იყო ერთიანობა<sup>105</sup> და იგი იმერეთის,<sup>106</sup> ქართლისა და კახეთის სამეფოებისგან შედგებოდა, მაგრამ ქართლის დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებები და კახეთის მმართველების მდგომარეობის მიხედვით რუსეთისკენ ან ოსმალეთისკენ მიმართული მისწრაფებები, სეფიან მმართველებს და განსაკუთრებით შაჰ აბას I, ძალიან დიდ უსიამოვნებას აყენებდა.

დავტოვოთ პოლიტიკური ურთიერთობები. სეფიანთა ჰარამხანაში სეფიანთა დინასტიის სხვადასხვა წევრზე დაქორწინებული კავკასიური წარმოშობის ქალები უძველესი დროიდან იყვნენ. შაჰ თამაზის ეპოქაში (1524-1576) საქართველოში მოწყობილი ლაშქრობების დროს დიდი როდენობით ქართველი, ჩერქეზი და სომეხი ტყვე ჩაიგდეს ხელში, ძირითადად ქალები და ბავშვები, რომელთა დიდი ნაწილი სასახლის მომსახურე პერსონალად გაამწესეს. ზოგიერთი ტყვე ქალი შაჰზე ან უფლისწულებზე დააქორწინეს. ამგვარად შაჰ თამაზს ოთხი ქართველი და ერთი ჩერქეზი ცოლი ყავდა. ქართველი, ჩერქეზი და სომეხი ქალები შაჰის ჰარამხანაში მოხვედრის შემდეგ მუსლიმები ხდებოდნენ. თუმცა ზოგიერთი მათგანი ფარულად აგრძელებდა ლოცვას.<sup>107</sup>

დოქტორი სევაკიზის განმარტებით, ძირითადად ოპოზიციური ქართლისგან განსხვავებით კახეთი სეფიანების მიმართ ზომიერ პოლიტიკას ატარებდა და ამ მიზეზით შაჰ თამაზის ზეობის ბოლომდე კახეთის სოციალურ ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა ირანულმა ტრადიციებმა და წესჩვეულებებმა.<sup>108</sup>

<sup>104</sup> M. Fahrettin Kırzioğlu, *Osmanlıların Kafkas Elleri'ni Fethi (1451-1590)*, Sevinç Matbaası, Ankara, 1976, s. 364.

<sup>105</sup> იმ პერიოდის საქართველოს აღწერის და ქართველ დიდებულებს შორის დაპირისპირების შესახებ იხ.: Bey Bayat (İranlı Don Juan), *İlişkiler (Bir Şii / Katolik)*, Tercüme ve Notlar: Tufan Gündüz, Yeditepe Yayınevi, İstanbul, 2014, s. 114-118, 122-127.

<sup>106</sup> დასავლეთ საქართველო ანუ იმერეთი სეფიანური წყაროებში მოხსენიებულია როგორც „მულქი ბაგრატ კი ბაში აჩუკ იმთიპარ დაშთ“ (ანუ სახელოვანი ბაში აჩუკთა ქვეყანა ბაგრატის სამფლობელო). იხ.: Kadı Ahmet Kumî, *Hülasatü't-Tevârih*, Haz. İhsan İşrakî, İntişârât-ı Dânişgâh-ı Tahran, 1383, c. I, s. 300.

<sup>107</sup> Eralp Erdoğan, “Safevi Devleti'nde Harem”, *Türk Tarihi Araştırmaları Dergisi / Journal of Turkish History Researches*, Yıl/Vol. 2, Sayı/No. 1 Bahar/Spring 2017, s. 30, 34-35; İsmail H. Demircioğlu, *a.g.m.*, s. 116.

<sup>108</sup> Cihanbahş Sevâkib, *a.g.m.*, s. 179.

1576 წელს შაჰ თამაზის სიკვდილის შემდეგ ირანში კვლავ დაიწყო შიდა დაპირისპირება. შაჰის სიკვდილს მოყვა თურქმენულ, ტაჯიკურ და კავკასიურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლა პრივილეგირებული პოზიციების შენარჩუნებისთვის. ამ ბრძოლამ ჰარამხანის ჩართულობით საკმაოდ არეული სახე მიიღო. სასახლეში შაჰ თამაზის ქართული და ჩერქეზული წარმოშობის ცოლები ერთმანეთს სასიკვდილოდ დაუპირისპირდნენ, რათა საკუთარი შვილები აეყვანათ ტახტზე. ამ ბრძოლას და შაჰ ისმაილ II ხანმოკლე და წინააღმდეგობრივი მეფობას მოჰყვა შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს უუნარო მმართველობა, რამაც 1578 წელს გამოიწვია 12 წლიანი დაპირისპირება სეფიანებსა და ოსმალებს შორის,<sup>109</sup> რომელიც ძირითადად საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარეობდა.<sup>110</sup>

### დასკვნა

საქართველო, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული ფეოდალიზმი და რომელსაც სტრატეგიული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი მდებარეობა გააჩნდა, მთელი ისტორიის განმავლობაში მისი სიმდიდრის გამო სხვადასხვა ტომებისა და სახელმწიფოების თავდასხმებს განიცდიდა. ქართულ სამეფოებს შორის დარღვეული ერთობის გამო გარე ძალები (ოსმალეთი, ირანი, რუსეთი) ახერხებდნენ მათ საქმეში ჩარევას. ამის გამო საქართველოს ისტორიის დაახლოებით 350 წლიანი მონაკვეთი XV საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე ოსმალეთის და სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიებთან მჭიდროდ არის გადაბმული. სეფიანები საქართველოს საკითხის გადაწყვეტისას იყენებდნენ ან პირდაპირი ბრძოლის მეთოდს ან ძლიერი ტომის ლიდერების მეშვეობით მხარდაჭერას უწევდნენ მათი დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ქართველ დიდებულებს (მაგალითად თბილისში მყოფი დავით ხანისთვის უსტაჯალუ ქარინჯა ოღლუ შაჰყული სულთანის მიერ გაწეული დახმარება და სხვა). ამგვარად ოსმალეთსა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის კავკასიისთვის ბრძოლაში საქართველო ერთგვარ ბრძოლის ველად გადაიქცა. ორუჩ ბეი ბაიათის თქმით, ქართველები რელიგიის ადვილად გამოცვლის მსგავსად მოკავშირეებსაც ადვილად იცვლიდნენ და ამგვარად უმკლავდებოდნენ ამ მდგომარეობას. ამის გამო სეფიანი მემკვიდრეები რუმლუ ჰასანი და ყადი აჰმედი მათ მიმართ „ხისთავიანი ურწმუნოები“, „ბოროტი ქართველები“, „ურწმუნო

<sup>109</sup> H. Mustafa Eravci, 2002, s. 887.

<sup>110</sup> 1578 წლიდან მოყოლებული საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ქრონოლოგიისთვის იხ.: *Tarih-i Selânikî*, c. 1, s. 118-120, vd.

მეამბოხეები“ და სხვა მსგავს გამოთქმებს იყენებდნენ. ისკანდერ ბეი კი თეიმურაზს და ლუარსაბს როგორც „ხეპრეს და გაუნათლებელს“ მოიხსენიებდა. ბუნებრივია ამგვარი განსაზღვრების გამოყენება საეჭვოდ ჩანდა ძალაუფლების მქონე ქართველი მთავრებისა და დიდებულებთან მიმართებაში. ამრიგად შეიქმნა შუალედური ვითარება, რომლის დროსაც ინტერესების შესაბამისად მოქმედებამ წარმოქმნა კონფლიქტები და ომები, რომლებმაც მორალურად და მატერიალურად გაანადგურეს საქართველო, სეფიანების აღქმაში „გაზა-ი ქუფარი“ (დასაპყრობი ურწმუნოები). რა თქმა უნდა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველები, ისევე როგორც რეგიონში სელჩუკების გამოჩენისას, ოსმალებსა და სეფიანებს შორის შეტაკებების დროს ცდილობდნენ გადარჩენილიყვნენ და შეენარჩუნებინათ საკუთარი დამოუკიდებლობა.

შაჰ თამაზის პერიოდში სეფიანებმა დაიპყრეს შირვანი (1538)<sup>111</sup> და შეკი (1551),<sup>112</sup> დაახლოებით 1553/1554 წლებში ყარაბაღში, ცენტრით განჯა, დააარსეს საბეგლარბეგო<sup>113</sup> და უშუალოდ გაუმეზობლდნენ ქართულ სამთავროებს (კახეთის მმართველ ლევან ხანს). ზოგიერთმა ქართველმა მთავარმა - კახეთის მმართველმა ლევან ხანმა (ლევან II 1520-1574), იმერეთის მმართველმა ბაგრატ III (გარდაიცვალა 1548წ.), სამცხის ათაბაგმა ქაიხოსრო II (გარდაიცვალა 1575წ.) მორჩილება გამოუცხადეს მათ, ხოლო ზოგიერთებმა (ქართლის მეფე ლუარსაბ I) ხარკის გადახდაზე უარი განაცხადეს. ამ წინააღმდეგობამ და ქართველ დიდებულებს შორის შეუთანხმებლობამ სეფიანთა არმიას საშუალება მისცა სხვადასხვა საბაბით შეჭრილიყო საქართველოში, გაემარცვათ, დაენგრიათ და დიდი რაოდენობით ტყვეები აეყვანათ.<sup>114</sup> 1569 წლამდე სეფიანებმა შირვანის მეზობელ ქართულ სამთავროებში ბევრი ლაშქრობა მოაწყეს. ბუნებრივია, რომ ოსმალეთის მიერ რეგიონში განხორციელებული მოქმედებების გამო ოსმალურ-სეფიანურმა დაპირისპირებამ საქართველოშიც გადაინაცვლა. ქართველები შეეცადნენ ესარგებლათ ამ დაპირისპირებით და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ხან ოსმალეთის და ხანაც სეფიანთა მხარეს გადადიოდნენ. ამიტომ ამასიის ხელშეკრულებაში (1555) ამ საკითხის დასარეგულირებლად ცალკე მუხლი შევიდა და საქართველო ოსმალეთის

<sup>111</sup> შაჰ თამაზის ბრძანებით ელვას მირზამ 1538 წელს 10000 მეზრდოლით შირვანი და მისი მიმდებარე ტერიტორია სეფიანთა მმართველობას დაუქვემდებარა. დეტალებისთვის იხ.: *Târih-i Elçi-i Nizamşâh*, s. 142-146; Abdi Beğ Şirâzî, s. 82.

<sup>112</sup> Abdi Beğ Şirâzî, s. 97.

<sup>113</sup> Cihanbahş Sevâkîb, “Tahvilât-ı Gürcistan der Asr-ı Safeviye”, *Mecmua-i Makâlât-ı Safeviye der Gostere-i Târih-i İran-zemin*, Be İhtimâm: Dr. Maksud Ali Sadîkî, Tebriz, 1383, s. 179.

<sup>114</sup> Bekir Kütükoğlu, *Vekayi'nüvis (Makaleler)*, İstanbul Fetih Cemiyeti, 1994, s. 304.

და სეფიანთა გავლენის სფეროებად გაიყო. თუმცა ეს გაყოფა საკითხის დროებითი გადაწყვეტა აღმოჩნდა. მოგვიანებით რეგიონში გავლენისთვის ბრძოლაში რუსეთის ჩართვა კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას.

სპარსული ლიტერატურა მოგვითხრობს საქართველოს ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და მის მთიან რელიეფზე. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ სეფიანთა მატთანების ის ნაწარმოებები, რომლებშიც საქართველოს შესახებ ყველაზე მეტი ცნობებია დაცული: ისკანდერ ბეი თურქმენის „აღემ არა-ი აბასი“, ზოგიერთი ცრურწმენის გათვალისწინებით ორუჩ ბეი ბაიათის „სპარსელი დონ ჟუანი“, შაჰ თამაზის „თეზქირე“ (ჩანაწერები), ჰასან რუმლუს „აჰსენუთ თევარიჰი“, ანონიმი ავტორის „ყიზილბაშთა ისტორია“ და ყადი აჰმედ ელ-კუმის „ჰულასათუთ თევარიჰი“. რა თქმა უნდა ბოლოს უნდა შეგახსენოთ, რომ ეს მატთანები შეიცავენ ცნობებს პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

## ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების ისტორიიდან

ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების მრავალფეროვან პლასტში საყურადღებოა საქართველოს სხვადასხვა საცავებში დაცული ხელნაწერების ერთი ჯგუფი - ქართულ-თურქული ტექსტები, რომლებშიც თურქული სიტყვები წარმოდგენილია ქართული მხედრული ტრანსლიტერაციით. აღნიშნულ ხელნაწერთა შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია XVIII საუკუნის ქართულ-თურქულმა სასწავლო წიგნმა, რომელშიც ქართულ-თურქული ტექსტები ქართული გრაფიკით არის წარმოდგენილი. ხელნაწერს, თავის დროზე, ექ. თაყაიშვილმა მარტვილის მონასტერში მიაკვლია და შეცდომით XIX საუკუნის დასაწყისით დაათარილა. მოგვიანებით, ექ. თაყაიშვილის პუბლიკაციაში დასახელებული ტექსტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერის იდენტიფიკაციის საფუძველზე ს. ჯიქიამ სრულიად მართებულად, XVIII საუკუნით დაათარილა. მიუხედავად ამისა, ხელნაწერი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ოკოლექციაში დათარიღებულია XIX საუკუნით.

ხელნაწერით ჩვენი დაინტერესება გამოიწვია მისმა პალეოგრაფიულმა მახასიათებელმა - ქართულის პარალელური თურქული ტექსტების მთლიანად ქართული ტრანსკრიპციით გადმოცემამ, ხელნაწერის წყაროთმცოდნეობითა და კულტურულ - ისტორიულმა მნიშვნელობამ. საქართველოს რამდენიმე სიძველეთსაცავში დაცული მსგავსი ხელნაწერები, ძირითადად, როგორც ჩანს სასწავლო ხასიათის იყო და ემსახურებოდა თურქული და ქართული ენების შესწავლის საქმეს. მარტვილის მონასტერში აღმოჩენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, დღეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, იმავე Q 98 ნომრით ინახება. ხელნაწერის კულტურულ - ისტორიული ღირებულებისა და ზოგიერთი პალეოგრაფიული თავისებურების შესწავლის საფუძველზე ნაშრომში დაზუსტებულია ხელნაწერის თარიღი და მისი კულტურულ - ისტორიული ღირებულება.

XVIII საუკუნის სასწავლო წიგნი ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით, მრავალ სანდო

ინფორმაციას შეიცავს, რომელიც მნიშვნელოვანი ისტორიულ - წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველს იძლევა. სხვა კულტურულ დესკრიპტებთან ერთად, მსგავსი ხელნაწერების არსებობა, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში თურქული ენისა და თურქული კულტურისადმი ინტერესზე, ასევე ფართო ქართულ-თურქულ კულტურულ კომუნიკაციებზე მიუთითებს.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, ქართულ-თურქული კულტურული კომუნიკაცია;

## TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜR İLİŞKİLERİ TARİHİNDEN

Doç. Dr. Lia AKHALADZE  
Sokhumi Devlet Üniversitesi

### ÖZ

Türk-Gürcü kültür ilişkilerinin zengin ortamı arasında Gürcistan'ın çeşitli müze, kütüphane ve benzeri yerlerde muhafaza edilen Gürcüce-Türkçe el yazma metinleri ayrıca dikkate değerdir. Bu metinlerde Türkçe kelimeler Gürcü Alfabeti'nin Mkhedruli yazı şekli ile yazılıp kullanılmıştır. Anılan el yazmalar arasında dikkatimizi çeken XVIII. yüzyıla ait Gürcüce-Türkçe eğitim kitabıdır. Bu kitapta yer alan Gürcüce-Türkçe metinler yukarıda bahsettiğimiz yazı tarzında şekillenmiştir. El yazmayı Ekvtime Takaişvili, Martvili Manastırı'nda buldu ve yanlışlıkla XIX. yüzyıl başlarında yazılan el yazma eseri olarak tarihlendirdi. Daha sonraki zamanlarda Sergi Cikia, Ekvtime Takaişvili'nin makalesinde adı geçen metin ile Gürcistan Devlet Müzesi'nde muhafaza edilen orijinal el yazmayı karşılaştırdı ve bu kitabın XVIII. yüzyılda yazıldığını tespit etti.

Söz konusu el yazma ile ilgilendiğimizizin sebebi paleografik onun özellikleridir: Gürcüce'nin yanı sıra çevrilen Türkçe metinlerinin tamamıyla Gürcü harfleriyle yazıldığı ve el yazmanın kaynak bilim ve kültürel-tarih açısından önemli olduğu. Anlaşıldığı kadarıyla, Gürcistan'da<sup>1</sup> muhafaza edilen benzeri el yazmalar genellikle eğitim amaçla kullanırdı ve Türk ve Gürcü dillerini öğretmek için hizmet ederdi.

Martvili Manastırı'nda bulunan Gürcüce-Türkçe eğitim kitabının tarihi-paleografik analizinden anlaşıldığına göre:

1. Bu kitap XVIII. yüzyılda İmereti bölgesinde bulunan Vardzia manastırında Türkçe eğitim vermek için yazılmıştı (Eskiden yanlışlıkla Gürcüce eğitmek için yazılan kitap olarak gösterilmişti). Yazarın gerek Gürcü, gerekse Türk dillerinin

---

<sup>1</sup> S. Canaşia Gürcistan Devlet Müzesi, Zugdidi Dadianlar Sarayı Devlet Tarih ve Arkeoloji Müzesi, Kutaisi Devlet Tarih Müzesi

bilmesi gerekirdi. Kendisi Gürcü Alfabeti'nin Mkhedruli şekli ile yazılan Türkçe kelimeler için Gürcüce-Türkçe sözlük yapıp kitaba özellikle ilave etmiştir. Bunu da belirtmeli ki, sözlükteki Türkçe kelimeler de Gürcü Alfabeti'nin Mkhedruli şekli ile yazılmıştır. Bu kitabın Gürcü öğrencilere Türkçe eğitim vermek için yazıldığı bellidir. Gürcistan'da benzeri el yazma kitapların birkaç örneği olduğu için bunların tamamen Türkçe eğitim için kullanıldığı tahmin edilebilir.

2. El yazmadan anlaşıldığına göre XVIII. yüzyılda eğitim merkezleri manastırlarla kiliseler olan Gürcistan'da Yunanca ile Latince'nin yanı sıra eşit derecede Türkçe ders veriliyordu. Ayrıca, farklı kaynaklardan dönemin Osmanlı yöneticilerin Kıbrıs adasındaki Yunan ve Gürcü manastırlarına olan sadık tutumu da bilinir.

3. Belgenin kaynak bilim açısından yapılan analizine göre Gürcistan'da Türkçe, Yunanca ve Latince'nin eğitimine maddi desteğin Kral Sarayı tarafından yapıldığı tahmin edilebilir.

4. Benzeri transliterasyonla ortaya konulan el yazmaların köken ile dağılımını göz önünde bulundurursak bir eğitim disiplini olan Türkçe'nin Batı Gürcistan eğitim merkezlerinde daha yaygın olduğunu görürüz.

5. Gürcüce-Türkçe sözlük üzerine çalışmak için her iki dilin ciddi ve kapsamlı bilmesi, sözlüğün derlenmesinde özel bir deneyimin var olması gerekiyordu. Anlaşıldığına göre, bu deneyim, uzun zamandır devam eden bir Gürcü-Türk kültürel ilişkisine dayanıyordu.

6. S. Cikia'ya göre, adı geçen el yazmada kullanılan Türkçe sözlerin çoğu günümüzde kullanılmıyor veya Türkçe'nin bir lehçesinde kullanılır da bilimsel açıdan incelenmiş değildir. Bu yüzden söz konusu eser Türk Dili tarihini incelemek açısından önem arz etmektedir.

Yukarıda adı geçen el yazma eserinde Türk-Gürcü kültür ilişkilerini incelemek açısından çok sayıda güvenilir bilgi mevcuttur. Bu durum kaynak bilim için önemli ortam sağlamaktadır. Ancak, bütün değerlerine göre el yazmaların kültürel ve tarihsel değeri özellikle dikkat çekicidir. Çünkü diğer sözcüksel birimler yanı sıra benzeri el yazmaların var olduğu geç Orta Çağ döneminde Gürcistan'da Türk dili ve Türk kültürü yanı sıra zengin Türk-Gürcü kültürel temaslarını göstermektedir.

**Anahtar Kelimeler:** Türkçe, Ders Kitabı, Gürcüce-Türkçe Sözlük, Gürcüce-Türkçe Kültürel İletişim.



## FROM THE HISTORY OF GEORGIAN-TURKISH CULTURAL RELATIONS

**Associate Professor Lia Akhaladze**  
Sokhumi State University

In the versatile area of Georgian-Turkish cultural relations, there is one group of manuscripts preserved in different repositories of Georgia - Georgian-Turkish texts, in which Turkish words are represented by Georgian modern lay language transliteration. Among the mentioned manuscripts, our attention was drawn to the 18th-century Georgian-Turkish textbook, in which Georgian-Turkish texts are represented in Georgian military letters. The manuscript was found in the Martvili Monastery by E. Takaishvili and he mistakenly dated it to the beginning of the 19th century. Later, on the basis of the text cited in E. Takaishvili's publication and the manuscript preserved in the State Museum of Georgia S. Jikia dated the manuscript to the 17th century.

Our interest in this manuscript was prompted by its paleographic characteristic – reporting Georgian parallel Turkish texts into Georgian transcriptions, the cultural and historical significance of the manuscript. Such manuscripts, preserved in several ancient sites in Georgia, appeared to be mainly educational in nature and served to study Turkish and Georgian languages. Historical-source- and paleogeographical analysis of Georgian-Turkish textbook found in Martvili Monastery confirms that

1. The book was created in Vardzia Monastery in Imereti in the XVIII century to study the Turkish language (and not to study the Georgian language as considered before); The compiler was fluent in both Georgian and Turkish languages, and he attached Georgian-Turkish dictionaries specifically to Georgian-Turkish texts, in which Turkish words were presented with Georgian modern lay language transliteration. It is noteworthy that the Turkish words are also represented in the Georgian modern lay alphabet. Obviously, this textbook is designed to teach Turkish to Georgian disciples. Given that we have several similar manuscripts in Georgia, it is assumed that these manuscripts were instructional material in the process of learning the Turkish language.

2. The records show that in the 18th century Georgia, where the monastery church centers were the centers of study and education, Turkish was equally taught alongside the Greek and Latin languages; It also confirms the loyal attitude of the Ottoman rulers to the Greek-Georgian monastery on the island of Cyprus.

3. Analysis of the source studies of the subject suggest that the study of Turkish, Greek and Latin languages in Georgia was supported and financed by the royal authorities;

4. If we consider the area of origin and distribution of manuscripts created by such transliteration, we can say that the Turkish language, as a teaching discipline, has traditionally been more widely represented in educational centers in Western Georgia;

5. Working on the Georgian-Turkish dictionary required serious and thorough knowledge of the Turkish and Georgian languages, as well as specific expertise in compiling the dictionary.

6. According to S. Jikia, some of the Turkish lexical material preserved in the manuscript is missing or has not been studied at the dialect level, so the monument can make a significant contribution to the study of Turkish language history.

In terms of Georgian-Turkish cultural relations, this manuscript contains a number of reliable information, which provides an important historical-source-study analysis, but is particularly noteworthy for its cultural-historical value, as, among other important cultural descriptors, the existence of such manuscripts indicates the interest in Turkish language and Turkish culture in late medieval Georgia, as well as Georgian-Turkish cultural communications.

**Keywords:** Turkish Language, Textbook, Georgian-Turkish Dictionary, Georgian-Turkish Cultural Communication.

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების მრავალფეროვან პლასტში საყურადღებოა საქართველოში დაცული თურქული და თურქულ-ქართული, ან ქართულ-თურქული ხელნაწერები. აღნიშნული ხელნაწერების ძირითადი ნაწილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მცირე ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მათგან გამოქვეყნებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თურქულენოვანი ხელნაწერების კატალოგები<sup>2</sup>. მხოლოდ

---

<sup>2</sup> არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი. : (K კოლექცია) შემდგენლები: ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი. თბ., 1969. თურქულ ხელნაწერთა კატალოგი, შემდგენლები ც. აბულაძე და მ. ილიურიძე, თბ., 2004. ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან . თბ., 2010.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული თურქული ხელნაწერების რაოდენობა 300 -ზე მეტია და ისინი რამდენიმე კოლექციაშია წარმოდგენილი. მათი ადრეული ნიმუშები XV საუკუნით, ზოგჯერ უფრო ადრეული პერიოდითაც კი თარიღდება.

რაც შეეხება ქართულ-თურქულ ხელნაწერებს მათი რაოდენობა გაცილებით მცირეა, თუმცა ორივე ჯგუფის ხელნაწერები ძვირფასი საისტორიო წყაროა, გვიანი შუასაუკუნეებისა და ახალი პერიოდის ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად. საკუთრივ ქართულ-თურქულ ტექსტებში ცალკე ჯგუფს ქმნიან საქართველოს სხვადასხვა საცავებში დაცული ხელნაწერების ერთი ჯგუფი - ქართულ-თურქული ტექსტები, რომლებშიც თურქული სიტყვები ქართული ანბანით (უმეტესად მხედრული) წარმოდგენილი.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში პოპულარული წიგნი, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. რომელიც გარდა ქართული ლექსკონისა, ძირითადად განმარტებითი მრავალენოვანი თარგმნითი ლექსიკონის ხასიათსაც ატარებს - წერს ცისანა აბულაძე<sup>3</sup>. ზოგ განსამარტავ სიტყვას განმარტების პარალელურად ქართული ასოებით აქვს მიწერილი სათანადო მნიშვნელობის იტალიური, თურქული, სომხური სიტყვები<sup>4</sup>: „აქა იწყებიან ლექსიკონი ქართული განმარტებულად ენათა, რომელთა თანვე უწერია ენა თურქთა და სომეხთა“ - წერს ლექსიკონის დასაწყისში სულხან-საბა.

ცისანა აბულაძემ სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა სულხან საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ თურქულ ნაწილს და აღნიშნა, რომ ამ მასალას, დიდი მნიშვნელობა აქვს მე-17 საუკუნის დასასრულისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის თურქული დიალექტური მასალის, ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლის მხრივაც. მასალა მნიშვნელოვანია თურქულის არმცოდნე ქართველებისა და ქართულის არმცოდნე თურქებისთვისაც<sup>5</sup>. გარდა ამისა, მასალა პირველხარისხოვანი წყაროა ენათმეცნიერებისთვის, რომლებიც თურქულ-ქართულ ენობრივ პარალელებსა და ენობრივ ურთიერთობებს იკვლევენ. ილ. აბულაძის აზრით, ლექსიკონი ენათა შედარებითი შესწავლისათვის (განსაკუთრებით ისტორიული

<sup>3</sup> ცისანა აბულაძე. სულხან -საბა ორბელიანის ლექსიკონი სიტყვანის თურქული თარგმანები. თბ., 1968. გვ. 5.

<sup>4</sup> ცისანა აბულაძე. სულხან - საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები. გვ. 5.

<sup>5</sup> იქვე., გვ. 5.

ფონეტიკისა და ისტორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით) სანდო და აღიარებული წყაროა.<sup>6</sup>

სულხან - საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ და მასში წარმოდგენილი თურქული ლექსიკის კულტურულ - ისტორიული მნიშვნელობა ცალკე კვლევის საგანია, ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია *XVIII საუკუნის ქართულ-თურქულმა სასწავლო წიგნმა*, რომელშიც ქართულ-თურქული ტექსტები ქართული მხედრული ასოებით არის მოცემული. ხელნაწერს, თავის დროზე, მარტვილის მონასტერში მიაკვლია ექ. თაყაიშვილმა და იგი შეცდომით XIX საუკუნის დასაწყისით დაათარიდა. მარტვილის მონასტრის მდიდარ წიგნსაცავში მან 74 უნიკალურ ხელნაწერს მიაკვლია, მათ შორის იყო ჩვენს მიერ ნახსენები ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, რომელსაც მკვლევარი ქართულ - თათრულ ლექსიკონს უწოდებს. „ქართულ-თათრული ლექსიკონი, თათრული სიტყვებიც მხედრული ანბანით სწერია, ბევრი პროზაც არის თათრულათ ნათარგმნი. სულ 636 ფურცელი. ანტონ კათალიკოსის შემოღებული ასოებიც იხმარება ტექსტში. მე-XIX საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს“<sup>7</sup> - წერს ავტორი 1913-1914 წლებში გამოქვეყნებულ „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში.

როგორც ჩანს, ეს ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისში ჩამოიტანა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის Q ფონდში მოხვდა. ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ ხელნაწერს ყურადღება მიაქცია ცნობილმა ქართველმა თურქოლოგმა სერგი ჯიქიამ, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების Q სერიაში 98-ე ნომრით დაცული მანუსკრიპტს პროფ. დ. კობიძისა და დოც. გ. იმედაშვილის ინფორმაციით მიაგნო. სერგი ჯიქიამ აღნიშნული ხელნაწერის არქეოგრაფიული აღწერილობისას აღნიშნა, რომ მუზეუმის კატალოგში ამ ძეგლზე ბევრი ვერაფერი იპოვა, თუმცა კატალოგში მითითებული იყო, რომ ეს იყო „ქართულ-თურქული ლექსიკონი და ქართულ-თურქული ტექსტები (ქართული შრიფტით). მხედრული

---

<sup>6</sup> ილია აბულაძე. სულხან - საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული. რედაქტორი ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, თბ., 1998.

<sup>7</sup> ძველი საქართველო. ტომი III. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი 1913-1914. გვ. 118. აღწერილობა გამოქვეყნებულია 74 ნომრით.

ხელნაწერი, მე-19 საუკუნის დასაწყისისა (ან მე-18 საუკუნის დასასრულისა“.<sup>8</sup>

სერგი ჯიქიამ 1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, ექ. თაყაიშვილის პუბლიკაციაში დასახელებული ტექსტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერის იდენტიფიკაციის საფუძველზე, ხელნაწერი სრულიად მართებულად, XVIII საუკუნით დაათარიდა.

ხელნაწერის პალეოგრაფიული მახასიათებელი - ქართულის პარალელური თურქული ტექსტების მთლიანად ქართული ტრანსკრიპციით გადმოცემა, ხელნაწერის წყაროთმცოდნეობითი და კულტურულ - ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. საგულისხმოა, რომ საქართველოს რამდენიმე სიძველეთსაცავში<sup>9</sup> დაცულია მსგავსი ტრანსკრიპციით შესრულებული ტექსტები. მათ შორის საინტერესოა, XVIII საუკუნის ქართული მხედრული ანბანით დაწერილი თურქული ოთხთავი, რომელიც ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება (საინვენტარო ნომერი N894). ხელნაწერი დათარიღებულია 1739 წლის 27 სექტემბრით. აღნიშნული ოთხთავი პირველად შეისწავლა მურმან ბელთაძემ და 1967 წელს, საკმაოდ სოლიდური კვლევა გამოაქვეყნა<sup>10</sup>. ამ ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ არსებობს მსგავსი ოთხთავის კიდევ ერთი ნუსხა, რომელიც მე-19 საუკუნეში, კერძოდ 1881 წელს გადაწერა მღვდელმა ალექსი ბაქრაძემ დეკანოზ დავით დამბაშიძის დაკვეთით.<sup>11</sup> ეს უკანასკნელი ხელნაწერი გამოქვეყნდა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში 1949 წელს<sup>12</sup>.

მურმან ბელთაძის შემდეგ, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ, ქართული ანბანით დაწერილ თურქულ ოთხთავის ნუსხაზე მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

---

<sup>8</sup> სერგი ჯიქია. XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი (წინასწარი შენიშვნები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები. ტ. I. აღმოსავლურ ენათა სერია. ტ. I. თბ., 1954. გვ. 187;

<sup>9</sup> ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი;

<sup>10</sup> მურმან ბელთაძე. XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 121. თბ., 1967. გვ. 125-160;

<sup>11</sup> მურმან ბელთაძე. XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით. გვ. 125.

<sup>12</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ. 2. თბ., 1949. გვ. 54.

აღზრდილი და ამჟამად ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომელი ახალგაზრდა მკვლევარი დოქტორი მია მესხიძე, რომელმაც ზემოაღნიშნულ ნუსხის ხელნაწერ ტექსტზე, 2018 წელს ერზრუმის უნივერსიტეტში, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული გრაფიკით თურქულ ენაზე შესრულებული სახარება: ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი“. ზუგდიდის მუზეუმში დაცული ქართული გრაფიკით შესრულებული ხელნაწერის გადაწერილი ვერსია ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში. კატალოგის ნომერი 401<sup>13</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართული გრაფიკით შესრულებული თურქული ხელნაწერები, საქართველოს სიძველეთსაცავებში - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საცავებში საკმაო რაოდენობითაა დაცული.

რაც შეეხება *ქართულ-თურქულ სასწავლო წიგნს*, სერგი ჯიქიას შემდეგ მის შესახებ ინფორმაცია 1957 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ახალი (Q) კოლექციის I ტომში გამოქვეყნდა. ტომი შედგენილია ელენე მეტრეველისა და ქრისტინე შარაშიძის მიერ, ილია აბულაძის საერთო რედაქციით. აღნიშნულ გამოცემაში ხელნაწერი გამოქვეყნებულია როგორც *ქართულ-თურქული ხელნაწერი და პარალელური ტექსტები* და არ არის გაზიარებული სერგი ჯიქიას მიერ, 1954 წელს გამოთქმული მოსაზრება, რომ ხელნაწერი *ქართულ-თურქულ სასწავლო წიგნს* უნდა წარმოადგენდეს.

ამჟამად ხელნაწერი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იმავე Q კოლექციის 98-ე ნომრით. ხელნაწერის ზოგიერთი გვერდი დაზიანებულია, მაგრამ კარგად იკითხება და ნაცვლად 636 ფურცლისა, შეიცავს 644 გვერდს. ექ. თაყაიშვილის ეს შეცდომა ჯერ კიდევ სერგი ჯიქიამ გაასწორა და ასევე წარმოადგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის 1957 წელს გამოქვეყნებულ არქეოგრაფიულ აღწერილობაში. ხელნაწერის სიგრძე 17 სანტიმეტრია, ხოლო სიგანე 12, 6 სმ. ხელნაწერს ახლავს ტვიფრული ხისგან დამზადებული ყდა, რომელზეც, ზემოდან გადაკრული აქვს მოყავისფრო ტყავი. ტყავზე გამოსახულია სხვადასხვა ხასიათის ნახატები. ტექსტის როგორც ქართული, ასევე თურქული

---

<sup>13</sup>ინფორმაცია აღნიშნული დისერტაციის შესახებ მოგვაწოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა როინ ყავრელიშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

სიტყვები დაწერილია ქართული მხედრული ანბანით. სიტყვათა დასაწყისი ასოები შესრულებულია მთავრულით<sup>14</sup>. საგულისხმოა, რომ სერგი ჯიქიასგან განსხვავებით ეს ხელნაწერი წიგნი ელ. მეტრეველმა და ქრ. შარაშიძემ XIX საუკუნით დაათარილეს<sup>15</sup>. თუმცა აღნიშნულ დათარიღებას, რამდენიმე გარემოება უშლის ხელს, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხელნაწერი პირობითად რვა ნაწილად არის დაყოფილი:

1. *თვეების სახელები ქართულ-თურქულ ენებზე* - მაგალითად: მარტი - ბუჰარუმ. აპრილი - სეფერ, მაისი - რაბთულეველ და ა. შ.

2. *ქართულ-თურქული ლექსიკონი* - მაგალითად: ანგელოსი - ჰერისტას; სერაფიმ - მელაიქ; ავდარი - ბოზუქ და ა. შ.

3. *რიცხვების სახელები ქართულ-თურქულად* - მაგ. ბირ - ერთი, ოთუზ - ოცდაათი და ა. შ.

4. *სასულიერო ხასიათის ტექსტები* - ლოცვები და გალობები ქართულ-თურქულ ენებზე. მაგ. „ქ. მარადჟამ უფალი“ - საადეთლუ; „ყოვლად მოწყალე“ - ინააიეთლუ და ა. შ.

5. *თურქული ტექსტები* - „ნიაზიმ სანა ია ლექეის ფაქ“;

6. *ქართულ-თურქული პარალელური ტექსტები* - მაგალითად: ყოვლად სანატრელი - რეჟაიეთლუ და ა. შ.

7. *თურქული ტექსტები* - ია ყუთლუმერიქ ... ნემქსორ ელიქ ბილ მე აენ;

8. *ქართულ-თურქული ლექსიკონი* - აპყრობა - ირთიჟასი. აღმოსავალით - მეშრიქ თარაქინდა<sup>16</sup>


როგორც ვხედავთ ხელნაწერის შინაარსი მრავალფეროვანია, თუმცა მისი ყველა გვერდი შევსებული არ არის. ზოგი გვერდის მხოლოდ მეოთხედი და უფრო ნაკლებიცაა დაწერილი, ზოგი გვერდისა კი - ნახევარი. არის აგრეთვე სავსებით ცარიელი გვერდები და ფურცლებიც. სერგი ჯიქიას აზრით, ლექსიკონის შემდგენელი, ჩანს, განზრახ ტოვებდა თავისუფალ ადგილებს იმისათვის, რომ თანდათან შეეცსო სალექსიკონო მასალით დატოვებული ადგილები. სხვადასხვა ადგილას სხვა ხელით მიწერილი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ სალექსიკონო ნაწილზე


<sup>14</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია. ტომი I. გვ. 110-111;

<sup>15</sup> იქვე, გვ. 111;

<sup>16</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტომი I. გვ. 110-111;

შემდეგში, შეიძლება ავტორის სიკვდილის შემდეგ, სხვებსაც უმუშავიათ.<sup>17</sup> არის სრულიად ცარიელი გვერდებიც, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია.

პლეოგრაფიულად მნიშვნელოვანი მახასიათებელია ხელნაწერის რამდენიმე საწყის გვერდზე, ტექსტის ზემოთ, აშიის შუა ადგილზე გამოსახულია „ანის“ ასომთავრული გრაფიკა , როგორც ჩანს, კალიგრაფმა ეს ტექსტის მხატვრულად გაფორმების მიზნით გამოიყენა -

. „ანის“ ამ სახის ასომთავრული გრაფიკა ხშირად გვხვდება ტექსტში, რაც თვალშისაცემია. მართალია, არ ვხვდებით დეკორატიულად გაფორმებულ გრაფიკას, მაგრამ თავდაპირველად კალიგრაფი, როგორც ჩანს, ზრუნავდა ხელნაწერის ესთეტიკურ ღირებულებაზეც. ამაზე მიუთითებს, ხელნაწერის საწყისი გვერდების კალიგრაფია, რომელიც გულმოდგინედ არის შესრულებული, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო გვერდებზე.

განსახვავებულია ხელნაწერის გვერდებზე წარმოდგენილ სტრიქონთა რაოდენობაც. მაგალითად პირველ გვერდზე 14 სტრიქონია, ეს თანაფარდობა ხელნაწერში დაცული არ არის, ზოგან გვხვდება 13, ზოგან 16, ან ისევ 14 სტრიქონი. კალიგრაფია უმეტესწილად მსგავსია, მაგრამ არის გვერდები, რომლებზეც განსახვავებული ხელი შეინიშნება, რაც მიუთითებს, რომ ხელნაწერზე რამდენიმე კალიგრაფი მუშაობდა, ზოგან განსხვავებულია მელანიც. ეს ფაქტები, ადასტურებენ სერგი ჯიქიას გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხელნაწერის შევსება - განახლებაზე ავტორის სიკვდილის შემდეგაც იზრუნეს.

*ქართულ-თურქულ სასწავლო წიგნში* ქართულ-თურქული პარალელური ტექსტები წარმოდგენილია ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები სულხან - საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიბაძვით. მაგალითად, სასწავლო წიგნში, ისევე როგორც სულხან საბას ლექსიკონში, თურქული სიტყვები ქართული გრაფიკით არის ჩაწერილი; აქაც, ისევე როგორც სულხან საბას ლექსიკონში, ხშირად ერთ სიტყვას რამდენიმე თურქული შესატყვისი ახლავს.

ილია აბულაძის აზრით, სულხან -საბას ლექსიკონს მართალია განმარტებითი, ენციკლოპედიური და თარგმნითი ხასიათი აქვს, მაგრამ ეს გამოწვეულია „მოსწავლეთა ინტერესით, მათ სასწავლებლად აქვს

---

<sup>17</sup> სერგი ჯიქია. XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი (წინასწარი შენიშვნები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები. ტ. I. აღმოსავლურ ენათა სერია. ტ. I. ტბ., 1954. გვ. 187;



შეტანილი თავიდანვე (ლექსიკონის პირველი გამოჩენიდანვე) ლექსიკოგრაფს - „რათა ისწავლონ ენა ქართული შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“. ამავე მიზნით მან შემდეგში სხვარიგი საცოდნელი ჩაურთო ლექსიკონს, უცხო სახელები (პირთა, ქვეყანათა, ქალაქთა და სოფელთა) თარგმანებითურთ და გეოგრაფიული სახელები.<sup>18</sup>

მართალია ჩვენი სასწავლო წიგნი მასშტაბებით სულხან -საბას ლექსიკონს ვერ შეედრება და მას უფრო ფართო დანიშნულება ქონდა, მაგრამ ეს მსგავსება ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ისევე როგორც დიდმა ლექსიკოგრაფმა, ჩვენმა ავტორმაც წიგნს სასწავლო დანიშნულება მისცა, სხვაგვარად არანაირი ახსნა არ აქვს ქართული გრაფიკით ჩაწერილ თურქულ სიტყვებს, როგორც სულხანთან, ისევე სასწავლო წიგნის ავტორთანაც.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ტექსტის ჩაწერის ალოგოლოტოგრაფიულ მეთოდთან, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ და „ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთში“.<sup>19</sup> თუ ძველად ტექსტის ჩაწერა სხვათა ანბანით ხდებოდა, ამჯერად უცხო სიტყვების საკუთარი ანბანით ჩაწერით, ავტორი ცდილობს მოსწავლის სამუშაო შეამსუბუქოს და გამარტივებული ხერხით ასწავლოს თურქული სიტყვები.

რაც შეეხება ხელნაწერის დათარიღების საკითხს, თავის დროზე სერგი ჯიქიამ ხელნაწერი არგუმენტირებულად დაათარიღა XVIII საუკუნით და დააზუსტა ხელნაწერის წარმომავლობა ზემო იმერეთის ვარძიის მონასტრიდან, რასაც ადასტურებს ტექსტში დაცული ზემო იმერული დიალექტური მონაცემებიც. გარდა ამისა, ხელნაწერის XIX საუკუნეში დათარიღების საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რამდენიმე გარემოება: 1. XIX საუკუნე არის რუსული იმპერიალიზმის ხანა, როდესაც ქართული ენაზე იკრძალებოდა საეკლესიო ღმრთისმსახურება და ერთადერთ საეკლესიო ენად დარჩა რუსული. ასეთ ვითარებაში ნაკლებსარწმუნოა ქართული ანბანით თურქულ ენაზე შექმნილიყო ისეთი შინაარსის წიგნი, რომელშიც იქნებოდა ქრისტიანული აღმსარებლობისათვის მნიშვნელოვანი სასულიერო ტექსტები: „მამაო ჩვენო“, „სიმბოლო სარწმუნოებისა“, 50-ე ფსალმუნი, თქმულებები მოსე წინასწარმეტყველზე, იესო ქრისტეზე,

---

<sup>18</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1991. გვ. 6.

<sup>19</sup> თამაზ გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბ., 1990. გვ. 199.

სხვადასხვა ხასიათის ლოცვები და ა.შ. ეს არის ეპოქა, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ უპირატესობას „ხისტ“ ძალას ანიჭებს. 2. ისტორიული გარემო, რომელშიც შეიქმნა ეს ხელნაწერი, არ იძლევა წიგნის XIX საუკუნით დათარიღების საშუალებას; 3. ტვიფრული ხის ყდა, ძირითადად, დამახასიათებელია XIX საუკუნემდელი ქართული ხელნაწერებისთვის და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექ. თაყაიშვილის მიერ მარტვილის მონასტერში აღმოჩენილი ხელნაწერი, როგორც თავის დროზე მართებულად აღნიშნა სერგი ჯიქიამ უნდა წარმოადგენდეს *XVIII საუკუნის ქართულ-თურქულ სასწავლო წიგნს*.

სასწავლო წიგნს აქვს განსაკუთრებული ისტორიულ - წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ღირებულება: 1. წიგნი შექმნილი იყო XVIII საუკუნეში, იმერეთში არსებული ვარძიის მონასტერში, თურქული ენის შესასწავლად (და არა ქართული ენის შესასწავლად როგორც ადრე იყო მიჩნეული); წიგნის შემდგენელმა იცოდა როგორც ქართული, ასევე თურქული ენები და მან სპეციალურად ქართულ-თურქულ ტექსტებს, რომელშიც თურქული სიტყვები წარმოდგენილია ქართული მხედრული ტრანსლიტერაციით, დაურთო ქართულ - თურქული ლექსიკონი. საყურადღებოა, რომ ლექსიკონშიც თურქული სიტყვები წარმოდგენილია ქართული მხედრული ანბანით. ამკარაა, რომ ეს სასწავლო წიგნი შექმნილია თურქულის შესასწავლად ქართველი მოწაფეებისთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში რამდენიმე მსგავსი ხელნაწერი მოგვეპოვება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ხელნაწერები სასწავლო სახელმძღვანელო მასალას წარმოადგენდნენ თურქულის ენის შესწავლის პროცესში. 2. ხელნაწერიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის საქართველოში, სადაც სწავლა-განათლების კერებს სამონასტრო საეკლესიო ცენტრები წარმოადგენდნენ, ბერძნული და ლათინური ენების გვერდით თურქული თანაბრად ისწავლებოდა და მათი შესწავლა სამეფო ხელისუფლების მიერ იყო მხარდაჭერილი და დაფინანსებული;

3. თუ გავითვალისწინებთ მსგავსი ტრანსლიტერაციით შექმნილ ხელნაწერთა წარმომობისა და გავრცელების არეალს, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, თურქული ენა, როგორც სასწავლო დისციპლინა დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებში ტრადიციულად, უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი;

4. ქართულ-თურქულ ლექსიკონზე მუშაობა თურქული და ქართული ენების სერიოზულ და საფუძვლიან ცოდნას, ასევე ლექსიკონის შედგენის სპეციფიკურ გამოცდილებას მოითხოვდა, როგორც ჩანს, ეს გამოცდილება

საკმაოდ ხანგრძლივი ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

5. სერგი ჯიქიას მოსაზრებით, აღნიშნულ ხელნაწერში დაცული თურქული ლექსიკური მასალის ნაწილი დღეს დაკარგულია, ან დიალექტის დონეზე არ არის შესწავლილი, ამიტომ მეგლს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია თურქული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით, ეს ხელნაწერი მრავალ სანდო ინფორმაციას შეიცავს, რომელიც სამომავლოდ მნიშვნელოვანი ისტორიულ - წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. თვალსაჩინოა ამ წიგნის ისტორიული ღირებულება, რადგან სხვა მნიშვნელოვან კულტურულ დესკრიპტებთან ერთად, მსგავსი შინაარსის ხელნაწერების არსებობა, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მეზობელი თურქული სამყაროსადმი ინტერესზე, ასევე ფართო ქართულ-თურქულ კულტურულ კომუნიკაციებზე მიუთითებს.

## ლიტერატურა: BIBLIYOGRAFYA

1. არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი. : (K კოლექცია) შემდგენლები: ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი. თბ., 1969.
2. ილია აბულაძე. სულხან - საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული. რედაქტორი ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, თბ., 1998.
3. ცისანა აბულაძე. თურქულენოვანი ხელნაწერები და ოსმალური საბუთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ჟურნალი „ფიროსმანი“. 2008. N4. გვ. 41-43;
4. ცისანა აბულაძე. სულხან -საბა ორბელიანის ლექსიკონი სიტყვანის თურქული თარგმანები. თბ., 1968.
5. მურმან ბელთაძე. XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 121. თბ., 1967. გვ. 125-160;
6. თამაზ გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბ., 1990.

7. თურქულ ხელნაწერთა კატალოგი, შემდგენლები ც. აბულაძე და მ. ილურიძე, თბ., 2004.

8. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი;

9. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ. 2. თბ., 1949.

10. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია. შედგენილი ელენე მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ილია აბულაძის საერთო რედაქციით, თბ. 1957.

11. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1991.

12. ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან . თბ., 2010.

13. ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან //Georgian, persian, and ottoman illuminated historical documents in the depositories of Georgia : პროექტის განცხორციელების შედეგები. შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნ. ფონდი ; პროექტის ხელმძღვ. დარეჯან კლდიაშვილი ; 2010.

14. ძველი საქართველო. ტომი III. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი 1913-1914. გვ. 118. აღწერილობა გამოქვეყნებულია 74 ნომრით.

15. სერგი ჯიქია. XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი (წინასწარი შენიშვნები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები. ტ. I. არმოსავლურ ენათა სერია. ტ. I. ტბ., 1954.

Gürcü-Türk kültürel ilişkilerinin çeşitli boyutlarını belirten malzemeler arasında Gürcistan'da korunan Türkçe-Gürcüce veya Gürcüce-Türkçe el yazma eserleri dikkat çekicidir. Bu el yazmalarının çoğu Ulusal El Yazmaları Merkezi'nde, küçük bir kısmı ise Gürcistan Devlet Müzesi'nde, Zugdidi Yerel Kültür Müzesi'nde ve Kutaisi Tarihi ve Etnografya Müzesi'nde korunmaktadır. Şimdilik yalnız Ulusal El Yazmaları Merkezi'nin Türkçe el yazmalarının katalogları yayınlandı<sup>1</sup>. Yalnızca El Yazmaları

<sup>1</sup> Arabul, turqul da sparsul khelnatserta katalogi, : (K kolektsia) şemdgenlebi: Ts. Abuladze, R. Gvaramia, M. Mamatsaşvili, Tb., 1969. Turqul khelnatserta katalogi, şemdgenlebi, Ts. Abuladze da M. İluridze, Tb., 2004. Kartuli, sparsuli da osmaluri mokhatuli dokumentebi sakartvelos sidzeveletsatsavebidan, Tb., 2010.

Enstitüsü'nde muhafaza edilen Türkçe el yazmalarının sayısı 300'den fazladır ve çeşitli koleksiyonlarda yer almıştır. En eski örnekleri 15. yüzyıla hatta bazen daha erken dönemlere aittir.

Gürcüce-Türkçe el yazmalarının sayıları çok daha azdır. Bununla birlikte her iki grupta yer alan el yazmaları Geç Ortaçağ ve Yeni Çağ'ın Gürcüce-Türkçe kültürel ilişkilerini incelemek için değerli kaynaktır. Gürcüce-Türkçe metinlerinden oluşan bir grup Gürcistan'ın farklı arşivlerinde muhafaza edilen Gürcüce-Türkçe metinlerdir. Bu Türkçe metinlerin çoğu Gürcü alfabesinin Mkhedruli şekli ile yazılmıştır.

Bu bağlamda öncelikle geç ortaçağ döneminde Gürcistan'da meşhur kitap olan Sul Khan-Saba Orbeliani'nin "Gürcüce Sözlüğü'nden" bahsetmemiz gerek. Tsisana Abuladze'ye göre bu kitap "Gürcü Sözlüğü" dışında genellikle açıklayıcı çok dilli bir çeviri sözlüğü mahiyetindedir<sup>2</sup>. Bazı açıklayıcı sözcüklerde açıklamanın yanısıra İtalyanca, Türkçe, Ermenice olarak karşılıklı anlam taşıyan ve Gürcü harfleriyle yazılan sözcükler bulunmaktadır<sup>3</sup>. Sul Khan-Saba sözlüğün baş kısmında "Buradan itibaren Gürcüce açıklamalarla birlikte sözlük başlar, sözcüklerin yanında Ermenice ve Türkçe açıklamaları da bulunur" yazar.

Tsisana Abuladze, Sul Khan Saba Orbeliani'nin Gürcüce sözlüğünün Türkçe kısmına özel bir çalışmada yer verdi ve bu malzemenin 17. yüzyılın sonları ve 18. yüzyılın başlarındaki Türk lehçeleri açısından da büyük önem taşıdığını belirtti. Malzeme Türkçe bilmeyen Gürcüler ve Gürcüce bilmeyen Türkler için de önemlidir<sup>4</sup>. Ayrıca söz konusu malzeme Türk-Gürcü dil paradigmasını ve dilsel ilişkileri inceleyen dilbilimciler için birinci sınıf önem taşıyan bir kaynaktır. Abuladze'ye göre sözlük özellikle tarihsel fonetik ve tarihsel sözlükbilim açısından dillerin karşılaştırmalı çalışması için güvenilir ve tanınmış bir kaynak sayılır<sup>5</sup>.

Sul Khan-Saba Orbeliani'nin Gürcüce sözlüğü ve içinde bulunan Türkçe kelime hazinesinin kültürel ve tarihi önemi ayrı bir çalışmanın konusudur. Bu kez dikkatimizi Gürcüce-Türkçe metinlerin Gürcü alfabesinin Mkhedruli şekliyle yazılan *18. Yüzyıl Gürcü-Türkçe ders kitabına* çekti. Söz konusu el yazması Ek. Takaişvili tarafından Martvili Manastırı'nda bulundu ve yanlışlıkla 19. yüzyılın başlarıyla tarihlendirdi. Takaişvili, Martvili Manastırı'nın zengin kütüphanesinde 74 eşsiz el yazması buldu. Bunların arasında araştırmacının "Gürcüce-Tatarca Sözlüğü" dediği Gürcüce-Türkçe ders kitabı da vardı. 1913-1914 yıllarında çıkan "Dzveli Sakartvelo'nun (Eski Gürcistan) üçüncü cildinde yer alan Ekvtime Takaişvili'nin söz konusu sözlük hakkında yazdığı açıklamada "Gürcüce-Tatarca sözlüğü, Tatarca kelimeler Mkhedruli ile yazılmıştır, birçok nesir de Tatarcaya çevrilmiştir. Hepsisi 636 sayfadır.

<sup>2</sup> Tsisana Abuladze, Sul Khan-Saba Orbelianis leksikoni sitkvanis turquli targmanebi, Tb., 1968. gv. 5.

<sup>3</sup> Tsisana Abuladze, Sul Khan-Saba Orbelianis leksikoni sitkvanis turquli targmanebi, Tb., 1968. gv. 5.

<sup>4</sup> a.g.e. s.5.

<sup>5</sup> İlia Abuladze, Sul Khan-Saba Orbelianis leksikoni kartuli, redaktori E. Metreveli, Ts. Kurtsikidze, Tb., 1998.

Katolikos Anton'un kullanıma koyduğu harfler de metinde mevcuttur. 19. yüzyıl başlarına ait olması lazımdır”<sup>6</sup> ifadesi mevcuttur.

Anlaşıldığı kadarıyla Ekvtime Takaishvili bu el yazma eserini Tiflis'e getirdi ve esere Gürcü Devlet Müzesi'nin Q fonunda yer verildi. Eser Ekvtime Takaishvili'den sonra ünlü Gürcü Türkolog Sergi Jikia tarafından ele alındı. Kendisi Gürcistan Devlet Müzesi'nin Bölümü'nün Q Fonunda muhafaza edilen 98 numaralı söz konusu el yazmasına Prof. D. Kobidze ve Doç. C. Imedashvili yardımlarıyla ulaşabildi. Sergi Cikia el yazmasının arkeografik kısmını anlatırken müze kataloğunda bu anıt hakkında pek bir şey bulamadığını açıkladı. Katalogda ise bunun Gürcü Alfabeti Mkhedruli harfleriyle ya 19. yüzyıl başında, ya da 18. yüzyıl sonunda yazılan “Gürcüce-Türkçe sözlük ve Gürcüce-Türkçe metinler olduğunu” belirtilmişti<sup>7</sup>.

1954'te Sergi Cikia Takaishvili'nin makalesinde belirtilen metin ile Gürcistan Devlet Müzesi'nde muhafaza edilen metni karşılaştırarak çözdükten sonra el yazmanın kesinlikle 18. yüzyıla ait olduğunu belirtti.

Yazının paleografik özelliği Gürcüce'ye paralel olan Türkçe metinlerin tamamen Gürcü transkripsiyonla aktarılması el yazmanın kaynakbilim ve kültürel ile tarihsel önemini göstermektedir. Benzer transkripsiyonlara sahip metinlerin Gürcistan'ın bazı müze ve arşivinde<sup>8</sup> bulunması da ayrıca dikkat çekicidir. Bunlar arasında, Zugdidi'deki Yerel Kültür Müzesi'nde muhafaza edilen 18. yüzyılın Gürcü Alfabeti Mkhedruli yazısıyla Türkçe yazılan İncil ayrıca önem arz etmektedir (Kayıt numarası 894). El yazması 27 Eylül 1739 olarak tarihlendirilmiştir. Bu İncil ilk olarak Murman Beltadze tarafından incelendi ve onun tarafından 1967'de etraflıca bir çalışma yayınladı<sup>9</sup>. Anılan el yazmadan anlaşıldığına göre bu el yazmanın bir nüshasının daha var olduğu belli olmuştur. Bu nüsha ise 19. yüzyılda daha doğrusu 1881'de başrahip Davit Ğambaşidze'nin siparişi üzerine papaz Aleksı Bakradze tarafından yeniden yazılmıştı<sup>10</sup>. Nüsha 1949'da Gürcistan Merkez Devlet Arşivi'nin Gürcü El Yazmaları Tanımlamasında yayımlandı<sup>11</sup>. Murman Beltadze'den sonra Zugdidi Yerel Kültür Müzesi'nde muhafaza edilen ve Gürcü alfabesiyle Türkçe yazılan İncilin nüshası üzerine Samtshe-Cavakheti Devlet Üniversitesi'nden mezun olan ve halihazırda Kars Kafkas Üniversitesi'nde görev yapan Dr. Öğr. Üyesi Maia Meskhidze çalıştı ve 2018'de Atatürk Üniversitesi'nde doktorasını “Gürcü Harfli Türkçe İncil: İnceleme,

---

<sup>6</sup> dzveli sakartvelo, tomi III, Ekvtime Takaishvilis redaktorobit, tbilisi, 1913-1914, gv. 118. Tanımlama numarası 74.

Bunun üzerine Dışişleri Vekili Ahmet Muhtar Bey, Batum Ahıska ve Ahılkelek'in Türk birlikleri tarafından işgal edilmesi emrini Şark Cephesi Kumandanı Kazım Karabekir Paşa'ya iletmişti<sup>78</sup>. Ancak, Ahıska'nın zaten Türk ordusu tarafından işgal edildiği hatırlatılmalıdır.

Türk hükümetinin emri üzerine Kazım Karabekir Paşa, Ahıska'daki Türk birliklerini takviye ettikten sonra, Batum'un ve Ahılkelek'in Türk ordusu tarafından işgal edilmesi emrini birliklerine vermişti<sup>79</sup>. Bu emir üzerine Türk ordusu 11 Mart 1921 tarihinde Batum'a girmişti<sup>80</sup>. Türk hükümeti 13 Mart'ta işgal edilen Ahıska ile Batum'daki ve işgal sürecindeki Ahılkelek'teki Türk idaresinin durumu ile alakalı bazı kararlar almıştı. Bu kararlardan göze çarpanlar şu şekildedir:

“Batum livası ile Ahıska ve Ahılkelek kazalarının işgalinde, Ruslarca bilindiği üzere oralarda hukukî haklarımız vardır. Bu yerler, Mütareke imzalandıktan sonra İtilaf devletleri tarafından Gürcülere verilmiştir.

Bu yerlerdeki Gürcü hükümeti ve idarelerine derhal nihayet verilecek ve gerekli mülkî memurlar hemen tayin edilecektir.”<sup>81</sup>.

Türk birlikleri 14 Mart tarihinde Ahılkelek'i de işgal etmişlerdi<sup>82</sup>. Böylece Batum ve Ahıska'dan sonra Ahılkelek de Türklerin eline geçmişti.

Türk birlikleri Ahıska, Batum, Ahılkelek gibi yerleri işgal ederken, Moskova'da 21 Şubat 1921 tarihinden itibaren Türk delegeleri ise Sovyet delegeleri arasında barış görüşmeleri gerçekleştirilmekteydi. Görüşmelerde Mart ayının ortasına doğru bir neticeye varılmak üzereydi. Bu görüşmelerde Batum üzerinde şiddetli tartışmalar olurken, Türk ordusu tarafından işgal edilmesine rağmen Ahıska çok fazla gündemi meşgul etmemişti. Sonunda Türk ve Sovyet delegeleri arasında 16 Mart 1921'de “Türkiye-Sovyet Rusya Dostluk ve Kardeşlik Antlaşması” imzalandı<sup>83</sup>. Bu antlaşmada Ahıska ile ilgili özel bir madde bulunmazken, çizilen sınırla Ahıska Sovyet Gürcistanı'na bırakılmıştı. Bu arada Batum'un da Sovyet Gürcistanı'na terkedildiğini belirtmek yerinde olacaktır.

Antlaşma imzalandıktan sonra Kızıl komutanlar Batum ile birlikte Ahıska ve Ahılkelek'in Türk ordusu tarafından tahliye edilmesini istediler. Bunun sonucu olarak 30 Mart Ahıska ve Ahılkelek'teki Türk birlikleri geri çekilmişlerdi<sup>84</sup>. Böylece Ahıska'daki son Türk idaresi de sona ermiş oldu.

---

<sup>78</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 79, B: 79-.

<sup>79</sup> ATASE, İSH, K: 618, G: 130, B: 130-1.

<sup>80</sup> ATASE, İSH, K: 962, G: 105, B: 105-1; ATASE, İSH, K: 1252, G: 80, B: 80-7.

<sup>81</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 79, B: 79-8.

<sup>82</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 90, B: 90-1.

<sup>83</sup> ATASE, İSH, K: 759, G: 84, B: 84-1. NA, FO, 371/ 6270, E3770/55/58; *Vakit*, 31 Mart 1921, n. 1189, s. 2; *İleri*, 5 Nisan 1921, n. 1145, s. 2; *Tevhid-i Efkâr*, 5 Ağustos 1921, n. 58 (3096), s. 2; *New York Times*, 10 Nisan, 1921, s. 2.

<sup>84</sup> *Doğu Cephesi (1919-1921)*, c. III, s. 254.



Moskova Antlaşması 21 Temmuz 1921 tarihinde TBMM’nde onaylandı<sup>85</sup>. Moskova Antlaşması’nın Gürcistan, Azerbaycan ve Ermenistan tarafından kabul edilmesi gerekliydi. Bu nedenle Kars’ta Türkiye, Sovyet Rusya, Gürcistan, Azerbaycan ve Ermenistan’ın temsilcilerinin katılımıyla bir konferans tertip edilmesine karar verildi<sup>86</sup>. 26 Eylül’de başlayan ve 13 Ekim’e kadar 18 gün süren konferansta yine Ahıska çok fazla gündem meşgul etmedi. Yapılan müzakereler sonunda Kars Anlaşması Türkiye, Sovyet Rusya, Gürcistan, Azerbaycan ve Ermenistan tarafından 13 Ekim 1921 tarihinde imzalanmıştı<sup>87</sup>. Böylece Ahıska’nın Sovyet Gürcistanı’na bırakıldığı tescil edilmiş olundu.

Sonuç olarak, Ahıska, 1918 ve 1921 yıllarında iki kez Türkler tarafından geri alınsa da, Moskova ve Kars Antlaşmalarıyla Sovyet Gürcistanı’na bırakılmak zorunda kalmıştır. Böylece Ahıska bir daha geri gelmemek üzere Türklerin elinden çıkmıştır.

## **KAYNAKÇA**

### **1. Arşivler**

***Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivi (BOA)***

**A.VRK:** Sadaret Evrakı

**AFTE:** Ali Fuat Türkgeldi Evrakı

**DH.EUM.5.Şb:** Dâhiliye Nezareti Emniyet-i Umumiye Müdüriyeti Beşinci Şube.

**DH.ŞFR:** Dâhiliye Nezareti Şifre Kalemi

**DH/ İ-UM:** Dâhiliye Nezareti İdare-i Umumiye Evrakı

**HR.HMŞ.İŞO:** Hariciye Nezareti Bab-ı Alî Hukuk Müşavirliği İstişare Odası

**HR.SYS:** Hariciye Nezareti Siyasî Kalemi

***The National Archives of United Kingdom (İngiliz Millî Arşivleri) (NA)***

**FO:** Foreign Office

**WO:** War Office

***Genelkurmay Askerî Tarih ve Stratejik Etüt Dairesi Başkanlığı Arşivi (ATASE)***

**BDH,** Büyük Dünya Harbi

**İSH,** İstiklal Harbi

***Türk İnkılâp Tarihi Enstitüsü Arşivi (TİTE)***

***Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Cumhuriyet Arşivi (BCA)***

---

<sup>85</sup> *Türkiye Büyük Millet Meclisi Zabıt Ceridesi*, Devre: 1, İçtima Senesi: 2, c. XI, TBMM Matbaası, Ankara 1958, s. 332-333.

<sup>86</sup> Stefanos Yerasimos, *Milliyetler ve Sınırlar*, İletişim Yayınları, İstanbul 1994, s. 318, 324-326.

<sup>87</sup> ATASE, İSH, K: 1395, G: 100, B: 100-1-17; BCA, 30.18.1.1/ 3.34.7.

## 2. Gazeteler

*Albayrak*

*Ati*

*Christian Science Monitor*

*İkdam*

*İleri*

*İstikbâl*

*New York Times*

*Sabah*

*Tanin*

*Tasvir-i Efkâr*

*Tevhid-i Efkâr*

*The Georgian Messenger*

*The Manchester Guardian*

*The Times*

*The Transcaucasian Post*

*Vakit*

## 3. Basılı Belgeler, Kitap ve Makaleler

ALLEN, William Edward David ve Paul Muratoff, *Kafkas Harekâtı (1828-1921): Türk-Kafkas Sınırındaki Harplerin Tarihi*, Genelkurmay Basımevi, Ankara 1966.

BALA, Mirza, “Müstakil Azerbaycan”, *Birleşik Kafkasya (Vereinigtes Kaukasian)*, n. 5 (22), München 1953.

*Berlin Kongresi Protokollerinin Tercümesidir*, Matbaa-i Amire, İstanbul, 1298/1880.

*Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Irak-İran Cephesi*, c. III/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 2002

*Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Kafkas Cephesi 3 üncü Ordu Harekâtı*, c. II/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 1993.

*Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Sina-Filistin Cephesi*, c. IV/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 1986.

BUDAK, Mustafa, *Misâk-i Millî'den Lozan'a İdealden Gerçeğe Türk Dış Politikası*, Küre Yayınları, 5. Baskı, İstanbul 2013.

Cemil Öztürk, “Mondros Mütarekesi”, *TDV İslâm Ansiklopedisi*, c. 30, 2005, ss. 271-273.

ÇAKMAK, Fevzi, *Büyük Harpte Şark Cephesi Hareketleri*, Genelkurmay Matbaası, Ankara 1936.

DAYI, Esin, *Elviye-i Selâse'de (Kars, Ardahan, Batum) Millî Teşkilatlanma*, Kültür Eğitim Vakfı Yayınları, Erzurum, (t.y.).

*Dokumenti i Materyalı Po Vneşney Zakavkazya i Gruzii*, Tipografiya Pravitelstva Gruzinskoy Respubliki, Tiflis 1919.

*Dokümanı Vneşney Politiki SSSR*, c. I, Gosudarstvennoe İzdatelstvo Politıçeskoı Literaturı, Moskva 1957.

ERİM, Nihat, *Devletlerarası Hukuku ve Siyasi Tarih Metinleri (Osmanlı İmparatorluğu Andlaşmaları)*, c. I, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1953.

GÖKDEMİR, Ahmet Ender, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, Türk Kültürünü Araştırma Enstitüsü Yayınları, Ankara 1989.

HOVANNISIAN, Richard G., *The Republic of Armenia: The First Year (1918-1919)*, c. I, Berkeley, Los Angeles, London 1971.

KARABEKİR, Kazım, *Günlükler (1906-1948)*, c. I, Yay.Haz. Yücel Demirel, Yapı Kredi Yayınları, İstanbul 2009.

KARABEKİR, Kazım, *İstiklal Harbimiz*, 2. Baskı, Türkiye Yayınevi, İstanbul 1969.

KAZEMZADEH, Firuz, *The Struggle For Transcaucasia (1917-1921)*, Philosophical Library, New York, George Ronald, Oxford 1951.

KEYKURUN, Naki, *Azerbaycan İstiklal Mücadelesinin Hatıraları: 1905-1920*, İlke Kitapevi, Ankara 1998.

KILIÇ, Selami, *Türk-Sovyet İlişkilerinin Doğuşu, Brest-Litovsk Barışı ve Müzakereleri (22 Aralık 1917 - 3 Mart 1918)*, Ülke Kitapları, İstanbul 1998.

KIRZIOĞLU, M. Fahrettin, "Cihangiroğlu İbrahim Aydın (1874-1948)'daki Milli-Mücâdele'de Kars ve Atatürk İle İlgili Belgeler", *Belleten*, c. XLVIII, s. 189-190, Ocak-Nisan 1984, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1985.

KIRZIOĞLU, M. Fahrettin, *Milli Mücâdele'de Kars*, c. I, Hamle Matbaası, İstanbul 1960.

KIRZIOĞLU, M. Fahrettin, *Osmanlılar'ın Kafkas-Elleri'ni Fethi (1451-1590)*, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1993.

KURAT, Akdes Nimet, "Brest-Litovsk Müzakereleri ve Barışı ( 20 Aralık 1917- 3 Mart 1918)", *Belleten*, c. XXXI, no: 123, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, Temmuz 1967, ss. 375-413.

KURAT, Akdes Nimet, *Türkiye ve Rusya*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 1990.

MENTEŞE, Halil, *Osmanlı Mebusan Meclisi Reisi Halil Menteşe'nin Anıları*, Hürriyet Yayınları, İstanbul 1986.

Mustafa Budak, *Misâk-i Milli'den Lozan'a İdealden Gerçeğe Türk Dış Politikası*, Küre Yayınları, 5. Baskı, İstanbul 2013.

ÖZTUNA, Yılmaz, *Devletler ve Hanedanlar: Türkiye (1074-1990)*, c. II, Kültür Bakanlığı Yayınları, Ankara 1996.

ÖZTÜRK, Cemil, "Mondros Mütarekesi", *TDV İslâm Ansiklopedisi*, c. 30, 2005.

SARI, Mustafa, "Ahıska'da Son Osmanlı İdaresi (1918)", *Karadeniz Araştırmaları*, 12/46, 2015, ss. 153-179.

SARI, Mustafa, *Türkiye-Kafkasya İlişkilerinde Batum*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 2014.

SELVİ, Haluk, *Millî Mücadele'de Erzurum (1918-1923)*, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları, Ankara 2000.

SÜRMEĒĒ, Serpil, *Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921)*, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları, Ankara 2001.

ŞAHİN, Enis, "Türkiye Maverâ-yı Kafkasya Komiserliđi İlişkilerinin Bařlaması ve Erzincan Mütarekesi", *Kafkas Arařtırmaları*, c. IV, İstanbul, 1998, ss. 151-173.

ŞAHİN, Enis, *Türkiye ve Maverâ-yı Kafkasya İlişkileri İçerisinde Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 2002.

*Türk İstiklâl Harbi: Dođu Cephesi (1919-1921)*, c. III, Genelkurmay Basımevi, Ankara 1995.

*Türk İstiklâl Harbi: Mondros Mütarekesi Tatbikatı*, c. I, Ankara 1999.

*Türkiye Büyük Millet Meclisi Zabıt Ceridesi*, Devre: 1, İçtima Senesi: 2, c. XI, TBMM Matbaası, Ankara 1958.

WHEELER-BENNETT, John W., *Brest-Litovsk The Forgotten Peace March 1918*, Macmillan & Co. Ltd., London 1963.

YERASIMOS, Stefanos, *Milliyetler ve Sınırlar*, İletişim Yayınları, İstanbul 1994.

ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია ლალა მუსტაფა ფაშას 1578 წლის ლაშქრობის შემდეგ ოსმალეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა.<sup>1</sup> ახალციხის ბოლო ათაბაგმა მანუჩარმა ისლამის მიღების შემდეგ მუსტაფა დაირქვა და ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა.<sup>2</sup> 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლოს დადებული ადრიანოპოლის ზავით ახალციხე და ახალქალაქი რუსებს დარჩათ.<sup>3</sup> ამგვარად ახალციხეში დასრულდა 250 წლიანი ოსმალური მმართველობა და რუსული ხელისუფლება დამყარდა.

ახალციხის შემდეგ, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგებით ოსმალეთი იძულებული გახდა რუსებისთვის დაეთმო ბათუმის, ყარსისა და არტანის ოლქები, სადაც უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენდნენ.<sup>4</sup> ამ დროიდან მოყოლებული ოსმალეთის

---

<sup>1</sup> M. Fahrettin Kırziođlu, *Osmanlılar'ın Kafkas-Elleri'ni Fethi (1451-1590)*, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1993, s. 274-294.

<sup>2</sup> Yılmaz Öztuna, *Devletler ve Hanedanlar: Türkiye (1074-1990)*, c. II, Kültür Bakanlığı Yayınları, Ankara 1996, s. 561-563.

<sup>3</sup> ადრიანოპოლის ზავის პირობების შესახებ იხ.: Nihat Erim, *Devletlerarası Hukuku ve Siyasi Tarih Metinleri (Osmanlı İmparatorluğu Andlaşmaları)*, c. I, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1953, s. 273-286.

<sup>4</sup> *Berlin Kongresi Protokollerinin Tercümesidir*, Matbaa-i Amire, İstanbul, 1298/1880, s. 270-271.

სახელმწიფოს მიზანი ამ რეგიონების კვლავ ხელში ჩაგდება გახდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეებმა ისარგებლეს მომენტით და ამ მიზნის განხორციელებისთვის რუსების წინააღმდეგ სარიყამიშის ოპერაცია დაგეგმეს. თუმცა ეს ოპერაცია წარუმატებელი გამოდგა და რუსებმა 1916 წლამდე თითქმის მთელი აღმოსავლეთ ანატოლია და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი დაიკავეს.<sup>5</sup> თუმცა 1917 წლის რევოლუციამ რუსეთში ოსმალეთს კავკასიაში ახალი ფაზის დაწყების საშუალება მისცა.

მარტის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფრონტზე ბრძოლები შეწყდა. ბოლშევიკების მიერ ნოემბერში ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა იმედი, რომ მშვიდობა დამყარდებოდა. საბოლოო ჯამში 1917 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების<sup>6</sup> და ერზინჯანის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების<sup>7</sup> ხელმოწერის შემდეგ რუსებმა კავკასიის ფრონტიდან ნაწილების გაყვანა დაიწყეს. რუსების გასვლის შემდეგ რეგიონში მუსულმანმა თურქებმა, სომხებმა და ქართველებმა ეროვნული სტრუქტურების ჩამოყალიბება დაიწყეს. ქართველებმა და სომხებმა გამოიყენეს რუსების გასვლის შემდეგ დარჩენილი იარაღი და საბრძოლო მასალა და ეროვნული არმიები ჩამოაყალიბეს.<sup>8</sup> ქართველებმა და სომხებმა, რომლებმაც თურქებზე ადრე დაამთავრეს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, რუსების მიერ დაცლილი ტერიტორიების დაკავება დაიწყეს. ახალციხე და მისი მიმდებარე რეგიონი იყო ერთერთი იმ ტერიტორიათაგანი, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა ეს ორი ერი.<sup>9</sup>

რეგიონში მცხოვრებმა მუსულმანმა თურქებმა, ქართველებისა და სომხებისგან საკუთარი მიწის დაცვისთვის სხვა გზა ვერ იპოვნეს და დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართეს. ამისთვის 1918 წლის დასაწყისში

---

<sup>5</sup> პირველ მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტზე განვითარებული მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: William Edward David Allen ve Paul Muratoff, *Kafkas Harekâtı (1828-1921): Türk-Kafkas Sınırındaki Harplerin Tarihi*, Genelkurmay Basımevi, Ankara 1966, s. 217-425.

<sup>6</sup> *Dokumenti Vneşney Politiki SSSR*, c. I, Gosudarstvennoe İzdatelstvo Politiceskoy Literaturi, Moskva 1957, s. 47-51; John W. Wheeler-Bennett, *Brest-Litovsk The Forgotten Peace March 1918*, Macmillan & Co. Ltd., London 1963, s. 379-384; Akdes Nimet Kurat, “Brest-Litovsk Müzakereleri ve Barışı (20 Aralık 1917-3 Mart 1918)”, *Belleten*, c. XXXI, no: 123, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, Temmuz 1967, s. 378.

<sup>7</sup> *Dokumenti i Materyalı Po Vneşney Zakavkazya i Gruzii*, Tipografiya Pravitelstva Gruzinskoy Respubliki, Tiflis 1919, s. 18-23; *Dokumenti Vneşney Politiki SSSR*, c. I, s. 53-57; Enis Şahin, “Türkiye Maverâ-yı Kafkasya Komiserliği İlişkilerinin Başlaması ve Erzincan Mütarekesi”, *Kafkas Araştırmaları*, c. IV, İstanbul, 1998, s. 169-171.

<sup>8</sup> Akdes Nimet Kurat, *Türkiye ve Rusya*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 1990, s. 331.

<sup>9</sup> Mustafa Sarı, “Ahıska’da Son Osmanlı İdaresi (1918)”, *Karadeniz Araştırmaları*, 12/46, 2015, s. 155-156.

ახალციხელმა თურქებმა სტამბოლში მიავლინეს ომერ ფაიკ ნუმანზადე. იგი დაემგზავრა აზერბაიჯანიდან იმავე მიზეზით გამგზავრებულ ნაკი ქეიქურუნ შეიხზამანლის და სუშეკრში შეხვდა კავკასიის არმიის სარდალს ვეჰბი (ქაჩი) ფაშას.<sup>10</sup> ომერ ფაიკ ბეი ითხოვდა, რომ ოსმალეთის არმიას რაც შეიძლება მალე დაეკეცებინდა ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ჯერ კიდევ სტამბოლისკენ მიმავალმა ომერ ფაიკ ბეიმ დიდვეზირ თალათ ფაშას და სამხედრო მინისტრს ენვერ ფაშას ტელეგრამა გაუგზავნა და აცნობა, რომ რუსული რევოლუციების შემდეგ კავკასიაში სახელისუფლო ვაკუუმი დამყარდა და ოსმალეთის სახელმწიფო უნდა ეჩქარა და დაეწყო სამხედრო ოპერაცია, სახამ ამ სიცარიელის ინგლისელები შეავსებდნენ.<sup>11</sup> ეს ტელეგრამა ატარებდა იმ აზრს, რომ ოსმალურ ჯარებს დაეკავებინათ ახალციხე და მიმდებარე ტერიტორიები და შემდეგ გამოეცხადებინათ მისი ოსმალეთთან შეერთების შესახებ.

ომერ ფაიკ ბეი და ნაკი ქეიქურუნ ბეი სტამბოლში ჩავიდნენ 1918 წლის 2 მარტს<sup>12</sup> და შეხვდნენ დიდვეზირ თალათ ფაშას და ენვერ ფაშას. შეხვედრისას ომერ ფაიკ ბეიმ დააყენა ოსმალეთის მიერ ახალციხის მიერთების აუცილებლობის საკითხი, რადგან იგი თურქეთის საზღვართან ახლოს იმყოფებოდა. კი ქეიქურუნ ბეი კი ითხოვდა არა აზერბაიჯანის მიერთებას, არამედ ოსმალეთის დახმარებას ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.<sup>13</sup>

კავკასიელი დელეგატების სტამბოლისკენ მგზავრობის დროს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანულ, თურქულ და რუსულ დელეგაციებს შორის გრძელდებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებები. თუმცა მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა.<sup>14</sup> ამავე დროს გახშირდა სომხების მხრიდან მუსულმანებზე ძალადობის ფაქტები. ამ მიზეზების გამო 1918 წლის 12 თებერვალს თურქებმა კვლავ დაიწყეს წინსვლა კავკასიის ფრონტზე.<sup>15</sup> ომერ ფაიკ ბეის და ნაკი ქეიქურუნ ბეის მოთხოვნის თანახმად თურქების წინსვლის ოპერაციას კავკასიაში მუსლიმებით დასახლებული ყველა რეგიონი უნდა მოეცვა. ამას დაემთხვა ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებების დასრულება და 1918 წლის 3 მარტს სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა. ბრესტ-

<sup>10</sup> Naki Keykurun, *Azerbaycan İstiklal Mücadelesinin Hatıraları: 1905-1920*, İlke Kitapevi, Ankara 1998, s. 86-94.

<sup>11</sup> BOA, DH.EUM.5.Şb, 55/26, lef: 3.

<sup>12</sup> *Tasvir-i Efkar*, 4 Mart 1918, no. 2383, s. 1; *Vakit*, 3 Mart 1918, no. 133, s. 2.

<sup>13</sup> Keykurun, *Azerbaycan İstiklal Mücadelesinin Hatıraları*, s. 95-100.

<sup>14</sup> Brest-Litovsk görüşmeleri için bkz. Selami Kılıç, *Türk-Sovyet İlişkilerinin Doğuşu, Brest-Litovsk Barışı ve Müzakereleri (22 Aralık 1917 - 3 Mart 1918)*, Ülke Kitapları, İstanbul 1998.

<sup>15</sup> NA, WO, 106/6239; FO, 3371/ 3335, 130177.

ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ელვიე-ი სელასეს ტერიტორიაზე მცხოვრები თურქების უფლებები დაცული იქნებოდა.<sup>16</sup> მდგომარეობის ასეთმა ცვლილებამ კიდევ უფრო მოტივირებული გახადა ოსმალეთის წინსვლის ოპერაცია.

ოსმალეთს სურდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატსაც<sup>17</sup> დაედასტურებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მოპოვებული უფლებები. ამ მიზნით 1918 წლის 1 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით ტრაპიზონში გაიმართა მოლაპარაკებები ორივე მხარის მონაწილეობით. კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციამ ელვიე-ი სელასეს გარდა კიდევ მოითხოვა სხვა ტერიტორიებიც. ერთ-ერთი ასეთი ტერიტორია იყო ახალციხე. თუმცა ამიერკავკასიის დელეგატები, განსაკუთრებით კი ქართველები, ახალციხეს არ თმობდნენ. მიუხედავად ამისა ოსმალეთის სახელმწიფო ელიტა და განსაკუთრებით მთავარსარდლის მოადგილე ენვერ ფაშა დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მუსლიმი თურქებით დასახლებული ახალციხე ოსმალეთის საზღვრებში დარჩენილიყო.<sup>18</sup> თუმცა 1918 წლის აპრილის შუა რიცხვებში ტრაპიზონის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მხარეები არა მხოლოდ ახალციხის, არამედ სხვა საკითხებზეც ვერ შეთანხმდნენ. ამიერკავკასიის მთავრობამ ეს არ იკმარა და 1918 წლის 13-14 აპრილის ღამეს ოსმალეთს ომი გამოუცხადა.<sup>19</sup>

თურქეთის არმია აგრძელებდა შეტევით ოპერაციას ტრაპიზონის კონფერენციის მიმდინარეობისასაც. თურქულმა არმიამ 28 მარტს აიღო ართვინი<sup>20</sup>, 3 აპრილს არტანი<sup>21</sup>, 5 აპრილს სარიყამიში<sup>22</sup> და 14 აპრილს

<sup>16</sup> BOA, AFTE, 6/49; *The Times*, 5 Mart 1918, n. 41729, s. 6; *Tasvir-i Efkâr*, 7 Mart 1918, n. 2386.

<sup>17</sup> 1917 წლის მარტში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ახალმა რეჟიმმა ამიერკავკასიის მართვისთვის რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი დეპუტატების მონაწილეობით ჩამოაყალიბა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). თუმცა 1917 წლის ნოემბერში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ კავკასიელებმა ოზაკომის ნაცვლად ამიერკავკასიის კომისარიატი (ზაკაკომი) ჩამოაყალიბეს. ზაკაკომი ცენტრისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: Enis Şahin, *Türkiye ve Maveraâ-yı Kafkasya İlişkileri İçerisinde Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 2002, s. 30-42, 103-123)

<sup>18</sup> Şahin, *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları*, s. 304, 307-307.

<sup>19</sup> *Dokümanı i Materyalı Po Vneşney Zakavkazya i Gruzii*, s. 163-166; 166-184; Firuz Kazemzadeh, *The Struggle For Transcaucasia (1917-1921)*, Philosophical Library, New York, George Ronald, Oxford, 1951, s. 99.

<sup>20</sup> Kazım Karabekir, *Günlükler (1906-1948)*, c. I, Yay.Haz. Yücel Demirel, Yapı Kredi Yayınları, İstanbul 2009, s. 500.

<sup>21</sup> *The Times*, 9 Nisan 1918, n. 41759, s. 5; Fevzi Çakmak, *Büyük Harpte Şark Cephesi Hareketleri*, Genelkurmay Matbaası, Ankara 1936, s. 268.

<sup>22</sup> *İkdam*, 8 Nisan 1918, n. 7601; *The Manchester Guardian*, 9 Nisan 1918, s. 5.

ბათუმი დაიკავა.<sup>23</sup> ბათუმის ალების შემდეგ შემუშავდა ახალი გეგმა ახალციხის დასაკავებლად და 1918 წლის 18 აპრილს კავკასიის მესამე კორპუსი ახალციხის მიმართულებით დაიძრა. ახალციხეში კი დაახლოებით 2000 კაციანი ქართულ-სომხური შენაერთი იმყოფებოდა.<sup>24</sup>

წარმატებით მიმდინარე თურქული შეტევითი ოპერაციის ფონზე ამიერკავკასიის მთავრობამ 1918 წლის 22 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.<sup>25</sup> ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერალურ რესპუბლიკას შორის არსებული პრობლემების მოგვარებისთვის 1918 წლის 11 მაისს-4 ივნისს შორის პერიოდში ბათუმში კიდევ ერთი კონფერენცია დაინიშნა. თურქულ მხარეს იუსტიციის მინისტრი ჰალილ (მენტეშე) ბეი,<sup>26</sup> ამიერკავკასიის მხარეს კი მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა.<sup>27</sup> ბათუმის კონფერენციაზე თურქულმა დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულის გარდა ახალი ტერიტორიული მოთხოვნები დააყენა. ეს ტერიტორიები მოიცავდა 1878 წლის საზღვრის გადაღმა მდებარე მუსლიმებით დასახლებულ ახალციხეს, ახალქალაქს, გიუმრის და სურმელის რაიონებს.<sup>28</sup> თუმცა შეხვედრებზე ამიერკავკასიის დელეგაციამ ეს მოთხოვნები სასტიკად უარყო. მათი შეხედულებით, საზღვარი ბრესტ-ლიტოვსკში დადგენილ საზღვარს, ანუ ელვიე-ი სელასეს არ უნდა გაცდენოდა.

ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად ადიგენში შეიკრიბნენ რეგიონის მოსლიმი წარჩინებულები და არსებული პირობებიდან გამომდინარედა სომხების თავდასხმების წინააღმდეგ ზომების მიღებისთვის, შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღეს:

1. რადგან რუსეთის რევოლუციის შემდეგ ახლადდაარსებული მთავრობა აღიარებს თვითგამორკვევის პრინციპს, ყველა ერს შეუძლია მეზობელი სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ შესვლა.

<sup>23</sup> ოსმალეთის მიერ ბათუმის დაკავების შესახებ დეტალური ცნობები იხ.: Mustafa Sari, *Türkiye-Kafkasya İlişkilerinde Batum*, Türk Tarih Kurumu Yayınları, Ankara 2014, s. 105-127.

<sup>24</sup> *Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Kafkas Cephesi 3 üncü Ordu Harekâtı*, c. II/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 1993, s. 489, 497, 504.

<sup>25</sup> NA, FO, 248/ 1196/ 209; *The Transcaucasian Post*, 2 Nisan 1919, n. 12, s. 3; *Tanin*, 31 Mayıs 1918, n. 3403.

<sup>26</sup> *Dokümanı i Materyalı Po Vneşney Zakavkazya i Gruzii*, s. 253; *Vakit*, 1 Mayıs 1918, n. 192; *Tasvir-i Efkâr*, 2 Mayıs 1918, n. 2442; *Atı*, 2 Mayıs 1918, n. 122; *Sabah*, 1 Mayıs 1918, n. 10222.

<sup>27</sup> NA, FO, 248/ 1196/210; BAO, HR.SYS, 2398/ 7, lef: 76; *Tanin*, 31 Mayıs 1918, n. 3403, s. 3.

<sup>28</sup> ATASE, BDH, Kls: 2919, D: 61/499, B: 3-1.



2. ახალციხის მაზრა 300 წელი იმყოფებოდა ოსმალეთის მმართველობის ქვეშ და იგი 1828 წელს დაიპყრო რუსეთმა.

3. ახალციხის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თურქია და დღემდე ინარჩუნებს რელიგიურ და ეროვნულ კავშირებს ოსმალეთთან.

4. ომის დაწყებიდან დღემდე ახალციხელმა მუსლიმებმა თანასწორობისა და სამართლიანობის მაგივრად დიდი უსამართლობა განიცადეს. მაზრაში უმრავლესობის მიუხედავად, მართველობის ყველა სადავე ქრისტიანებს გადასცეს. ამიერკავკასიის მთავრობის გატარებული პოლიტიკის გამო ახალციხელი მუსლიმი მოსახლეობა მოკლებულია განათლების და სხვა უფლებებს.

5. ამიერკავკასიის მთავრობის მიერ მუსულმანების მიმართ გატარებული უსამართლობით გულმოცემული ქრისტიანი მოსახლეობა, ბოლო დღეებში თავს ესხმის მუსლიმებს.

6. თუ კი ახალციხის მაზრა დარჩება 1878 წლის საზღვრებში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე იგი მოყვება ქართულ და სომხურ ტერიტორიებსა და ძალებს შორის და რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ვერ შეინარჩუნებს რელიგიურ და ეროვნულ თვითმყოფადობას.

მოკლედ ახალციხელ წარჩინებულებს სურდათ ამიერკავკასიის რესპუბლიკისგან გამოყოფა და ოსმალეთთან შეერთება. მათ მიღებული გადაწყვეტილებები 40 ხელმოწერით მთავარსარდლის მოადგილე ენვერ ფაშას გაუგზავნის.<sup>29</sup>

ამავე პერიოდში ბათუმში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ ვერ გაუძლო ოსმალეთის ზეწოლას და 1918 წლის 26 მაისს საკუთარი თავი გაუქმებულად გამოაცხადა.<sup>30</sup> იმავე დღეს დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველომ<sup>31</sup>, ხოლო 28 მაისს აზერბაიჯანის<sup>32</sup> და სომხეთის<sup>33</sup> რესპუბლიკები დაარსდნენ. ამგვარად ეს სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციასთან ცალ-ცალკე აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

<sup>29</sup> ამ წერილმა ოსმალთა პასუხისმგებელ პირებამდე მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს მიაღწია. იხ.: BOA, HR.SYS, 2303/ 2, lef: 22; *Dokumenti i Materyali Po Vneşney Zakavkazya i Gruzii*, s. 310-312.

<sup>30</sup> NA, AIR, 1/22282 /209/74/2.

<sup>31</sup> NA, AIR, 1/22282/209/74/2; *The Georgian Messenger*, 23 Şubat 1919, n. 1, s. 3; *Christian Science Monitor*, 21 Eylül 1918, s. 3

<sup>32</sup> Mirza Bala, "Müstakil Azerbaycan", *Birleşik Kafkasya (VereinigtesKaukasian)*, n. 5 (22), München 1953, s. 12.

<sup>33</sup> NA, WO, 106/6239; FO, 3371/ 3335, 130177.

ბათუმის კონფერენციაზე თურქი დელეგატები დაჟინებით ითხოვდნენ ქართული დელეგაციისგან თანხმობას ახალციხისა და ახალქალაქის ოსმალეთთან მიერთებაზე. თუმცა ქართველები ამას არ თანხმდებოდნენ. ასეთ ვითარებაში ჰალილ ბეიმ 31 მაისს ღამე ქართველებს ბოლო ნოტა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა არ დათმობდა ახალციხესა და ახალქალაქს, თურქეთის არმია თბილისის მიმართულელებით დაიწყებდა შეტევას. ამ ნოტის შემდეგ ქართველი დელეგატები იძულებული გახდნენ ოსმალეთისთვის დაეთმობთ ახალციხის და ახალქალაქის რაიონები დაბა აწყურისა და აბასთუმნის გარდა.<sup>34</sup> საბოლოო ჯამში ახალციხის საკითხში ქართული მხარის დარწმუნება მოხერხდა თურქული მხარის მუქარის შემდეგ.

ბათუმში ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ დელეგაციებთან თურქული მხარის მიერ ცალ-ცალკე წარმოებული მოლაპარაკებები 1918 წლის 4 ივნისს შედეგიანად დასრულდა.<sup>35</sup> საქართველოსა და ოსმალეთს შორის 4 ივნისს გაფორმებული მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების მიხედვით ახალციხის და ახალქალაქის მაზრები თურქებს გადაეცათ.<sup>36</sup> ამ ხელშეკრულების საფუძველზე 10 ივნისს თურქული შენაერთები ახალციხეში შევიდნენ.<sup>37</sup> ამგვარად 90 წლის შემდეგ თურქებმა ახალციხე კვლავ ხელში ჩაიგდეს. ბათუმში ხელმოწერილი ხელშეკრულებების მიხედვით ოსმალეთი ამიერკავკასიაში აბსოლუტურ ჰეგემონად გადაიქცა.

თურქეთის არმიამ ახალციხის აღების შემდეგ აწყური და აბასთუმანიც დაიკავა. ქართველებმა მოითხოვეს, თურქებს დაეტოვებინათ ეს ადგილები, რადგან ეწინააღმდეგებოდა ბათუმის შეთანხმებას. ეს საკითხი დაისვა კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის ივნის-სექტემბერში სტამბოლში ოსმალეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. მხარეებს შორის გამართული გრძელვადიანი მოლაპარაკებების შედეგად თურქები დათანხმდნენ აბასთუმანიდან და აწყურიდან ჯარების გაყვანას საქართველოს რკინიგზით საზღაურის გარეშე სარგებლობის

---

<sup>34</sup> Halil Menteşe, *Osmanlı Mebusan Meclisi Reisi Halil Menteşe'nin Anıları*, Hürriyet Yayınları, İstanbul 1986, s. 229-230.

<sup>35</sup> Barış görüşmelerinin detayları için bkz: Şahin, *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları*, s. 606-627.

<sup>36</sup> BOA, HR.HMŞ.İŞO, 123/67, lef: 16-24; Şahin, *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları*, s. 710-715.

<sup>37</sup> *Kafkas Cephesi*, c. II/2, s. 524.

სანაცვლოდ.<sup>38</sup> ამის შემდეგ თურქულმა შენაერთებმა დატოვეს აბასთუმანი და აწყური.

აბასთუმნიდან და აწყურიდან თურქული შენაერთების გასვლის წინ ამ ორი დაბის წარჩინებულებმა 1918 წლის 10 სექტემბერს ოსმალეთის დიდვეზირს თალათ ფაშას ასეთი წერილი გაუგზავნეს:

„დაახლოებით ასი წელია რუსების ძალმომრეობის გამო ვკვნესით. როგორც შეგვატყობინეს, ღმერთის დახმარებით ამ ომში გამოხსნილი ახალციხის ნაწილი აბასთუმანი და აწყური სხვადასხვა სარგებლის სანაცვლოდ საჭიროა, რომ საქართველოს გადაეცეს. ამას ისლამის ინტერესებიდან გამომდინარე დროებით ავიტანთ, თუ ოსმალეთის გენერალური შტაბის უფროსი ენვერ ფაშა პირობის საბუთს მოგვცემს, რომ აბასთუმანი და აწყური სამშობლოს დაუბრუნდება. ჩვენ არასდროს ქართველებს არ დავემორჩილებით. ამიტომ სათხოვარი გვაქვს, რომ დავემორჩილოთ ოსმალეთის მთავრობას, როგორც მთლიანად მუსულმანურ და თურქულ ქვეყანას.“<sup>39</sup>

თუმცა აწყურისა და აბასთუმნის წარჩინებულების ამ ტელეგრამამ საბოლოო შედეგი არ შეცვალა. იმიტომ რომ 1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში თურქი სამხედროები დატოვებდნენ ახალციხესაც, ახალქალაქსაც და მათთან ერთად ირანს, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიას.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918 წლის 12 თებერვალს დაწყებული წინსვლის ოპერაციის დროს 1914 წლის საზღვარს მიღმა დაკავებული ტერიტორიებზე სამხედრო და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად ოსმალეთის მთავრობა რეგიონში სამოქალაქო მმართველობის ჩამოყალიბებითაც იყო დაკავებული. ოსმალეთის მთავრობამ ამ ტერიტორიაზე სამოქალაქო ადმინისტრაციის მოწყობა შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველს აბდულჰალიკ ბეის დაავალა. აბდულჰალიკ ბეი 1918 წლის 6 მაისს ჩამოვიდა<sup>40</sup> ბათუმში და მამინვე შეუდგა მუშაობას. აბდულჰალიკ ბეისთან ერთად სტამბოლიდან ჩამოვიდა ოთხი სამოქალაქო ინსპექტორი. ერთერთი მათგანი ემინ ბეი<sup>41</sup> მიავლინეს ახალციხეში, რათა მოეგვარებინა ადმინისტრაციული საკითხები. როგორც ცნობილია, იგი მოგვიანებით მხარის გუბერნატორად დაინიშნა.

<sup>38</sup> NA, WO, 106/6239

<sup>39</sup> BOA, A.VRK, 820/ 82.

<sup>40</sup> *Tasvir-i Efkâr*, 19 Mayıs 1918, n. 2459, s. 3; *Vakit*, 28 Mayıs 1918, n. 219; *Sabah*, 25 Mayıs 1918, n. 10250, s. 2.

<sup>41</sup> BOA, DH.ŞFR, 87/ 81.

როგორ უნდა ემართათ 1914 წლის საზღვრის გაღმა დაკავებული ტერიტორიები - ყარსი, არტაანი, ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, სურმელი და სხვა - ომის განმავლობაში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსახილველი თემა იყო ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეებისთვის. შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი აბდულკადირ ბეი, ენვერ ფაშა და თალათ ფაშა ამ საკითხზე საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ, მაგრამ როგორც ჩანს ამ საკითხზე ერთი ჩამოყალიბებული აზრი არ ჰქონდათ. თუმცა როგორც ვხედავთ, მმართველობა ხდებოდა აბდულჰალიკ ბეის შეხედულებისამებრ, რომელიც რეალურად მართავდა ამ ტერიტორიას და საკმაოდ დეტალურ ანგარიშებს აგზავნიდა ცენტრში. აბდულჰალიკ ბეის შეხედულებები ეფუძნებოდა 1829, 1878 და 1914 წლის საზღვრებს და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას.

ოსმალეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ელვიე-ი სელასემი ჩატარებულ რეფერენდუმზე მიღებული 97%-ზე დაყრდნობით 1918 წლის 15 აგვისტოს რეგიონი მიიერთა. თუმცა მიუხედავად ბათუმის ხელშეკრულების ღია მუხლებისა და ახალციხის მოსახლეობის მოთხოვნებისა, ოსმალეთის მთავრობის პასუხისმგებელმა პირებმა ყოყმანი დაიწყეს ახალციხის მიერთების საკითხზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეებს არ სურდათ საზღვრის 1829 წლის მდგომარეობაზე გადაწევა.<sup>42</sup>

მიუხედავად ყოყმანისა, ოსმალეთის მთავრობამ ახალციხესა და მის შემოგარენში სამოქალაქო საქმეების მოწესრიგებისთვის ემინ ბეი მიავლინა. ემინ ბეიმ მოაწყო სამოქალაქო ორგანიზაცია და მოხელეებს ხელფასად 700 ლირა დაუნიშნა.<sup>43</sup> ემინ ბეიმ ახალციხის გუბერნატორის წოდებით 1918 წლის 4 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საკმაოდ დეტალური ტელეგრამა გააგზავნა, რომელშიც მიზნად ისახავდა რეგიონში სამოქალაქო საქმეების მოწესრიგებას. ამ ტელეგრამაში იგი ითხოვდა, რომ ახალციხეში დასაქმებული ადგილობრივი ჟანდარმებისა და რაიონის გამგებლებისთვის ხელფასები ჯარის ბიუჯეტიდან გადაეხადა, დაერთოთ ნება, რომ ფინანსური საქმიანობის მოხელეებად არამუსლიმები დაენიშნა და რეგიონის ტყეების დაცვისთვის სასწრაფოდ გამოეგზავნათ სამი სატყეო ინსპექტორი.<sup>44</sup>

<sup>42</sup> ახალციხეში ოსმალური ადმინისტრაციული მმართველობის დამყარების შესახებ დეტალური ცნობები იხ.: Sarı, "Ahıska'da Son Osmanlı İdaresi", s. 167-171.

<sup>43</sup> BOA, DH/ İ-UM, 20-19/ 13-24, lef: 3.

<sup>44</sup> BOA, DH/İ-UM, 29-19/ 13-14, lef: 5; BOA, DH.ŞFR, 591/ 19.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ახალციხეში გაიზარდა დაავადებათა რაოდენობა, რეგიონში არც ერთი ექიმი არ იმყოფებოდა. ემინ ბეიმ დიდი ძალისხმევა დახარჯა, რათა ვინმე არიფ ბეი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ექიმობას ეწეოდა, კვლავ დაეთანხმებინა ემუშავა ექიმად გუბერნატორის დაქვემდებარებაში.<sup>45</sup> ამასთანავე, ემინ ბეიმ ვეტერინარის თანამდებობაზე დროებით დანიშნა პიროვნება, რომელიც რუსული მმართველობის დროს ასრულებდა ამ მოვალეობას და დაუნიშნა 1500 ყურუში ხელფასი, რათა მას გაეკონტროლებინა ახალციხის სოფლებში ცხოველებს შორის გავრცელებული დაავადებები.<sup>46</sup>

ემინ ბეი მოხელეების დანიშვნისა და მათი ხელფასების საკითხების გარდა განათლების სფეროს მოწესრიგებაც სცადა. ამ მიზნით 1918 წლის 12 აგვისტოს მან შინაგან საქმეთა სამინისტროში ტელეგრამა გააგზავნა და მოითხოვა ახალციხის სკოლებში წიგნებისა და ინვენტარის მთლიანად გამოცვლა და ოფიციალური საშუალო სკოლის გახსნა.<sup>47</sup> როგორც ვხედავთ, ემინ ბეი ახალციხეში სამოქალაქო საქმეების მოწესრიგებისთვის თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებდა.

პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელს თურქული შენაერთები კავკასიის ფრონტზე ზედიზედ აღწევდნენ გამარჯვებებს, თუმცა ერაყში<sup>48</sup> და სირია-პალესტინის ფრონტზე სრულ კრახს განიცდიდნენ.<sup>49</sup> ამასთან 1918 წლის 29 სექტემბერს ბულგარეთმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და ბრძოლიდან გავიდა, რაც ნიშნავდა ოსმალეთსა და გერმანიას შორის სახმელეთო კავშირის გაწყვეტას.<sup>50</sup> ბულგარეთის შემდეგ 4 ოქტომბერს გერმანიამაც მიიღო ანტანტის სახელმწიფოების მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის წინადადება.<sup>51</sup> მოვლენების ასეთი განვითარების ფონზე, ოსმალეთმა ერთის მხრივ დაიწყო საფუძვლის ძებნა ანტანტის სახელმწიფოებთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევის თაობაზე, მეორეს მხრივ კავკასიის ფრონტზე გაფანტული შენაერთების შეგროვების მიზნით 1918 წლის 21 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ჯარები გამოეყვანა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით დადგენილ

<sup>45</sup> BOA, DH/ İ-UM, 20-19/ 13-46, lef: 1; BOA, DH/ İ-UM, 20-19/ 13-46, lef: 4.

<sup>46</sup> BOA, DH/İ-UM, 29-19/ 13-14, lef: 2; BOA, DH.ŞFR, 591/ 122

<sup>47</sup> BOA, DH/ İ-UM, 20-19/ 13-56, lef: 3; BOA, DH.ŞFR, 592/ 14

<sup>48</sup> *Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Irak-İran Cephesi*, c. III/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 2002, s. 809.

<sup>49</sup> *Birinci Dünya Harbinde Türk Harbi: Sina-Filistin Cephesi*, c. IV/2, Genelkurmay Basımevi, Ankara 1986, s. 614-734.

<sup>50</sup> Cemil Öztürk, "Mondros Mütarekesi", *TDV İslâm Ansiklopedisi*, c. 30, 2005, s. 272.

<sup>51</sup> *Türk İstiklâl Harbi: Mondros Mütarekesi Tatbikatı*, c. I, Ankara, 1999, s. 27.

საზღვრებზე ანუ დაეცალა ელვიე-ი სელასეს გარდა ყველა დაკავებული ტერიტორია. ამ ტერიტორიებს შორის იყო ახალციხეც.<sup>52</sup> თუმცა თურქი მაღალჩინოსნები წუხდნენ იმ თურქ მუსლიმებზე, რომლებიც რჩებოდნენ დაცლილ ტერიტორიებზე. ამ მიზეზით ჯარების მიერ დაცლილ რეგიონებში თურქი მეთაურების მხარდაჭერით ეროვნული ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყო.

ისევე როგორ სხვა რეგიონებში, როდესაც თურქეთის არმიამ დაიწყო ახალციხის დაცლა, თურქმა მუსლიმებმა 29 ოქტომბერს დააარსეს ახალციხის დროებითი მთავრობა. ამ მთავრობის ორგანიზებაში, რომლის დაარსების ძირითადი მიზეზი ქართველებისთვის და სომხებისთვის რეგიონის დაკავებისთვის ხელის შეშლა იყო, დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის III კორპუსის სარდალმა ჰალილ ბეიმ.<sup>53</sup> რეგიონში დაარსებულ დროებით მთავრობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ყარსის ისლამური საბჭო იყო.<sup>54</sup>

1918 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილი მუდროსის დროებითი ზავის თანახმად კავკასიის ფრონტიდან თურქული ნაწილების გაყვანა დაჩქარდა. ამის გამო რეგიონის თურქულ-მუსლიმურმა მოსახლეობამ ეროვნული ორგანიზაციების გაერთიანებისთვის 1 ნოემბერს ყარსის პირველი კონგრესი, 1918 წლის 30 ნოემბერს კი ყარსის მეორე კონგრესი მოიწვიეს. კონგრესს ყარსის გარდა ორდუზადის, ნახიჩევანის, სურმელის, ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონგრესზე მიღებული პირველი გადაწყვეტილებით დაარსდა ეროვნული მთავრობის საბჭო ცენტრით ყარსი. ამგვარად ახალციხის მთავრობაც ეროვნული მთავრობის საბჭოს შეუერთდა.<sup>55</sup> ასე გააერთიანეს ძალები რეგიონის მუსლიმებმა.

ოსმალურმა შენაერთებმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრებს გარეთ ტერიტორიები 1918 წლის დეკემბრისთვის დაცალეს.<sup>56</sup> დაცლილი რეგიონებიდან ახალციხე ქართველებმა დაიკავეს, ხოლო ახალქალაქი სომხებმა.<sup>57</sup> ყარსის ეროვნულმა

<sup>52</sup> ATASE, İSH, K: 267, G: 101, B: 101-1a.

<sup>53</sup> ახალციხის დროებითი მთავრობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: Ahmet Ender Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, Türk Kültürünü Araştırma Enstitüsü Yayınları, Ankara 1989, s. 35-43.

<sup>54</sup> Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, s. 63-70.

<sup>55</sup> Esin Dayı, *Elviye-i Selâse'de (Kars, Ardahan, Batum) Millî Teşkilatlanma*, Kültür Eğitim Vakfı Yayınları, Erzurum, s. 90-95; Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, s. 63-70.

<sup>56</sup> ATASE, İSH, K: 267, G: 57, B: 57-3.

<sup>57</sup> Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, s. 78.

მთავრობამ 1919 წლის 17 იანვარს ყარსის დიდი კონგრესი მოიწვია, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება დაეარსებინათ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა.<sup>58</sup> ამ მთავრობის დაქვემდებარებაში უნდა შესულიყო ახალციხეც. როდესაც 1919 წლის 1 მარტს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ეროვნული მეჯლისის სხდომა გაიხსნა,<sup>59</sup> მასში მონაწილეობის მისაღებად ახალციხიდანაც გაიგზავნა წარმომადგენლები.<sup>60</sup> ეროვნულმა მეჯლისმა 25 მარტს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის დაარსების შესახებ.<sup>61</sup>

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის დაარსება და მათი გავლენის ზრდა ეწინააღმდეგებოდა ინგლისელების პოლიტიკას კავკასიაში. ინგლისელებმა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის დასაშლელად მოქმედება დაიწყეს, 12 აპრილს სომხების დახმარებით თავს დაესხნენ მეჯლისს და რესპუბლიკა გააუქმეს.<sup>62</sup> ამგვარად 1919 წლის აპრილში, ისევე როგორც ახალციხეში, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის მიწებზეც დამთავრდა თურქული მმართველობა.

ახალციხეში თურქული მმართველობის დასრულების პერიოდში, მუსტაფა ქემალ ფაშამ დაიწყო თურქული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მიზანი ახალციხის დედასამშობლოსთან მიერთება იყო. თუმცა უპირატესობა ელვიე-ი სელსაეს ენიჭებოდა. 1919 წლის 23 ივლისს არზრუმში შეკრებილ კონგრესს<sup>63</sup> დაესწრნენ წარმომადგენლები ელვიე-ი სელსაედან, თუმცა კონგრესზე არავინ ჩასულა ახალციხიდან. ასევე ვხედავთ, რომ 1930 წლის 12 იანვარს შეკრებილ ოსმალეთის დეპუტატთა პალატის სხდომებს ესწრებოდნენ დეპუტატები ელვიე-ი სელსაედან, ხოლო ახალციხეში არავინ აურჩევიათ. ასეთივე მდგომარეობა იყო 23 აპრილს, თურქეთის დიდი ეროვნული კრების გახსნისას. ამის

<sup>58</sup> TİTE Arşivi, 14/ 3, lef: 1; M. Fahrettin Kırzioğlu, “Cihangiroğlu İbrahim Aydın (1874-1948)’daki Milli-Mücadele’de Kars ve Atatürk İle İlgili Belgeler”, *Bellekten*, c. XLVIII, s. 189-190, Ocak-Nisan 1984, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara 1985, s. 127, 137.

<sup>59</sup> BOA, DH/İ-UM, 20-21/ 13-31, lef: 3.

<sup>60</sup> ATASE, İSH, K: 80, G: 22, B: 22-2; ATASE, İSH, K: 183, G: 278, B: 278-1; BOA, A.VRK, 825/ 42.

<sup>61</sup> M. Fahrettin Kırzioğlu, *Milli Mücadele’de Kars*, c. I, Hamle Matbaası, İstanbul 1960, s. 39; Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, s. 147.

<sup>62</sup> ATASE, İSH, K: 80, G: 33, B: 33-2; Gökdemir, *Cenûb-i Garbî Kafkas Hükümeti*, s. 156-157; Richard G. Hovannisian, *The Republic of Armenia: The First Year (1918-1919)*, c. I, Berkeley, Los Angeles, London 1971, s. 219.

<sup>63</sup> არზრუმის კონგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: Haluk Selvi, *Millî Mücadele’de Erzurum (1918-1923)*, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları, Ankara 2000, s. 101-121

მიზეზი ელვიე-ი სელასეში ჩატარებული რეფერენდუმი და მისი შედეგების მიხედვით რეგიონის მიერთება იყო.<sup>64</sup> თუმცა თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმის - „ეროვნული ფიცით“ განსაზღვრულ საზღვრებში ახალციხეც მოიაზრებოდა.<sup>65</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანკარის მთავრობის მიზნებში ჯერ ელვიე-ი სელასეს და შემდეგ ახალციხის თურქეთთან შეერთება იყო. ამ მიზნით აღმოსავლეთ ფრონტზე ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშამ პირველ რიგში სომხეთის წინააღმდეგ დაიწყო ოპერაცია. თურქულმა შენაერთებმა 29 სექტემბერს სარიყამიში,<sup>66</sup> 30 ოქტომბერს კი ყარსი აიღეს.<sup>67</sup> რადგან თურქული შენაერთები აგრძელებდნენ წარმატებულ წინსვლას ერევნისა და გიუმრის მიმართულებით, სომხეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა.<sup>68</sup> 1920 წლის 3 დეკემბერს სომხეთსა და თურქეთს შორის გიუმრის ხელშეკრულება გაფორმდა.<sup>69</sup> ამ ხელშეკრულებით თურქეთმა ყარსი და ილდირი მიიღო.<sup>70</sup> თუმცა ამ ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღეში ერევანში ბოლშევიკები შევიდნენ და სომხეთი ბოლშევიკური გახდა. თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის შემდეგი მიზანი საქართველო იყო. საქართველოს წინააღმდეგ პირველი მოქმედება ბოლშევიკებმა დაიწყეს.

ბოლშევიკებმა სამი მიმართულებით შეუტყეს საქართველოს და 1921 წლის 25 თებერვალს თბილისი აიღეს.<sup>71</sup> ბოლშევიკები ამ პერიოდში ახალციხეზე თავდასხმასაც გეგმავდნენ. ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშამ, ბოლშევიკების მოქმედებიდან გამომდინარე, 1921 წლის 1 მარტს გენერალურ შტაბსა და სამხედრო სამინისტროში ტელეგრამები გააგზავნა და აცნობა, რომ ახალციხის მოსახლეობის მომავლისთვის თურქეთის არმიას შეეძლო ახალციხის ოკუპაცია.<sup>72</sup> ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშას სიმართლე

<sup>64</sup> ელვიე-ი სელასეს მიმართებაში თურქეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: Sarı, *Türkiye-Kafkasya İlişkilerinde Batum*, 372-373, 482-487.

<sup>65</sup> მართალია „ეროვნულ ფიცში“ საუბარია ელვიე-ი სელასეზე, მაგრამ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთ საზღვრებში ელვიე-ი სელასეს გარდა ახალციხე, ახალქალაქი, ნახჩევანი, სურმელი და სხვა ადგილებიცაა მოქცეული. დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: Mustafa Budak, *Misâk-i Millî'den Lozan'a İdealden Gerçeğe Türk Dış Politikası*, Küre Yayınları, 5. Baskı, İstanbul 2013, s. XVIII-XIX, 174-176.

<sup>66</sup> *Albayrak*, 5 Ekim 1920, n. 112, s. 1.

<sup>67</sup> *Albayrak*, 1 Kasım 1920, n. 116, s. 1; *İstikbâl*, 31 Ekim 1920, n. 185, s. 1.

<sup>68</sup> *Doğu Cephesi (1919-1921)*, c. III, s. 223; *İleri*, 17 Kasım 1920, n. 1018, s. 1.

<sup>69</sup> *İleri*, 11 Aralık 1920, n. 1039, s. 1; *Albayrak*, 16 Aralık 1920, n. 122, s. 2.

<sup>70</sup> *Albayrak*, 16 Aralık 1920, n. 122, s. 2.

<sup>71</sup> NA, FO, 371/6269, E2838/55/58; *İleri*, 2 Mart 1921, n. 1111, s. 1.

<sup>72</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 63, B: 63-1.



ახალქალაქის მაგალითზე გამოჩნდა. იმიტომ რომ 5 მარტს ახალქალაქის მოსახლეობამ ქალაქის ხელისუფლება ხელში ჩაიგდო და საბჭოთა წყობის დამყარება გამოაცხადა.<sup>73</sup>

რათა ახალციხეშიც არ განმეორებულიყო მსგავსი ვითარება, თურქეთის მთავრობისგან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების ნებართვის მოსვლამდე ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშამ თურქულ შენაერთებს ახალციხის აღება უბრძანა. ამ ბრძანების საფუძველზე თურქი სამხედროები 7 მარტს ახალციხეში შევიდნენ.<sup>74</sup> თუმცა მომდევნო დღეს, 8 მარტს ბოლშევიკების ნაწილებიც შევიდნენ ქალაქში<sup>75</sup> და ახალციხე თურქული და ბოლშევიკური ჯარების ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა.

ამასობაში საქართველოს მთავრობამ თბილისის ალების შემდეგ ბათუმში გადაინაცვლა. ბოლშევიკების ბათუმთან მიახლოების გამო საკმაოდ რთულ ვითარებაში ჩავარდნილმა საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის თურქული ჯარის მიერ ოკუპაციის შესახებ.<sup>76</sup> მიუხედავად იმისა, რომ თურქულმა არმიამ ახალციხე მანამდე დაიკავა, თურქეთის მთავრობამ ამის შესახებ მხოლოდ 8 მარტს შეიტყო. იმავე დღეს თურქეთის მთავრობამ მიიღო საქართველოს მთავრობის შემოთავაზება.<sup>77</sup> ამის გამო საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ მუჰთარ ბეიმ, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალს ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშას გადასცა ბრძანება დაეკავებინა ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი.<sup>78</sup> თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ახალციხე უკვე თურქული არმიის მიერ იყო ოკუპირებული.

თურქეთის მთავრობის ბრძანების საფუძველზე ქაზიმ ქარაბეჯირ ფაშამ გააძლიერა ახალციხეში მყოფი შენაერთები და გასცა ბრძანება დაეკავებინათ ბათუმი და ახალქალაქი.<sup>79</sup> ამ ბრძანების საფუძველზე თურქეთის არმია 1921 წლის 11 მარტს ბათუმში შევიდა.<sup>80</sup> 13 მარტს თურქეთის მთავრობამ ოკუპირებულ ახალციხესა და ბათუმში და დაკა-

<sup>73</sup> Kazım Karabekir, *İstiklal Harbimiz*, 2. Baskı, Türkiye Yayınevi, İstanbul 1969, s. 868.

<sup>74</sup> *Türk İstiklâl Harbi: Doğu Cephesi (1919-1921)*, c. III, Genelkurmay Basımevi, Ankara 1995, s. 247.

<sup>75</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 76, B: 76-3.

<sup>76</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 72, B: 72-1.

<sup>77</sup> Serpil Sürmeli, *Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921)*, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları, Ankara 2001, s. 657.

<sup>78</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 79, B: 79-.

<sup>79</sup> ATASE, İSH, K: 618, G: 130, B: 130-1.

<sup>80</sup> ATASE, İSH, K: 962, G: 105, B: 105-1; ATASE, İSH, K: 1252, G: 80, B: 80-7.

ვების პროცესში მყოფ ახალქალაქთან მიმართებაში თურქული მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებებიდან რამდენიმეა თვალშისაცემი:

„რადგან რუსები საქმის კურსში არიან, ჩვენ გვაქვს უფლება დავიკავოთ ბათუმის ლივა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ეს ადგილები დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ ქართველებს გადაეცათ.

ამ ადგილებში ქართულ მთავრობას და მმართველობას მალე მოეღება ბოლო და საჭირო სამოქალაქო მოხელეები მაშინვე დაინიშნებიან“.<sup>81</sup>

თურქულმა შენაერთებმა 1 მარტს დაიკავეს ახალქალაქი.<sup>82</sup> ამგვარად ბათუმის და ახალციხის შემდეგ, ახალქალაქიც თურქების ხელში აღმოჩნდა.

როდესაც თურქული შენაერთები ახალციხეს, ბათუმსა და ახალქალაქს იკავებდნენ, მოსკოვში 1921 წლის 21 თებერვლიდან თურქეთისა და რუსეთის დელეგაციებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მოლაპარაკებები მარტის თვის შუა რიცხვებისთვის გარკვეული შედეგით უნდა დამთავრებულიყო. ამ მოლაპარაკებებზე დამატებული განხილვა ძირითადად ბათუმის გარშემო მიმდინარეობდა, თურქული ჯარის მიერ ოკუპირებული ახალციხე დღის წესრიგში არ დამდგარა. თურქულ და საბჭოთა დელეგაციებს შორის 1921 წლის 16 მარტს ხელი მოეწერა თურქეთ-საბჭოთა რუსეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას.<sup>83</sup> მართალია ამ ხელშეკრულებაში ახალციხის შესახებ ცალკე მუხლი არ ეხებოდა, მაგრამ საზღვრების მოხაზვისას ახალციხე საბჭოთა საქართველოს მიაკუთვნეს. ასევე საბჭოთა საქართველოს მიაკუთვნეს ბათუმიც.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წითელარმიელმა მეთაურებმა მოითხოვეს, რომ თურქეთის ჯარებს დაეცალათ ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი. შედეგად 30 მარტს თურქულმა დანაყოფებმა ახალციხიდან და ახალქალაქიდან უკან დაიხიეს.<sup>84</sup> ამგვარად დასრულდა ბოლო თურქული მმართველობა ახალციხეში.

<sup>81</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 79, B: 79-8.

<sup>82</sup> ATASE, İSH, K: 1252, G: 90, B: 90-1.

<sup>83</sup> ATASE, İSH, K: 759, G: 84, B: 84-1. NA, FO, 371/ 6270, E3770/55/58; *Vakit*, 31 Mart 1921, n. 1189, s. 2; *İleri*, 5 Nisan 1921, n. 1145, s. 2; *Tevhid-i Efkâr*, 5 Ağustos 1921, n. 58 (3096), s. 2; *New York Times*, 10 Nisan, 1921, s. 2.

<sup>84</sup> *Doğu Cephesi (1919-1921)*, c. III, s. 254.

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1921 წლის 21 ივლისს მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.<sup>85</sup> საჭირო იყო, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ელიარებინათ საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანსაც. ამის გამო გადაწყდა, რომ ყარსში თურქეთის, საბჭოთა რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლების მონაწილეობით კონფერენცია მოეწვიათ.<sup>86</sup> ეს კონფერენცია გრძელდებოდა 18 დღე, 26 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე. კონფერენციის დღის წესრიგში ახალციხის საკითხი კვლავ არ იყო აქტუალური. მოლაპარაკებების შემდეგ თურქეთს, საბჭოთა რუსეთს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელი მოეწერა ყარსის ხელშეკრულებას.<sup>87</sup> ამგვარად გაფორმდა საბჭოთა საქართველოსთვის ახალციხის გადაცემის საკითხი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1918 და 1921 წლებში ახალციხე ორჯერ იქნა აღებული თურქების მიერ, მაგრამ საბოლოო ჯამში მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით იძულებული გახდნენ საბჭოთა საქართველოსთვის დაეთმოთ. ამგვარად თურქებმა ისე დათმეს ახალციხე, რომ იგი უკან აღარ დაუბრუნდებათ.

---

<sup>85</sup> *Türkiye Büyük Millet Meclisi Zabıt Ceridesi*, Devre: 1, İçtima Senesi: 2, c. XI, TBMM Matbaası, Ankara 1958, s. 332-333.

<sup>86</sup> Stefanos Yerasimos, *Milliyetler ve Sınırlar*, İletişim Yayınları, İstanbul 1994, s. 318, 324-326.

<sup>87</sup> ATASE, İSH, K: 1395, G: 100, B: 100-1-17; BCA, 30.18.1.1/ 3.34.7.

## აფხაზეთის სამთავროს დაჭერა რუსეთის მიერ და ოსმალეთის პოზიცია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მიხედვით.

ასოცირებული პროფესორი კახა კვაშილავა  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მოკლე შინაარსი

სოხუმი და აფხაზეთი ძალიან სტრატეგიულ ადგილს იჭერენ კავკასიისათვის. აქედან იწყება გზა როგორც ჩრდილოეთ, ისე – სამხრეთ კავკასიისათვის. შესაბამისად, მისი ფლობა ამ რეგიონზე ბატონობის განმტკიცებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომაც ამ ისტორიულ ქართულ მხარეზე კონტროლს ესწრაფოდა რომის იმპერია, ბიზანტია, სასანიდური სპარსეთი, არაბთა სახალიფო. გვიან შუა საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიამ შეძლო ესარგებლა ერთიანი საქართველოს სამეფოს ურთულესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით და 1454 წელს პირველი მცდელობა განახორციელა ჩრდილოდასავლეთი საქართველოს დასაუფლებლად. თუმცა, საბოლოო წარმატებას ოფიციალურმა სტამბოლმა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მიაღწია და აფხაზეთზე მისი კონტროლი დაამყარა. უკვე XVII საუკუნის I მეოთხედში ცხუმში, რომელსაც ოსმალები „სოხუმად“ მოიხსენიებდნენ, ორთულდიანი ფაშა იჯდა.

XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში რუსეთი შემოვიდა. „მესამე რომის“ ფსევდო იდეოლოგიით შეიარაღებული სანქტ-პეტერბურგი (თუმცა, გარკვეული ფორმით, ის დღემდე გამოიყენება ამჟამინდელი ოფიციალური მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკაში) საკუთარი იმპერიის საზღვრებს იფართოებდა სამხრეთის მიმართულებით, რომელიც იმ ხანებში ოსმალეთისა და სპარსეთის გავლენის სფეროებში შედიოდა. XIXს. II ნახევარში რუსეთის კოლონიური ხელისუფლების მიერ შედგენილი „კავკასიის არქეოგრაფიული საზოგადოების აქტების“ 12-ტომეული მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს, კავკასიის და მიმდებარე ქვეყნების ისტორიული წარსულის შესასწავლად.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით შევისწავლოთ რუსეთის მიერ აფხაზეთის დაჭერის სამხედრო-პოლიტიკური წიაღსვლები და ოსმალეთის იმპერიის დამოკიდებულება ამ პროცესისადმი. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ზემოხსენებული გამოცემის IV და V ტომები,

სადაც შეკრებილია ამ საკითხთან დაკავშირებული დაახლოებით 50-მდე ერთეული დოკუმენტი (მოხსენება, წერილი, ბრძანება). მართალია, ზოგიერთი მათგანი შემაჯამებელი ხასიათისაა და რამდენიმე საბუთის რეზიუმირებას წარმოადგენს, მაგრამ მაინც საინტერესოა ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარისათვის: *Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя комиссии ст. сов. Ад. Берже. Т. 4. Тфл., 1870: №№130, 269, 284, 274, 352, 359, 393, 415, 476, 519, 541, 553, 554, 567, 572, 573, 579, 582, 616, 617, 620, 1171, 1175, 1212; Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя комиссии ст. сов. Ад. Берже. Т. 5. Тфл., 1873: №№588, 595, 926, 931, 935, 936, 937, 939, 940.*

ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ სოხუმს შესანიშნავი ნავსაყუდელი გააჩნდა, რომელიც რუსეთს შესაძლებლობას მისცემდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს სრული კონტროლი მოეხდინა. ამასთან ერთად, აღნიშნული იყო, რომ სოხუმის ფლობით, რუსული მფლობელობა კასპიიდან შავ ზღვამდე გადაიჭიმებოდა. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი სივრცე იყო ეს – 1500 ვერსი. ამასთან ერთად, ამ ქალაქის და, შესაბამისად, აფხაზეთის დაკავებით, რუსები მოახერხებდნენ ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა და ოსმალეთს შორის კავშირის გაწყვეტას.

სოხუმის მიზანშეწონილობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი ხე-ტყით შენდებოდა მშვენიერი სამხედრო ხომალდები. მაგალითისათვის რუსებს მოჰყავდათ ქელემ-ბეის მიერ ოსმალეთის სულთნისათვის აგებული 60-ქვემეხიანი გემი. საამისო ხე-ტყე სოხუმისავე სიახლოვეს, ზღვის სანაპიროსთან მდებარეობდა.

Yakın Çağ Türk Gürcü ilişkilerinin temelinde olan ve mitolojik döneme kadar uzanabilen bağları istenirse de istenilmese de yok sayılamaz. Hititler veya Hattiler Anadolu halkı olmadan evvel Kafkasya coğrafyasının halkları idiler.

---

<sup>3</sup> Yaşar Kalafat, “Atlı Göçebe Bozkır Kültürü’nün Kafkasya ve Anadolu Halk İnançları Kültüründe İzleri, Mitostratejik Bir Arayış”, **Orta Çağda Türk Gürcü İlişkileri**, (Editörler: İbrahim Tellioglu & Roin Kaviellişvili, Devlet Eğitim Üniversitesi, Gori-Gürcistan 2019, s. 419-445

<sup>4</sup> Yaşar Kalafat, “Atlı Göçebe Bozkır Kültürü’nün Kafkasya ve Anadolu Halk İnançları Kültüründe İzleri, Mitostratejik Bir Arayış”, **Orta Çağda Türk Gürcü İlişkileri**, (Editörler: İbrahim Tellioglu & Roin Kaviellişvili, Devlet Eğitim Üniversitesi, Gori-Gürcistan 2019, s. 419-445

Modern sahne sanatının temelinde, tiyatro öncelikli olmak üzere köy orta oyunları gibi kırsal kesim görselleri vardır. Çağdaş sahne sanatlarının tümünün kökeninde ilköğrenin izlerini takip mümkündür.

Eski Hititler her sonbaharda, tarım yılının başlangıcında, toprağın hemen suya gereksinimi varken **Puruli** adını verdikleri bir şenlik yaparlardı. Şenliğin tarihi eski uzak çağlara kadar uzanıyordu; birçok başka dinsel uygulama ve gelenekler le birlikte, çağcıl araştırmacıların Hattiler adını verdiği Küçük Asya'nın ilk oturanlarından miras kalmıştı. Purulu adı Hatti kökenli idi; İlk şekli **Vuruli** idi ve Hatti dilinde “**vur**” sözcüğü “toprak anlamına geliyordu. Dolayısıyla P/Vuruli yeraltı sularının düzenlemek ve ürünleri için gerekli yağmur ödülünü sağlamak için onun adına düzenlenen bir mevsimsel şenlik olan “**Toprak Şenliğı**” idi.<sup>5</sup>

Toprak, Anadolu Türk halk inançlarında kült oluşturmuştur. Yer iyesi ile ilişkilendirilir. Yere olduğu gibi toprağa da **saç/kansız kurban** verilir. Anadolu halk inanlarında toprağın haber götürdüğüne inanılır. Ölmüş bir kimseden bahsedilirken “**Toprağı haber götürmesin**” denir. İyi olarak bilinen bir insan ölmüş ise ona rahmet dileme adına “**toprağı bol olsun**” denir. Fena olarak bilinen bir kimse ölmüş ise hortlayıp insanları rahatsız etmesinden çekinildiğı için “**Toprağı derin olsun**” denir. Ölen kimsenin defini esnasında onun mezarına toprak atabilmek “son görevin yerine getirilmesi” olarak bilinir. Sıla hasreti çeken kimse için “**Toprağı çekti**” denir Gurbet ellerde ölen kimse toprağının alındığı yer olarak bilinen doğduğu, dünyaya gelmiş olduğu yere getirilir. Bu uygulamaya imkân bulunamaz ise, doğmuş olduğu yerden alınan toprak defnedildiğı yerdeki mezarına götürülüp mezarın üzerine serpilir.<sup>6</sup>

Günümüzde Türkiye, Makedonya, Sırbistan, Romanya, Yunanistan, Hırvatistan ve Bulgaristan'ın değişik bölgelerinde bereket ve bolluk amacıyla **Cemali Camal, Camala, Camalari, Tzamales, Koledari, Kuranti, Zvancari Busari** vb. adlarla oynanan oyun bir ritüelin komşu kültürle etkileşimin ve küçük değişikliklerle oynandığını göstermektedir. Özetle Anadolu halk kültürünün Kafkasya bağlantıları



*Gelin alma alayının başında giden, üzerinde asılı kemikler ve başında boynuz uçlarında çingirakların bulunduğu bir öküz kafa kemiğı ile Şaman kıyafetli bir Ermeni-Metin And, Oyun ve Büyü*

<sup>5</sup> Mevlüt Özhan Geleneksel Pontus Halk Tiyatrosu Adlı Kitap Üzerine, **Bal-Tam Türklük Bilgisi**, Eylül 2007, Sayı: 7, s. 282-23 (Balkan Türkoloji Araştırmaları Merkezi)

<sup>6</sup> Yaşar Kalafat, **Türk Kültürlü Halklarda Mitik-Mistik Kavşakta Yer**, Berikan Yayınevi, Ankara, 2015

sadece bu iki coğrafyaya mahsus değildir. Anadolu Türk kültür coğrafyası Balkanlara kadar uzanmaktadır.

Türklerin Anadolu'daki yurtlarının dışındaki yurtlarında da doğanın canlanmasını kutlamak amacıyla törenler yapılıyordu. Onların hayatında hayvan taklitleri ve av ritüelleri de vardı<sup>7</sup>. Doğaldır ki dramatik tecrübeleri de vardı. Anadolu'da da bunları hayata geçirmiş olmaları çok doğaldı. Ayrıca İslam dini bu tematik gösterilerin yaşatılmasına engel değildi. **Muharrem Törenleri** ve **Aşure Törenleri** buna şahitlik yapabilmektedirler<sup>8</sup>.

Dağıstan Kuman/Kıpçak halklarının takvim merasimlerinden Kalender adet yırlarında **Zemire**, **Gürdürbey**, Nevruz Merasim manileri olarak yaşamaktadır. **Zemire** ve **Çömçe Kadın** manilerinde aynılık vardır. Zemire etkinliklerine sadece kadınlar katılmakta iken, Çömçe Gelin'de tahtadan yapılmış bir gelincik olur.

Anadolu Türk halk mevsimlik merasimlerinde de **horavellerin** yanı sıra, **güneş çıkarma merasimi** ve **yağmur yağdırma merasimi** için merasimler yapılır. Bunların Kuzey Irak ve Kuzey ve Güney Azerbaycan Türk halk kültüründeki benzerleri ile karşılaştırılmaları da çalışılmıştır<sup>9</sup>. Bunlardan ömürleri en kısa olanlar horaveller<sup>10</sup>, **hodak** manileri olmuştur.

Yağmur Dualarında **“Godi-Godi”** denilerek Godi'ye seslenilir. Keza gezdirilen gelinin ismi Çömçe'dir ve o bir gelindir. Çömçe Gelin çok kere bir **süpürge** gelin süsü verilerek hazırlanır. Bize göre süpürge için **seçilmesinin kara iye** bağlantısı vardır. Zira süpürge etrafında oluşan inançlar al karısı-süpürge bağlantılı tespitler, süpürge otunun herhangi sıradan bir bitki olmayıp, **üzerlik otu** gibi inanç içerikli bir bitki olduğu hususu büyük ölçüde açıklık kazanmıştır.

**Yağmur Alayları**'nda, Çömçe Gelin için Anadolu'da bazı yörelerde adeta fakir bir ailenin kız çocukları seçilirken, Afganistan Türkleri arasında yetim ve öksüz bir kız tercih edilir. Bize göre bu tercihte merhameti celp etme arayışı vardır. Zira yağmur dualarına çıkılırken merasim alanına getirilen kuzular koyunlardan ayrılıp meleşmeleri sağlanır. Çömçe gelinin isimlerinden birisi de **Kobbe Gelin**'dir. Gobbe, Anadolu halk dilinde özürlü anlamına gelir. Sapı kırık kaşık, **kobbe kaşık** ve köşesi

---

<sup>7</sup> Yaşar Kalafat, “Aras Vadisinde Hayvan Okşamaları”, **II. Uluslararası Aras Havzası Sempozyumu (13-15 Aralık 2011, Iğdır)**, (Yayına Hazırlayan: Oktay Belli & Evren Belli) Iğdır Valiliği Yayınları, Erzurum 2012, s. 246-252

<sup>8</sup> Mevlüt Özhan “Karagöz'ün Dünya Gölge Tiyatrolarına Etkisi”, **6. Uluslararası Türk Kültürü Kongresi Bildir Bilimleri, cilt IV**, Ankara 2009, s. 1901-1910, Atatürk Yüksek Kurumu Kültür Merkezi Başkanlığı Yayınları.; “Karagöz'de Çok Kültürlülük,” **7. Uluslararası Türk Kültürü Kongresi, Bildiriler III**, Edebiyat ve Folklor'da İstanbul, Konya 2012, s.919-930, Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu Atatürk Kültür Merkezi Yayını.

<sup>9</sup> Yaşar Kalafat, “Kıpçak/Kuman-Oğuz Türk Yapılanmasında Kumuk Halk İnançları” **Serhat Kültür**, Temmuz-Ağustos 2019 s.36-40

<sup>10</sup> Ünsal Yılmaz, “Kars Yöresinde Özgü Kaybolan Sözlü Sanat Ürünü “Horavel”, **Serhat Kültür, Tarih Kültür ve Haber Dergisi**, Kasım-Aralık 2019, s. 5

kırık aşık kemiği de **kobbe aşık** diye isimlendirilir. Bilmecе-bulmacalarda kulak, “kobbe kaşık duvara yapışık” olarak sorulur. Çömçe Gelin’e **Kepece Gelin** de denir. Muhtemelen kepece de bezenerek gelin yapıyor yağmur alaylarında alayın önünde taşınıyordu. Ancak onun ismi çok yerde Yağmur Gelini idi. Doğu Anadolu’da Çömçe Gelin’e **Dudu-Dudu** veya **Dodi Dodi** denildiği de bölgeler de vardır. Böylece onun ismi **Çömçe Hatun, Çömçe Gelin,** Çömçe de olabilmıştır. Kekai Türklerinde ise **Köse Gelin** rolü için erkek seçilir, Köse tanımlaması da çok kere eksik noksan, gelişmemiş, bodur anlamın kullanılır. Ona kepenek benzeri kısa kollu kara bir ceket giydirilir. Ondan yağmurun yansıra rüzgâr istenildiği de olur Elâzığ yöresinde ise **Millo Potik, Mullo/Molla, Potik** olarak bilinir. Çömçe gelin bize göre yağmuru verecek olan varlık, kuvvet değil, yağmuru verecek olan güce gönderilmiş bir aracı konumundadır<sup>11</sup>.

Özbek ve Kumuk yağış çağırma merasimlerinde görülen **Sushatin** inancı, Türkmenlerdeki Süt Hatun, Tüy Hatun, Süt Kazan inancı sadece yağış çağırma merasimlerinde görülmektedir.

Irak Türkmenlerinde **Çecele Kızı**, Kumuk Türk folklorundaki **Yumuncaklar** olarak bilinen oyun, Azerbaycan folklorunda **Godu Godu** olarak bilinmekte ve uygulanmaktadır. Tarihî kadim devirleri aynıdır. Burada **Gün Çık Oyunu** büyükler, kısmen yetişkinler tarafından oynanırken zamanla çocuk oyununa dönüşmüştür. Godi-Godi olarak bilinen yağmur alayı oluşturma uygulaması Anadolu Türklerinde de diğer bilinen isimlerinin yansıra aynı isimle de bilinir.

Yılda bir defa yapılan merasimde erkekler tarafından oynanan **Güldürbay** Kumuk mahsul kaldırma merasimlerindenidir. Bu oyun bölgelere göre **Durgunbay, Güssemey, Massey, Kasamay** adlarını da alabilmiştir. Bu oyunlarda gençler ev ev gezip gargıdalı/mısır toplarlar. Bunların kesin bir uygulama ayı yoktur. **Güdürbay**’ı payızda yaparlar ve buna çocuklar kesinlikle katılmazlar Azerbaycan’da **Yel Baba** uygulamaları da keza payızda/sonbaharda yapılır<sup>12</sup>.

Azerbaycan’da sonbaharda yapılan mısır hasat zamanı yapılan **Güdürbay Şenlikleri**, bizim çocukluğumuzda sonbaharda buğday hasat zamanında yaptığımız kavurğa şenliklerini andırmaktadır.

Zaman içerisinde insanoğlunun doğadaki olayları çözmesi inanç biçiminin de değişmesine, doğal olarak da inançtan kaynaklanan bu uygulamaların ortadan kalkmasına yol açmıştır. Önceleri inanç gereği zorunlu yapılan bu törenler artık temel özellikleri bir yana bırakılarak, eğlenmek amacıyla yapılmaya başlanmıştır.

Hayvan benzetmeleri, arkaik dönemde avcı toplumların avlarını avlamada kullandıkları taktiklerden kaynaklandığı gibi yine üreme ve ölüp-dirilme veya bayılıp ayılma motifi işleyen konulardan kaynaklanmaktadır. Örneğin; deve oyunlarında

<sup>11</sup> Yaşar Kalafat, “Türk Kültür Coğrafyasında Yağmur Duası”, **Yağmur Duası Kitabı**, (Hazırlayan: Sabri Koz) Kitapevi yayınları, İstanbul, 2007, s 195-207

<sup>12</sup> Aynur Gazenferkızı, **Azerbaycan-Kumuk Folklor Alakaları**. Azerbaycan Milli İlimler Akademisi Folklor Enstitüsü, Baku 2018; Yaşar Kalafat, Kıpçak/Kuman-Oğuz Türk yapılanmasında Kumuk Halk İnançları” [www.yasarkalafat.imnfo](http://www.yasarkalafat.imnfo)

devenin ölüp dirilmesi veya yavrulaması konuları işlenmektedir. Anadolu’da bunun çeşitlemeleri tespit edilmiştir. Mersin’in Mut ilçesinin Çukurbağ köyündeki üremeye ilgili **Deve Bortlaması Oyunu**, ölüp dirilmeyle ve Karaman İli Taşkale beldesindeki **Kadı Oyunu**’nu örnek gösterilebilir. Bu uygulamaların inanç boyutlarının kaybolması, hayvanları taklitlerinin yapılmadığı gösterilere dönüşmüştür. Bu değişimin Bizans tiyatrosuyla bağlantılanması, oradan kaynaklandırılmış olması gerçekçi görülmemektedir<sup>13</sup>.

Arkaik dönemde bu gösteriler bütün kılan üyelerinin zorunlu katılımıyla açık mekanlarda yapılıyordu. Eğlenme amacıyla yapılmaya başlayınca mekan da oyunun yapısına göre seçilmeye başlandı. Bazı oyunlar meydana oynanabilirken bazıları da büyük bir oda içerisinde oynanmaya başlandı.

### **SONUÇ:**

Sonuç olarak, Çağdaş Anadolu Türk kültürü, Anadolu halk kültürünün yansımasıdır. Çağdaş Gürcü kültürü için de kanaatimize bu teşhis sağlıklıdır. Din ve dillerinde her iki milletin bilinen farklılıklara rağmen, aralarındaki bölgesel ortaklıklar noktasında, kökü derinlik arz eden müşterekler vardır. Bize göre bu bir servettir ve varisleri her iki ülkenin halkıdır. Bu mirasın israfı veya gerektiği gibi sahiplenilebilmesi bölge aydınının sorumluluğundadır.

Coğrafyanın; yerleşim yerlerinin tarihî coğrafyaları, demografik katmanlaşmaları dikkate alınmaksızın, halklar, dinler tarihi süzgecinden geçirilmeden yaşayan halk kültürünü kimliklendirmek, kültürel tezahürleri, üzerinde yaşamakta olan halklardan sadece ve tamamen birine mal etmek, ilmi ve gerçekçi olmayacağı için, halklar arası ihtilafa yol açar. Bu tür teşhis ve girişimler sadece emperyalizme faaliyet alanı açılmasına yarar.

Bölgesel kültürlerin ortak yanlarının farkında olmak, onları dile getirmek ve onlara sahip çıkmak millî kültürleri inkâr etmek veya onlara karşı olmak anlamına gelmez, gelmemelidir.

ჩვენს ნაშრომში ვხელმძღვანელობთ სახალხო წარმოდგენებით, მითოლოგიითა და სუფიზმით. ამ მოხსენებაში ქართულ-თურქული ურთიერთობების უახლესი ისტორია ამ ჭრილში იქნება განხილული.

თუ მომავალს შევხედავთ საქართველო-თურქეთის უახლესი პერიოდის კულტურული ურთიერთობების ჭრილში, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სურათს:

---

<sup>13</sup> Mevlüt Özhan “Karagöz’ün Dünya Gölge Tiyatrolarına Etkisi”, **6. Uluslararası Türk Kültürü Kongresi Bildir Bilimleri, cilt IV**, Ankara 2009, s. 1901-1910, Atatürk Yüksek Kurumu Kültür Merkezi Başkanlığı Yayınları.; “Karagöz’de Çok Kültürlülük,” **7. Uluslararası Türk Kültürü Kongresi, Bildiriler III**, Edebiyat ve Folklor İstanbul, Konya 2012, s.919-930, Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu Atatürk Kültür Merkezi Yayını.

როგორც ვიცით, საქართველოსა და თურქეთს შორის მეზობლობა არ დაწყებულა უახლოეს წარსულში. ეს მეზობლობა უძველესი ხანიდან დაიწყო<sup>1</sup>, შუა საუკუნეებში გადაიტანა<sup>2</sup> და უახლოესი პერიოდის გავლით დღემდე მოაღწია. ქართულ-თურქულ მეზობლობაში ქართველების და თურქების წილი თანაბარია.

ამ მეზობლობამ ისტორიის მანძილზე პოლიტიკური საზღვრების პერიოდული ცვლილება გადაიტანა. პოლიტიკურ საზღვრებთან ერთად კულტურული საზღვრები არ შეცვლილა, უფრო მეტიც, ორი ქვეყნის ხალხებს შორის საერთო სასაზღვრო კულტურა ჩამოყალიბდა.

ქვეყნები ბუნებრივია მგრძნობიარედ რეაგირებენ ეროვნულ კუთვნილებაზე. ეს ეროვნული გრძნობა და პატივისცემის გამოხატვაა. თუმცა ისტორიული კავშირისგან დაბადებული საერთო რეგიონული კულტურაც წარმოადგენს იმ ფასეულობას, რომელიც მოითხოვს ამ დონის გრძნობას.

კულტურულ სფეროებისა და კულტურულ ღირებულებების ერთობლიობის გათვალისწინების გარეშე, ამ თემისადმი უარყოფითი მიდგომა, უპატრონოდ და დაცვის გარეშე დატოვება, გამოიწვევს კულტურული სფეროების გაქრობას და არა კულტურული გაყოფა და გაზიარება.

ქართულ-თურქულ კულტურულ ნათესაობაში კიდევ ორი განსხვავებული განზომილება არსებობს, რომელიც სასაზღვრო მეზობლობიდან გამომდინარე კულტურული ნათესაობის მსგავსად მნიშვნელოვანია.

ერთი ასეთი მაგალითია ანატოლიაში მცხოვრები თურქები, რომელთა მშობლიური ენა ქართულია. ამასთანავე საქართველოშიც არიან ქართველი მოქალაქეები, რომელთა მშობლიური ენაც თურქულია. ისინი ეყრდნობიან საკუთარი კულტურების საფუძველს. ქართველმა და თურქმა კულტუროლოგებმა არ უნდა უგულვებელჰყონ ეს ფაქტი.

საქართველოშიც და თურქეთშიც ცხოვრობენ ხალხი, რომელთა მშობლიური ენაც არც ქართულია და არც თურქული. ესენი ლაზები არიან. საქართველოც და თურქეთიც ამ ხალხს მათი ქართული და თურქული ცნობიერების მიხედვით აღიქვამს. ეს სინამდვილე ქართულ-

---

<sup>1</sup> Yaşar Kalafat, “Atlı Göçebe Bozkır Kültürü’nün Kafkasya ve Anadolu Halk İnançları Kültüründe İzleri, Mitostatejik Bir Arayış”, **Orta Çağda Türk Gürcü İlişkileri**, (Editörler: İbrahim Tellioglu & Roin Kaviellişvili, Devlet Eğitim Üniversitesi, Gori-Gürcistan 2019, s. 419-445

<sup>2</sup> Yaşar Kalafat, **agy.**



თურქულ კულტურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი თემაა და იგი არ უნდა იყოს იგნორირებული.

საქართველოს წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის შემდეგ წარმოიშვა გრიგორიანული მიმდინარეობა და ყუმუხი/ყივჩალი თურქების წინამორბედმა პაჭანიკებმა, ჰუნებმა და სხვებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ რეგიონში, სწორედ ეს რელიგიური მიმდინარეობა მიიღეს. ასეთ ვითარებაში ქართულ ქრისტიანობაში მაინც იყო ყუმუხი/ყივჩალი თურქების ადგილი. ანალოგიურად ოსმალეთის პერიოდში იყვნენ ქართველები, რომლებმაც თავის რელიგიად ისლამი აღიარეს და შეუძლებელია იმ ფაქტორის უგულვებელყოფა, რომ ისლამის ისტორიაში არსებობენ ქართულ ენაზე მოსაუბრე მუსლიმები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის არაქართული და არათურქული წარმოშობის ხალხები, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ცხოვრობდნენ ორივე გეოგრაფიულ არეალში - ანატოლიასა და საქართველოში და ქართველები და თურქები გახდნენ მათი კულტურის მემკვიდრეები.

ერთნაირ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მცხოვრებმა ქართველებმა და თურქებმა წარსულის კულტურა ცხოვრებისეული კულტურის საფუძველზე მიიღეს. მაგალითად წვიმის ლოცვა, მზის ლოცვა, მზისა და მთვარის დაბნელებასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა დაახლოებით ერთნაირია და ერთმანეთის მსგავს ლეგენდებიდან წარმოიშვება. ბუნებრივია, რომ გვალვის საწინააღმდეგოდ ხალხი იყენებდა გარკვეულ რიტუალებს, რათა წვიმა წამოსულიყო. თუ კი ამ რწმენის ახსნა ერთნაირად არის გადმოცემული, მაშინ მათი საფუძვლის ძიება საჭიროა მითოლოგიურ წარსულში. ჩვენი აზრით უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ ჭეშმარიტ კულტურულ ნათესაობას ბუნებრივი გაგრძელება ჰქონდა.

გიაშობთ ორ კონკრეტულ დაკვირვებას, რომელსაც პირადად შევესწარი. თბილისში, ჩვენ მიერ გადაღებული სამი მხედრის ქანდაკების ცხენების კუდები დაწნული იყო. დაწვნა, განასკვა, შეკვრა, კვანძის შებმა თურქული კულტურის მატარებელ ხალხთან სახალხო წარმოდგენაში ჯადოქრობაში მოიაზრება. თუ კი ვინმე ამ საკუთარი თავისთვის გააკეთებს, ან ვინმეს გააკეთებინებს, ითვლება, რომ ეს დამცავი თეთრი მაგიაა.

ცნობილია, როგორც მტრის მიერ გაკეთებული შავი მაგიის საწინააღმდეგო ზომა.<sup>3</sup>

თბილისში კოჭის ძვლის ძეგლს სურათიც კი გადავუღეთ. თურქულ ხალხურ კულტურაში სიყვარულთან დაკავშირებით კოჭის ძვლებით შეიძლება მკითხაობა, გათვალვა და გამოთვალვა. ამ ძვლებს ზარის ფუნქციაც ჰქონდათ. კოჭის ძვლებით საბავშვო თამაშების მაგალითები ქართულ ხალხურ კულტურაში არის დადგენილი. ამგვარად დიდი ხნის განმავლობაში ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ანატოლიის კულტურული ხალხებიდან დაგროვილმა ცოდნამ კოჭის ძვალში მოიყარა თავი.<sup>4</sup>

შეუძლებელია იმ კავშირების უგულვებელყოფა, რომელიც მითოლოგიურ პერიოდში იწყება და წარმოადგენს უახლესი პერიოდის ქართულ-თურქული ურთიერთობების საფუძველს. ხეთები და ხათები, სანამ ანატოლიელები გახდებოდნენ, კავკასიაში ცხოვრობდნენ.

თანამედროვე სასცენო ხელოვნების საფუძველში, თეატრამდე არსებობდა სოფლის თამაშობის მაგვარი დადგმები. ყველა თანამედროვე სასცენო ხელოვნების საფუძველებში შესაძლებელია ძველი ეპოქის კვალის პოვნა.

ყოველ შემოდგომაზე სამეურნეო წლის დასაწყისში, როდესაც იწყებოდა მიწის მორწყვის პროცესი, ძველი ხეთები ატარებდნენ ფესტივალს - *ფურული*. ამ ფესტივალის ისტორია უხსოვარ დროში იწყება. ბევრი რელიგიური წესი და ტრადიცია არის მცირე აზიაში მცხოვრები იმ უძველესი ხალხის მემკვიდრეობა, რომლებსაც თანამედროვე მკვლევარებმა ხათები უწოდეს. *ფურული* ხათური წარმოშობის იყო. თავდაპირველად *ვურული* ეწოდებოდა. ხათების ენაზე სიტყვა „*ვურ*“ „მიწის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამგვარად *ფურული/ვურული* იყო სეზონური ფესტივალი - „მიწის ზეიმი“, რომელიც

---

<sup>3</sup> Yaşar Kalafat, “Atlı Göçebe Bozkır Kültürü’nün Kafkasya ve Anadolu Halk İnançları Kültüründe İzleri, Mitostatejik Bir Arayış”, **Orta Çağda Türk Gürcü İlişkileri**, (Editörler: İbrahim Tellioglu & Roin Kaviellişvili, Devlet Eğitim Üniversitesi, Gori-Gürcistan 2019, s. 419-445

<sup>4</sup> Yaşar Kalafat, “Atlı Göçebe Bozkır Kültürü’nün Kafkasya ve Anadolu Halk İnançları Kültüründe İzleri, Mitostatejik Bir Arayış”, **Orta Çağda Türk Gürcü İlişkileri**, (Editörler: İbrahim Tellioglu & Roin Kaviellişvili, Devlet Eğitim Üniversitesi, Gori-Gürcistan 2019, s. 419-445

იმართებოდა რათა მიეღოთ წყალობა მიწისქვეშა წყლების და მოსავლისთვის საჭირო წვიმების სახით.<sup>5</sup>

ანატოლიელი თურქების წარმოდგენაში მიწა კულტად გადაიქცა. ეს დაკავშირებულია ადგილის მფლობელობასთან. ადგილის მსგავსად მიწასაც შესაწირს/უსისხლო მსხვერპლს სწირავენ. მიცვალებულზე საუბრისას იტყვიან „მიწას ამბავს ნუ გააგებინებთ“. თუ კი კარგად ნაცნობი ადამიანი გარდაიცვლება, მისი მოხსენიებისას იტყვიან „მიწა საკმარისი ქონდესო“. იმ გარდაცვლილი პირის ხსენებისას, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, იტყვიან „მიწაში ღრმად განისვენოსო“, რათა მოჩვენებად არ გადაიქცეს და ადამიანები არ შეაწუხოს. გარდაცვლილის დაკრძალვისას მის საფლავზე მიწის დაყრა ცნობილია როგორც „უკანასკნელი მოვალეობის შესრულება“. მასზე, ვინც სამშობლოს მონატრებას განიცდის იტყვიან „მიწა ექაჩებაო“. უცხო მხარეში გარდაცვლილს მიწისთვის მისაბარებლად იმ ადგილას წაიყვანენ სადაც დაიბადა და ამ ქვეყანას მოევიწყონ. თუ კი ეს შეუძლებელია, მიწას მისი მშობლიური მხარიდან მოიტანენ და მის საფლავზე მოაპნევენ.<sup>6</sup>



*პატარძლის წამოსაყვანად მიმავალი მაყრიონის თავში მიმავალი ერთი სომეხი, ტანზე ასხმული ძვლების და თავზე დადგმული ხარის თავის ქალა რქებზე ეყვნებით - მეთინა ანდი, თამაში და მაგია*

თანამედროვე თურქეთის, მაკედონიის, სერბეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, ხორვატიასა და ბულგარეთის სხვადასხვა რეგიონებში ჩვენ ვხედავთ მეზობელი კულტურის გავლენით და მცირე ცვლილებებით დადგმულ სხვადასხვა თეატრალურ რიტუალებს - ჯემალი ჯამალს, ჯამალას, ჯამალარი, წამალესს, კოლედარის, ზვანჯური ბუსარის და სხვა, რომლებიც თამაშობენ ბარაქისა და დოვლათის მიღებისთვის. მოკლედ, ანატოლიელი ხალხის კულტურული

<sup>5</sup> Mevlüt Özhan Geleneksel Pontus Halk Tiyatrosu Adlı Kitap Üzerine, **Bal-Tam Türklük Bilgisi**, Eylül 2007, Sayı: 7, s. 282-23 (Balkan Türkolojisi Araştırmaları Merkezi)

<sup>6</sup> Yaşar Kalafat, **Türk Kültürlü Halklarda Mitik-Mistik Kavşakta Yer**, Berikan Yayinevi, Ankara, 2015

კავშირები კავკასიელებთან, მხოლოდ მათთვის არ არის დამახასიათებელი. ანატოლიური თურქების კულტურა ბალკანეთამდე აღწევს.

თურქები ანატოლიის გარდა სხვა საცხოვრებელ ადგილებშიც ზეიმიტ აღნიშნავდნენ ბუნების გამოღვიძებას. მათ ჰქონდათ ცხოველების მიბამვის და სანადირო რიტუალები.<sup>7</sup> ბუნებრივია, რომ დრამატული გამოცდილებაც ჰქონდათ. ბუნებრივია, რომ ანატოლიაში მათ მოახდინეს ამის რეალიზება. ამასთანავე ისლამური რელიგია ამ თემატიკის წარმოდგენების წინააღმდეგი არაა. ამის დასტურია მუჰარემისა და აშურას ცერემონიები.<sup>8</sup>

დალესტანში ყუმუხების კალენდრული ცერემონიებიდან კალენდერის ტრადიციულ სიმღერებში ზემირეს, გურდურბეის და ნავრუზის ცერემონიების მანების სახით არის შემორჩენილი. ზემირეს და ჩომჩე-ქალის მანებში მსგავსება არის. ზემირეს ღონისძიებაში მხოლოდ ქალები მონაწილეობენ, ხოლო ჩომჩე-ქალის ღონისძიებაში - ფიცრისგან გაკეთებული დედოფალა.

ანატოლიელი თურქები სეზონურ ზეიმებში ჰორაველების გამოყენებასთან ერთად აწყობდნენ ცერემონიებს მზის გამოყვანისთვის და წვიმის წამოსვლისთვის. მსგავსი რამ დაფიქსირებულია იქნა ჩრდილოეთ ერაყისა და ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის თურქულ სახალხო კულტურაში.<sup>9</sup> მათგან ყველაზე ხანმოკლე სიცოცხლის მქონე ჰორაველები<sup>10</sup> და ჰოდაკები მანებად იქცნენ.

წვიმის ლოცვაში „გოდი-გოდის“ წარმოთქმისას გოდის უხმობენ. პატარძალს, რომელსაც ასეირნებენ, ჩომჩე ეწოდება. ჩომჩე ეს არის პატარძალივით მორთული ბევრჯერ გამოყენებული ცოცხი. ჩვენი აზრით ცოცხი, მიწის პატრონთან კავშირის გამო არის შერჩეული. ამასთან ცოცხთან დაკავშირებით სხვა ცრურწმენებიც არსებობს, მაგალითად

---

<sup>7</sup> Yaşar Kalafat, “Aras Vadisinde Hayvan Okşamaları”, **II. Uluslararası Aras Havzası Sempozyumu (13-15 Aralık 2011, Iğdır)**, (Yayına Hazırlayan: Oktay Belli & Evren Belli) Iğdır Valiliği Yayınları, Erzurum 2012, s. 246-252

<sup>8</sup> Mevlüt Özhan “Karagöz’ün Dünya Gölge Tiyatrolarına Etkisi”, **6. Uluslararası Türk Kültürü Kongresi Bildir Bilimleri, cilt IV**, Ankara 2009, s. 1901-1910, Atatürk Yüksek Kurumu Kültür Merkezi Başkanlığı Yayınları.; “Karagöz’de Çok Kültürlülük,” **7. Uluslararası Türk Kültürü Kongresi, Bildiriler III**, Edebiyat ve Folklorunda İstanbul, Konya 2012, s.919-930, Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu Atatürk Kültür Merkezi Yayını.

<sup>9</sup> Yaşar Kalafat, “Kıpçak/Kuman-Oğuz Türk Yapılanmasında Kumuk Halk İnançları” **Serhat Kültür**, Temmuz-Ağustos 2019 s.36-40

<sup>10</sup> Ünsal Yılmaz, “Kars Yöresinde Özgü Kaybolan Sözlü Sanat Ürünü “Horavel”, **Serhat Kültür, Tarih Kültür ve Haber Dergisi**, Kasım-Aralık 2019, s. 5

ცოლისა და ცოცხის დამაკავშირებელი შეხედულებები, თანაც ცოცხი ყველა მცენარისგან ვერ დამზადდება, მეტწილად ცხადია, რომ მარიამსაკმელას მსგავსად ცრურწმენით უნდა იყოს დატვირთული.

ანატოლიის ზოგიერთ რაიონებში, წვიმის პროცესიაში მონაწილეობისთვის ჩომჩე-პატარძლის როლისთვის ღარიბი ოჯახის გოგოებს არჩევენ, ხოლო ავღანელ თურქებთან ობოლ გოგოებს აძლევენ უპირატესობას. ჩვენი აზრით, ეს არჩევანი მიზნად ისახავს თანაგრძნობის გამოხატვას. წვიმის ლოცვის დაწყებამდე ცერემონიის გასამართ ადგილზე ცხვრებისგან განცალკევებით მოყავთ ბატკნები, რათა მათ იბღავლონ. ჩომჩე-პატარძალს კიდევ უწოდებენ კობე-პატარძალს. ანატოლიელების ენაზე გობე ხეიბარს ნიშნავს. მას ასევე უწოდებენ „საფი ქირიქ-ქაშიკს“ (გატეხილ კოვზს), „კობე-ქაშიკს“ (ხეიბარ კოვზს), „ქომესი ქირიქ აშიკ ქემიქს“ (კუთხემოტეხილ კოჭის ძვალს) და „კობე აშიკს“. გამოცანის სახით ყურში ეკითხებიან „როგორ მიეკრობა კობე-ქაშიკი კედელს“. ჩომჩე-პატარძალს კიდევ უწოდებენ ქეფჩე-პატარძალს (ჩამჩას). ალბათ ჩამჩას დამსგავსებული პატარძალი წვიმის პროცესის წინ მიყავდათ. თუმცა მისი სახელი უმეტეს ადგილებში წვიმის პატარძალი იყო. აღმოსავლეთ ანატოლიის ზოგიერთ რეგიონებში ჩომჩე-პატარძალს დუდუ-დუდუს ან დოდი-დოდის უწოდებდნენ. კეკაის თურქებთან ქოსა პატარძლის როლს მამაკაცი ასრულებდა. განსაზღვრება ქოსა ნაკლოვანების, განუვითარებლობის, სიმდაბლის მნიშვნელობით იხმარებოდა. მას აცმევდნენ მოკლემკლავიან მოსასხამის მსგავს პიჯაკს. თუ მისგან წვიმასთან ერთად ქარსაც ითხოვენ, ასეთ შემთხვევაში ელაზიდის მხარეში მას *მილო პოტიკს, მულო/მოლას, პოტიკს* უწოდებენ. ჩვენი აზრით, ჩომჩე-პატარძალს იმ ძალას კი არ აძლევენ, რომელმაც წვიმა უნდა მისცეთ, არამედ იგი წარმოადგენს საშუალებას ამ ძალასთან დასაკავშირებლად.<sup>11</sup>

უზბეკებთან და ყუმუხებთან სუსჰატინი ნალექის მოხმობის ცერემონიებშია წარმოდგენილი, მაშინ როცა თურქმენებთან სუთ-ხათუნს, თუი-ხათუნს, სუთ-ყაზანს მხოლოდ წვიმის გამოწვევის ცერემონიებში შეხვდებით.

ერაყელ თურქმენებთან ჩეჩელე-გოგოს სახელით ცნობილი თამაში, ყუმუხ თურქებთან იუმურჯაკის, ხოლო აზერბაიჯანულ ფოლკლორში გოდუ-გოდუს სახელით იცნობენ. ისტორიულად უძველესი პერიოდები იგივეა. თამაშს „დღის გამოსვლა“ ძირითადად უფროსები და ნაწილობრივ

<sup>11</sup> Yaşar Kalafat, “Türk Kültür Coğrafyasında Yağmur Duası”, **Yağmur Duası Kitabı**, (Hazırlayan: Sabri Koz) Kitapevi yayınları, İstanbul, 2007, s 195-207

მოზრდილები თამაშობდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში იგი საბავშვო თამაშად გადაიქცა. გოდი-გოდის სახელით ცნობილი წვიმის პროცესის მომზადება ანატოლიელ თურქებთან ისევე ხდება, როგორც სხვა სახელით ცნობილი სხვა მსგავსი პროცესები.

წელიწადში ერთხელ გამართულ ყუმუხების მოსავლის აღებისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე მამაკაცები თამაშობენ გულდურბაის. დასახელება შეიძლება შეიცვალოს რეგიონების მიხედვით და ღურგუნბაი, გუსემეი, მასეი, კასამაი ეწოდებოდა. ამ თამაშის დროს ახალგაზრდები სახლიდან სახლში მიდიან და სიმიანდს აგროვებენ. ამისთვის განსაზღვრული თვე არ არის. გულდურბაის ძირითადად შემოდგომაზე აწყობენ და მასში ბავშვები ცალსახად არ მონაწილეობენ. აზერბაიჯანში იელ-ბაბას ღონისძიებაც შემოდგომობით იმართება.<sup>12</sup>

აზერბაიჯანში შემოდგომობით სიმიანდის აღების დროს ჩატარებული გულდურბაის ზეიმი, ჩვენს ბავშვობაში შემოდგომობით ხორბლის აღების დროს ჩატარებულ ქავურგას ზეიმებს მოგვაგონებს.

დროთა განმავლობაში ადამიანმა დაიწყო ბუნებრივი მოვლენების ამოხსნა, რამაც შეცვალა მისი რწმენის ხასიათი, რამაც ბუნებრივია გამოიწვია რწმენიდან გამომდინარე ამ ქმედებების გაქრობა. ეს ცერემონიები, რომლებიც ადრე სავალდებულო იყო რწმენიდან გამომდინარე, ახლა უკვე გვერდზე გადადეს მისი ძირითადი მიზეზები და გართობის მიზნით ატარებენ მათ.

ცხოველებისთვის მიბაძვა, არქაულ პერიოდში მონადირე თემების მიერ ნადირობისას გამოყენებული ტაქტიკიდან და ასევე გამრავლების, სიკვდილი-აღდგომის, გათიშვა-გამოფხიზლების მოტივებიდან მომდინარეობს. მაგალითად: აქლემის თამაშისას აქლემის სიკვდილს და გაცოცხლებას ან მშობიარობის თემებს განასახიერებდნენ. ამის მრავალი სახესხვაობა დადგენილია ანატოლიაში. ამის მაგალითად წარმოადგენს მერსინის ილის მუთის ილჩეს სოფელ ჩუქურბაღში გამრავლებასთან დაკავშირებული „აქლემის მშობიარობის თამაში“ და ქარამანის ილის დაბა თაშქალეში „ყადის თამაში“. რწმენის ხარისხის დაკარგვის გამო ამ დადგმებს ცხოველების მიბაძვის გარეშე განასახიერებენ. ის რომ ეს

---

<sup>12</sup> Aynur Gazenferkızı, *Azərbaycan-Kumuk Folklor Alakaları*. Azərbaycan Milli İlimlər Akademisi Folklor Enstitüsü, Bakı 2018; Yaşar Kalafat, Kıpçak/Kuman-Oğuz Türk yapılanmasında Kumuk Halk İnançları” [www.yasarkalafat.imnfo](http://www.yasarkalafat.imnfo)

ცვლილება შეიძლება ბიზანტიურ თეატრს უკავშირდებოდეს, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს.<sup>13</sup>

არქაულ პერიოდში ეს დადგმები ღია ადგილებში ეწყობოდა, ხოლო წევრები იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მასში. მას შემდეგ რაც დადგმების მიზანი გართობა გახდა, ადგილის შერჩევა თამაშის მიხედვით დაიწყო. ზოგიერთი თამაშს დიდ მოედანზე აწყობენ, ზოგსაც დიდ ოთახში.

### დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ანატოლიური თურქული კულტურა, ანატოლიელი ხალხის კულტურის ანარეკლია. ჩვენი აზრით ეს შეეხება თანამედროვე ქართულ კულტურასაც. მიუხედავად ამ ორ ერს შორის რელიგიური და ენობრივი განსხვავებისა, მათ შორის არის ღრმა ფესვების მქონე საერთო რეგიონული შეხების წერტილები. ჩვენი აზრით ეს სიმდიდრეა და მისი მემკვიდრე ორივე ქვეყნის ხალხია. ამ მემკვიდრეობის გაფლანგვა ან სწორად გამოყენება რეგიონის ინტელექტუალების პასუხისმგებლობაა.

თუ არ გავითვალისწინებთ დასახლებული პუნქტების ისტორიულ გეოგრაფიას და დემოგრაფიულ დანაწილებას, ხალხებისა და რელიგიის ისტორიის ფილტრში გატარების გარეშე მოვახდენთ ხალხთა კულტურულ იდენტიფიცირებას და ერთი კონკრეტული რეგიონში მცხოვრებ მხოლოდ ერთ ხალხს მთლიანად მივაკუთვნებთ კულტურულ ნიშანთვისებებს, გამოვიწვევთ ხალხთა შორის უთანხმოებას, რადგან ეს არ იქნება ჭეშმარიტება და მეცნიერულად გამართლებული. ამგვარი დასკვნა მხოლოდ იმპერიალისტურ წამოწყებას ემსახურება.

რეგიონალური საერთო კულტურის შესახებ ცოდნა, მასზე მსჯელობა და მისი დაცვა არ ნიშნავს ეროვნული კულტურის უარყოფას ან მის წინააღმდეგ გამოსვლას.

## მაჰმუდ მეორის დროინდელი ჩილდირის ეიალეთის აღწერის მასალები

---

<sup>13</sup> Mevlüt Özhan “Karagöz’ün Dünya Gölge Tiyatrolarına Etkisi”, **6. Uluslararası Türk Kültürü Kongresi Bildir Bilimleri, cilt IV**, Ankara 2009, s. 1901-1910, Atatürk Yüksek Kurumu Kültür Merkezi Başkanlığı Yayınları.; “Karagöz’de Çok Kültürlülük,” **7. Uluslararası Türk Kültürü Kongresi, Bildiriler III**, Edebiyat ve Folklorunda İstanbul, Konya 2012, s.919-930, Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu Atatürk Kültür Merkezi Yayını.



ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე  
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**მოკლე შინაარსი**

ოსმალთა იმპერიისადმი დაქვემდებარების შემდეგ ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიები ძირითადად „გურჯისტანის ვილაეთში“ იყო გაერთიანებული. XVI ს-ში აღნიშნული სახელწოდების ვილაეთი მოიცავდა არტანს, ოლთისს, თორთუმს, არტანუჯს, ფერთექრექს (ამავე პერიოდში, აჭარა, ლივანის ხეობა, შავშეთი იმერხევითა და მაჭახლითურთ არზრუმის საბეგლარბეგოს ექვემდებარებოდა).

1578-79 წწ-ის ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობით „აღმოსავლეთის ლაშქრობის“ შემდეგ ოსმალეთს ისტორიული მესხეთის ახალი ტერიტორიები შეუერთდა, სადაც სულთანმა ჩილდირის, იგივე ახალციხის საფაშო დააარსა, რომელიც ასევე „გურჯისტანის ვილაეთის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

აღნიშნული ტერიტორიების ნაწილი 1829 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავის პირობებით რუსეთის იმპერიას დარჩა. მათ შორის იყო ადმინისტრაციული ცენტრი ახალციხეც. როგორც წყაროებიდან ჩანს, აღნიშნული ხელშეკრულებით ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილი ტერიტორიები „ჩილდირის ეიალეთში“ გაერთიანდა.

XIX ს-ის 30-იან წლებში ოსმალეთის სულთანი მაჰმუდ II (1808-1839 წწ.) ცდილობდა, როგორმე დაეძლია ქვეყანაში არსებული კრიზისი და ქვეყანაში მასშტაბური რეფორმების გატარება დაიწყო. სხვასთან ერთად ცვლილებების გატარება დაიწყო ჯარშიც. სამხედრო პოტენციალის განსაზღვრის მიზნით, XIX ს-ის 30-იან წლებში იმპერიაში ჩატარდა მუსლიმ მამაკაცთა აღწერა. პარალელურად, ჯიზიეს გადასახადის განსაზღვრისათვის აღწერეს არამუსლიმი მოსახლეობაც.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება ჩილდირის ეიალეთის ცალკეული სანჯაყების აღწერის მასალები, რომელიც შედგენილია 1835 წელს. მათ შორის არის ბათუმის, ქობულეთის (ჩურუქსუ), აჭარის, მაჭახლის, იმერხევის, შავშეთის, ლივანის, არტანუჯის, ოლთისის, თორთუმის და სხვა სანჯაყები. ამავე არქივში NFS.d. 02779 შიფრით დაცულია ამავე თარიღში შედგენილი ქრისტიანი მოსახლეობის აღწერის ერთიანი რეესტრიც, რომელიც მთელ ეიალეთს მოიცავს. დოკუმენტები მრავალმხრივ საინტერესოა როგორც საისტორიო წყაროები. იგი გვაძლევს



აღნიშნულ რეგიონის ისტორიის სხვადასხვა ასპექტში განხილვის საშუალებას. მათ შორის, დემოგრაფიული, კონფესიური, ონომასტიკური და სხვა. თვალსაზრისით.

წარმოდგენილ მოხსენებაში ერთიანობაში არის განხილული აღნიშნულ დოკუმენტში დაცული ცნობები და მოცემულია „ჩილდირის ეიალეთის“ ზოგადი სურათი.

**საკვანძო სიტყვები:** ჩილდირი, აღწერა, სანჯაყი, ეიალეთი.

## **SULTAN II. MAHMUT DÖNEMİ ÇILDIR EYALETİ'NİN NÜFUS DEFTERLERİ**

**Doç Dr. Zaza ŞHAŞİKADZE**  
**Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi**

### **ÖZ**

Osmanlı İmparatorluğu'nun itaati altına girdikten sonra tarihi Samtshe-Saatabago toprakları “Gürcistan Vilayetinde” birleştirilmiştir. XVI. yüzyılda adı geçen vilayet Ardahan, Oltu, Tortum, Ardanuç ve Pertekret'ten oluşmaktaydı (Aynı zamanda Acara, Livane ve Şavşat Macahel ve İmerhevi ile birlikte Erzurum Beylerbeyliğine bağlıydı). 1578 tarihinde Lala Mustafa Paşa komutanlığında gerçekleştiren “Doğu Seferi'nden” sonra Osmanlı topraklarına tarihi Mesheti'nin bazı bölgeleri de katılmıştır. Bunun ardından da Osmanlı yönetimi tarafından Çıldır yani Ahışa, diğer ismiyle “Gürcistan Vilayeti” olarak adı geçen Beylerbeyliği kurulmuştu. Zikredilen toprakların bir kısmı 1829 tarihinde, Osmanlı-Rus savaşından sonra, Edirne Antlaşmasına göre Rusya İmparatorluğu'na geçmiştir. İdari merkez olan Ahıska da bu topraklar içindeydi. Osmanlı İmparatorluğu'nun sınırları içerisinde kalan topraklar ise kaynaklardan öğrendiğimize göre “Çıldır Eyaleti'ne” bağlanmıştır. XIX. yüzyılın 30'lu yıllarında Sultan II. Mahmut ülkedeki krizin üstesinden gelmek amacıyla büyük çaplı reformlar başlatmıştı. Bunun yanı sıra orduda da değişiklikler olmuştu. İmparatorlukta askeri potansiyeli öğrenmek için nüfus sayımı yapılmıştır. Bunun yanı sıra cizye vergisinin sayısını tespit etmek için de gayri müslim nüfus sayımını da gerçekleştirilmiştir. İstanbul'da Başbakanlık Devlet Arşivinde 1835 tarihine ait Çıldır Eyaletine bağlı sancakların nüfus defterleri muhafaza edilmektedir. Bunların arasında; Batum, Çürüksu (Kobuleti), Acara, Macahel, İmerhevi, Şavşat, Livane, Ardanuç, Oltu, Tortum vs. sancaklarının nüfus defterleri bulunmaktadır. İstanbul Cumhurbaşkanlığı Devlet arşivinde aynı tarihte tanzim edilmiş ve bütün eyaleti içeren NFS.d. 02779 numaralı gayri müslim yani reaya defteri de bulunmaktadır. Belgeler tarihi kaynak olarak bir çok açıdan ilgiçekicidir. Bu belgeler sayesinde demografik, dini, onomastik vs. açısından adı geçen bölgenin tarihini birçok yönden araştırmak

mümkündür. Bu bildiri metninde yukarıda belirtilen nüfus defterlerinde korunan bilgiler yorumlanmış ve Çıldır Eyaletinin genel resmi verilmiştir.

**Anahtar Kelimeler:** Çıldır, Osmanlı arşivi, Defter, Sancak, Eyalet.

## **CENSUS MATERIALS OF CHILDIR EYALET FROM THE TIME OF MAHMUD II**

**Associate Professor Zaza SHASHIKADZE**  
**Shota Rustaveli Batumi State University**

### **ABSTRACT**

After the subjugation to the Ottoman Empire, the historical Samtskhe-Saatabago territories were basically united in "Gurjistan Vilayet". In the XVI century, the above mentioned vilayet included Ardahan, Oltis, Tortum, Artanuj, Fertekrek (at the same time Adjara, Ligani Valley, Shavsheti with Imerkhevi and Machakheli were subordinated to the Sabeglarbego (administrative unit) of Erzurum).

Following the "Eastern Attack" of 1578-79 commanded by Lala Mustafa Pasha, the Ottoman Empire was joined by the new territories of historic Meskheti, where the Sultan founded the Childir, the same Akhaltsikhe Eyalet, also known as "Gurjistan Vilayet".

Part of these territories remained in the Russian Empire in 1829, following the Russo-Ottoman War, under the terms of the Adrianople Treaty. Among them was the administrative center of Akhaltsikhe. According to sources, the treaty consolidated the remaining territories in the Ottoman Empire into the "Childir's Eyalet".

In the 1930s, the Ottoman Sultan Mahmud II (1808-1839) tried to overcome the crisis in the country and began large-scale reforms in the country. Along with others, changes began in the army as well. In order to determine the military potential a census of Muslim men was conducted in the empire. At the same time, non-Muslim residents were also officially counted for determining taxes.

The archives of the Council of Ministers of Istanbul preserve the records of the separate Sanjak of the Childir Eyalet, compiled in 1835. They include Batumi, Kobuleti (Churuksu), Adjara, Machakheli, Imerkhevi, Shavsheti, Livane, Artanuji, Oltisi, Tortumi and other Sanjaks. The same archive also contains a unified Christian Census Registry of the same date (NFS.d. 02779), which covers the whole of Eyalet. The documents are in many ways interesting as historical sources. It allows us to discuss various aspects of the history of this region, including demographic, confessional, onomastic and more.

In the presented report, the information contained in this document is discussed and a general picture of the Childir Eyalet is given.

**Key words:** Childir, Ottoman Archives, Registry, Sanjak, Eyalet.

დადმავლობის გზაზე მდგარი ოსმალთა იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ კრიზისი, რომელიც XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე უკვე საკმაოდ შორს იყო წასული, ქვეყანაში ცვლილებებსა და რეფორმებს საჭიროებდა. პირველი სულთანი, რომელმაც არსებული მდგომარეობის გამოსწორება რეფორმების საშუალებით სცადა, სელიმ III (1789-1808 წწ.) იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ისტორიაში შევიდა როგორც სულთანი – რეფორმატორი, მან ვერ მოახერხა დასახული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელება, რადგან იმპერიის კონსერვატიული ძალები მკვეთრად დაუპირისპირდნენ მას. ამას დაერთო საგარეო პოლიტიკაც, კერძოდ ომი საფრანგეთთან 1798-1800 წლებში.

მუსტაფა IV, რომლითაც აჯანყებულმა იანიჩარებმა ტახტზე სელიმი ჩაანაცვლეს და რომლის სულთანატმაც წელიწადზე ცოტა მეტხანს გასტანა, ყოვლად უუნარო მმართველი აღმოჩნდა.

1808 წლის ოსმალთა სულთანი გახდა მაჰმუდ II, რომლის მმართველობაც თითქმის 31 წელიწადს გაგრძელდა. აღნიშნული წლები დაემთხვა იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე არეულ პერიოდს. მაჰმუდის ზეობას დაემთხვა 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულება და ბუქარესტის ზავი, ვაჭაბიტების მარბიელი ქმედებები მექასა და მედინაში, აჯანყებები ბალკანეთზე (სერბები და ბერძნები), ომი ირანთან (1821-1823 წწ.), დაპირისპირება იანიჩართა კორპუსთან, ახალი ომი რუსეთთან (1828-1829 წწ.), 1830 წლის კონფლიქტი ერაყის მმართველ, წარმოშობით ქართველ დაუდ ფამასთან (მანველიშვილი), ორი მასშტაბური კონფლიქტი ეგვიპტესთან და სხვა.

მაჰმუდ II-ის, როგორც მომავალი სულთნის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის სელიმ III-ს. თვითონ უშვილო სულთანი მცირეწლოვან მაჰმუდს ზრდიდა, როგორც საკუთარ შვილს. საფიქრებელია, რომ ამ ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია შემდგომში მაჰმუდის რეფორმატორულ მმართველობაზე.

მაჰმუდ II-მ, რომელიც მისი აღზრდელის მსგავსად იმპერიაში მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა, ქვეყანაში მასშტაბური რეფორმები დაიწყო. ცვლილებები პირველ რიგში მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გაზრდას. ოსმალეთის ხელისუფალნი ზოგადად თვლიდნენ, რომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა პირდაპირ უკავშირდებოდა სამხედრო ძლიერებას. ამიტომაც, სხვადასხვა სფეროში გატარებულ ცვლილებებთან ერთად, არმიის გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. თუ სელიმ III-მ ვერ მოახერხა იანიჩართა წინააღმდეგობის დაძლევა და მათი

კორპუსის „ნიზამი-ი ჯედიდით“ ჩანაცვლება, მაჰმუდ II-მ დაამარცხა ისინი და შექმნა „სეკბან-ი ჯედიდი“.

სულთნის ხელისუფლება დაინტერესებული იყო, სცოდნოდა ქვეყნის შესაძლებლობები და ამ მიზნით 1831 წელს დაიწყო ანატოლიასა და რუმელიაში მცხოვრებ მამაკაცთა აღწერა, რომელიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. აღნიშნული აღწერა ეხებოდა მხოლოდ მამაკაცებს მიუხედავად მათი ასაკისა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ მუსლიმი მამაკაცების რაოდენობის დადგენა მიზნად ისახავდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალის შესწავლას. პარალელურად მიმდინარეობდა არამუსლიმი მოსახლეობის აღწერა ჯიზიეს გადასახადის განსაზღვრის მიზნით (Güneş, 2014:226).

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო არ მოხერხდა მაშინდელი იმპერიის მთლიანი ტერიტორიების აღწერა. მათ შორის ბალკანეთის, არაბული ქვეყნების, ჯერ ბალდადის გამგებელ დაუდ ფაშასთან (მანველიშვილი) და შემდეგ ეგვიპტის კონფლიქტების გამო.

რა თქმა უნდა, აღწერა ვერ შეეხებოდა 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასულ ახალციხის საფაშოს ტერიტორიებს. რაც შეეხება საფაშოს დანარჩენ ტერიტორიებს, ისინი ამჯერად „ჩილდირის ეიალეთში“ გაერთიანდა.

აღწერის მონაცემებით ანატოლიასა და რუმელიაში 4 მილიონი მამაკაცი ცხოვრობდა, აქედან 1,5 მილიონი რუმელიაში და 2,5 მილიონზე მეტი ანატოლიაში. რუმელიის მოსახლეობიდან 800 ათასი ქრისტიანი იყო და 500 ათასი მუსლიმი; ანატოლიაში 2 მილიონი მუსლიმი და 450 ათასი ქრისტიანი იყო. გარდა ამისა მოხდა კომლობრივი აღწერა გადასახადების აკრეფის მიზნით, რომლის მიხედვითაც ოსმალეთში ცხოვრობდა 20 მილიონი კაცი, აქედან 12,5 მილიონი ანატოლიაში და 7,5 მილიონი რუმელიაში (სვანიძე, 2002:288).

როგორც სტამბოლის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, მის საცავებში მოსახლეობის მსგავსი ხასიათის აღწერის ათასობით დავთარი ინახება. მათ შორის არის დამატებითი დოკუმენტები (ისეთები, როგორიცაა „Yoklama Defteri“ და სხვა.) (BOA.R, 2017:148).

აღნიშნულ დოკუმენტებს შორის არის ჩილდირის ეიალეთისადმი დაქვემდებარებული არტაანის (COA NFS.d 02760), ოლთისის (COA NFS.d 02772), ბანას (COA NFS.d 02773), მამირვანის (COA NFS.d 02770), ტაოსკარის (COA NFS.d 02776), ლივანას (COA NFS.d 02766), ლივანას ბერთა და სინკოთის ნაჰიეების (COA NFS.d 02767), ზემო ლივანას (COA NFS.d 02768),

ქისკიმის (COA NFS.d 02765), არტანუჯის (COA NFS.d 02761), სათლელის (შავშეთი)(COA NFS.d 02775), იმერხევის (COA NFS.d 02771), მაჭახლის (COA NFS.d 2769), ბათუმის (COA NFS.d 01170), ჩურუქსუს (ქობულეთის)(COA NFS.d 02763), ზემო აჭარის (COA NFS.d 02759), ქვემო აჭარის (COA NFS.d 02758) სანჯაყების მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთრები. ყველა მათგანი ჰიჯრის 1251 წლით (1835/36) არის დათარიღებული. თორთომის და სპერის სანჯაყები არზრუმს ეკუთვნის.

მასალები ძალზე ვრცელია, რის გამოც გადაწვევით, მოცემულ ფორმატში, მხოლოდ დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ანუ საქართველოში შემავალი ტერიტორიების ამსახველ ხუთ დოკუმენტზე გავამახვილოთ ყურადღება. ესენია ქობულეთის, ბათუმის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის სანჯაყები. მაჭახლის აღწერაში ასახული ხეობის ექვსი სოფელი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

როგორც საისტორიო წყარო, დოკუმენტები მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს. ისინი უპირველესად საინტერესოა, როგორც დემოგრაფიული ძეგლები. გვაწვდის მდიდარ ონომასტიკურ (ტოპონიმის, ანთროპონიმის...) ცნობებს. ასახულია ტერიტორიების ადმინისტრაციული დაყოფა და სხვა არაერთი. ადმინისტრაციული დაყოფის კუთხით საყურადღებოა, რომ ბევრი დღევანდელი სოფელი აღნიშნულ პერიოდში უბნის (მაჰალე) სტატუსით უფრო დიდ სოფელთან, თემში იყო გაერთიანებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ზემო აჭარა. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ეს უბანი, ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1574 წლის აჭარის აღწერაში დამოუკიდებელი სოფელია (შაშიკაძე, მახარაძე, 2011).

ქვემოთ, ცალკეული ლივების (სანჯაყების) მიხედვით, წარმოგიდგინთ სოფლებსა და მათ დემოგრაფიულ მდგომარეობას აღწერის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, აღწერის შემდგომი მინაწერ-ჩანამატებია გაკეთებული, ჩვენ ვიძლევიტ პირველადი აღწერის მონაცემებს. მოსახლეობის რაოდენობის ზუსტ ციფრთან მისახლოებლად საჭიროა მოცემულ მონაცემებს დავამატოთ ქალთა რაოდენობაც, ანუ სულ ცოტა ორჯერ უნდა გავზარდოთ.

რაც შეეხება სოფლებისა და უბნების სახელწოდებებს, ქართულ და თურქულ ენებს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობის გამო, თურქულ ტრანსკრიფციაში ქართული სახელები ზოგჯერ იმდენად არის შეცვლილი, რომ „მათი პირვანდელი სახის აღდგენა დიდ დაკვირვებასა და

ტოპონიმიკის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს“ (ჯიქია, 1958:24). ამას ემატება არაბულ-ოსმალური დამწერლობის კონსონანტური ხასიათი.

**ჩილდირის ეიალეთის ჩურუქსუს (ქობულეთის) ლივაში** მცხოვრებ მუსლიმ მამაკაცთა აღწერა. ჰიჯრით 1251 (1835) წელი (NFS.d. 02763).

1. სოფელი **ქობულთი** და მისი უბანი **კოხი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - სულ 138 კომლი 398 მამაკაცით.

2. სოფელი **ჭახათი** და მისი უბანი **კეჭიეთი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - სულ 66 კომლი 214 მამაკაცით.

3. სოფელი **კვირიკე** და უბანი **კვირიკე**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - სულ 273 კომლი 478 მამაკაცით.

4. სოფელი **ალამბარი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 77 კომლი, 245 მამაკაცი.

5. სოფელი **ტყემაკარავი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში. უბნები - **კობალაური** და **ვარჯანული** - სულ 80 კომლი და 254 მამაკაცი. აქვეა აღწერილი 23 კომლი და 74 მამაკაცი, რომლებიც უნებართვოდ არიან გადასულები რუსეთის მხარეს და არცერთ მხარეს არ იხდიან გადასახადს. სულ - 103 კომლი და 338 მამაკაცი.

6. სოფელი **დაგვა** და უბანი **მეორე დაგვა**<sup>1</sup>, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 127 კომლი, 354 მამაკაცი.

7. სოფელი **დიდვაკე**, ექვემდებარება **ხინოს**. უბანი **ქათამური**, ჩურუქსუს ლივაში, რომელიც შედის ჩილდირის ეიალეთში. უბნები - **გოგაური**, ექვემდებარება დიდვაკეს, ზემო ხინოს მინდორი; ზემო ხინოს და ქათამურის უბნები; **ციხიძეს**<sup>2</sup> უბანი, ექვემდებარება დიდვაკეს და ზემო ხინოს - სულ 92 კომლი 258 მამაკაცით.

8. სოფელი **სამება**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 109 კომლი, 301 მამაკაცი.

9. სოფელი **გვარა**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 33 კომლი, 114 მამაკაცი. აღნიშნული სოფელი განმეორებით (Mükerrer) მეორე გვარას სახით არის აღწერილი და 34 კომლი, 113 მამაკაცია დაფიქსირებული. ჩვენ ვითვალისწინებთ დაზუსტებულ ვარიანტს.

10. სოფელი **აჭყვისთავი** და მისი უბანი **ზენითი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 75 კომლი, 240 მამაკაცი.

<sup>1</sup> უნდა იყოს ამჟამინდელი ქვედა დაგვა. ამას ამოწმებს დღევანდელ მოსახლეობასთან აღწერილი გვარების შედარებაც.

<sup>2</sup> შესაძლებელია იყოს მესხიძე. ეს გვარი ახლაც სახლობს აქ.

11. სოფელი **ზერაბოსელი** და მისი უბანი **ცხოვარი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 63 კომლი, 201 მამაკაცი.

12. სოფელი **ხუცუბანი**, ექვემდებარება ჩურუქსუს ჩილდირის ეიალეთში - 77 კომლი, 268 მამაკაცი.

13. ბაზრის უბანი (ქობულეთის ცენტრი), შედის ჩილდირის ეიალეთში - 17 კომლი, 61 მამაკაცი.

14. ქობულეთის ბაზარში მოვაჭრე მუსლიმები, სახლის გარეშე - 25 მამაკაცი.

15. ქობულეთის ბაზარში მოვაჭრე ქრისტიანი ბერძნები - 11 მამაკაცი.

როგორც ვხედავთ მოცემულ დოკუმენტში, ამჟამინდელი ქალაქ ქობულეთის მაშინდელი მცირე დასახლების გარდა, თორმეტი სოფელია დამოწმებული თავისი უბნებით. გარდა ამისა ბაზარში მოვაჭრე 25 მუსლიმი და 11 ქრისტიანი მამაკაცი. მთლიანობაში 1251 კომლია, სადაც დაახლოებით 3500 მამაკაცი ცხოვრობს.

**ბათუმის ლივა** ყველაზე ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მასში შედის დღევანდელი ქობულეთის სოფლების ნაწილი და ჭოროხის ხეობაში დღევანდელი ბორჩხა თავისი სოფლებით, მურდულამდე. მასში 47 დასახლებული პუნქტია გაერთიანებული, მათ შორის 45 სოფელი და ორი მომთაბარე ქურთების დასახლებაა, სადაც მთლიანობაში 6500-ზე მეტი მამაკაცი ცხოვრობს.

„ბათუმის დავთარს“ ყდა არ აქვს. თუმცა ცნობილია, რომ თარიღი იგივეა - 1835 წელი. იგი პირდაპირ იწყება გონიოს ყაზას აღწერით. აღწერის სხვა დოკუმენტებისგან განსხვავებით, აქ კომლები ცალკე არ არის გამოყოფილი (NFS.d. 01170).

**გონიოს ყაზა**, ექვემდებარება ხსენებულ (ბათუმის) ლივას:

1. სოფელი **აბესლა**, ექვემდებარება ხსენებულ (გონიოს) ყაზას - 208 მამაკაცია აღწერილი.

2. სოფელი **მაკრიალი** - 137 მამაკაცი.

3. სოფელი **მაკრიალის ნავსადგური** - 99 მამაკაცი.

აქვე, ცალკეა აღწერილი მაკრიალში მცხოვრები მომთაბარე ქურთები, სულ 49 კაცი.

4. სოფელი **გონიოს ციხე**, იგივე გონიოს ციხის დასახლება - 100 მამაკაცი.

5. სოფელი **სარფი** - 77 მამაკაცი.

**ბელღევანის ნაჰიე**, ექვემდებარება ხსენებულ (გონიოს) ყაზას:

6. სოფელი **ბელღევანი**, ექვემდებარება ხსენებულ ნაპიეს - 309 მამაკაცი.
7. სოფელი **სოქორჩა** - 113 მამაკაცი.
8. სოფელი **სუჯუნა** - 163 მამაკაცი.
9. სოფელი **ცოცხოზა** - 155 კაცი.
10. სოფელი **ლოხია** - 396 მამაკაცი.
11. სოფელი **ოხორდია** - 238 მამაკაცი.
12. სოფელი **ქირღევანი** - 116 კაცი.
13. სოფელი **ბორჩხა** - 201 კაცი.
14. სოფელი **წითურეთი** - 60 მამაკაცი.
15. სოფელი **არჩვეთი** - 54 მამაკაცი.
16. სოფელი **ჭვარეთი** - 56 მამაკაცი.
17. სოფელი **კატაფხია** - 153 მამაკაცი.
18. სოფელი **ბერძნევი** - 52 მამაკაცი.
19. სოფელი **მურკვეთი** - 43 მამაკაცი.

**გონიოს ნაპიე**, ექვემდებარება ხსენებულ (გონიოს) ყაზას:

20. სოფელი **ქვემო მარადიდი**, ექვემდებარება ხსენებულ (გონიოს) ნაპიეს - 311 მამაკაცი.
21. სოფელი **მირვეთი** - 105 მამაკაცი.
22. სოფელი **ზემო მარადიდი** - 359 მამაკაცი.
23. სოფელი **მახო** - 121 მამაკაცი.
24. სოფელი **თხილნარი და ონზალო** - 82 მამაკაცი.
25. სოფელი **სიმონეთი** - 90 კაცი.

**ბათუმის ყაზას ნაპიე**, ექვემდებარება ხსენებულ (ბათუმის) ყაზას:

26. სოფელი **ლიმანი**<sup>3</sup>, ექვემდებარება ხსენებულ ნაპიეს - 92 მამაკაცი.
27. სოფელი **ყოროლისთავი** - 136 მამაკაცი.
28. სოფელი **აგარა** - 84 მამაკაცი.
29. სოფელი **ორთაბათუმი** - 221 მამაკაცი.
30. სოფელი **ახალშენი** - 56 მამაკაცი.
31. სოფელი **მახინჯაური** - 188 მამაკაცი.
32. სოფელი **სარაი** - 82 მამაკაცი.

---

<sup>3</sup> ლიმანი - ნავსადგური. ეს უნდა იყოს დღევანდელი ბათუმის ნავსადგურის ტერიტორია. მალიან კარგად ჩანს, რომ აღწერის პერიოდისთვის აქ მხოლოდ პატარა სოფელი. ადმინისტრაციაში გაერთიანებული არაერთი სოფელი მასზე ბევრად უფრო დიდი იყო. ეს მალიან საინტერესო მომენტია ქალაქის ისტორიისათვის.



33. სოფელი მეორე<sup>4</sup> ახალშენი - 31 მამაკაცი.

ერგეს ნაპიე, ექვემდებარება ხსენებულ (ბათუმის) ყაზას:

34. სოფელი თოფჩიოღლი, ექვემდებარება ხსენებულ (ერგეს) ნაპიეს - 36 მამაკაცი.

35. სოფელი კიბე - 107 მამაკაცი.

36. სოფელი კაპნისთავი - 111 მამაკაცი.

37. სოფელი ერგე - 123 მამაკაცი.

38. სოფელი ხელვაჩაური - 82 მამაკაცი.

39. სოფელი ჯოჭო - 112 მამაკაცი.

[სოფელ] კახაბრის მიწებზე მცხოვრები მომთაბარე ქურთები, ექვემდებარება ხსენებულ ნაპიეს - 205 მამაკაცი.

ჩაქვის ნაპიე, ექვემდებარება ხსენებულ (ბათუმის) ყაზას:

40. სოფელი ხალვაში<sup>5</sup>, ექვემდებარება ხსენებულ ნაპიეს - 110 მამაკაცი.

41. სოფელი ხალა - 193 მამაკაცი.

42. სოფელი აჭყვი - 144 მამაკაცი.

43. სოფელი გორგამე - 114 მამაკაცი.

44. სოფელი ჩაქვისთავი - 221 მამაკაცი.

45. სოფელი ორთაჩაქვი (შუაჩაქვი) - 208 მამაკაცი.

ჩილდირის ეიალეთის ქვემო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღწერა. 1835 წელი (NFS.d. 02758).

1. სოფელი აბუქეთა, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში - 35 კომლი და 99 მამაკაცი.

2. სოფელი გულეზი, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში - 36 კომლი და 106 მამაკაცი.

3. სოფელი აქუცა, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში - 46 კომლი და 110 მამაკაცი.

4. სოფელი ვაიო, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში - 65 კომლი და 163 მამაკაცი.

5. სოფელი ზვარე, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში - 38 კომლი და 98 მამაკაცი.

---

<sup>4</sup> იგულისხმება ზედა ახალშენი.

<sup>5</sup> ახ. სახალვაშო

6. სოფელი **ძენწმანი**, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთში - 31 კომლი და 98 მამაკაცი.

7. სოფელი **ცხმორისი**, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთში - 45 კომლი და 113 მამაკაცი.

8. სოფელი **კვაშტა**, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთში - 65 კომლი და 166 მამაკაცი.

9. სოფელი **ახო**, ექვემდებარება ქვემო აჭარას ჩილდირის ეიალეთში - 76 კომლი და 187 მამაკაცი.

